საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ა. ინგოროყვა, ზ. ჩხაიძე, გ. ცაავა

საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები

დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

სასწავლო სახელმძღვანელოს "საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები"-ს მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობის შესწავლა, საბანკო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ბანკის ეფექტიანი მუშაობისა და ავტომატიზებული საბანკო სისტემების როლის დემონსტრაციის უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელოში გამოყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლასთან დაკავშირებული საბანკო საქმიანობაში გამოყენებული მიმართულებები.

წინამდებარე ნაშრომი ,,საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები", როგორც სასწავლო სახელმძღვანელო, განკუთვნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების შემსწავლელ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთათვის და საკრედიტო საფინანსო დაწესებულებების თანამშრომელთათვის.

მეცნიერ რედაქტორები: პროფ. არჩილ ფრანგიშვილი;
პროფ. რუსუდან ქუთათელაძე

რეცენზენტი პროფ. რომა გალდავა

© საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009

ISBN 978-9941-14-309-0
http://www.gtu.ge/publishinghouse/

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

სარჩევი

შესავალი 5
თავი 1. ავტომატიზებული საბანკო სისტემების განვითარება 8
§ 1.1. საბანკო ინფორმაციული სისტემების სპეციფიკა 9
§ 1.2. ავტომატიზებული საბანკო სისტემების განვითარების ისტორია 10
თავი 2. ფინანსური ინფორმაცია და ფინანსური ნაკადები 16
§ 2.1 ფინანსური ინფორმაციის კლასიფიკაცია 16
§ 2.2 ფინანსური ინფორმაციის დახასიათება 18
§ 2.3 ფინანსური ინფორმაციის ნაკადები 19
§ 2.4 ავტომატიზებულ საბანკო სისტემაში ინფორმაციული ნაკადების ორგანიზაცია 20
§ 2.5. ინფორმაციული სისტემების ექსპლუატაციისა და ელექტრონულ შეტყობინებებთან მუშაობის წესები 23
თავი 3. ავტომატიზებული საბანკო სისტემების გამოყენება 29
§ 3.1. ბანკის სტრუქტურა 31
§ 3.2 ავტომატიზებული საბანკო სისტემის შემადგენელი კომპონენტები 35
§ 3.3 ავტომატიზებული საბანკო სისტემების აღწერის დონეები 38
§ 3.4. კომერციული ბანკის მართვის სისტემის ანალიზი 39
თავი 4. ბანკის საოპერაციო დღის პროგრამული უზრუნველყოფა 45
§ 4.1. ბანკის საოპერაციო დღე 45
§ 4.2. საოპერაციო დღის დასრულება 48
§ 4.3. პროგრამული უზრუნველყოფის ამოცანები საოპერაციო დღის შესრულებასთან დაკავშირებით 49
თავი 5. ბანკთაშორისო ელექტრონული ანგარიშსწორება 51
§ 5.1. ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო სისტემა 53
§ 5.2 მომხმარებლის ტექნიკური საშუალებები და პროგრამული უზრუნველყოფა 65
§ 5.3 ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ტექნოლოგია 65
თავი 6. სისტემა "კლიენტი-ბანკი" 68
§ 6.1. სისტემასთან მუშაობა 70
§ 6.2 "კლიენტი-ბანკის" სისტემის შემადგენლობა 71
თავი 7. პირადი ანაბრების ავტომატიზაცია 77
§ 7.1. ფიზიკური პირების მომსახურების თავისებურებები 77
§ 7.2. პირადი ანაბრების სისტემები 79
თავი 8. საბანკო ბარათებთან მუშაობის ავტომატიზაცია 96
§ 8.1. საბანკო ბარათების განვითარების ისტორია 96
§ 8.2 საბანკო ბარათების სახეები 98
§ 8.3. კომერციულ ბანკებში საბანკო ბარათებთან მუშაობის ორგანიზაციის წესი 102
თავი 9. სავალუტო ოპერაციების ავტომატიზაცია 106
§ 9.1 პროგრამული კომპლექსი სტატისტიკური ანგარიშგების ამოცანების გადასაწყვეტად 107
§ 9.2. პროგრამული კომპლექსი საექსპორტო კონტროლის ამოცანების გადასაწყვეტად 109

თავი 10 საფონდო ტექნოლოგიების ავტომატიზაცია 111
10.1. საფონდო ოპერაციების აღრიცხვა 115
10.2. ფასიანი ქაღალდების პაკეტების მართვის ავტომატიზაცია 122
თავი 11. ინფორმაციული უსაფრთხოება 125
11.1. საბანკო ინფორმაციის დაცვა 126
11.2. ავტომატიზებული საბანკო სისტემის ინფორმაციის დაცვის უცხოური გამოცდილება 127
§ 11.3. ავტომატური საბანკო სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება 132
11.4. ინფორმაციის ფიზიკური არსებით გაყონვა 133
11.5. ინფორმაციის დაცვის სისტემები 134
11.6. მონაცემთა დაშიფვრის ტექნოლოგიები 140
11.7. საინფორმაციო სისტემების კატასტროფამედეგობა 145
11.8. მონაცემთა დამუშავების ცენტრის კონსტრუქციის კატასტროფამედეგობის ვარიანტის არჩევა 150
§ 11.9. კატასტროფამედეგობის დონის და სისტემის ფუნქციონირების აღდგენის დროის უზრუნველყოფის ღირებულებების თანაფარდობა 161
თავი 12. ანალიზისა და პროგნოზირების სისტემები 163
§ 12.1. მონაცემების სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პროდუქტები 166
§ 12.2. გადაწყვეტილებების მიღების სისტემები 167
§ 12.3. გადაწყვეტილებების მიღების მართვის სისტემის ძირითადი სამსახური 168
თავი 13. ავტომატიზებული საბანკო სისტემების მიმოხილვა 169
§ 13.1. უცხოეთის ავტომატიზებული საბანკო სისტემების მიმოხილვა 173
§ 13.2. ავტომატიზებული საბანკო სისტემის არჩევა 178
თავი 14. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური 180
14.1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ადგილი 180
14.2. ავტომატიზაციასთან დაკავშირებული ქვედანაყოფის შემადგენლობა 181
§ 14.3. ინციდენტებისა და მოთხოვნების სადისპეჩერო სამსახური (Help Desk) 185
დანართი 1. რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემა (რდას) 208
დანართი 2 ავტომატიზებული საბანკო სისტემა "B@ANK 2000" 237
დანართი 3.. ფულადი გზავნილების სისტემა (Anelik) 298
დანართი 4. დეპოზიტების აღრიცხვისა და მომსახურების სისტემა – DpClient 318
დანართი 5. უნაღდო ანგარიშსწორების წესი 325
დანართი 6. დებულება საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ 371
დანართი 7. ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია 385
ლიტერატურა 398

შესავალი

საბანკო სისტემების ინტენსიურ განვითარებას ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული ეკონომიკური პრობლემებიც კი ვერ აფერხებს. საბანკო მომსახურების სპექტრის გაფართოება სულ უფრო შესამჩნევი ხდება. დღითი დღე შეუძლებელია სხვადასხვა მაქინაციებითა და სპეკულაციური სავალუტო ოპერაციებით იოლი გამდიდრება.

ამჟამად წარმატებული ბანკები ძირითადად აქცენტს პერსონალის პროფესიონალიზმსა და საბანკო ტექნოლოგიების განვითარებაზე აკეთებენ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების(იტ) დასანერგად საბანკო საქმიანობა ყველაზე ხელსაყრელი სფეროა, სადაც საბანკო ოპერაციების უმრავლესობა ავტომატიზაციას ექვემდებარება. ნებისმიერი მსხვილი საფინანსო ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ინფორმაციის დიდი მოცულობის ნაკადის სწრაფი და შეუფერხებელი დამუშავება, რაც თავისთავად, მძლავრი ელექტრონული რესურსებისა და ქსელის შექმნის აუცილებლობას წარმოშობს. გარდა ამისა, სწორედ ბანკებს გააჩნიათ უახლესი ტექნიკისათვის საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბანკი, პირველ რიგში, საფინანსო ორგანიზაციაა და მისი უპირველესი მიზანია მოგების მიღება, ამდენად საბანკო ტექნიკის და ტექნოლოგიის მოდერნიზაციაზე გაწეული ხარჯები რენტაბელური უნდა იყოს. მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, ინფორმატიზაციის ხარჯები მთლიანი, წლიური ხარჯების არა ნაკლებ 17%-ია.

ინტერესი კომპიუტერიზებული საბანკო სისტემებისადმი განისაზღვრება არა მყისიერი მოგების მიღებით, არამედ უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული მოსაზრებებით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მსგავს პროექტებში ინვესტიციებს გარკვეული პერიოდის შემდეგ მოგება მოაქვთ, რომელიც აუცილებელია პერსონალისთვის ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად და კონკრეტულ პირობებში სისტემის ადაპტაციისათვის. ახალი კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკის, თანამედროვე პროგრამულ პლატფორმებზე გადასასვლელი ბაზების შექმნისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაფინანსება, პირველ რიგში, გამიზნულია საბანკო ოპერაციების ხარისხისა და სისწრაფის გასაზრდელად, თვითღირებულების შესამცირებლად და ამით, ბანკის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

ახალი ტექნოლოგიები ბანკებს, საინვესტიციო ფირმებსა და სადაზღვეო კომპანიებს ხელს უწყობს კლიენტთან ურთიერთობის ახა-


ლი ფორმების მოძიებასა და ჩამოყალიბებაში და შესაბამისად, მოგების დამატებითი წყაროს მიღებაში.

მსოფლიო პრაქტიკის ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ ახალ ტექნოლოგიებს, პირველ რიგში, ინტენსიურად საინვესტიციო ფირმები, შემდგომ ბანკები და ბოლოს, სადაზღვევო კომპანიები იყენებენ.

ინფორმაციული ტექნოლოგია არის პროცესი, რომელშიც ობიექტის, პროცესის ან მოვლენის მდგომარეობის შესახებ ახალი ხარისხის ინფორმაციის მიღების მიზნით, ინფორმაციების შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა გამოიყენება.

"საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები"-ს კურსისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ობიექტია ბანკი ან საკრედიტო ორგანიზაცია, ხოლო პროცესი - საბანკო სისტემის ჩარჩოებში განხორციელებადი საბანკო საქმიანობაა.

საქართველოს საბანკო სისტემა თავისთავში ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს, კომერციულ ბანკებს, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალებსა და წარმომადგენლობებს მოიცავს (იხ. ნახ.1).



ნახ.1 საქართველოს საბანკო სისტემა

სასწავლო სახელმძღვანელოს "საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები"-ს მიზანს წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობის შესწავლა, საბანკო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ბანკის ეფექტიანი მუშაობისა და ავტომატიზებული საბანკო სისტემების როლის დემონსტრაციის უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელოში განიხილება შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ავტომატიზებული საბანკო სისტემების (ასს) კლასიფიკაცია;
- ავტომატიზებული საბანკო სისტემების ძირითადი ფირმები- დამმუშავებლები;
- ავტომატიზებული საბანკო სისტემების გამოყენებითი პროგრამების პაკეტები;
- ბანკების ფილიალების, წარმომადგენლობების, განყოფილებების, სააგენტოების, გადამცვლელი პუნქტების მუშაობისადმი ინფორმაციული მოთხოვნები;
- ავტომატიზებული საბანკო სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების პრინციპები;
- ავტომატიზებული საბანკო სისტემების დამუშავების ძირითადი სტადიები და პრინციპები:
- საერთაშორისო ანგარიშსწორების ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- ბანკებში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების სტრუქტურა და ამოცანები.

სახელმძღვანელოში გამოყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლასთან დაკავშირებული საბანკო საქმიანობაში გამოყენებული მიმართულებები. კონკრეტული გამოყენებითი პროგრამების მუშაობის აღწერის ნაწილში და ავტომატიზებული საბანკო სისტემების პრაქტიკულ შესწავლასთან მიმართებაში ლაბორატორიული სამუშაოებია გათვალისწინებული.

ერთობლიობაში სახელმძღვანელოს ყველა ნაწილი არის ერთიანი კომპლექსი, რომელიც საბანკო სისტემის მუშაობასთან მეტი ხარისხით მიახლოვებული მოდელის აგებისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული.

სახელმძღვანელოს შესწავლა და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება იძლევა შესაძლებლობას:

- კომერციულ ბანკებში და საბანკო ქვედანაყოფებში გამოყენებით პროგრამულ უზრუნველყოფასთან მუშაობის გამოცდილების შეძენის;
- ბალანსის, სტანდარტული და სპეციალიზებული ანგარიშგებების მომზადების მეთოდიკის შესწავლის;
- ცალკეული საბანკო ოპერაციების, ტექნოლოგიური ციკლისა და სქემების გაანგარიშების ტექნოლოგიების დამუშავების.

თავი 1. ავტომატიზებული საბანკო სისტემების განვითარება

ფინანსური ბიზნესის ავტომატიზაციის განვითარება ინფორმაციული სისტემების (ის) ევოლუციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ევოლუციის პირველი ეტაპი 1960-1970-იან წლებს შეესაბამება, რომელიც დიდი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების (ეგმ) ბაზაზე ინფორმაციული სისტემების (ის) აგებით ხასიათდებოდა. პირველი ეტაპის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეიძლება IBM ფირმის მიერ MVS საოპერაციო სისტემის შექმნა ჩაითვალოს.

მეორე ეტაპი, 1975-1980-იანი წლები, მინიკომპიუტერების გამოყენებით დეცენტრალიზაციისაკენ გადაგმული ნაბიჯებით დამკვიდრდა. მეორე ეტაპის მთავარ სიახლედ "დიდი ეგმ-მიკროკომპიუტერების" ორსაფეხურიანი სისტემის ჩამოყალიბება შეიძლება ჩაითვალოს, რომლის ინფორმაციული საფუძველი ცენტრალიზებული მონაცემების ბაზა (მბ) და გამოყენებითი პაკეტებია.

მესამე ეტაპი (80-90-იანი წლების დასაწყისი) - მონაცემთა განაწილებული ქსელური დამუშავებით ხასიათდება, რომელიც მომხმარებლების დიდი ეგმ-დან და მიკროკომპიუტერებიდან, მასიურად პერსონალურ კომპიუტერებზე (პკ) გადასვლაზეა დაფუძნებული. ერთრანგიანი გამოთვლითი ქსელების გამოყენებით დაწყებული აღნიშნული ეტაპი, ორდონიანი სისტემების შექმნის მიმართულებით ვითარდებოდა, სადაც UNIX – სერვერები და სამუშაო ადგილები გამოიყენებოდა. განვითარების ასეთი მიმართულების შედეგად კლიენტ-სერვერის იერარქიულ მოდელზე დაფუძნებული საწარმოებისა და ქვედანაყოფების ინფორმაციული სისტემები იქნა შექმნილი. ამავე დროს ინფორმაციული სისტემების დეცენტრალიზაციამ, მათი ექსპლოატაციის ხარჯები მნიშვნელოვანად გაზარდა.

ინფორმაციული სისტემების განვითარების მეოთხე ეტაპი – კლიენტების სამუშაო ადგილის ლოკალური ქსელებიდან სერვერების ქსელებზე გადასვლითა და მონაცემთა განაწილებული დამუშავების უპირატესობების შენარჩუნებით, რესურსების კონცენტრაციით ხასიათდება. მეოთხე თაობას ორ დონიანი ქსელები გაუჩნდა. საბაზისო ქსელი, რომელიც მომხმარებლების მონაცემების ურთიერთ გაცვლას უზრუნველყოფს, კორპორაციულ რესურსებთან წვდომის კონცენტრაციის ინფორმაციულ კვანძებს (information hub) აერთიანებს მომხმარებლებისა და ლოკალური ქსელის აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის

საშუალებებით. ინფორმაციული სისტემების (ის) კონცენტრაციის მთავარი კვანძი ლოკალური სერვერების ცენტრალურ კომპიუტერთან კავშირს უზრუნველყოფს.

ინფორმაციული სისტემების ევოლუციის მეხუთე ეტაპი საერთო სარგებლობის ქსელების – ინტერნეტის (internet) გამოჩენით ხასიათდება. აღნიშნულ ეტაპთან, ასევე, ე.წ. ინტრაქსელების (intranet) ჩამოყალიბებაც არის დაკავშირებული, რომლებშიც საწარმოები WWW (World Wide Web – საყოველთაო ქსელი)-ის სისტემის გვერდების ნავიგაციის პროგრამებს თავიანთი კერძო ქსელების გარე ინტერფეისის სახით იყენებენ. ბოლო პერიოდში ასეთი სისტემების სწრაფი გავრცელება იმითაც აიხსნება, რომ გამოყოფილი ხაზების ბაზაზე აგებული ტრადიციული ქსელების გამოყენებასთან შედარებით ინტერნეტის კორპორაციული ქსელის გამოყენება სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომიის (23%-დან – 50%-მდე) მიღებას განაპირობებს. თანამედროვე ინფორმაციული სისტემები ჯგუფური და კოლექტიური მუშაობის ფართო გამოყენებას ითვალისწინებენ, ისეთებისა, როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა, ვიდეოკონფერენციები, ელექტრონული საბუთბრუნვა, მონაცემთა ბაზებში წვდომის საშუალებები, კოლექტიური გამოყენების პროგრამული უზრუნველყოფა (Work Flow, Croup Ware, Work Group Software) და ა.შ.

§ 1.1. საბანკო ინფორმაციული სისტემების სპეციფიკა

ინფორმაციული სისტემების განვითარების მესამე ეტაპამდე საბანკო ინფორმაციული სისტემები პრაქტიკულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა და სხვადასხვა სფეროს საწარმოების ავტომატიზაციისათვის არსებული სისტემების კოპირებას ითვალისწინებდა. პერსონალური კომპიუტერების გამოჩენასთან ერთად, ბანკების უმეტესობამ, საკუთარი უნიკალური ინფორმაციული სისტემების დამუშავებაში ფულის დაბანდება დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდეც, კონკრეტული ბანკიდან გამომდინარე, ინფორმაციული სისტემები თავიანთი ფუნქციებისა და არქიტექტურის რეალიზაციის მიხედვით ძალიან შესამჩნევად განსხვავდებიან. ამასთან, ფუნქციონალური და არქიტექტურული განსხვავებების არსებობის მიუხედავად, ინფორმაციული სისტემების სპეციფიკას საბანკო ბიზნესის საგნობრივი სფერო განსაზღვრავს. პირველ რიგში, საბანკო ბიზნესში რთული გაანგარიშების განხორციე-

ლება არ არის საჭირო, ძირითად პრობლემას ყოველთვის ინფორმაციის დიდი მოცულობა წარმოადგენს, რომელთა შეგროვება, საიმედოდ შენახვა და ოპერატიულად დამუშავება არის საჭირო.

ამიტომ საბანკო სისტემის ავტომატიზაციის საფუძველში მონაცემების შენახვისა და წვდომის საშუალებები დევს, რომელიც მონაცემთა შენახვის საიმედოობის დონეს და ხელმისაწვდომობის ეფექტიანობას უნდა უზრუნველყოფდეს. ინფორმაციის შესაბამის სახეობას კი არასანქცირებადი შეღწევადობისაგან მაქსიმალური დაცულობა უნდა გააჩნდეს.

სისტემების მომხმარებლები ძირითადად საბანკო მოსამსახურეებია. მათთვის ტერმინალი, პერსონალური კომპიუტერი ან სამუშაო ადგილი თავისთავად, მათი საკუთარი პროფესიონალური საქმიანობის მხოლოდ იარაღია. ამიტომ ინფორმაციული სისტემა უბრალო, მოხერხებულ, ადვილად ათვისებად ინტერფეისს უნდა ფლობდეს, რომელმაც საბოლოო მომხმარებელს მისი მუშაობისათვის ყველა საჭირო ფუნქცია უნდა შეუსრულოს, მაგრამ, ამავე დროს, არასასურველი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა არ მისცეს.

სისტემის გამოყენების ეფექტიანობა ინტერფეისის ხარისხზე არის დამოკიდებული. საბანკო ინფორმაციული სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელს – ინფორმაცია წარმოადგენს, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გროვდება და რომლის დაკარგვა შეუვსებადია. რადგანაც ბანკებში ღირებული ინფორმაციის გრძელვადიანი დაგროვება იგეგმება, ამიტომ მათი გრძელვადიანი შენახვის საშუალებებიც უნდა არსებობდეს.

§ 1.2. ავტომატიზებული საბანკო სისტემების განვითარების ისტორია

პირველი ავტონომიური სისტემები, რომლებიც ბანკებში საგადახდო საბუთების დამუშავებას, ბალანსების გაანგარიშებას და საანგარიშგებო საბუთების მომზადებას უზრუნველყოფდნენ, უცხოეთში 50-იან წლებში იყო დამუშავებული. 1959 წელს Bank of America-ში დეპოზიტური საჩეკო ოპერაციის განხორციელებისათვის ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება დაიწყო. 1954 წელს საბუთის რეკვიზიტების სპეციალური მაგნიტური მატარებლების მეშვეობით ჩაწერის ხერხის დამკვიდრებასთან ერთად, ნაკადური ხაზები იქნა დამუშავებული, რომ-

ლებიც კომპიუტერის გარდა, დამხარისხებელ და საანგარიშო აპარატურებს, მაგნიტური ჩანაწერის მექანიზმებს, ამონაწერების საბუღალტრო ჟურნალების და სხვა საბუღალტრო საბუთების დამზადებისათვის სწრაფმოქმედ საბეჭდ მექანიზმებს მოიცავდნენ. 70-იანი წლების ბოლოსათვის ბანკებისათვის მთავარი მიზანი გახდა საბანკო მომსახურების სპექტრისა და მოცულობის გაზრდა, ამიტომ იმ დროის ტიპიური საბანკო სისტემა თავისთავად მძლავრი გადამამუშავებელი ელექტრონული გამომთვლელი მანქანა იყო, რომელთანაც შედარებით დაბალი წარმადობის კავშირის არხების მეშვეობით, რეგიონალური კონცენტრატორები და ჯგუფური ტერმინალური კონტროლიორები იყო შეერთებული. მათი მეშვეობით ინფორმაციის ადგილზე განაწილება ხორციელდებოდა. იმავე პერიოდში შიქმნა მონაცემების ტელედამუშავების პირველი სისტემები, რომლებმაც ბანკების სათავო სტრუქტურის დაშორებულ ფილიალებთან დაკავშირების შესაძლებლობა და ამით ელექტრონული ბანკთაშორისო ანგარიშსწორების სისტემების შექმნა განაპირობეს.

80-იან წლებში ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მასიურმა გავრცელებამ უნივერსალური და საყოველთაო ხასიათი მიიღო და მათ საბანკო საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულება მოიცვეს. მათი გამოყენებით, სამუშაო ადგილებზე, სადაც უშუალოდ ხორციელდებოდა კლიენტების მომსახურება და საბანკო ოპერაციები, ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების გამო, საბანკო მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდა.

საფინანსო საკრედიტო სისტემაში, მართვის ავტომატიზებული სისტემების საყოველთაოდ დანერგვის გამო, ინფორმაციული სისტემები, უმეტესი საწარმოებისათვის დამუშავებული სტანდარტებისაგან პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა.

ფინანსური სექტორის ბაზრის დაჩქარებულმა განვითარებამ კლიენტების მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება, მოქნილი ეკონომიკური მანევრირება, რისკების მინიმიზაცია მოითხოვა. თუ ადრე უდიდესი წილი დაკრედიტებაზე, Forex ოპერაციაზე და ფულადი ბაზრების ოპერაციებზე მიდიოდა, რამაც ადაპტაციაზე დიდი დანახარჯების გარეშე ავტომატიზებული საბანკო სისტემების ფუნქციონალური შესაძლებლობებისადმი და მოქნილობისადმი ახალი მოთხოვნილებები ჩამოაყალიბა. კერძოდ, ბანკებს უკვე მიმდინარე მონიტორინგი ბაზრის მიმდინარე მდგომარების მიმართებაში პოზიციიდან უნდა განეხორციელებია და

რისკების სავაჭრო ოპერაციების მიხედვით კონსოლიდირება უნდა მოეხდინა. მონაცემების განაწილებულმა დამუშავებამ და კავშირის საშუალებების გაუმჯობესებამ ინტეგრაციის პრობლემის გადაწყვეტისა და ინფორმაციის ოპერატიულად გამოყენების, მთლიანობის უზრუნველყოფის შესაძლებლობები განაპირობეს.

საქართველოში 80-იანი წლების ზღვარზე ფინანსური ბაზრებისა და პირველი კომერციული ბანკების გამოჩენასთან ერთად, ახალი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. საბანკო საქმის ავტომატიზებული სამამულო ტექნოლოგიების განვითარება უშუალოდ საბანკო სისტემის განვითარებასთანაც არის დაკავშირებული. საქართველოში საბანკო ავტომატიზაციის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები სიღრმისეული შიდა საბანკო და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად მიმდინარეობდა.

განვითარების პირველი ეტაპი – ე.წ. "კუნძულისმიერი" ავტომატიზაციის სახით – როგორც ნებისმიერი სახეობის საქმიანობის ავტომატაზაციის ბუნებრივი საწყისი ეტაპის სახით არის ცნობილი, რომელიც ცალკეული, როგორც წესი, მეტად მნიშვნელოვანი ან შედარებით ადვილად ავტომატიზირებადი ტექნოლოგიური პროცესის ნაწილების ავტომატიზაციით ხასიათდება.

1989-1995 წლების პერიოდში ინფლაციის მაღალი დონე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა, რომელმაც საქართველოში მთლიანი საბანკო სისტემის, კერძოდ საბანკო სისტემის, საბანკო ტექნოლოგიებისა და საბანკო პროგრამული ტექნოლოგიების განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა.

ფინანსური ბაზრის ინფლაციური "დატუმბვა" აღნიშნულ წლებში ბანკების რაოდენობრივი ზრდის საფუძველი (1994 წელს საქართველოში ბანკების რაოდენობამ 300 ერთეულს მიაღწია) და ფინანსური გარიგებების შემოსავლიანობის მაღალი დონის მიზეზი (თუ ბანკების მინიმალური საწესდებო კაპიტალი 1994 წლის დასაწყისისათვის 500 მილიონი კუპონის, ანუ 700 ათასი დოლარის ტოლი იყო, ჰიპერინფლაციის – 7400% შედეგად იგი 500-600 დოლარს გაუტოლდა) გახდა. მაღალი შემოსავლიანობა – ბაზრის არა ყველა მონაწილისათვის , მაგრამ სწორედ ბანკებისათვის – როგორც ინფლაციური ნაკადების განმანაწილებლებისათვის და მარეგულირებლისათვის მიღწევადი გახდა. განვითარების "ინფლაციურ" ეტაპზე საბანკო ავტომატიზაციის ძირითადი ამოცანა ფინანსური ნაკადების აღრიცხვაში, უფრო ზუსტად –

ცალკეული გადახდებისა და ცალკეული ოპერაციების აღრიცხვაში მდგომარეობდა. ბანკებს დიდი ძალისხმევა არ გამოუჩენიათ ფინანსური რესურსების ოპტიმალური დონის ავტომატიზაციასთან მიმართებაში. საბანკო ოპერაციის შემოსავლიანობის დონე მაღალი ინფლაციის პირობებში ყოველთვის მაღალი იყო. ყველა კომერციულ ბანკს იაფი, პრაქტიკულად ერთი და იგივე კლასის ტიპიური პროგრამული პროდუქტები ესაჭიროებოდა.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სამამულო ავტომატიზებული საბანკო სისტემების განვითარება ძირითადად, ტექნოლოგიური ასპექტების ძირეული ცვლილებების გარეშე, აპარატულ-ტექნიკური პლატფორმების ცვლილებებთან იყო დაკავშირებული. პირველი ეტაპი — ავტონომიურ პერსონალურ კომპიუტერებს, ტექნოლოგიის საბაზისო ელემენტი კი — ბუღალტრულ გატარებას მოიცავდა. ავტომატიზებული საბანკო სისტემის სტრუქტურა — ავტონომიური ავტომატიზებული სამუშაო ადგილებისაგან შედგებოდა, რომლებიც ან არ იყო ან სუსტად იყო დაკავშირებული ფაილების გაცვლის მეშვეობით.

მეორე ეტაპი — ლოკალურ ქსელში მომუშავე პერსონალურ კომპიუტერებს, ტექნოლოგიების საბაზისო ელემენტი კი — ბუღალტრულ გატარებას ითვალისწინებდა. ავტომატიზებული საბანკო სისტემის სტრუქტურა — ავტონომიურ ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებს მოიცავდა, რომლებიც მონაცემთა საერთო ფაილების სერვერთან იყო მიერთებული და არ იყო დაკავშირებული ფუნქციების მიხედვით.

მესამე ეტაპი — პერსონალურ კომპიუტერებს მოიცავდა, რომლებიც ლოკალურ ქსელში მუშაობდნენ, ხოლო ტექნოლოგიის საბაზისო ელემენტი — ბუღალტრული გატარება, (იშვიათად საბუთი) იყო. ავტომატიზებული საბანკო სისტემის სტრუქტურა — ავტონომიურ ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებს მოიცავდა, რომლებიც მონაცემთა ბაზის საერთო სტრუქტურის მეშვეობით მონაცემებთან მიმართებაში ძლიერ იყვნენ დაკავშირებულები და ფუნქციების მიხედვით კი — სუსტი კავშირები გააჩნდათ.

მეოთხე ეტაპი — ლოკალურ ქსელში მომუშავე პერსონალურ კომპიუტერებს, ან ხოსტ-კომპიუტერების ტერმინალებთან ერთად მუშაობას ითვალისწინებდა, სადაც ავტომატიზებული საბანკო სისტემის სტრუქტურა და მონაცემთა ბაზასთან ფუნქციების მიხედვით საერთო ბირთვის მეშვეობით ძლიერ იყო ურთიერთ დაკავშირებული.

1995 წლის აგვისტოდან საქართველოში, ბანკთაშორისო დაკრედიტების ბაზარზე კრიზისთან-საქათველოს საბანკო სისტემის პირველ სისტემურ კრიზისთან დაკავშირებით – საბანკო დაწესებულებების რაოდენობრივი ზრდა შეჩერდა. ფინანსური ოპერაციების შემოსავლიანობამ იკლო, ბანკებისათვის უკვე ბანკის მეშვეობით გატარებული ფინანსური ნაკადების უბრალოდ გაანგარიშება საკმარისი არ იყო და დღის წესრიგში აღნიშნული ნაკადების, აგრეთვე ბანკის ყველა აქტივებისა და პასივების ეფექტიანი მართვის აუცილებლობა გახდა საჭირო.

სწორედ ამ პერიოდიდან მეხუთე ეტაპის უფრო სერიოზული სისტემის დამუშავებას ჩაეყარა საფუძველი. აპარატული პლატფორმა – უკვე განაწილებელ ქსელში პერსონალური კომპიუტერების არსებობას ითვალისწინებდა, რომელშიც რამოდენიმე ფიზიკური სერვერები იყო ჩართული. სერვერები უკვე მრავალამოცანიან და მრავალმომხმარებლიან ქსელში მუშაობენ, სადაც პროცესი პროფესიონალურ რეალიზაციას პლუს ტრანზაქციის მენეჯერის არსებობას ითვალისწინებს. სტრუქტურა და ფუნქციები ურთიერთმჭიდრო კავშირშია და "კლიენტ-სერვერი" ტექნოლოგია უკვე სამდონიანია.

საქართველოს საგადახდო სისტემის რეფორმირება დაიწყო 1994 წლიდან, როდესაც დაინერგა ელექტრონული ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ტექნოლოგია, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ეროვნული ბანკის დაწესებულებების მიერ გადარიცხვების დამუშავების პროცესი.

საგადახდო სისტემების კოორდინირებული განვითარების უზრუნველსაყოფად 1995 წელს ეროვნულ ბანკში ჩამოყალიბდა „ეროვნული საგადამხდელო საბჭო", რომლის ხელმძღვანელობით შეიქმნა მსხვილი კომერციული ბანკების საანგარიშსწორებო ცენტრები (1995 წ), ამოქმედდა ელექტრონული ანგარიშსწორება ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის (1997 წ), შემოღებულ იქნა ერთიანი სტანდარტები და ფორმატები, დაინერგა ინფორმაციის დაცვის პროგრამული საშუალებები.

1998 წელს განხორციელდა კომერციული ბანკების ფილიალების საკორესპოდენტო ანგარიშების კონსოლიდაცია სათაო ბანკებში, რამაც საშუალება მისცა ეროვნულ ბანკს ოპერატიულად და ეფექტურად განეხორციელებინა ანგარიშსწორება ქვეყნის შიგნით.

1998-2001 წლებში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ერთობლივად მიმდინარეობდა მუშაობა დროის რეალურ რეჟიმში ანგა-

რიშსწორების სისტემის დასანერგად, რომელიც ექსპლოატაციაში გაეშვა 2001 წლის სექტემბერში.

2003 წლიდან RTGS-ის მონაწილეთა შორის ინფორმაციის გაცვლა (ელექტრონული საგადახდო დავალებები, ამონაწერები და სხვა შეტყობინებები) ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული სახით.

ამავე წლიდან განისაზღვრა ანგარიშსწორების მომსახურების ანაზღაურების საკომისიო გადასახადები დროის მიხედვით დიფერენცირებულად.

2003 წლის 21 აგვისტოდან დაინერგა სახაზინო სამსახურის საანგარიშსწორებო ინფორმაციის მომსახურება ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. სახაზინო სამსახურსა და ეროვნულ ბანკს შორის საანგარიშსწორებო ინფორმაციის გაცვლა ხდებოდა ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, პირადი ხელმოწერის ანალოგიური ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერით დადასტურებული ელექტრონული საბუთებით.

2007 წლის აპრილიდან ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ანგარიშსწორების სისტემაში ჩაერთო როგორც პირდაპირი მონაწილე.

თავი 2. ფინანსური ინფორმაცია და ფინანსური ნაკადები

თანამედროვე პირობებში, რომელიც ფინანსური ბაზრის მაღალი დინამიზმით და კონკურენციის ფაქტორის მნიშვნელობის ამაღლებით ხასიათდება, საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც CITY BANK –ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ უილიამს ბროსტონმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: "ამჟამად ინფორმაცია ფულის შესახებ იმდენადვე ან უფრო მნიშვნელოვანიცაა, ვიდრე თვით ფული".

ფინანსური ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც განსახილველი ობიექტის ეკონომიკური მდგომარეობის განმასახიერებელია. ფინანსური ინფორმაცია ობიექტის ეკონომიკურ მდგომარეობას, მისი ეკონომიკური მახასიათებლების განმსაზღვრელია. ფინანსური ოპერაციის განხორციელებისათვის და მისი ეკონომიკური მახასიათებლების, ანუ თვით ფინანსური ინფორმაციის შესაცვლელად, ობიექტის აღწერა არის საჭირო.

ფინანსური ინფორმაციის მიღების მიზანია – ობიექტის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობის არსებობა. ეკონომიკური ღირებულებით გამოსახულებაში საკუთრების არსებობის შესახებ ინფორმაციებით, მონაცემებით, ცნებებითა და ამ უფლებების გადანაწილების პირობებით ხასიათდება.

ბანკში ცირკულირებად ინფორმაციაში შეიძლება უშუალოდ ფინანსების შესახებ ინფორმაციაც იქნას გამოყოფილი. ამ შემთხვევაში საკითხი ფულადი სახსრების ელექტრონულ ანალოგს ეხება.

ფინანსური ინფორმაციის მაგალითებია: მოგება გადასახადით დაბეგვრამდე, მოგება აქციონერულ კაპიტალზე, მოგება აქციაზე, დივიდენტები.

ფინანსების შესახებ ინფორმაციის მაგალითებია: სახსრები სალაროში, ანგარიშებზე სახსრების ნაშთი.

§ 2.1 ფინანსური ინფორმაციის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია ობიექტთან მიმართებაში: ობიექტის შესახებ შიდა ინფორმაცია, გარე ინფორმაცია.

- შიდა: საწარმოს ბალანსი, ფინანსური ანგარიშგებები, ინფორმაცია ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ;

- გარე ინფორმაცია: ეროვნული (ცენტრალური) ბანკის რეფინანსირების განაკვეთი, დოლარის კურსი, ინფლაციის დონე, ფასები პროდუქციაზე, ინფორმაციები სასაქონლო და სავალუტო ბირჟებიდან და ა.შ.

კლასიფიკაცია მიღების ხერხის მიხედვით: მონაცემები პერიოდული გამოცემებიდან, მიღებული გამოყოფილი არხების მეშვეობით, ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაცია, ინფორმაცია ფინანსური წყაროებიდან. გამოყოფილი შეიძლება იყოს საბანკო ინფორმაციების არხები, საინფორმაციო სააგენტოების არხები, კორპორაციების კომპიუტერული ქსელები, ბირჟების კომპიუტერული ქსელები.

კლასიფიკაცია მიღების ხერხის მიხედვით: ზუსტი ინფორმაცია (მკაცრი აღრიცხვის რამდენი ბლანკია საცავში), საანგარიშო ინფორმაცია-უტყუარობა დამრგვალების მეთოდით განისაზღვრება, სტატისტიკური ინფორმაცია (კეთილდღეობა 0,01 %-ით გაიზარდა), აზრობრივი ინფორმაცია (ეკონომიკაში დაისახა).

კლასიფიკაცია განახლების სიხშირის მიხედვით: რეალური დრო, ყოველდღიური ინფორმაცია, ყოველთვიური, ყოველკვარტალური, პერიოდული, შემთხვევითი.

კლასიფიკაცია დროში ორიენტაციის მიხედვით: გასული პერიოდი, დღევანდელი (რეალური) დრო, მომავალი პერიოდი.

კლასიფიკაცია წარმოდგენის სახეობის მიხედვით: ციფრული, ტექსტური, გრაფიკული.

კლასიფიკაცია ორგანიზაციის ფორმის მიხედვით: ნებისმიერი სახით, ცხრილური, დადგენილი ფორმის მიხედვით (ანგარიშგება, ბლანკი, ცხრილი).

კლასიფიკაცია მოპოვებადობის (მიღწევადობის) მიხედვით: საერთო მიღწევადი, კონფიდენციალური (ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულ საწარმოში ან რამდენიმე საწარმოში გამოიყენება), საიდუმლო (ინფორმაცია, რომელიც წინასწარ განსაზღვრული პირების წრისათვის არის გამოყენებადი).

§ 2.2 ფინანსური ინფორმაციის დახასიათება

იმისათვის რომ ინფორმაციამ ობიექტზე უშუალო ზემოქმედება განახორციელოს, საჭიროა განსაზღვრული მახასიათებლებისადმი ან ხარისხისადმი მისი შესაბამისობა. კერძოდ, იგი შესაფერისი, თავისდროული, საიმედო, მუდმივი უნდა იყოს.

შესაფერისობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია მისაღებ გადაწყვეტილებას უნდა მიეკუთვნებოდეს. ინფორმაცია ერთი კონკრეტული გადაწყვეტილებისათვის შესაბამისი შეიძლება იყოს, ხოლო მეორესათვის – არა. ზუსტად ასევე ინფორმაცია მომხმარებლების ერთი ჯგუფისათვის შესაბამისი შეიძლება იყოს, ხოლო მეორისათვის – არა. შესაფერისობა მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

ინფორმაცია ითვლება შესაფერისად, როდესაც იგი მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებს, მათ წარსულის, დღევანდელის ან მომავლის გარემოებების შეფასებაში ეხმარება.

გაგებადობა თუ ფინანსური ანგარიშგებები გაუგებარია, მაშინ მათ მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ. მნიშვნელოვანია ინფორმაცია ისეთი სახით იქნას წარმოდგენილი, რომ იგი მომხმარებლისათვის იყოს გასაგები.

ღირებულებადობა გაგებადობა ინფორმაციის ღირებულებადობას ითვალისწინებს. შესაძლებელია ინფორმაცია ძალიან ღირებული, გარკვეულ ღირებულების მქონე ან არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენდეს.

თავისდროულობა ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს იგი აქტუალურიც უნდა იყოს, ანუ ინფორმაცია წარმოშობის მომენტიდან დროულად უნდა იქნას მიღებული, რომელიც მიღებული მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იქნება.

საიმედობა და მუდმივადობა - თუ კი ინფორმაცია საიმედოა, მაშინ აღნიშნულის შედეგად შეცდომიანი და არაზუსტი გადაწყვეტილებების მიღება იქნება გარდაუალი.

უტყუარობა და უშეცდომობა წარმოდგენილი უტყუარი ინფორმაცია ოპერაციის შედეგში აისახება.

სისრულე ინფორმაცია მხოლოდ იმ მონაცემებს მოიცავს, რომლებიც მის მიმღებ ადამიანს გადაწყვეტილებების ან ქმედებების მიღების შესაძლებლობას აძლევს. მაგრამ, თვით მიმღების კვალიფი-

კაციიდან გამომდინარე, ზოგიერთი დაშვებების (ინფორმაციის ნაწილის გამოუყენლობა) ინფორმაცია შეიძლება არაზუსტად ან შეცდომაში შემყვანად გადააქციოს და, აქედან გამომდინარე, არასრული გახადოს.

ფორმირების მუდმივობა მუდმივადობა მაჩვენებლის დროში და ერთგვაროვან ეკონომიკურ ობიექტებს შორის შეპირისპირების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

§ 2.3 ფინანსური ინფორმაციის ნაკადები

ცალკეული საბანკო ოპერაციების დისკრეტულობის მიუხედავად, მათი დიდი რაოდენობისა და სხვადასხვა ვადიანობისა, ისინი ფულადი შემონატანებისა და გადახდების ფინანსურ ნაკადებს ქმნიან.

ინფორმაციის ნაკადების წარმოშობა განპირობებულია: საბუთებით, ანგარიშგებებით, საბირჟო სიახლეებით, სავალუტო ბაზრების მონაცემებით, კანონებითა და სხვა მონაცემებით.

ფინანსური სისტემა შეიძლება განხილული იქნას როგორც ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომელშიც ფულადი ნაკადების გადანაწილება ხორციელდება. ნაკადების გადანაწილება მკაცრად განსაზღვრული წესებით მიმდინარეობს. ერთ-ერთი ასეთი წესი ითვალისწინებს, რომ კონკრეტული ნაკადები შეიძლება სისტემაში შედიოდეს და იქიდან გამოდიოდეს, ასევე მასში მხოლოდ განსაზღვრული შესასვლელებისა და გამოსასვლელების მეშვეობით და მხოლოდ ასეთი სახის გადაადგილებისადმი სისტემის მზადყოფნის შემთხვევაში გადაადგილდებოდეს.

ფინანსური ნაკადის განსაზღვრისას წყაროსა და მიმღების არსებობა გაითვალისწინება.

ფინანსური ნაკადების გაზომვისას (გაანგარიშებისას) საზომ ერთეულს ლარი/დრო განზომილება აქვს. რესურსების ნაკადები ბანკის აქტივების ბრუნვის შედეგად წარმოიშობა, რომლებიც საკუთარი და მოზიდული ფინანსური რესურსებისაგან შეიქმნება. ნაკადების თანაფარდობა კაპიტალის მოცულობასთან კაპიტალის ბრუნვადობის ეფექტიანობის მახასიათებელს წარმოადგენს.

§ 2.4 ავტომატიზებულ საბანკო სისტემაში ინფორმაციული ნაკადების ორგანიზაცია

ფინანსური ნაკადები საბუთების მეშვეობით ინიცირდება, ამიტომ ფინანსურ ნაკადებთან დაკავშირებულ ინფორმაციული ნაკადების ორგანიზაციის განხილვა შეიძლება კომერციული ბანკის ქაღალდის საბუთ ბრუნვისადმი ავტომატიზებული საბანკო სისტემის ქვესისტემებსა და მოდულებს შორის ინფორმაციული გაცვლის მიახლოების გზით შესრულდეს. დროის ნებისმიერ ფიქსირებულ მომენტში ქვესისტემებისა და მოდულების მდგომარეობა ორი კლასის ობიექტისა და მათი ატრიბუტების მნიშვნელობებით განისაზღვრება.

ობიექტების სახეობას მოცემულ შემთხვევაში ფინანსური და ინფორმაციული საბუთები წარმოადგენენ. ანგარიშების მიხედვით გარიგებები ფინანსური საბუთებით გრძელდება, ხოლო სხვა საბუთების დამუშავებას არასაფინანსო ხასიათის ატრიბუტების (ყველა ატრიბუტები, გარდა ანგარიშებზე ნაშთებისა) ცვლილებამდე, სისტემის რიგი ობიექტების შექმნამდე ან გაქრობამდე მივყავართ.

ავტომატიზებული საბანკო სისტემის მდგომარეობის ანალიზისადმი და ფინანსური და ინფორმაციული ნაკადებისადმი ასეთ მიდგომას საოპერაციო-დოკუმენტარული ეწოდება. საოპერაციო-დოკუმენტარულ მიდგომაში ძირითად ცნებას **ოპერაცია** და **დოკუმენტი** წარმოადგენს, სადაც ოპერაციის ქვეშ სისტემის ქმედების თანმიმდევრობა (ფუნქციებისა და პროცედურების გამოძახება და დამუშავება) გაიგება, რასაც მისი ინფორმაციული მდგომარეობის ცვლილებამდე მივყავართ. სისტემაში ნებისმიერი ოპერაცია კონკრეტული საბუთის საფუძველზე ხორციელდება. ერთი ფინანსური საბუთის საფუძველზე შეიძლება რამდენიმე გატარება შესრულდეს. სხვა დანარჩენი ატრიბუტების მნიშვნელობა, აგრეთვე სისტემის ობიექტების რაოდენობრივი შემადგენლობა სისტემის მიერ ინფორმაციული საბუთის დამუშავებისას იცვლება.


საოპერაციო-დოკუმენტარული მიდგომა შემდეგი პრინციპებით ხასიათდება:

- საბანკო ოპერაციების მიხედვით კონკრეტული ქმედებებისადმი ყველა შემომსვლელი და გამსვლელი საბუთების აუცილებელი მიბმით;

- საბუთების დამუშავების მიხედვით სისტემის ინფორმაციული მდგომარეობის ცვლილების მხოლოდ ოპერაციის ინიციალიზაციის მეშვეობით განხორციელებით;
- საბანკო სისტემის მომხმარებლების უფლებამოსილებების, როგორც ცალკეული ოპერაციების განხორციელებაზე, ასევე განსაზღვრული ტიპის საბუთების დამუშავებაზე დაყოფის შესაძლებლობით;
- სისტემის ინფორმაციული მდგომარეობის ცვლილებების მხოლოდ ოპერაციასთან მიბმის გზით პროტოკოლირებით, რომელმაც შესაბამისი საბუთი წარმოშვა და მისი მომხმარებლის ინიცირება განახორციელა;
- სისტემის ოპერაციების ტიპებისა და საბუთების ტიპების ცნობარების არსებობით, აგრეთვე საბანკო მომსახურების გაწევის თანმხლები სისტემის ქმედებების კონსტრუირების შესაძლებლობით.

ფინანსური ნაკადების ორგანიზაციისას ისეთი მიდგომის გამოყენება, რომელიც რეალურ საბანკო საბუთზეა ორიენტირებული, საბანკო ოპერაციების შესრულებისას მომხმარებლების ქმედებების თანმიმდევრობის ადვილად აღდგენისა და სისტემის ინფორმაციული სივრცის ლოგიკური მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა.

ასეთი სახით ხორციელდება ინფორმაციული, ფინანსური ნაკადებისა და ფინანსური საბუთების შეკვრა. ფინანსური მოთხოვნების მოდელირება და ფინანსური ნაკადებისა და საბუთების ოპტიმიზაცია შეიძლება გაანალიზებული იქნას, თუ თითოეული პროცესი როგორ გარდაქმის თავის შემომავალ მონაცემებს გამომავალში და ბანკის ქვედანაყოფებს შორის, აგრეთვე გარე ორგანიზაციებთან ინფორმაციული გაცვლის მაქსიმალურად ასახვის განხორციელება.



ნახ. 2. მომხმარებლის ინფორმაციული წარმოდგენის ფორმირება

წარმოდგენილი მოდელი (იხ. ნახ. 2) ყველა სახის საბუთბრუნვას ასახავს, როგორც ნათლად გამოკვეთილი – დადგენილი ნიმუშების ანგარიშგებების, ინსტრუქციებისა და მემორანდუმების გაცვლას, ასევე ნათლად არგამოხატულებასაც – კომპიუტერული ქსელის მეშვეობით თავისუფალი ფორმატის საბუთების გაცვლასაც.

§ 2.5. ინფორმაციული სისტემების ექსპლუატაციისა და ელექტრონულ შეტყობინებებთან მუშაობის წესები

წინამდებარე წესები განკუთვნილია კომპიუტერული და ქსელური სისტემების ყველა მომხმარებლისათვის, მათ შორის კონსულტანტებისა და მოიჯარე ორგანიზაციის თანამშრომლებისათვის და განსაზღვრავს სხვადასხვა ელექტრონულ შეტყობინებებთან მუშაობის, წვდომის, კონტროლისა და მოხმარების (მიღების და გაგზავნის) პრინციპებს.

ამ წესის მიზანია "ელექტრონული შეტყობინებებით" განხორციელებული სამუშაოების რეგლამენტაცია, რომლებშიც შედის გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია, რომელიც მუშავდება ელექტრონულ ინფორმაციულ ქსელში; ინტერნეტ ინფორმაცია, ხმოვანი ფოსტა, ფაქსიმილური და ტელეკონფერენცკავშირი, ასევე დროის რეალურ რეჟიმში მომუშავე ინფორმაციულ სისტემებში დამუშავებადი ყველა სხვა ინფორმაცია.

§ 2.5.1. ბიზნესის მომსახურებისათვის განკუთვნილი ინფორმაციული სისტემები

ბანკის ინფორმაციული სისტემები განკუთვნილია ბიზნეს საქმიანობის ამოცანების გადასაწყვეტად.

ბანკის პერსონალს შეუძლია გამოიყენოს ინფორმაციული სისტემები მხოლოდ დაშვებულ საზღვრებში და მან არ უნდა დაიკავოს დიდი დრო, ასევე არ უნდა უშლიდეს ხელს ძირითადი ამოცანების შესრულებას. პირადი შეტყობინება არ უნდა დაეგზავნოს ადამიანთა ჯგუფებს ან სხვა თანამშრომლებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი მონაწილეობენ შესაბამის ფორუმებში (როგორიცაა მომხმარებლების კონფერენციები Usenet). პირადი შეტყობინების ჯგუფური დაგზავნის შესახებ ნებართვა მიღებულ უნდა იქნეს უშუალო ხელმძღვანელისაგან.

§ 2.5.2. ელექტრონული შეტყობინებების ადმინისტრირება

ბანკი პასუხისმგებელია ელექტრონული შეტყობინების შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასა და მართვაზე, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების პირობებს და ელექტრონული შეტყობინებების წარმატებულ მოხმარებას, როგორც ბანკის შიგნით, ასევე კლიენტების, პარტნიორებისა და სხვა პირებისათვის.

ინფორმაციული სისტემის არქიტექტურით ბანკმა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული შეტყობინების შიგთავსის სკანირების საშუალებით ვირუსების გავრცელების გაუვნებელყოფა "ჭიების", "ტროას ცხენების" და სხვა ვირუსული ელემენტებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ინფორმაციული სისტემებისა და ქსელის უსაფრთხოების დარღვევა.

§ 2.5.3. კონტროლი და კონფიდენციალობა

ბანკის ინფორმაციულ სისტემებში არსებული ელექტრონული შეტყობინებები ბანკის საკუთრებაა და განკუთვნილია ბიზნესის ამოცანების შესასრულებლად. ბანკი განიხილავს ყველა შეტყობინებას-გაგზავნილს, მიღებულს ან არქივში შენახულს, როგორც სამსახურებრივი დანიშნულების ინფორმაციას, პირადი მიზნებისათვის მიღებული ინფორმაციის ჩათვლით. ამიტომ, მომხმარებლების ყველა შეტყობინების კონფიდენციალურობა დაცული იქნება ბანკის მიერ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბანკი მიზანმიმართულად ამით არ არის დაკავებული. იგი შეტყობინებებზე იტოვებს შემდეგ უფლებებს: კონტროლის, წვდომის შესაძლებლობის მიცემის, გადასინჯვის, კოპირების, შენახვის ან შეტყობინების ნებისმიერი ელემენტის წაშლის (პირადი შეტყობინებების ჩათვლით), ასევე ამ ინფორმაციის სხვა პირებისათვის გადაცემის უფლებას, თუ ამას ბანკი ჩათვლის საჭიროდ.

§ 2.5.4. მონაცემების შენახვის წესები

ბანკი შეინახავს ყველა შეტყობინებას და ამ შეტყობინების ნებისმიერ ასლს. ელექტრონული შეტყობინების ასლის არქივს აკონტროლებს და მართავს სისტემური და უსაფრთხოების ადმინისტრატორები.

ეს არქივი შეიძლება გაანალიზდეს ნებისმიერ დროს მომხმარებლების მიერ ბანკის წესების დაცვის შემოწმების მიზნით.

ელექტრონული არქივი დარჩება დროის რეალურ რეჟიმში მინიმუმ სამი თვის განმავლობაში, ხოლო შემდეგ გადაიტანება ავტონომიურ დამამახსოვრებელ მოწყობილობაზე. ავტონომიური დამამახსოვრებელი მოწყობილობა ინახება ორი ან მეტი წლის განმავლობაში. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, ავტონომიური დამამახსოვრებელი მოწყობილობიდან ინფორმაცია წაიშლება, მისი გამოყენების ტექნოლოგიიდან გამომდინარე.

§ 2.5.5. აკრძალული მოქმედება და სასამართლო პროცესები

აკრძალულია კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენება ნებისმიერი ქვემოთ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისათვის: არაეთიკური საქციელი, დამუქრება, დისკრედიტაცია (ერობრივი დისკრედიტაციის ჩათვლით, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც სხვების აბუჩად აგდება რასობრივ საფუძველზე, რელიგიური მრწამსის, ფერის, ასაკის, ფიზიკური მონაცემების, უპირატესობის, სექსუალური ორიენტაციის გამო და ა.შ.), ცილისწამება, შეურაცხყოფა ან მუქარა. ელექტრონულ შეტყობინებებში შესაბამისი სანქციის გარეშე აკრძალულია ინფორმაციის გამჟღავნება თანამშრომლებზე. კატეგორიულად იკრძალება, ბანკის ან მისი თანამშრომლების ზიანის მიყენების მიზნით, ელექტრონულ შეტყობინებებში ცვლილებების შეტანა ან დაზიანება.

აკრძალულია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება არაკანონიერი მოქმედებების ან სხვა პირების ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის მიზნით. ბანკის ინფორმაციული რესურსების მომხმარებლებს ეკრძალებათ სხვის კომპიუტერში "შეღწევა" ან სხვა პირების შეტყობინებების "დაჭერა".

ელექტრონული შეტყობინებები შეივსება სამსახურებრივი დოკუმენტების შევსების ანალოგიური წესების დაცვით. იმის გარანტიისთვის, რომ მოუფიქრებლად ან აჩქარებით არ გაიგზავნოს ისეთი მნიშვნელოვანი ელექტრონული შეტყობინება, რომელმაც შესაძლებელია იმოქმედოს ბანკის ცალკეული პირების ფინანსურ მდგომარეობაზე ან რომელიც კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი, აუცილებელია დამატებითი ზომების მიღება. ნებისმიერი შეტყობინება შესაძლებელია ხელმი-

საწვდომი გახდეს ადრესატის გარდა სხვა პირისთვისაც, შესაბამისად, შეტყობინება უნდა იყოს თავაზიანი ტექსტით, პროფესიულად და საქმიანი ენით დაწერილი.

§ 2.5.6. ინტელექტუალური საკუთრება და ლიცენზირება

ელექტრონული ფოსტის შეტყობინებები არის საფოსტო ღია ბარათების ეკვივალენტი. მისი გადაცემის დროს ნებისმიერ პირს შეუძლია წაიკითხოს შეტყობინების შინაარსი. საიდუმლო, კონფიდენციალური ან დაპატენტებული ინფორმაცია დაეგზავნებათ მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც აქვთ ლოკალურ ქსელთან წვდომის უფლება. დაპატენტებული ინფორმაცია შეიძლება დაეგზავნოთ კლიენტებს და პარტნიორებს, რომლებიც არიან ჩართული ლოკალურ ქსელში. დაუშვებელია ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტის საშუალებით საიდუმლო, კონფიდენციალური ან დაპატენტებული ინფორმაციის გაგზავნა.

ელექტრონული შეტყობინებები სხვადასხვა კომუნიკაციურ სისტემებში ფიქსირდება. ამიტომ, მისი კოპირების იოლი შესაძლებლობის გამო, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებულ სერიოზულ რისკს წარმოადგენს.

პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება იდენტიფიცირებული იქნეს როგორც "უფასო", "ზოგადხელმისაწვდომი" და "ღია გამოყენების", შესაძლებელია უფასო იყოს პირადი სარგებლობისათვის, მაგრამ არა ბანკში გამოყენებისათვის. პროგრამული უზრუნველყოფის ჩატვირთვისას ინტერნეტიდან ამ პროგრამების გამოყენებით შეიძლება დაირღვეს საავტორო უფლებები ან არ შესრულდეს მოთხოვნა ლიცენზიის შეძენის თაობაზე. ამიტომ, ზოგადმისაღწევი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებამდე, აუცილებლია ინფორმაციის დაცვის მენეჯერის ნებართვის მიღება.

დაუშვებელია ბანკის ინტელექტუალურ საკუთრებაში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის კოპირება, თუ ამ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიაში არ არის მითითებული კოპირების უფლების შესახებ.

მომხმარებელს არა აქვს უფლება დააყენოს პროგრამული უზრუნველყოფა, ამ პროგრამების გამოყენების შესახებ ლიცენზიის გარეშე.

აკრძალულია შესაბამისი ნებართვის გარეშე იმ პროგრამული უზრუნველყოფის კოპირება, რომელიც წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.

აკრძალულია სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მქონე დოკუმენტების წაშლა.

§ 2.5.7. ვირუსებისგან დაცვა

აკრძალულია მომხმარებელმა წინასწარი განზრახვით შექმნას, გაუშვას შესრულებაზე, გაავრცელოს ან დააყენოს შესრულებადი პროგრამების კომპონენტი, რომელსაც თვითგავრცელების საშუალება აქვს, შეუძლია გამოიწვიოს დაზიანება ან გააძნელოს ოპერატიული მეხსიერების, დამამახსოვრებელი მოწყობილობის, ოპერაციული სისტემის ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობა.

პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა ფაილები არ შეიძლება ჩაიტვირთოს ბანკის კომპიუტერზე, სანამ ისინი არ გაისინჯება ვირუსზე სპეციალური სკანირების პროგრამებით. ყოველგვარი ანტივირუსული საშუალებების გამორთვა ნებისმიერ სისტემაში ან ქსელში არის უსაფრთხოების წესების დარღვევა.

ვირუსებით, "ჭიებით", "ტროას ცხენებით" ან სხვა პროგრამული ელემენტებით დაზიანებული ელექტრონული შეტყობინება, რომელიც წარმოადგენს საშიშროებას უსაფრთხოებისათვის, არ უნდა მიიღოს ადრესატმა. დაინფიცირებული ელექტრონული შეტყობინების ინფორმაცია უნდა წაიშალოს დაგზავნის სისტემიდან და გაანალიზდეს სისტემური და უსაფრთხოების ადმინისტრატორების მიერ. სისტემური და უსაფრთხოების ადმინისტრატორები ამ წესების საფუძველზე, პასუხისმგებელნი არიან, ელექტრონული შეტყობინების შექმნისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესის გაძღოლაზე.

§ 2.5.8. მომხმარებლის მოვალეობები

ელექტრონულ შეტყობინებებთან მუშაობის ათი უმთავრესი წესი:

1. ელექტრონული შეტყობინებით ურთიერთობისას უნდა იქნას შენარჩუნებული ისეთივე პატივისმცემლური დამოკიდებულება, როგორც ზეპირი ურთიერთობისას.
2. აუცილებელია შეტყობინების ტექსტის მართლწერის, გრამატიკის შემოწმება და გაგზავნამდე დაკვირვებით წაკითხვა.

3. არ უნდა მიიღოთ მონაწილეობა "ჯაჭვურად" დაგზავნილ შეტყობინების შემდგომ გავრცელებაში (ყველაზე ხშირად ესენია წერილები რელიგიურ-მისტიკური შემცველობით).
4. დაუშვებელია საკუთარი ინიციატივით, მიმღების მოთხოვნის გარეშე, შეტყობინების ნებისმიერ სხვა მისამართზე გადაგზავნა.
5. დაუშვებელია მავნე, გამაღიზიანებელი და მომხმარებლების მიმართ სხვა მუქარისშემცველი შეტყობინებების გაგზავნა.
6. დაუშვებელია ყოველგვარი არაკანონიერი და არაეთიკური შეტყობინებების დაგზავნა.
7. ელექტრონული გზავნილი ეკვივალენტურია საფოსტო ღია ბარათისა და იგი არ შეიძლება გამოიყენებული იქნეს საიდუმლო ინფორმაციის გასაგზავნად.
8. არ უდა იქნეს გამოიყენებული ელექტრონული სისტემების ფართომაუწყებრივი შესაძლებლობები, გარდა შესაფერისი განცხადებების გამოშვებისა.
9. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი პირადი ხასიათის შეტყობინებების რაოდენობა.
10. აუცილებელია წესების და ინსტრუქციების ყოველმხრივი დაცვა და დარღვევებთან ბრძოლაში ადმინისტრატორებისთვის დახმარების გაწევა.

§ 2.5.9. დისციპლინური სასჯელები

ხელმძღვანელობა უფლებამოსილია ნებისმიერ მომხმარებელს გაუუქმოს ინფორმაციულ რესურსებთან წვდომის ნებართვა მის მიერ ამ წესების დარღვევისათვის, ან თუ მისი მოქმედებები აფერხებს ბანკის ინფორმაციული სისტემების ნორმალურ ფუნქციონირებას. დაუშვებელია ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ცუდად მოქმედებს სხვა პირების მიერ ბანკის სისტემებისა და ქსელების გამოყენებაზე ან რომელსაც შეუძლია შეურაცყოს ან ზიანი მიაყენოს სხვებს. პირი, რომელიც დაარღვევს ამ წესს, შეიძლება დათხოვნილ იქნას სამსახურიდან.

ინფორმაციულ სისტემებში უფლებამოსილებები შეიძლება მინიჭებული იყოს უნებართვოდ, ამ შემთხვევაში ბანკის ხელმძღვანელობა არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემების დაზიანებასა და დაკარგვაზე.

თავი 3. ავტომატიზებული საბანკო სისტემების გამოყენება

კომერციული ბანკი მრავალფუნქციური დაწესებულებაა, რომლიც თავიანთ კლიენტებს ფინანსური მომსახურების კომპლექსს თავაზობს. ბანკების საქმიანობის საერთო დებულება და პრინციპები შემდეგი სახის ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს მოიცავს:

კომერციული ბანკების მთავარ ამოცანას მიკროეკონომიკურ დონეზე სახალხო მეურნეობაში დანაზოგების სტიმულირება წარმოადგენს.

კომერციული ბანკის მუშაობა შემდეგი სახის ოთხ საბაზო პრინციპზეა დაფუძნებული:

- საქმიანობის **ფუძემდებლური პრინციპი** რეალურად არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობა;
- **მეორე პრინციპად** - ეკონომიკური დამოუკიდებლობა ითვლება, რომელიც ბანკის მხრიდან თავისი საქმიანობის შედეგებზე ეკონომიკურ პასუხისმგებლობას გულისხმობს;
- ბანკის ურთიერთობები თავიანთ კლიენტებთან ჩვეულებრივი საბაზრო ურთიერთობების სახით არის აგებული, რაც **მესამე პრინციპად** ითვლება;
- ბანკი **მეოთხე პრინციპად** ითვალისწინებს მის მიერ გარე გარემოდან ანგარიშსწორების ანგარიშებზე და ვადიან ანაბრებზე სახსრების მოზიდვას და აკუმულირებული სახსრების სესხებად გაცემას. ამასთან, ბანკის კლიენტებს და გარე ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორება თავისდროულად უნდა განხორციელდეს.

თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვისა და განთავსებისას ბანკზე ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ განსაზღვრული შეზღუდვებია გათვალისწინებული.

საქართველოს ბანკების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათი საქმიანობა, მიუხედავად ფორმალური სპეციალიზაციისა, უმეტეს შემთხვევაში უნივერსალურ ხასიათს ატარებს. აღნიშნული საფინანსო ინსტიტუტების განვითარების დონისა და მათ შემოსავლიანობაში დიდი სხვაობიდან არის დაკავშირებული. ამიტომ საქართველოს ბანკები ძირითადად საბანკო ოპერაციების (ფასიანი ქაღალდები, სავალუტო ბაზარი, კომერციული და საინვესტიციო კრედიტები) შეზღუდულ ველზე მოქმედებენ და თვით ბანკების სახელწოდებებში (იპოთეკური, ინოვაციური და ა.შ.) სპეციალიზაცია მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

აღნიშნული თავისთავად მთლიანობაში მომსახურების მსგავსებას განსაზღვრავს, აგრეთვე ბანკის მართვის სტრუქტურას განაპირობებს.

ყველა სახის საბანკო ოპერაციები და სხვა გარიგებები ეროვნულ ფულად ერთეულში – ლარებში ხორციელდება, ხოლო საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) ბანკის შესაბამისი ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში – უცხოურ ვალუტაში შეიძლება განხორციელდეს.

ბანკის ოპერაციები ძირითადად შემდეგ ოთხ ჯგუფად არის გაერთიანებული:

- პასიური ოპერაციები;
- აქტიური ოპერაციები;
- საბანკო მომსახურება;
- სხვა დანარჩენი საბანკო ოპერაციები.

ოპერაციების პირველი ოთხი ჯგუფი საბანკო მოგების ძირითადი ნაწილის უზრუნველყოფას ახდენენ. საბანკო მომსახურება ბანკის შემოსავლების თავისი მნიშვნელობის მიხედვით თანდათანობით მეორე წყაროდ ხდება. ბანკების საკუთარი ოპერაციები დაქვემდებარებულის როლს ასრულებს.

ყველა ოპერაცია ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. პასიური ოპერაციები სახსრების მობილიზაციას ემსახურება. აღნიშნული ოპერაციების შედეგები ბანკის ბალანსის პასივში აისახება. ბანკების აქტიურ ოპერაციებში შეიძლება საკრედიტო ოპერაციები და ოპერაციები ფასიან ქაღალდებთან გამოიყოს. სწორედ მათზე მთლიანი ბალანსის 80%-მდე მოდის. დამატებით ბანკები საანგარიშსწორებო-სალაროს, საკონსულტაციო, ინფორმაციულ მომსახურებას ახორციელებენ, სთავაზობენ სატრასტო ოპერაციებს, ფასეულობის შენახვასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, აუდიტორულ მომსახურეობას და გარანტიების გაცემას. საგნობრივი სფეროს მოდელი ქვემოთ მოყვანილ ნახაზზეა მოცემული (იხ. ნახ. 3).

$$M =< O, P, F, H, D, R >$$

$F = \{f_i \mid i = \overline{1, I}\}$ – ავტომატიზაციას დაქვემდებარებული ფუნქციების სიმრავლე;

$H = \{h_j \mid j = \overline{1, J}\}$ – მონაცემთა დამუშავების პროცედურების (ამოცანების) სიმრავლე;

$P = \{p_k \mid k = \overline{1, K}\}$ – მომხმარებელთა სიმრავლე;


$O = \{o_m \mid m = \overline{1, M}\}$ – ავტომატიზებული პროცესების სიმრავლე;

$D^{\text{შ}} = \{d_l \mid l = \overline{1, L_{\text{შ}}}\}$ – შემავალი მონაცემების სიმრავლე;

$D^{\text{გამ}} = \{d_l \mid l = \overline{1, L_{\text{გამ}}}\}$ – გამომავალი მონაცემების სიმრავლე;

$D = D^{\text{შ}} \bigcup D^{\text{გამ}}$ – ინფორმაციული ელემენტების სრული სიმრავლე;

$R = \{r_y \mid y = \overline{1, Y}\}$ $_\{O, P, F, H, D\}$ კომპონენტებს შორის დამოკიდებულებების სიმრავლე;



ნახ. 3 საგნობრივი არის მოდელი

§ 3.1. ბანკის სტრუქტურა


ბანკის სტრუქტურის ფორმირება კონკრეტული ქვედანაყოფების საქმიანობის ტექნოლოგიების შეჯერების გზით ხორციელდება. ორგანი-

ზაციული სტრუქტურა განიხილება როგორც საბანკო საქმიანობის რეალიზაციის საშუალება. ორგანიზაციული სტრუქტურა საბანკო საქმიანობის მექანიზმს, მმართველობითი გადაწყვეტილებების დონეებს, მის ელემენტებს შორის ინფორმაციის გაცვლას განსაზღვრავს.

კომერციული ბანკის სტრუქტურა ბანკის წესდებით გათვალისწინებული კონკრეტული ფუნქციების შესაბამისად აიგება. მართვის რამდენიმე სტანდარტული სტრუქტურა არსებობს:

- ხაზოვანი, როდესაც განყოფილებები უშუალოდ ბანკის მმართველობას ემორჩილება;
- საშტაბო ორგანიზაცია, რომლის დროს მმართველობითი ფუნქციების პრინციპის მიხედვით გაერთიანებული განყოფილებებისაგან შემდგარი დეპარტამენტები ბანკის მმართველობის დაქვემდებარებაშია მოქცეული;
- ხაზობრივ-საშტაბო სამდონიანი სტრუქტურა, რომლის დროს იურიდიული და ფიზიკური პირების სხვადასხვა ჯგუფების მომსახურების განყოფილებები შუალედური დონის სამმართველოებზეა დაქვემდებარებული.

ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე (იხ. ნახ. 4) საშუალო კომერციული ბანკის სტანდარტული სტრუქტურა არის ნაჩვენები.



ნახ. 4 საშუალო კომერციული ბანკის სტანდარტული სტრუქტურა

უმაღლეს ორგანოს – სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს, რომელიც სტრატეგიულ მართვას ახორციელებს, ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებისა და ეკონომიკური ანალიზის მონაცემების საფუძველზე ბანკის ტრაექტორულ მიზნებს და პოლიტიკას განსაზღვრავს. სამეთვალყურეო საბჭოს თავისი გადაწყვეტილებები დეპარტამენტებამდე დაყავს, იმისათვის, რომ შემდგომში იქ მათი დეტალიზაცია და შესრულება განხორციელდეს. სამეთვალყურეო საბჭო ბანკის მიერ განხორციელებადი პოლიტიკის საერთო კონტროლს ახორციელებს, ეკონომიკური სიტუაციების ცვლილებისას გადასინჯავს მათ, აგრეთვე საბანკო პორტფელის მდგომარეობის კონტროლს ახორციელებს.

საკრედიტო კომიტეტი დაკრედიტების ან დადგენილი ლიმიტების გადაჭარბების ყველა შემთხვევის მიხედვით, აგრეთვე მათ განსაზღვრასთან მიმართებაში შესაბამის დასკვნებს იძლევა. იგი სასესხო საპროცენტო განაკვეთის სიდიდისა და კრედიტების ვადებზე და სახეობებზე რეკომენდაციებს გამოიმუშავებს.

სარევიზიო კომიტეტი – რეგურალურ შიდა აუდიტორული შემოწმებების განხორციელებას ან საკუთარი ძალებით, ან გარე აუდიტორების მოწვევით განაპირობებს.

აღმასრულებელი კომიტეტი – ეკონომიკური ანალიზის (ბანკის მიზნების, მომგებიანობის, ლიკვიდურობის და სხვა შესრულება) ჩატარების უზრუნველყოფას ახდენს, რომლის პროცესში ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და ტრაექტორული მიზნების შესრულებაზე თვალყური ხორციელდება.

განვითარებისა და მარკენტინგის დეპარტამენტი – ბანკში ორ განყოფილებას მოიცავს:

განვითარების განყოფილება – გარე სიტუაციის ანალიზის უზრუნველყოფას ახდენს და ბანკში მისი შიდა სიტუაციის შეფასებასთან შეჯერების შემდეგ, ბანკის პოლიტიკის შესაძლო მიმართულებებისა და მისი მომსახურების ბაზაზე გაურცელების მომზადებას ახორციელებს. აღნიშნული გადაწყვეტილებები ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ გენერალურ მიზნებთან შეთანხმებული უნდა იყოს.

ეკონომიკური მართვის დეპარტამენტი – ტაქტიკური მართვის უზრუნველყოფას ახორციელებს. მასში შედის საგეგმო-ანალიტიკური განყოფილება და ლიკვიდურობის მართვის განყოფილება.

ლიკვიდურობის მართვის განყოფილება – ბანკის ლიკვიდურობის მაჩვენებლების გაანგარიშებას, მათ ფაქტიურ ანალიზს და ყოველდღიურ კონტროლს ახორციელებს.

საგეგმო – ანალიტიკური განყოფილება, შიდა საბანკო მაჩვენებლების შესწავლით, ადგენს ფინანსურ გეგმას, გეგმავს შიდა ღონისძიებებს. განყოფილება ანგარიშობს პასივების მოსალოდნელ თანხას და ეფექტიანად წყვეტს განთავსების ამოცანებს.

საკრედიტო დეპოზიტური ოპერაციების დეპარტამენტი – საკრედიტო დეპოზიტურ და საფონდო განყოფილებებს მოიცავს.

საკრედიტო და საფინანსო განყოფილებები ერთმანეთს ავსებენ, არა მარტო საკრედიტო და საინვესტიციო პოლიტიკაში ბანკის მიერ მიღებული სტრატეგიის შესრულებისას, არამედ კაპიტალის ბაზარზე ჩამოყალიბებულ ეკონომიკური სიტუაციების მოთხოვნებზე ოპერატიულ რეაგირებასაც ახორციელებს.

საკრედიტო და დეპოზიტური განყოფილებების ფუნქციები, მათი ოპერაციების პრინციპიალურად სხვადასხვა შემადგენლობის მიუხედავად, ფორმის მიხედვით ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან. ფუნქციების მსგავსება დაკრედიტების მთელი რიგი ფორმალურ – სამართლებრივი პრინციპების შემოწმებასთან და დაცვასთან დაკავშირებით მეტად შრომატევადი სამუშაოების შესრულების აუცილებლობაში გამოიხატება, რომლებიც როგორც კრედიტორების, ასევე მსესხებლების მხრიდანაც უნდა იყოს დაცული. კრედიტუნარიანობის შემოწმება მსესხებელთან მიმართებაში ბანკის ყველა სხვა ქმედებების საწინდარია, ანუ კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფისა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პროცენტებისა და სხვა გადასახადების თავისდროული შემოტანის შესაძლებლობების ანალიზს ახორციელებს. აღნიშნული შემოწმება საწარმოს მუშაობის მაჩვენებლების. მსესხებლის ბალანსის, გირაოს ლიკვიდურობის, ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებისა და რიგი სხვა რეგისტრების ანალიზს საჭიროებს.

საოპერაციო სააღრიცხვო სამუშაოების დეპარტამენტი- პირადი ანგარიშების გახსნასთან და დახურვასთან დაკავშირებული ამოცანების კომპლექსის რეალიზებას, თითოეული კლიენტის დავალების შესაბამისად ანგარიშსწორების შესრულებას, ბანკთაშორისი ოპერაციების მომსახურებას, ბუღალტრული აღრიცხვის სინთეტიკურ დონეზე შესრულებას და ანგარიშგებების შედგენას ახორციელებს, რომელიც

როგორც თვით ბანკების მიერ (რევიზია, კონტროლი), ასევე სხვა დაწესებულებების მიერ (ზემდგომი, საგადასახადო და სხვა ორგანიზაციები) გამოიყენება. აღნიშნული დეპარტამენტი შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

- ბიუჯეტებს შორის შემოსავლებისა და გადასახადების გაანგარიშება და გადანაწილება;
- საანგარიშსწორებო-საგადახდო საბუთების, გადახდის ვადის დადგომამდე და დროში გადასახდელების აღრიცხვა;
- კლიენტებს შორის სწორი და თავისდროული ანგარიშსწორების აღრიცხვა;
- სესხების მიხედვით ვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა;
- სახსრების დეპონირება საჩეკო წიგნაკების, აკრედიტივებისა და საგადახდო დავალებების აქცეპტების გასაცემად;
- ფილიალთაშორისო ბრუნვის ოპერაციების ორგანიზაცია და კონტროლი;
- ბალანსის შედგენა.


აღნიშნული ფუნქციების რეალიზაცია ერთობლიობაში შესაბამისი განყოფილებების დახმარებით ხორციელდება.

ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტი – განყოფილებების მუშაობის უზრუნველყოფას ახორციელებს, რომლებიც დირექტორთან (იურიდიული განყოფილება, კადრების განყოფილება, სარევიზიო და საორგანიზაციო განყოფილებები), და სამეურნეო – მმართველობით განყოფილებასთან იქმნება და ისინი ნებისმიერ საწარმოს მმართველობითი სტრუქტურის შემადგენლობაში შედიან. ეკონომიკური მართვის დეპარტამენტი სტრატეგიულ მიზნებს ტაქტიკურ დონემდე ამუშავებს და მათ ფინანსური გეგმების სახით ოპერაციული მართვის დონეზე გადასცემს, უშუალოდ წინა ხაზზე, სადაც კლიენტების მომსახურება მიმდინარეობს- საკრედიტო-სადეპოზიტო ოპერაციების დეპარტამენტში და საოპერაციო-სააღრიცხვო სამუშაოების დეპარტამენტში.

§ 3.2 ავტომატიზებული საბანკო სისტემის შემადგენელი კომპონენტები

განხილული ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანი მუშაობისათვის თანამედროვე საინფორმაციო სისტემების გამოყენება არის საჭირო.

ქვემოთმოყვანილ ნახაზზე (იხ. ნახ. 5) ავტომატიზებული საბანკო სისტემის შემდეგი სახის შემადგენელი კომპონენტებია ნაჩვენები: აპარატული საშუალებები, პროგრამული უზრუნველყოფა, მათემატიკური უზრუნველყოფა, ინფორმაციული უზრუნველყოფა, ფუნქციონალური უზრუნველყოფა, ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. ავტომატიზებული საბანკო სისტემის ყველა კომპონენტი ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია, და მათ შორის მკვეთრი საზღვრის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია.



ნახ. 5 ავტომატიზებული საბანკო სისტემის შემადგენელი კომპონენტები

ინფორმაციული უზრუნველყოფა მანქანურ და არამანქანურ სახეობებად იყოფა. ბანკში ინფორმაციული ერთობლიობა, სისტემური მაჩვენებლების, კლასიფიკაციის მეთოდებისა და ინფორმაციების კოდირების ელემენტების, საბუთების, ინფორმაციული ნაკადების საბუთბრუნვის ჩათვლით არამანქანურ უზრუნველყოფას წარმოადგენენ. მანქანური უზრუნველყოფა – სპეციალურად ორგანიზებული მასივების, ფაილების, მონაცემთა ბაზის, მონაცემთა ბანკებისა და მათი ინფორმაციული კავშირების სახით მანქანურ მატარებლებზე მონაცემების წარდგენას ითვალისწინებს.

ფუნქციონალური უზრუნველყოფა – ავტომატიზებული საბანკო სისტემის საგნობრივ, შინაარსიან მიმართულებას განსაზღვრავს და იგი ოპერაციების, ფუნქციებისა და ამოცანების ერთობლიობის სახით გამო-

იხატება. ფუნქციონალური უზრუნველყოფის საბაზო ელემენტს ოპერაცია წარმოადგენს.

ტექნოლოგიური უზრუნველყოფა საპროექტო გადაწყვეტილებათა ერთობლიობაა, რომელიც საბანკო ოპერაციების ავტომატურ რეჟიმში განხორციელების, აგრეთვე აღნიშნული ოპერაციების შესაბამის ტექნოლოგიური ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების ერთობლიობის ტექნოლოგიური პირობების შექმნას გულისხმობს. ტექნოლოგიური უზრუნველყოფა ინფორმაციულ და ფუნქციონალურ უზრუნველყოფას სამუშაოს საერთო ტექნოლოგიებში აერთიანებს. ტექნოლოგიური უზრუნველყოფის საბაზო ელემენტს გარე გარემოება წარმოადგენს, რომლის რეაქციაზე განსაზღვრული თანმიმდევრობით რიგი ოპერაციები უნდა იქნას შესრულებული.

უზრუნველყოფის სამი ჩამოთვლილი სახეობა კონკრეტული ბანკის საქმიანობის უშუალოდ კონცეპტუალური დონის აღწერის უზრუნველყოფას ახორციელებს.

მათემატიკური უზრუნველყოფა – საგნობრივად და გამოყენებითად დაიყოფა. საგნობრივი მათემატიკური უზრუნველყოფა თავისთავად ალგორითმების, ინფორმაციის გარდაქმნის, ეკონომიკურ – მათემატიკური მეთოდების, საბანკო ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებში და საფინანსო-საკრედიტო პროცესების საინფორმაციო გეგმაში ასახული მოდელების ერთობლიობას წარმოადგენს.

გამოყენებითი უზრუნველყოფა თავისთავში ავტომატიზებული სისტემის ალგორითმებს, მეთოდებსა და მოდელებს მოიცავს.

პროგრამული უზრუნველყოფა – ორი ნაწილისაგან შედგება: სისტემური შემადგენელისაგან (ოპერაციული სისტემები, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, სერვისული პროგრამები) და გამოყენებად შემადგენლისაგან (უშუალოდ ბანკში გამოყენებადი პროგრამული მოდულები, ავტომატიზებული სამუშაო ადგილები, საოფისე სისტემები).


აპარატული საშუალებების – შემადგენლობაში შედის:

- გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები (სერვერები, მუშა სადგურები);
- ლოკალური გამოთვლითი ქსელების მოწყობილობები;
- ტელეკომუნიკაციისა და კავშირების საშუალებები;
- სხვადასხვა საბანკო მომსახურების ავტომატური მოწყობილობები: ავტომატი მოლარეები, სავაჭრო სისტემის ტერმინალები, საბანკო ბარათების საგადახდო სისტემების მოწყობილობა.

პროგრამული უზრუნველყოფის სისტემური შემადგენელი და აპარატული საშუალებები ბანკის სისტემურ-ტექნიკურ გარემოს ქმნიან.

§ 3.3 ავტომატიზებული საბანკო სისტემების აღწერის დონეები

ქვემოთმოყვანილ ნახაზზე (იხ. ნახ. 6) ავტომატიზებული საბანკო სისტემის სამი დონე არის ნაჩვენები: საგნობრივი გარემოს დონე, გამოყენებითი დონე და სისტემურ-ტექნიკური გარემოს დონე. ყველაზე მაღალი დონე თავისთავად ბანკის საგნობრივ სფეროს-სუფთა ეკონომიკის სფერო, მართვისა და ფინანსების სფეროა. იგი ბანკის ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.



ნახ.6. ავტომატიზებული საბანკო სისტემის დონეები

ქვედა დონე ორგანიზაციის სისტემურ–ტექნიკური გარემოა, იგი ავტომატიზებული საბანკო სისტემის პროგრამულ–აპარატულ ინფრასტრუქტურას ასახავს. ინფრასტრუქტურას გრძელვადიანი თავისებურება ახასიათებს, იგი მრავალი წლის განმავლობაში იქმნება და მის შექმნაზე მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებებია საჭირო.

სისტემურ-ტექნიკური შემადგენელი სტაბილურია, ხოლო მისი განვითარება პროგნოზირებადი და მართვადია.


ავტომატიზებული საბანკო სისტემის გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციონალურ ქვესისტემებს წარმოადგენს, რომლებიც ორგანიზაციას ამოცანების გადაწყვეტას

და მისი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფენ. იგი გამოყენებით სფეროს ასახავს და ბანკის ორგანიზაციულ-მმართველობით სტრუქტურასთან, ფუნქციების განაწილებასთან, ფინანსურ ტექნოლოგიებთან და საბუთბრუნვის სქემებთან არის მიბმული. ეს შემადგენელი ავტომატიზებული სისტემის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს.

ავტომატიზებული საბანკო სისტემების აგებისას საბანკო საქმიანობის თავისებურებები და პროგრამულ-ტექნიკური შემადგენელის განვითარების მიმართულება უნდა იქნეს გათვალისწინებული. ავტომატიზებული საბანკო სისტემისადმი მოთხოვნების შესახებ უფრო ზუსტი წარმოდგენის მიღების მიზნით, სფეროების მონაცემების ზუსტი და ფორმალიზებული აღწერილობა უნდა იყოს მოცემული. ფორმალიზებული აღწერილობის აღნიშნული ეტაპი ავტომატიზებულ საბანკო სისტემის დამუშავების პროექტზე მუშაობის ინსტანციას წარმოადგენს და იგი გულმოდგინედ და მკაცრად უნდა იქნას დამუშავებული, ვინაიდან მოცემულ ეტაპზე უზუსტობებსა და შეცდომებს შემდგომში მათ მოწყობაზე მნიშვნელოვან დანახარჯებამდე მივყავართ.

§ 3.4. კომერციული ბანკის მართვის სისტემის ანალიზი

მართვის სისტემა – მმართველობითი აპარატისა და მართვის ობიექტის, მაგალითად ფინანსური ქვედანაყოფის მართვის სუბიექტის ერთობლიობას წარმოადგენს. ნახ. 7-ზე მართვის სისტემის კონტურია ნაჩვენები.



ნახ. 7. მართვის სისტემის კონტური

მართვის სუბიექტი არის მართვის სისტემის აქტიური ნაწილი, იგი მმართველობით ზემოქმედებებს სიგნალების, ბრძანებების (პირდაპირი კავშირი) სახით გამოიმუშავებს და ინიცირებას ახორციელებს, რომლებიც მართვის ობიექტში შემოდის და იგი პასიურად გამოყენებად სისტემის ნაწილს წარმოადგენს. ბანკში მართვის სუბიექტებს სხვადასხვა დონის ხელმძღვანელები და თანამშრომლები წარმოადგენენ. სუბიექტს პარამეტრები გააჩნია, რომლებიც კვალიფიკაციით, სამსახურებრივი ინსტრუქციებით, ქმედების დიაპაზონით, აგრეთვე უფლებამოსილებებითა და შეზღუდვებით განისაზღვრება. აღნიშნული პარამეტრების ფარგლებში მოქმედებით, სუბიექტი მიზნების ფორმირებას ახორციელებს, ამუშავებს გეგმებს, გამოიმუშავებს მისაღებ გადაწყვეტილებებისადმი მოთხოვნებს და აკონტროლებს ობიექტის ქცევას. იმ პირებს, რომელთაც მმართველობითი ზემოქმედების მომზადება და გამომუშავება აქვს მინდობილი, ობიექტის შესახებ თავისდროული და რეტროსპექტიული, მისი ცვლილებებისადმი მდგომარეობის, მახასიათებლებისა და ტენდენციების შესახებ რაც შეიძლება უფრო სრული ინფორმაცია უნდა გააჩნდეს.


<u>მართვის ობიექტები</u> — მმართველობითი ზემოქმედების მიღებით, თავიანთი მდგომარეობა და ქმედების სახეობა მიღებული განკარგულების შესაბამისობაში მოყავთ, რომელიც მათზე მმართველობითი ზემოქმედების სახით არის გადმოცემული. ობიექტი სუბიექტის მართვის ზემოქმედების ქვეშ სხვადასხვა მდგომარეობას ღებულობს. მისი ქცევა განსაზღვრულ მაჩვენებლებს უნდა შეესაბამებოდეს, რომლებიც მმართველობითი ზემოქმედებებით არის დასახული. ობიექტი მმართველობით მითითებაზე რეაქციის შესახებ, საპასუხო ქმედებების შესახებ, ობიექტის ქცევის შესახებ უკუკავშირის არხის მეშვეობით გებულობს. უკუკავშირის არხის მეშვეობით მიღებულ ინფორმაციაზე დამოკიდებულებით და მართვის ობიექტის პირობების, მიზნებისა და ამოცანების ცვლილებების შესაბამისად ობიექტი ობიექტს ახალ მმართველობით ზემოქმედებას გამოიმუშავებს და გადასცემს.

მართვის ობიექტს ფინანსური ნაკადები წარმოადგენენ. რადგანაც ობიექტი ძვირადღირებულს წარმოადგენს და მისი ქცევა არა მარტო ბანკის მუშაობაზე, მის კლიენტებზე, არამედ სახალხო მეურნეობის ეკონომიკაზეც ზემოქმედებს, ამასთან სისტემის არამდგრად მდგომარეობაში გადასვლის საპირისპიროდ მართვის მრავალსაფეხურიანი სისტემა არსებობს.

გარე გარემო არის ნებისმიერი ბუნების ელემენტების სისტემის გარეთ არსებული სიმრავლე, რომლებიც განსახილველი ამოცანების პირობებში სიტემაზე ან მისი ზემოქმედების ქვეშ არსებულზე შემოქმედებას ახდენენ.

ქვემოთ მოყვანილ ნახაზზე (იხ. ნახ. 8) გარე ზემომოქმედებებია ნაჩვენები, რომლებიც გარემომცველი გარემოს მრავალი ფაქტორების ზემოქმედებით განისაზღვრება.

მართვა — წარმოადგენს ზემოქმედებას, რმლებიც არსებული პროგრამების ან მართვის მიზნების შესაბამისად სამართავი ობიექტის ფუნქციონირების მხარდაჭერაზე ან გაუმჯობესებაზე არის მიმართული.



ნახ. 8. ბანკის გარე გარემოცვა


ოპტიმალური მართვა — სამართავი ობიექტისა და გარე გარემოს მდგომარეობის შესახებ შეზღუდვების შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე მართვის დასახულ მიზანთან შესაბამისობაში მრავალი შესაძლოდან მმართველობითი ზემოქმედების, ეფექტიანობის ერთ-ერთი კრიტერიუმის მიხედვით საუკეთესოს ამორჩევაში გამოიხატება. მმართველობითი ზემოქმედებები, განკარგულებებით, მატერიალური და მორალური სტიმულებით არის წარმოდგენილი. დირექტიულ ინფორმაციას გარემო გარემოცვის შესახებ ჩამოყალიბებული ეკონომიკური სიტუაციების შესახებ ინფორმაციისა და მართვის მიზნების შესაბამისად მმარ-

თველობითი აპარატი წარმოშობს. აქედან გამომდინარე, გარე გარემო მმართველობითი აპარატისათვის ინფორმაციის მიწოდებით, მართვის სისტემაზე შესაბამის ზემოქმედებას ახორციელებს. (იხ. ნახ.9)

უკუკავშირები – მართვის სუბიექტის მხრიდან: მოხსენებების, შეტყობინებების, მათი მუშაობის საქმიანობის შესახებ, სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგება, აღრიცხვის უშუალო ზედამხედველობისა და კონტროლის შედეგების სახით უნდა იქნას წარმოდგენილი.

მართვის დონეები და ფუნქციები. ნახ. 10-ზე სამი კატეგორიის მმართველობითი გადაწყვეტილებებია ნაჩვენები: სტრატეგიულები, ტაქტიკურები და ოპერატიულები. აღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისად მმართველობით აპარატს ჩვეულებრივად სამ დონიანი იერარქია გააჩნია.


უმაღლესი ხელმძღვანელობა მართვის მიზნებს, საგარეო პოლიტიკას, მატერიალურ, ფინანსურ და შრომით რესურსებს განსაზღვრავს, გრძელვადიან გეგმებს და მათი შესრულების სტრატეგიას ამუშავებს.



ნახ. 9. ბანკის მართვის სისტემა

მის კომპეტენციაში ბაზრის, კონკურენციის კონიუნქტურის ანალიზი და მისი ინტერესების სფეროში საშიში ტენდეციების გამოვლენის შემთხვევისათვის ორგანიზაციის განვითარების ალტერნატიული სტრატეგიების მოძიება არის გათვალისწინებული. უმაღლესი დონის ერთერთ ამოცანას – საგარეო გარემოზე და საგარეო მმართველობაზე ზემოქმედება წარმოადგენს. ზემოქმედება შეიძლება იყოს აქტიური და პა-

სიური. ქტიურ ზემოქმედებას მიეკუთვნება: არჩევით ორგანოებში ადგილების მოპოვება, მთავრობაში, ცენტრალურ ბანკში, სამინისტროებში ბანკის ეფექტიან მუშაობაში დაინტერესებული ადამიანების თანამდებობაზე დაწინაურება.




ნახ. 10. მართვის დონეები

შუა დონეზე ძირითადი ყურადღება ტაქტიკური გეგმების შედგენაზე, მათი შესრულების კონტროლზე, რესურსებზე თვალყურის დევნებაზე და ორგანიზაციის საჭირო დონეზე გაყვანის მიზნით მმართველობითი დირექტივების შემუშავებაზე არის გამახვილებული.

ოპერატიულ დონეზე გეგმების რეალიზაცია ხორციელდება და მათი შესრულების მსვლელობის შესახებ ანგარიშგების შედგენა იწარმოება. ხელმძღვანელობა აქ მართვის უზრუნველმყოფელი განყოფილებების, ქვედანაყოფების სამსახურებისაგან შედგება. ნახ. 11-ზე ოპერატიული მართვის სქემა არის ნაჩვენები, რომელიც საწარმოო პროცესის საჭირო ხარისხით დეტალიზაციაში, ელემენტების დროში და სივრცეში შეთანხმებაში მდგომარეობს.

<u>ორგანიზაცია</u> — მართვის ცენტრალურ ფუნქციას წარმოადგენს, მისი არსი ერთობლივი საქმიანობის განმხორციელებელი ადამიანების, მუშაკების ჯგუფის ქმედებების მოწესრიგებაში, შეთანხმებაში, რეგლამენტაციაში მდგომარეობს. ძირითადი ამოცანა ბანკის ფუნქციონირების პრინციპების აგების მახასიათებელი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირებასთან არის დაკავშირებული.

<u>კონტროლი</u> — მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების, მმართველობით ზემოქმედების, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის კანონების, წესების, ეკონომიკური ქცევის ნორმების დაცვის შესრულებაზე აქტიურ ზედამხედველობაში გამოიხატება. კონტროლი მართვაში უკუკავშირის რეალიზებას ახორციელებს.



ნახ. 11. მართვის ციკლი

აღრიცხვა – მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიღებას ითვალისწინებს. იგი მართვის ობიექტის მატერიალური და ფინანსური მდგომარეობის, ობიექტის რესურსების, მატერიალური ფასეულობის, ფულადი სახსრების, საკუთარი ვალებისა და სხვისი დაბრუნებას დაქვემდებარებული ვალების დოკუმენტურ ფიქსაციას წარმოადგენს. აღრიცხვა ძირითადად ოპერატიულ და შუა დონეებზე ხორციელდება. მართვის უმაღლეს დონეზე აღრიცხვა არ ხორციელდება, მაგრამ მის საფუძველზე საქმიანობის შედეგების ანალიზი სრული მოცულობით სრულდება.

ბანკში აღრიცხვა საოპერაციო და ბუღალტრული აღრიცხვით არის წარმოდგენილი, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში ორ ნაწილად არის დაყოფილი: ფინანსური და მმართველობითი.

ფინანსური აღრიცხვა ბანკის – სახელმწიფოსთან, ცენტრალურ ბანკთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობების პრობლემების გადაწყვეტაში გვეხმარება.

საოპერაციო რეგულირება – არის მართვის სუბიექტის მიმდინარე, პრაქტიკულად უწყვეტი ზემოქმედება ობიექტზე, რომელიც პროგნოზებში, გეგმებში, პროგრამებში გაუთვალისწინებელი სიტუაციების, გარე პირობების წარმოშობით არ იყო განპირობებული.

თავი 4. ბანკის საოპერაციო დღის პროგრამული უზრუნველყოფა

§ 4.1. ბანკის საოპერაციო დღე

ბანკის საოპერაციო დღედ ითვლება პერიოდი, რომლის განმავლობაში ბანკის ერთი ფინანსური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა ხორციელდება. ბანკის ფიქსირებული მდგომარეობა არის ფინანსური მდგომარეობა, რომელიც დოკუმენტურ ბალანსს შეესაბამება. საოპერაციო დღის დასაწყისი ხასიათდება დღის დასაწყისის ბალანსით და საოპერაციო დღის თარიღით. სამუშაოს სტანდარტულად დაწყების შემთხვევაში საოპერაციო დღის თარიღი მიმდინარე თარიღს ემთხვევა. ზოგიერთ შემთხვევაში საოპერაციო დღის თარიღი მიმდინარეს არ ემთხვევა, ამ შემთხვევაში საოპერაციო დღის თარიღი სამანქანო თარიღს უნდა ემთხვეოდეს. სანამ საოპერაციო დღე განსაზღვრული არ არის, ამ თარიღის საბუთებთან დაკავშირებული ყველა ოპერაციები დაბლოკილია.

ბანკის საოპერაციო დღის მდგომარეობის შეცვლა საბანკო ოპერაციების შესაბამისი საბანკო საბუთების შეყვანის საფუძველზე ხორციელდება.

ცვლილება ისეთი ოპერაციის შესრულებისას ხორციელდება, რომლებიც ანგარიშებზე მიმდინარე სალდოს ცვლილებას ახდენენ: შიდასაბანკო გატარებები, სალაროს ოპერაციები, საბუთები ფილიალებიდან, საგადახდო საბუთები. ანგარიშების ატრიბუტების, ხელშეკრულების პირობების ცვლილების ოპერაციის შესრულებისას, საოპერაციო დღის მდგომარეობის შეცვლა არ ხდება.

საოპერაციო დღის პროგრამულ უზრუნველყოფაში ინფორმაციის შეყვანის საფუძველია შესაბამისი სახით გაფორმებული ქაღალდის საბუთების არსებობა. ინფორმაცია თანმიმდევრულად, საბუთ-საბუთ, გადაიტანება პროგრამაში. ამასთან საბუთის შუალედური მდგომარეობა ფიქსირდება. საბუთი ამ მდგომარეობაში ანგარიშებზე მიმდინარე სალდოს არ ცვლის, ანუ იგი გადახდაში მონაწილეობას არ ღებულობს.

საბუთების გადახდის მდგომარეობაში გადაყვანის სხვადასხვა ტექნოლოგიები არსებობს. როგორც წესი, ტექნოლოგია ბანკის ტრადიციაზე, პერსონალის კვალიფიკაციაზე და პასუხისმგებლობის ხარისხზე არის დამოკიდებული.

საგადახდო საბუთების დამუშავების გარდა, საოპერაციო დღის განმავლობაში სალაროს საბუთებთან მიმდინარეობს მუშაობა, აგრეთვე საკრედიტო, სადეპოზიტო და საკორესპონდენტო ანგარიშებისა და ხელშეკრულებების შეყვანა ხორციელდება.

სალაროს ოპერაციები ორი საბუთის: შემოსავლისა და გასავლის ორდერის მეშვეობით ხორციელდება. სალაროს ოპერაციები სხვა სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ხორციელდება.

საკრედიტო და დეპოზიტური ანგარიშები ცალკე შემსრულებლებს მიყავთ. მათ ვალდებულებებში შედის:

- ხელშეკრულების ტიპის ობიექტების ფორმირება;
- კრედიტების (დეპოზიტების) ხელშეკრულების შესაბამისად პროცენტების ცვლილებების განხორციელება;
- პროცენტების გადახდაზე თვალყურის დევნება (კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშის მიხედვით) და გადახდილი პროცენტული თანხების ანგარიშზე გადატანა;
- ვადაგადაცილებაზე ანგარიშების წაყენება.

ანგარიშების მდგომარეობაზე მომქმედი საბუთების ნაწილი მანქანური სახით შემოდის. ასეთ საბუთებს მიეკუთვნება:

- საბუთები, რომლებიც ფილიალში მზადდება;
- კლიენტების საბუთები, რომლებიც კლიენტი-ბანკის სისტემას იყენებენ;
- ბანკი-კორესპონდენტების საბუთები, რომლებიც სხვა ავტომატიზებულ სისტემებს იყენებენ;
- საბუთები, რომლებიც დილინგური სისტემების, მოსახლეობის ანაბრების აღრიცხვის სისტემების, შიდა ბუღალტერიის მიერ არის ფორმირებული.

ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები ელექტრონული ფორმითაა წარმოდგენილი, მონაცემთა ექპორტ-იმპორტის სტანდარტული ოპერაციის შესასრულრბლად მისაღებ ფორმაში.

ყველა შეყვანილი საბუთი კონტროლს ექვემდებარება. განიხილება ორი სახის კონტროლი: გადახდის შესაძლებლობა და შევსების სისწორის კონტროლი.

კონტროლს გადახდის შესაძლებლობაზე (კონკრეტული გადახდა დასაშვებია თუ არა) ბუღალტერი (ან მთავარი ბუღალტერი) ახორციე-

ლებს. კონტროლი გადახდის განხორციელებაზე, უშუალოდ ბუღალტერის სამუშაო ადგილიდან ან ეკრანიდან, ან საკონტროლო ამონაბეჭდის მეშვეობით ვიზუალურად ხორციელდება.

ვიზუალური კონტროლი ინფორმაციის სწორ შევსებაზე საბუთების პაკეტის საკონტროლო თანხების მიხედვით ხორციელდება. შემოწმების უმეტესი ნაწილი საბუთების შეყვანის პროცესში სრულდება.

ანგარიშსწორების ცენტრში ან სხვა ბანკ-კორესპონდენტის მისამართით გაგზავნის ტექნოლოგია შეიძლება სხვადასხვა იყოს. გაგზავნისას საბუთების მდგომარეობა იცვლება, ანუ მიუხედავად იმისა რომ გადახდა ჯერ არ განხორციელებულა, საჭიროა ისინი გარე ფაილში ჩაიწეროს, რომელიც შემდგომში საბუთების გაგზავნის სისტემის მიერ იქნება გამოყენებული.

გადარიცხვა საბუთების პაკეტებით ან სხვა დაჯგუფებით (მაგალითად, დღის განმავლობაში შეყვანილი საბუთები) ხორციელდება. გადარიცხვაში გადაყვანისას საჭირო საბუთები მოინიშნება და გადახდის მდგომარეობაზე ჯგუფური ცვლილების პროცედურა სრულდება. ამასთან შესაბამისი ანგარიშების მდგომარეობაც (მიმდინარე სალდო და ბრუნვები) იცვლება.

დღის საბუთების ანგარიშსწორების ცენტრში, ბანკის ფილიალიდან ან ბანკიდან ფილიალში გადაგზავნა, ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა ტექნოლოგიებით შეიძლება შესრულდეს. მაგრამ ნებისმიერი სახის ტექნოლოგიის გამოყენებისას პირველ ნაბიჯს წარმოადგენს საბუთების გადატვირთვა რომელიმე გარე ფაილში (ტექსტური, dbf ან სხვა ტიპის ფორმატის). შემდგომში აღნიშნული ფაილი დანიშნულების ადგილზე გადაიცემა ინფორმაციის გადამცემი სისტემის მიერ. ჩვეულებრივ გარე ფაილის ფორმირებისათვის საბუთების ამორჩევის პროცედურა მოთხოვნის სახით ფორმდება, რომელიც თანმიმდევრულად უზრუნველყოფს საბუთების ამორჩევას და შესაბამისი ინფორმაციის საჭირო ფაილში გადატანას.

საბუთების გადაგზავნის გარდა, საბუთების სხვა სისტემებიდან მიღებაც არის საჭირო. უპირველეს ყოვლისა, იგი ეხება ანგარიშსწორების ცენტრიდან პირველადი საბუთების მიხედვით ამონაწერების მიღებას. სადებეტო საბუთები მზადდება ბანკში, შემდგომ ისინი გადაიტვირთება სპეციალურ ფაილში და ანგარიშსწორების ცენტრში გადაიცემა. ანგარიშსწორების ცენტრში მათი გადამუშავების შემდეგ ბანკში მოდის ამონაწერი. ამონაწერის მიხედვით ამოიკრიბება შესაბამისი სა-

ბუთები და იწარმოება გადახდა. საკრედიტო საბუთები სხვა ბანკებში მზადდება. შემდეგ ისინი ანგარიშსწორების ცენტრში გადაიცემა. იქედან თავიდან მიიღება ამოწერი. ამონაწერები სტანდარტული პროცედურების მეშვეობით საბუთების სახით სისტემაში ჩაიტვირთება და შუალედურ მდგომარეობაში (და არა გადახდაში) გადაიყვანება. შემდგომში ანგარიშსწორების ცენტრიდან დანართების მოსვლის შესაბამისად საბუთები გადაიყვანება გადახდაში.

§ 4.2. საოპერაციო დღის დასრულება

საოპერაციო დღის ბოლოს საჭიროა შემდეგი ოპერაციების შესრულება:

1. შესაბამისი საბუთების გადახდაში გადაყვანა. საჭირო ანგარიშგებების (ყოველდღიური, ხუთდღიანი, თვიური თვის ბოლოს, კვარტალური კვარტლის ბოლოს, ბრუნვითი უწყისები, ამონაწერები ანგარიშების მიხედვით) მიღება. ზოგიერთი რთული ანგარიშგების ფორმირება გარე პროგრამების მეშვეობით ხორციელდება. აღნიშნულის განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი ავტონომიური პროგრამის გაშვება, რომელიც ანგარიშგების ფორმირებას ახდენს;
2. საოპერაციო დღის დასრულებისას მონაცემთა ბაზის ფორმირება ხორციელდება და იქმნება მისი ასლი. ასლი შეიძლება სტრიმერზე, ტექნოლოგიურ მანქანაზე განთავსდეს. ტექნოლოგიური ეწოდება მანქანას, რომელზეც ძირითადი საოპერაციო დღის პარალელურად სხვა საოპერაციო დღის ოპერაციების დამუშავება შეიძლება შესრულდეს. სარეზერვო ასლის დასახელებაში აუცილებლად საოპერაციო დღის თარიღი უნდა იყოს ჩართული. ასლების იმავე მანქანაზე განთავსება (მითუმეტეს იმავე დისკზე), რომელზედაც მონაცემთა ძირითადი ბაზა ინახება, დაუშვებელია.

საერთო შემთხვევაში სისტემაში დროის ნებისმიერი პერიოდის საბუთები და ოპერაციები ინახება. ძირითად ბაზაში მონაცემთა შენახვის ვადა განისაზღვრება საბუთბრუნვიდან, დისკის მოცულობიდან, ფაილსერვერისა და ქსელის სიმძლავრიდან გამომდინარე. საბუთები თვის, კვარტალის, წლის განმავლობაში ინახება. საბუთები, რომელთა შენახვის ვადა დამთავრდა, არქივაციას ექვემდებარება. ამის შემდგომ საოპერაციო დღე დასრულებულად ითვლება, და შეიძლება ახლი საოპერაციო დღის დაწყება.

დიდი ბანკებისათვის ორი თაობის ბაზის ტექნოლოგია არის მოხერხებული. იგი საოპერაციო დღის დასრულებისას თანმიმდევრული ოპერაციების შესრულებას ითვალისწინებს.

სამუშაო დღის დასასრულს ბალანსის ფორმირების შემდეგ ტექნოლოგიურ მანქანაზე სისტემის ასლის გადაღება ხორციელდება.

ძირითად ბაზაზე ახალი საოპერაციო დღის დამუშავება (საბუთების შეყვანა და ა.შ) ხორციელდება.

ტექნოლოგიურ ასლზე ანგარიშების (ამონაწერები, ნორმატივების გაანგარიშება, ოპერაციების ანალიზი) გაცემა ხორციელდება, რომლებიც დიდ დროსა და რესურსებს მოითხოვენ.

შემდეგ დღეს ტექნოლოგიურ ასლის ე.წ. შეფუთვა ხორციელდება და მისგან სარეზერვო ასლი იქმნება, ხოლო ძირითადი ბაზა ტექნოლოგიური ხდება.

მონაცემთა ძირითადი ბაზის გაფუჭების შემთხვევაში (ფაილ სერვერში ავარიისა და ა.შ) ტექნოლოგიური ასლი შეუფერხებლად ძირითადი ხდება.

§ 4.3. პროგრამული უზრუნველყოფის ამოცანები საოპერაციო დღის შესრულებასთან დაკავშირებით.

ბანკის საოპერაციო დღის სისტემამ, უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. ნორმატიული – საცნობარო დოკუმენტების შეტანა, შენახვა და გამოყენება:
    - საბალაბსო ანგარიშების შედგენილობა და სტრუქტურა;
    - ბანკების კლასიფიკატორი;
    - ხელშეკრულებების სახეობები;
    - ვალუტის ტიპები;
    - პირადი ანგარიშების ტიპები;
    - საგადახადო საბუთების ტიპები.
2. ოპერატიული ინფორმაციის შეტანა, შენახვა და გამოყენება:
    - ინფორმაცია კლიენტების შესახებ;
    - ინფორმაცია გახსნილი ანგარიშების შესახებ;
    - ინფორმაცია სავალუტო კურსის შესახებ.

3. საგადახდო საბუთების შეყვანა, რომელთაც შემდეგი რეკვიზიტების ფორმირების შესაძლებლობა გააჩნიათ:
    - ვალუტირების თარიღების;
    - გატარებების თარიღების;
    - გატარებების;
    - კავშირებს გარე ანგარიშებთან;
    - კავშირებს საკორესპონდენტო ანგარიშებთან ანგარიშსწორების ცენტრში;
    - კავშირებს ფაილების საკორესპონდენტო ანგარიშებთან;
    - კავშირებს სხვა ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშებთან.
4. ბალანსის მონაცემები შემდეგი სახის ინფორმაციას ითვალისწინებს:
    - ბრუნვებს ანგარიშების მიხედვით;
    - რეგლამენტირებული ანგარიშგებების გაცემას.

თავი 5. ბანკთაშორისი ელექტრონული ანგარიშსწორება

ბანკებს შორის ანგარიშსწორების სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში. იგი არის ფინანსური ინფრასტრუქტურისა და საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი საიმედო და ეფექტური ფუნქციონირება ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილურობას. საგადახდო სისტემების ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სასაქონლო და საფინანსო ბაზრებზე ბიზნეს საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა ანგარიშსწორებას. იგი უზრუნველყოფს ფულის ან ფასიანი ქაღალდების მიმოქცევას ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორეში. საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა, რომ საგადახდო სისტემები იყოს სწრაფი, უსაფრთხო, საიმედო და ეფექტური.

საგადახდო სისტემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საგადახდო ინსტრუმენტების, საბანკო პროცედურების, ტექნოლოგიების და ანგარიშსწორების სისტემათა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს სახსრების მიმოქცევას მომხმარებელთა შორის.

საგადახდო ინსტრუმენტი არის საშუალება, რომელიც გარკვეული ფორმით და პროცედურების მეშვეობით მომხმარებელს/ანგარიშის მფლობელს საშუალებას აძლევს განახორციელოს თანხის გადარიცხვა. საგადახდო ინსტრუმენტი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: სადებეტო და საკრედიტო. საკრედიტო ინსტრუმენტებია: ნაღდი ფული, საკრედიტო გადარიცხვა, ფულადი გზავნილი. სადებეტო ინსტრუმენტებია: ჩეკები, პირდაპირი დებეტი, საკრედიტო ბარათები, სადებეტო ბარათები.

ზოგადად არსებობს უნაღდო ანგარიშსწორების საგადახდო სისტემის ორი მოდელი:

- პირველ მოდელში საგადახდო დავალება სრულდება დაუყოვნებლივ, თუ არსებობს საკმარისი სახსრები თანხის გადამრიცხავის ანგარიშზე. ამ მოდელს ეწოდება დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების გროს სისტემა (gross). იგი უფრო ხშირად გამოიყენება მსხვილი გადარიცხვებისათვის. ასეთი სისტემების ორგანიზატორი და ოპერატორია ეროვნული ბანკი.

  მეორე მოდელი მუშაობს ნეტინგის(net) პრინციპზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სისტემის მონაწილეთა ანგარიშების დებეტირება ხდება სისტემაში შემოსული საგადახდო დავალებების მიხედვით დროის გარკვეულ პერიოდამდე, რომლის დადგომისას გამოითვლება სისტემის თითოეული მონაწილის ნეტ პოზიცია, რომელიც იგზავნება გროს სისტემაში საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით. ასეთი სის-

ტემებია ანგარიშსწორება ჩეკებით, საკრედიტო ან სადებეტო ბარათებით, პირდაპირი დებეტირება, ხელფასის ან პენსიების გადარიცხვები. ნეტინგის პრინციპზე მომუშავე სისტემებს კლირინგსაც უწოდებენ, რაც ნიშნავს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას.

გარდა ამისა უნაღდო ანგარიშსწორების სისტემები შეიძლება იყოს ეროვნული, რომელიც ფუნქციონირებს კონკრეტული ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო, რომელიც მოიცავს რამოდენიმე ქვეყნის ტერიტორიას.

ბანკებს შორის ანგარიშსწორების სისტემა საერთო სახით შემდეგ შემადგენელ ნაწილებად შეიძლება დაიყოს:

- ეროვნული (ცენტრალური) ბანკის სისტემა;
- არასახელმწიფოებრივი საკლირინგო და საანგარიშსწორებო პალატების (ბანკების) სისტემა;
- შიდასაბანკო ფილიალთაშორისო ანგარიშსწორების სისტემა;
- საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემა;
- ანგარიშსწორების სისტემა საბანკო ბარათებით;
- საფონდო ბაზრის მონაწილეების ურთიერთანგარიშსწორების სისტემა.

ანგარიშსწორების წესი — ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირდება, ამასთან რეგულირებაში დამატებით შესაბამისი საანგარიშსწორებო სისტემების მმართველობითი ორგანოებიც მონაწილეობენ. თითოეულ ანგარიშსწორების სისტემაში ტექნოლოგიური თავისებურებები გაცვლის ოქმები, სისტემის მონაწილეების ურთიერთობების წესებია განსაზღვრული.

სისტემის მუშაობის წესები ადმინისტრაციული ორგანოების ინსტრუქციებითა და დებულებებით განისაზღვრება. ტექნოლოგიურთან და პროგრამულ-აპარატულ კომპლექსებთან მოთხოვნები არასანქცირებადი შეღწევისაგან დაცულობის მიხედვით რეგლამენტირდება.

ყველა სისტემისათვის პრიორიტეტულ ამოცანას — ანგარისშორების რეალურ დროში განხორციელება წარმოადგენს.

შექმნის მიზანს — სისტემის მუშაობის ყველასათვის ერთიანი რეგლამენტის დადგენა, ანგარიშსწორების ერთიანი წესებისა და მათი განხორციელების ერთიანი ტექნოლოგიის დადგენა წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორიაზე ბანკთაშორისო ანგარიშსწორების მონაწილეთა ჩამონათვალი მათი რეკვიზიტებისა და კოდური ნიშნების მითითებით საქართველოს ბანკების ცნობარებშია განთავსებული.

ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის დაწესებულებებისა და ქვედანაყოფების შესახებ, ასევე საკრედიტო ორგანიზაციების (ფილიალების) ინფორმაციას მოიცავს, რომელთა ანგარიშები (სუბანგარიშები) ეროვნული ბანკის საანგარიშსწორებო ქსელშია გახსნილი.

§ 5.1. ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო სისტემა

საერთაშორისო პროექტის შექმნის ინიციატივა 1968 წელს წარმოიშვა, იგი მიზნად მაღალი ხარისხის კონტროლის, არასანქციონირებული შეღწევადობისაგან დაცვის, ანგარიშსწორების მონაწილეებს შორის საბანკო ინფორმაციის მაღალსიჩქარიანი გაცვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას ისახავდა. 1972 წელს აღნიშნული ინიციატივა გაფორმდა პროექტში, რომელმაც MSP-ის (Message Switching Project – შეტყობინების კომუნიკაციის პროექტი) სახელწოდება მიიღო. იმავე წელს ფირმა Logis-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ანგარიშგება, საბანკო ინფორმაციებით გაცვლის რენტაბელური სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. იგი გაანგარიშებებსა და რეკომენდაციებს მოიცავდა, რომლებიც შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა:

1. სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს:
   - საერთაშორისო ქსელისა და მისი სერვისის საშსახურის შექმნაზე;
   - პროცესებისა და შეტყობინებების სტანდარტიზაციაზე;
   - ბანკების ქსელებთან მიერთების ხერხებისა და მოწყობილობების სტანდარტიზაციაზე.
2. რენტაბელობის შენარჩუნებისათვის სისტემამ მიახლოებით 70 ბანკის მონაწილეობით დღეში არაუმეტესი 100 ათასი შეტყობინება უნდა დაამუშაოს.
3. სისტემა ორ დამოუკიდებელ და ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემის ქვეყანა- მონაწილეთაგან თითოეულში განმანაწილებელ ცენტრსა და კავშირის კონცენტრატორებს უნდა მოიცავდეს.

აღნიშნულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ევროპის 15 და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებიდან 239-მა ბანკმა 1973 წლის მაისში ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად S.W.I.F.T. (Society for Worldwide Iterbank Financial Telecommunication – მსოფლიო ბანკთაშორისო ფინანსური ტელეკომუნიკაციის საზოგადოება)-ის სახელწოდების კომპანია შექმნეს.

კომპანიის შექმნის მიზანი გახდა — ტელეკომუნიკაციების ქსელების მეშვეობით ნებისმიერი სახის საბანკო შეტყობინების სწრაფი და უსაფრთხო გადაცემისათვის საჭირო ერთიანი სიტემისა და საშუალებების შექმნა, გამოყენება, მხარდაჭერა და ექსპლოატაცია.

თანამედროვე პირობებში S.W.I.F.T.-ის მომხმარებლები არიან 190 ქვეყნიდან 7000 მსხვილი ბანკი და ფინანსური ორგანიზაცია.

S.W.I.F.T. -ის ქსელით გადაცემული შეტყობინებების ყოველდღიური მოცულობა 5 ტრილიონი აშშ დოლარზე მეტი საერთო ღირებულებების 4.9 მლნ. შეტყობინებას აჭარბებს.

თითოეული კომპანიისათვის, რომელიც S.W.I.F.T.-ში მონაწილის სტატუსით შესვლაზე პრეტენზიას აცხადებს, სპეციალური კრიტერიუმებია დადგენილი, რომლის შესაბამისობაზე მან შემოწმება უნდა გაიაროს. თითოეულ კომპანიასთან დაიდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს თუ S.W.I.F.T. -ის რა სახის მომსახურება ვრცელდება მასზე. ხელშეკრულების დადების შემდეგ S.W.I.F.T. -ის შეტყობინებების სიზუსტეზე, სისრულეზე და თავისდროულ მოწესრიგებასთან დაკავშირებით თავისთავზე იღებს პასუხისმგებლობას.

საფინანსო შეტყობინებების ფორმების სტანდარტიზაცია: კომერციული და საფინანსო ოპერაციების შეტყობინებების მიმოქცევის სისტემის შექმნამ განაპირობა სტანდარტების შემუშავების აუცილებლობა. საერთაშორისო კომიტეტის (ISO), ასევე საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) მოთხოვნების შესაბამისად ბანკების ფინანსური და კომერციული ოპერაციების შესახებ ტიპიურ შეტყობინებაზე სტანდარტები იქნა შემუშავებული, რომლებიც შეტყობინების გადამგზავნისა და მიმღების ურთიერთქმედებებს მნიშვნელოვნად ამარტივებენ. 1980 წლისთვის შემუშავდა შეტყობინების შემდეგი სტანდარტები:

- კლიენტთა საგადახდო დავალებების მოძრაობა;
- ბანკთაშორისი საგადახდო დავალებების მოძრაობა;
- სავალუტო კურსების მონაცემები;
- ამონაწერი დღის განმავლობაში ბანკების მიმდინარე ანგარიშებიდან, საკრედიტო და სადებეტო ანგარიშებიდან ამონაწერის მითითებით;
- ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია და გაფორმება;
- ინკასირებისა და აკრედიტების ოპერაციები;
- კლიენტისთვის ნაღდი ანგარიშსწორების საბალანსო ანგარიში;
- ქვითარი-ავიზო / ანგარიშის ბლოკირება;
- ვაჭრობა ძვირფასი ლითონებით;
- გარანტიები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ S.W.I.F.T. –ის სისტემით გამოიყენება უკვე არსებული სტანდარტები, ტექსტური შეტყობინებების სტანდარტების მნიშვნელოვანი ნაწილი შემუშავებულია, სპეციალურად ამ სისტემისათვის, თუმცა ეს სტანდარტები უკვე ამ სისტემის გარეთაც გამოიყენება და საფინანსო შეტყობინებებისა და ტრანზაქციების ფაქტიურ სტანდარტებად გვევლინება და სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის საბანკო საქმეზე.

მაგალითად, S.W.I.F.T. –ის სტანდარტების ბაზაზე შემუშავდა სხვადასხვა საკლირინგო სისტემები: CHAPS – ინგლისში, Sagritter – საფრანგეთში და სხვ. ამასთან S.W.I.F.T. –ი საკლირინგო ფუნქციებს კი არ ასრულებს, არამედ გადაცემული შეტყობინება გათვალისწინებულია "loro" და "nostro" ანგარიშებში ზუსტად ისევე, როგორც, საგადახდო საბუთების ტრადიციულ ფორმებში.

სტანდარტული ფორმების აგების პრინციპები: ყველა საფინანსო შეტყობინებებში გამოყენებულ უნდა იქნას სტანდარტიზებული ფორმები. ყველა ტიპის შეტყობინება აგებულია საერთო პრინციპებით:

- საწყისი ნაწილი:
  - შეტყობინების დასაწყისი – Start of Message,
  - სათაური – Header,
  - ტექსტის დასაწყისი – Start of Text,
- შეტყობინების ტექსტი – Text of Message;
- შეტყობინების დასასრული:
  - ტექსტის დასასრული – End of Text,
  - პარამეტრები – Trailer,
  - შეტყობინების დასასრული – End of Message.

საწყისი ნაწილისა და დასასრულის საშუალებით იქმნება "კონვერტი", რომლითაც იგზავნება შეტყობინება და შეიცავს ქსელში შეტყობინების მიმართულების განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაციას.

სათაური შეიცავს:

- შეტყობინების მიმღების თერთმეტნიშნა კოდ-იდენტიფიკატორს,
- გამგზავნის ტერმინალის კოდს,
- მაკონტროლებელი და დამცავი ფუნქციის მატარებელ, ხუთნიშნა, რიგით ნომერს,
- შეტყობინების სამნიშნა კოდს, პრიორიტეტის ორნიშნა კოდით.

პარამეტრებში მითითებულია აუტენტიფიკაციის კოდი და შეიცავს სხვადასხვა ცნობებს, მაგალითად, მიმღები ბანკის გაფრთხილებას შეტყობინების გადაცემის შეფერხების შესახებ, ორმაგი გადახდის საშიშროების შესახებ და სხვ.

შეტყობინების სწორი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით S.W.I.F.T.-ის ყველა მომხმარებელი სარგებლობს კოდი-იდენტიფიკატორებით (BIC - Bank Identifier Codes), რომელიც წარმოადგენს მის მისამართს ქსელში (BIC –კოდის მიღება შეუძლიათ არა მხოლოდ S.W.I.F.T.-ის ქსელის მომხმარებლებს).

კოდ-იდენტიფიკატორებს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

- საფინანსო ორგანიზაციის ოთხნიშნა, საერთაშორისო კოდი;
- ISO სტანდარტების შესაბამისი, ქვეყნის ორნიშნა კოდი;
- საფინანსო ორგანიზაციის ადგილმდებარეობის აღნიშვნის ორნიშნა კოდი (ქვეყნის, სავარაუდო, შიდა გეოგრაფიული დაყოფა: ქალაქი, რეგიონი, დროის სარტყელი);
- სამნიშნა, დამხმარე კოდი (ფინანსური ორგანიზაციისათვის, რომელიც არ არის S.W.I.F.T. –ის წევრი, გათვალისწინებულია BIC კოდი; ხოლო S.W.I.F.T. –ის წევრი ორგანიზაციისათვის გამოყენებული სამნიშნა კოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქვეყანაში ამ ორგანიზაციის კონკრეტული ადგილმდებარეობის იდენტიფიკაციისათვის).

შეტყობინების ტექსტი მკაცრად რეგლამენტირებულია და იგი ორნიშნა ციფრული კოდით აღნიშნული ველებისაგან შედგება. ინფორმაცია ველებში მკაცრი თანმიმდევრობით შეიტანება, ამასთან შესავსები ველები შეიძლება იყოს სავალდებულო და არასავალდებულო. შეტყობინების ძირითად ტექსტს ფორმალიზებული (ციფრებიანი კოდების მიხედვით) საგადახდო დავალებები, გადახდების დასტურები და სხვა ფინანსური საბუთები შეადგენენ.

S.W.I.F.T.-ის ქსელის სტანდარტებში გადასაცემი შეტყობინებების კატეგორიები, ჯგუფები და ტიპები მკაცრად არის განსაზღვრული, რომელთაგან თითოეული ნებისმიერი საბანკო ოპერაციის ცალსახად "კოდირებას" ახორციელებს. მაგალითად: კოდი 57 აღნიშნავს ბანკს, რომელშიც მიმდინარეობს ანგარიშსწორება, 69 – ბენეფიციარს, 71 – მიუთითებს, ვისგან მომდინარეობს გადახდა და საკომისიო თანხის ოდენობას, 32 – გადასახდელი თანხის ოდენობას.

S.W.I.F.T.–ის, როგორც საფინანსო შეტყობინებების საერთაშორისო სისტემის, მთლიანი სპეციფიკა აისახება შეტყობინებების კატეგორიების, ჯგუფებისა და ტიპების სახით.

ამჟამად გამოიყენება 130-ზე მეტი ტიპის შეტყობინება, რომელიც გაერთიანებულია 11 კატეგორიად, რომელიც უზრუნველყობს საფინანსო ოპერაციების შესრულების სიზუსტეს.

კატეგორია	შეტყობინების ჯგუფები	დახასიათება
0		სისტემური შეტყობინებები (System Messages)
1		კლიენტთა გადარიცხვები და ჩეთარები (Customer Transfer end Cheques)
	0	კლიენტთა გადარიცხვები
	1	ოპერაციები ჩეთარებით
2		საფინანსო ორგანიზაციების გადარიცხვები (Financial Institution Transfers)
	0	საფინანსო ორგანიზაციების გადარიცხვები
	1	მინდობილობა მიღების თაობაზე
3		საფინანსო გარიგებები (Financial Trading)
	0	სავალუტო ღილინგი და სავალუტო ოპერაციები
	2	საკრედიტო დეპოზიტური ოპერაციები, ფიქს. განაკვეთით
	3	ხასწრაფი და მოთხოვნამდე ანგარიშები და დეპოზიტები
	4	ფორვარდული შეთანხმებები პროცენტ. განაკვეთების შესახებ
	5	კრედიტისა და დეპოზიტის მიხედვით პროცენტის გადახდა
	6	ოპერაციები პროცენტ. განაკვეთებით
4		ინკასო და განკარგულება ნაღდი ანგარიშსწორების შესახებ
	0	შეტყობინება გადახადების შესახებ
	1	მინდობილობა
	2	შეთანხმება გადახადის მიმდინარეობის შესახებ
	3	შესწორებანი
	4	განკარგულება ნაღდი ანგარიშსწორების შესახებ
5		ფასიანი ქაღალდები (Securities)
	0	მოთხოვნები
	1	მოთხოვნის შეტყობინება/დადასტურება და გარიგებები
	2	ფასიანი ქაღალდებისა და შესაბამისი კრედიტების მიღება/გადაცემის ინსტრუქციები
	3	დადასტურება მიღება/გადაცემის შესახებ
	5	კორპორაციის მოძიება, შეტყობინება და პრეტენზიები
	6	კორპორაციული. გაეიდვები დაბალ ფასებში
	7	ბალანსები და მარაგი "პორტფელით"
	8	სხვ. ინსტრუქციები
6		ძვირფასი ლითონები და კონსორციუმები (Precious Metals)
	0	ძვირფასი ლითონები
	1	სინდიკატები და კონსორციუმები
7		დოკუმენტური აკრედიტივები და გარანტიები
	0	დოკ. აკრედიტივის გაცემა, გაფორმება და შესწორება
	1	3 ბანკის შეტყობინება დოკ. აკრედიტივის შესახებ.
	2	დოკ. აკრედიტივის გადაცემა.
	3	დადასტურება და შეტყობინება
	4	დაფარვა
	5	შეტყობინება და სანქციონირება

კატეგორია	შეტყობინების ჯგუფები	დახასიათება
8		საგზაო ჩეკები (Travellers Cheques)
	0	ვალუტები და ანგარიშსწორება
	1	ხარჯების ანარიცხირება
	2	მარჟა მარაგით
9		საბალანსო ანგარიშგება, განაკვეთების ცვლილება, ანგარიშგება "nostro" და საკორესპონდენტო ანგარიშები
	0	სადღეღამისო დალასტურება
	1	საკრედიტო დალასტურება
	2	საბალანსო ანგარიშების გადამოწმება
	3	ცვლილების განაკვეთების ცვლილების შესახებ
	4	ამონაწერი კლიენტთა ანგარიშებსა და ბალანსებიდან
	5	ამონაწერი "nostro" ანგარიშებიდან
	7	ამონაწერი "netto" ანგარიშებიდან
	8	ფინანსური მდგომარეობის გადამოწმება
N		საერთო ჯგუფი (Common Group)
	9	დაკავებები, პროცენტები, ხარჯები
		გაუქმებული გადამოწმება
		კითხვები და პასუხები
		თავისუფალი ფორმატის შეტყობინებები

შეტყობინებები, როგორც წესი, იგზავნება S.W.I.F.T.-ის ერთი მომხმარებლიდან მეორესთან, მაგრამ არსებობს სისტემური შეტყობინებების კატეგორია, რომელიც ქსელთან ურთიერთობის საშუალებას იძლევა. სისტემური შეტყობინებები გამოიყენება გარკვეული მოქმედებების გადასამოწმებლად, სპეციალური ანგარიშის მისაღებად, მონაცემთა ბაზაში შეტყობინების მოსაძებნად, სასწავლო-სავარჯიშო მიზნით. მომხმარებელს შეუძლია ქსელიდან მიიღოს გადამოწმების შედეგები ან შეიტანოს საკუთარი ინფორმაცია განახლების, ახალი მომსახურებისა და სხვ. შესახებ. სისტემური შეტყობინება სარგებლობს უდიდესი პრიორიტეტით, ვინაიდან ის შეიცავს ინფორმაციას ქსელის ფუნქციონირების შესახებ.

ყველა, დანარჩენ, 1 9 და N კატეგორიების შეტყობინებას მინიჭებული აქვს კოდი სამნიშნა ციფრებით, სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ოპერაციის კატეგორიას.

საერთო ჯგუფის შეტყობინების გამოყენება შესაძლებელია სხვა, ნებისმიერ კატეგორიაში. საერთო ჯგუფის შეტყობინების კოდი გამოისახება n9M, სადაც n – იცვლება იმ კატეგორიის ნომრით, რომელსაც ის მეტნაკლებად შეესაბამება, 9 — მიუთითებს შეტყობინების განსა-

კუთრებულ ხასიათს ყველა კატეგორიაში, ხოლო M – განსაზღვრავს შეტყობინების კონკრეტულ ტიპს მაგალითად:

- 0 – უწყება,
- 2 – გაუქმების მოთხოვნა,
- 5 – გადამოწმება,
- 6 – პასუხი.

1 კატეგორიის შეტყობინებები:

- საგადასახდო დავალებები;
- ინფორმაცია, საგადასახდო დავალებების შესახებ, როდესაც შემკვეთი ან ბენეფიციარი არ წარმოადგენს საფინანსო ორგანიზაციას.

2 კატეგორია. შეტყობინებები, რომლებითაც სარგებლობენ საფინანსო ორგანიზაციები საკუთარი ინტერესებისთვის ურთიერთობისას:

- გადარიცხვები;
- მოთხოვნები ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, თავისი ან სხვა საფინანსო ორგანიზაციის მიერ სარგებლობისათვის;
- უწყება მოსალოდნელი დავალების შესახებ – საფინანსო ორგანიზაციების ინფორმირება სახსრების შესახებ, რომელიც უნდა მოვიდეს გამგზავნის ანგარიშზე.

3 კატეგორიის შეტყობინებები ადასტურებენ ორივე მხარისათვის ნაცნობ ინფორმაციას (როგორც წესი, ამ დროისათვის ხელშეკრულების წვრილმანები ჯერ არ არის შეთანხმებული).

გარიგების დარეგულირებისა და დადასტურების შესახებ შეტყობინებებს განეკუთვნება ინფორმაციები:

- სავალუტო-გაცვლითი ხელშეკრულებების შესახებ;
- სადეპოზიტო ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების დაბანდებების შესახებ;
- შეთანხმებები, საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

4 კატეგორიის შეტყობინებები არ ითვალისწინებს ინკასოს ტიპის გადახდებისთვის დაწესებული ერთიანი წესების მკაცრ დაცვას, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ინკასოს ტიპის გადახდები სხვადასხვა ვალუტით, არც ერთ შეტყობინებაში არ არის გათვალისწინებული.

5 კატეგორიის შეტყობინებები:

- ინსტრუქცია, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა/ანგარიშსწორების შესახებ;

- ინფორმაცია, ერთობლივი მოქმედების შესახებ;
- უწყება, კაპიტალისა და მოგების შესახებ;
- "პორტფელის" რეგულირებასა და ფასიანი ქაღალდების დაკრედიტებასთან დაკავშირებულ ანგარიშგებასა და ინფორმაციის შესახებ.

6 კატეგორიის შეტყობინებები შეიცავს ინფორმაციებს უშუალოდ ძვირფასეულობების შესახებ:

- სავაჭრო დადასტურებები;
- უწყება/ინსტრუქციები გარიგებების შესახებ;
- საანგარიშგებო ინფორმაცია.

ასევე, სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციების საურთიერთობო უწყებას:

- მომსახურების შეჩერება/განახლების შესახებ,
- დადგენილი საპროცენტო განაკვეთების შესახებ.

7 კატეგორიის შეტყობინებები:

- ინფორმაციები სესხის გაშვების შესახებ,
- საკრედიტო ოპერაციებსა და გარანტიის წარმოდგენასთან დაკავშირებული ინსტუქციები და ანგარიშები.

ამ კატეგორიის შეტყობინებებზე არ გამოიყენება შეზღუდვა მხოლოდ ინგლისური ენით სარგებლობასთან დაკავშირებით.

8 კატეგორიის შეტყობინებები:

- საგზაო ქვითრების გაყიდვა/ანგარიშსწორების შესახებ,
- რეფინანსირება და მარაგის მართვა,
- ქვითრების ემიტენტებსა და რემიტენტებს (ფულის გამგზავნს) შორის,
- სავაჭრო და საგზაო ქვითრების რეფინანსირების აგენტებს შორის.

9 კატეგორიის შეტყობინებები:

- საბალანსო ანგარიშგების შესახებ (ინფორმაცია საფინანსო ოპერაციების რეგულირების, ბალანსის დეტალებისა და ოპერაციების შესახებ),
- კლიენტებისა და ორგანიზაციების გადამოწმების შესახებ.

n კატეგორიის (საერთო ჯგუფის) შეტყობინებები, აგებულია საერთო პრინციპით.

მაგალითი 1. კლიენტის გადარიცხვა (MT100) — ეს არის კლიენტის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დავალება, რომელიც უნდა შესრულდეს სხვა ბანკთან მიმართებაში, კლიენტის სასარგებლოდ.

შეტყობინება უნდა შეიცავდეს, როგორც სავალდებულო, ისე არსავალდებულო ველებს.

- სავალდებულო ველები:
  - 20: TRANSACTION REFERENCE NUMBER (გატარების ნომერი);
  - 30: VALUTE DATE, CURRENCY CODE, AMOUNT (ვალუტირების თარიღი, სავალუტო კოდი, თანხა);
  - 40: ORDERING CUSTOMER (კლიენტი-გადამხდელი);
  - 50: BENEFICIARY CUSTOMER (კლიენტი-მიმღები);
- არსებული, არასავალდებულო ველები:
  - 52S: ORDERING BANK (გადამრიცხველი ბაკი);
  - 56S: INTERMEDIARY BANK (შუამავალი ბანკი);
  - 70: DETAILS OF PAYMENT (გადახდის დეტალები);
  - 72: BANK TO BANK INFORMATION (საბანკო ინფორმაცია).

მაგალითი 2. "Damaqs nacionalbank" (კოპენჰაგენი) კლიენტი – "ampago"-ს განკარგულებით ახორციელებს 60.000 მარკის გადარიცხვას "ვესტდოიჩბანკის" (დიუსელდორფი) კლიენტის "Holland & co."-ის ანგარიშზე, ვალუტირების 1997წ. 15 მარტის თარიღით. S.W.I.F.T.-ის შეტყობინებას ექნება შემდეგი სახე:

სათაური	DDKNBDKKKA	ტერმინალის იდენტიფიკატორი + შეტყობინების რიგითი ნომერი
	100 02	შეტყობინების ტიპი, პრიორიტეტი
ტექსტი	WELDEDD	მიმღები ბაკი – "ვესტდოიჩბანკი"-ს კოდი
	:20:1005/WEN12176	ნომერი/გატარების რეკვიზიტი
	:32A:970315DEM60000	თარიღი, ვალუტა, თანხა
	:50.AMPAGO	კლიენტი – გადამრიცხველი
	PARK AVENU 34 COPENHAGEN	კლიენტის მისამართი
	:59:HOLLAND AND CO	კლიენტი – მიმღები
	STORNGASSE 32 D-4024 DUSSELDORF	კლიენტის მისამართი
მიერთება	- AUT/B1C3	

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, მიერთება ავტომატიზირებულია S.W.I.F.T.–თან მიერთების ტერმინალით. ტექსტისა და სათაურის შეტყობინება კი – ბანკის თანამშრომლებს შეყავთ, ველების შევსების წესების დაცვით.

S.W.I.F.T.-ის სტანდარტები და ტექნოლოგიები შეტყობინების ავტომატური დამუშავებისათვის გამოყენებითი პროგრამების შექმნის, წარმადობის ზრდისა და შეტყობინებების ხელით დამუშავებაზე დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

შეტყობინების მიწოდება დროის რეალურ რეჟიმში ხორციელდება,ამასთან მათი შემოწმება და ნამდვილობის დადასტურება სრულად ავტომატიზებულად ხორციელდება.

ქსელის სტრუქტურა. S.W.I.F.T.-ის ქსელი თავისთავად მონაცემთა გადაცემის სისტემაა, რომელიც საოპერაციო ცენტრებისაგან, აქტიური სისტემებისაგან, ე.წ. რეგიონალური პროცესორებისაგან (შეტყობინების კონცენტრატორებისაგან) და კავშირის არხებისაგან შედგება. საოპერაციო ცენტრები სისტემის მართვას და მის მონიტორინგს ახორციელებენ, დიაგნოსტიკური ინფორმაციების შეგროვებას და შეფერხებების შემდეგ ქსელის ელემენტების აღდგენას ასრულებენ.

S.W.I.F.T.-ის ქსელი ოთხდონიანი არქიტექტურის საფუძველზე არის აგებული და იგი სისტემური მართვის პროცესორით იმართება.

პირველი დონე — მომხმარებლის ტერმინალია, რომელიც ქსელთან მისაერთებლად გამოიყენება.

მეორე დონეს — რეგიონალური პროცესორები ასრულებენ და ისინი მომხმარებლებისაგან შეტყობინების მისაღებად და მათი ჯგუფურ პროცესორში პირველად დამუშავებისადმი მომზადების მიზნით წინასწარი შემოწმებისათვის გამოიყენება. რეგიონალური პროცესორი ჯგუფური პროცესორის ინსტრუქციებს ამუშავებს, შეტყობინების მიწოდებას და მომხმარებელთან ლოკალური კავშირის კონტროლს ახორციელებს. აღნიშნული სრულად ავტომატიზებული სისტემებია ყველა ფუნქციების 100% -იანი დუბლირებით. მოწყობილობების მახასიათებლები დასამუშავებელი შეტყობინების მოცულობაზე და მიერთებული ტერმინალების რაოდენობაზე არის დამოკიდებული.

მესამე დონეს — ჯგუფური პროცესორი წარმოადგენს. რამდენადაც S.W.I.F.T.–ის სისტემა რამდენიმე ჯგუფისაგან ფუნქციონალურ – დამოუკიდებელი მოდულებისაგან შემდგარი სტრუქტურის ბაზაზე არის აგებული, ჯგუფური პროცესორი შეტყობინების შენახვის, ოფიციალურ შეკითხვაზე ინფორმაციის მოძიების, ადრესატების რეგიონული პროცესორების მიხედვით ინფორმაციის განაწილების, სისტემური ანგარიშგებების გრძელვადიან არქივირებას და გენერაციის უზრუნველყოფას განაპირობებს.

მეოთხე დონეს - სისტემური მმართველობითი პროცესორი წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ მთლიანი სისტემის კონტროლსა და მართვის ფუნქციებს ასრულებს. სისტემის ზედა დონეზე შეტყობინებების დამუშავება არ სრულდება.

მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა: S.W.I.F.T.-ის სისტემაში უსაფრთხოების უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება, რაც საერთაშორისო საბანკო ქსელის მიერ მიწოდებული მომსახურეობის ხარისხს განსაზღვრავს. S.W.I.F.T.-ის საზოგადოებაში მთავარი ინსპექტორის სამმართველო არის შექმნილი, რომელიც მონაცემთა დაცვაში, უსაფრთხოების ღონისძიებათა დამუშავებაში და გაუმჯობესებაში სუსტი ადგილების მოძებნით არიან დაკავებულები. ფიზიკური და ლოგიკური ღონისძიებების კომბინირება უსაფრთხოებასთან მიმართებაში, აგრეთვე დაშიფრვის სხვადასხვა სახეობების გამოყენება S.W.I.F.T.-ის ქსელით მისი გადაცემის პროცესში შეტყობინების ცვლილების შესაძლებლობაზე აფრთხილებს. შეტყობინების გადაცემის ან მიმღების გარეშე მისი შინაარსის გაცნობა არავის არ შეუძლია.

განსაკუთრებით მკაცრი ღონისძიებებია გათვალისწინებული ტერმინალების მიერთების პროცედურის მიმართ. საკონტროლო სისტემური შეტყობინების ანალიზის საფუძველზე სისტემამ თითოეული მიერთებული ტერმინალი უნდა იცნოს, თითოეული მომხმარებლისათვის ინდივიდუალური საიდუმლო კოდით, (თითოეულ შემთხვევაში, გასაღებების ახალი ეთობლიობა შეირჩევა). აღნიშნულ ე.წ. გასაღებების გაცვლის პროცედურას წარმოადგენს. ქსელში ტერმინალის რეგისტრაცია ხორციელდება მხოლოდ ცნობის დადასტურების მიღების შემდეგ. ყველა კოდები და გასაღებები S.W.I.F.T.-ის ტერმინალში მიკროპროცესორიანი ბარათების (მბ) მეშვეობით შეიყვანება. დაცვის ერთ-ერთ ღონისძიებას რიგ შემთხვევებში წარმოადგენს სისტემის მიერ ტერმინალის ავტომატურად გამორთვა: არხში შეფერხებების ან წყვეტადობის, გადაცემაში არაერთგვარადი შეცდომების, არასწორი კოდის ან შეტყობინების ფორმატის, სისტემაში შესვლის პროცედურაში შეცდომების და ა.შ. შემჩნევის შემთხვევაში. ტერმინალის გათიშვის ყველა შემთხვევა სისტემის მიერ სპეციალურ ფაილში ავტომატურად რეგისტრირდება.

გარდა ამისა, უსაფრთხოების მაღალ დონეს შემდეგი პროცედურები უზრუნველყოფენ:

- თითოეული შეტყობინება სისტემაში საკუთარ შემავალ და გამომავალ ნუმერაციას ღებულობს, რომლის ზედამხედველობა S.W.I.F.T.-ის საშუალებით ხორციელდება;
- შეტყობინების ტექსტის გაშიფრვა სპეციალური მოწყობილობების მეშვეობით ხორციელდება;
- სისტემა შეტყობინებების გაცვლის შესახებ ანგარიშგებებს მომხმარებლებისათვის ავტომატურად ქმნის და მიაწვდის;
- თითოეული შეტყობინება აუტენტიფიკაციის სპეციალური გასაღებით მოწმდება.

რომელიმე პროცედურის დარღვევის შემთხვევაში ტერმინალის ავტომატურად გამორთვა ხდება.

S.W.I.F.T.-ის ქსელის მოთხოვნის შესაბამისად სისტემის ყველა მონაწილე შემდეგ ოთხ კატეგორიად (ფუნქციების შესრულების შესაბამისად) დაიყოფა:

- ფუნქციონალური მოდულების მომხმარებლად;
- მომხმარებლები, რომლებიც შეტყობინებისას გაგზავნაზე არიან პასუხისმგებლები და მონაცემების ბაზის დანართებთან მუშაობენ;
- ოპერატორები, რომლებიც S.W.I.F.T.-ის ქსელიდან სეანსების დაწყებას და დახურვას მართავენ. ისინი " დღის დასრულების" ოპერაციებს ასრულებენ და ანგარიშგებებისა და არქივების მომზადებას ახორციელებენ;
- სისტემის ადმინისტრატორები.

თითოეული კატეგორიის მომხმარებლებს ეკრანული ინტერფეისების ჯგუფის მხოლოდ მისთვის ნებადართულის შელწევის უფლება გააჩნიათ.


ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან მიმართებაში დამატებით ღონისძიებებს კატეგორიების შიგნით მომხმარებლების უფლებამოსილებების დაყოფადობის საშუალებები ემსახურება. გარდა ამისა, სისტემური შეფერხებებისაგან დაცვისათვის სისტემაში ინფორმაციის სარეზერვო კოპირება არის გათვალისწინებული. ამავე მიზნისათვის დისკების დუბლირება, აგრეთვე ძირითადი კომპლექსის ყველა ტრანზაქციის დუბლირებისათვის სარეზერვო ტერმინალური კომპლექსები არის გათვალისწინებული.

§ 5.2 მომხმარებლის ტექნიკური საშუალებები და პროგრამული უზრუნველყოფა

S.W.I.F.T. –ის მეშვეობით მიწოდებული ყველა შესაძლებლობებისა და უპირატესობების ეფექტიანად გამოყენებისათვის სპეციალიზებული აპარატულ- პროგრამული ინტერფეისი არის საჭირო. დღეს მსოფლიოში 100-ზე მეტი ფირმა ფუნქციონირებს, რომლებიც საერთაშორისო ფინანსურ ოპერაციების სისტემის მომსახურების ტერმინალურ კომპლექსებს თავაზობენ. საზოგადოება S.W.I.F.T. –I, მის ქსელში მუშაობისათვის დაშვებულ სერტიფიცირებულ ტერმინალური კომპლექსების სიას რეგულარულად აქვეყნებს. ფაქტიურად S.W.I.F.T.- ტერმინალი – საფოსტო სადგურია, რომელიც ქსელთან კავშირისათვის ინფორმაციის გაცვლის განსაზღვრულ ოქმს იყენებს.

§ 5.3 ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ტექნოლოგია

შეტყობინებებისა და ანგარიშსწორებების მოძრაობა S.W.I.F.T. -ით სარგებლობისას(იხ. ნახ. 12):



ნახ.12. შეტყობინებების მოძრაობის სქემა

ბანკის საერთაშორისო ანგარიშსწორების განყოფილებაში შუამავალი ბანკების ის მიმდევრობა განისაზღვრება, რომელთა მეშვეობით გადახდა უნდა განხორციელდეს. შეივსება და S.W.I.F.T.–ში შესაბამისი შეტყობინებების ელექტრონული ფორმები გადაიცემა, დამუშავებული შეტყობინებების არქივირება ხორციელდება და გაურკვეველი შეტყობინებების დამუშავება მიმდინარეობს.

კლიენტების საგადახდო დავალებები (Customer Transfer) შეიძლება კომერციული ბანკის კლიენტებიდან, მისი ფილიალების კლიენტებიდან ან სხვა ბანკების კლიენტებიდან, რომელთაც გახსნილი აქვთ სავალუტო საკორესპონდენტო ანგარიშები (ლორო ანგარიშები), აგრეთვე ბანკის ბულალტერიიდან შემოდიოდეს. შესაბამისად საწყისი საბუთები შეიძლება იყოს ქაღალდის ბლანკზე, ბანკი-კორესპონდენტიდან ფოსტით, ფილიალიდან ან ბანკი- კორესპონდენტიდან ელექტრონული ფორმით ან ტექსტურად, აგრეთვე ბანკის ბულალტერის განკარგულების სახით შეიძლება შემოვიდეს. საგადახადო დავალებები კლიენტთა მომსახურეობის განყოფილების ოპერაციონისტების მიერ მიიღება.

თითოეული ოპერაციონისტი – კლიენტების საკუთარ ჯგუფს ემსახურება. იგი ორგანიზაციის უფლებამოსილ პირთა ხელმოწერებსა და ბეჭდებს ადარებს ნიმუშებს. სიწორის შემთხვევაში მოწმდება კლიენტის ანგარიში. დავალების მიღების რეგისტრირების შემდეგ მისი ელექტრონული ფაილი იქმნება, რომელშიც შემდეგი ველები ივსება: საგადახადო დავალების ნომერი და თარიღი, კლიენტი-გამგზავნი, ვალუტის კოდი და კლიენტის დასახელება (კლიენტის ანგარიშის მიხედვით) ცნობარის ფაილიდან შეიტანება ან ხელით შეივსება, ამასთან ცნობარში შეყვანილი კოდის არსებობა მოწმდება. შეტყობინების მონაცემთა ბაზაში შეყვანა ფიქსირდება სტატუსით "დარეგისტრირებულია", ერთდროულად ხდება შესაბამისი ბულალტრული გატარებებისა და მემორიალური ორდერების მონაცემთა ფაილის ჩანაწერის ავტომატურად ფორმირება. ოპერაციონისტს ფორმირებული გატარებების სისწორის გაკონტროლების, კორექტივებისა და დამატებითი გატარებების დამატების შეტანის შესაძლებლობა აქვს.

რეგისტრაციის შემდეგ საგადახადო დავალება საკორესპონდენრო ანგარიშების განყოფილებაში გადაიგზავნება. ოპერაციონისტს შესაძლებლობა აქვს საგადახადო დავალებას საჭიროების შემთხვევაში ტექსტური კომენტირება გაუკეთოს. შემდგომში კლიენტის საგადახადო დავალება საკორესპონდენტო ანგარიშების განყოფილებას გადის. ნოს-

ტრო ანგარიშზე სახსრების არსებობის შეთხვევაში გადახდისათვის ვალუტირების თარიღი განისაზღვრება, რომელიც ქაღალდისა და ელექტრონულ საბუთში ფიქსირდება, რის შემდეგ საგადასახადო დავალება საერთაშორისო განყოფილებაში მიემართება.

საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და გადახდების განყოფილებაში ოპერატორის მიერ საბანკო ცნობარების მიხედვით შუამავალი ბანკების მიმდევრობა განისაზღვრება, რომელთა მეშვეობით გადახდა უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების მიმღები კორესპონდენტთან თანხვედრი არ არის.

კონტროლის განმხორციელებელ მუშაკს შესაძლებლობა აქვს საბუთი ოპერატორს კორექტირებაზე დაუბრუნოს. ამასთან კონტროლიორი კომენტარის ველში შესაბამისი ტექსტის შეყვანით, დაბრუნების მიზეზს ახსნის.

თუ შეტყობინებაში შეცდომები არ იქნება აღმოჩენილი, იგი S.W.I.F.T.-ში გადაცემისათვის მიემართება.შეტყობინების S.W.I.F.T.-ის ქსელში შეტყობინების გადაცემის შესახებ დადასტურების მოსვლის შემდეგ შეტყობინებას "არქივის" სტატუსი მიეკუთვნება. დასტური ბუღალტრული გატარებების შესრულების საფუძველს წარმოადგენს, რომელიც საგადახდო დავალების საფუძველზე იქნება ფორმირებული.

თავი 6. სისტემა "კლიენტი-ბანკი"

ბანკებს შორის პირდაპირი ანგარიშსწორების პერსპექტივები ელექტრონული კავშირის სისტემების კლიენტებისა და მომსახურე ბანკების ურთიერთობების მნიშვნელობასა და პერსპექტიულობას ადიდებს. საბანკო პრაქტიკაში, სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის არ არსებობასთან დაკავშირებით, ასეთი სისტემები სხვადასხვა მნიშვნელობის დასახელებით "კლიენტი-ბანკის", "ოჯახის ბანკირი", "Home Bank"-ი იწოდება. ასეთი სისტემები კომერციული ბანკების კლიენტების (იურიდიული და/ან ფიზიკური პირები) მიერ ბანკში გახსნილი საკუთარი ანგარიშების მდგომარეობის მართვისათვის, ასევე კრიპტოგრაფიული დაცვის დამატებითი (გარე) საშუალებების გამოყენებით ელექტრონული ინფორმაციით გაცვლისათვის გამოყენებაზე არის ორიენტირებული.

სისტემები კლიენტის მიერ თავიანთი ანგარიშების მეშვეობით უნაღდო ანგარიშსწორების კომპლექსური აღრიცხვისათვის, საჭირო საბუთების დაბეჭდვისათვის, შენახვისათვის, ინფორმაციების მოძიებისა და გადახედვისათვის გამოიყენება.

სისტემების მიერ შესრულებად ძირითად ფუნქციებს მიეკუთვნება:

- ბანკში გახსნილი ანგარიშებიდან სახსრების ჩამოწერის მიზნით საგადახდო დავალებების ფორმირება;
- კლიენტების (კონტრაგენტების) შესახებ, საქართველოს შესაბამის ბანკებში მათ ანგარიშსწორების ანგარიშებზე ინფორმაციების შექმნა, შენახვა, შეცვლა;
- საქართველოს ბანკების (ცნობარი) შესახებ, პირადი საბანკო ანგარიშების სახეობების შესახებ და მე-2 რიგის საბალანსო ანგარიშების შესახებ, კლიენტის საგადასახადო საბუთების მდგომარეობის შესახებ საცნობარო-ანალიტიკური ინფორმაციების მოპოვება;
- ბანკში გახსნილი ანგარიშების მდგომარეობის, ბანკის საოპერაციო დღის მიხედვით ბანკიდან ამონაწერების ჩათვლით აღრიცხვის წარმოება;
- ბანკის სისტემიდან ელექტრონული ამონაწარებით ანგარიშებზე სახსრების შემოსვლის შესახებ ინფორმაცია;
- ბანკისათვის თავისუფალი ფორმატის ინფორმაციების მოძიება;

- ნებისმიერი ანგარიშგების ფორმირება და გაცემა, აგრეთვე ანგარიშგებების გენერატორის გამოყენებით საკუთარი დამატებითი ანგარიშგებების შედგენა;
- ინფორმაციის კონფიდენციალობის, ინფორმაციის მოპოვებასთან მიმართებაში კონტროლისა და უფლებამოსილებათა დაყოფადობის უზრუნველყოფა.

სისტემები შესაძლებლობას იძლევა: მონაცემთა ბაზაში საგადასახადო დავალებების მათი, ნუმერაციის, თანხების, თარიღის ან უნიკალური გასაღების მიხედვით იდენტიფიცირების; კლიენტის (კონტრაგენტის) — კოდის, დასახელების, ბანკის კლიენტების შესახებ ინფორმაციის, ანგარიშსწორების ნომრის მიხედვით იდენტიფიცირების; ოპერაციის (გადახდის საბუთის) — ოპერაციის თანხის მიხედვით, საბუთის ნომრის მიხედვით, ანგარიშსწორების (მიმღების/გადამხდელის) ან ოპერაციის კოდის (ბანკის მონაცემთა ბაზაში საბუთების უნიკალური გასაღები) იდენტიფიცირება.


სისტემები ინფორმაციულ ბაზაში შეღწევის უფლებამოსილების წინასწარ განსაზღვრულ შესაძლებლობებს ფლობენ, რომლის დროსაც მომხმარებელს შეუძლია დაათვალიეროს ან მხოლოდ ის ინფორმაცია შეცვალოს, რომელიც მისთვის არის განკუთვნილი.

"კლიენტი-ბანკის" თითქმის ყველა სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა ახორციელებს:

- ბანკიდან ინფორმაციის შენახვას;
- ბანკიდან მიღებული და ბანკებში გადაგზავნილი ბოლო დაშიფრული ფაილების შენახვას;
- სისტემების საბაზისო მონაცემების ფაილების შენახვას;
- შაბლონების ფაილების შენახვას (გამოიყენება მონაცემთა ბაზიდან ან ბაზაში მონაცემების ექსპორტ/იმპორტის შემთხვევაში);
- ბანკიდან ფაილების შუალედური შენახვა და დამუშავებას. ასევე ბანკიდან მიღებული ყველა დაუმუშავებელი ფაილების შენახვას;
- ბანკში დამუშავებისათვის მომზადებული მონაცემების ფაილის შენახვას (ინფორმაციული);
- ფაილების, მაკროსებისა და ანგარიშგებების შენახვას;
- დასაშიფრი პაკეტის ფაილების შენახვას.

§ 6.1. სისტემასთან მუშაობა

ქვემოთმოყვანილ ნახაზზე სისტემის ექსპლოატაციის ციკლებია ნაჩვენები. დღის დასაწყისში ბანკთან ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით კავშირი ხორციელდება. მიღებულ ინფორმაციაში ანგარიშზე შემოსული სახსრების შესახებ ინფორმაცია, ბანკის სისტემიდან ამონაწერი, აგრეთვე ყველა ანგარიშების მიხედვით წინა დღის ამონაწერები არის ასახული. შემდგომ, ანგარიშებზე დასაშვები ნაშთების შესახებ მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, ზემოთაღნიშნული დასაშვები ნაშთების ფარგლებში საჭირო გახარჯვები იგეგმება. აღნიშნულის განხორციელების მიზნით მონაცემთა ბანკში საგადახდო საბუთების ფორმირება ხორციელდება. დაფორმირებული საბუთები მათი დაშიფვრის შემდეგ იგზავნება ბანკში. ბანკებიდან მოდის შეტყობინებები ბანკის მიერ საგადახდო საბუთების მიღების შესახებ კლიენტისაგან ბანკის მიერ საგადახდო საბუთების მიღების შესახებ ინფორმაცია იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ადრესატამდე (ბანკამდე) არის მისული. შემდგომში მათი დამუშავებისას ისინი ბანკის მიერ შეიძლება იქნას გადახდილი, ან უარყოფილი. საბუთების დამუშავების შესახებ აღნიშნული ინფორმაცია კავშირის მორიგი სეანსების მსვლელობისას ბანკის მიერ კლიენტზე იქნება გადაცემული(იხ. ნახ.13.).



ნახ. 13. ექსპლოატაციის ციკლები

საბუთების ფორმირება ბანკში გადაგზავნის მიზნით:

- მორიგი საოპერაციო დღის მონაცემთა ბაზაში (მბ) შეყვანა;
- დღიური საბუთების პაკეტის ფორმირება ბანკში გასაგზავნად;
- პაკეტში შესული საბუთების სისტემაში ჩატვირთვის განხორციელება;
- ბანკთან კავშირის დამყარება და კავშირის არხებით ინფორმაციის ბანკში გადაცემა;
- ბანკის მიერ საგადახდო საბუთების მიღების შესახებ ბანკიდან დასტურის მიღება.

შემდგომში ნაბიჯები 2) – 6)-ი საჭიროების შესაბამისად მეორდება. გარდა ამისა მუშაობის პროცესში ახალი კლიენტები-კონტრაგენტების შესახებ ინფორმაციების მონაცემთა ბაზაში შეყვანა შეიძლება გახდეს საჭირო.

§ 6.2 "კლიენტი-ბანკის" სისტემის შემადგენლობა

"ბანკი-კლიენტის" კომპლექსი ორ ნაწილს მოიცავს: პროგრამული პროდუქტი "კლიენტი", და პროგრამული პროდუქტი "ბანკი". სისტემის საბანკო ნაწილის ფუნქციებია:

- კლიენტის საგადახდო დავალებების ბაზის ფორმირება და კლიენტის ბანკთან მოცემული კავშირის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მისი ავტომატურად შეცვლა;
- კლიენტსა და ბანკს შორის ინფორმაციულ შეტყობინებებს, ფაილების მიღებისა და გადაცემისათვის კავშირის არხების შეცვლა;
- ერთი საბუთის ან საბუთების – ვალუტის კლიენტისათვის საინტერესო ნიშნებისა და პირობების შესაბამისად მოძიებისა და ამობეჭდვის მიზნით საარქივო საგადასახადო საბუთების ბაზის ფორმირება და გამოყენება;
- ანგარიშის მიხედვით (ან ანგარიშების მიხედვით) ინფორმაციის მომზადება;
- კლიენტისათვის ტექსტური შეტყობინების გადაცემა.

ბანკიდან შემოსული მთლიანი ინფორმაცია ბანკის ელექტრონული ხელმოწერის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გადაიცემა, ამიტომ ნებისმიერი მიღებული საბუთის დამუშავება მისი გაშიფრვისა და ბანკის ხელმოწერის შემოწმებით იწყება. მიღებული საბუთების სიიდან საჭიროს (აუცილებელი არ არის იგი იყოს პირველი) ამორჩევა ხდება

და სისტემა მიღებული საბუთის გაშიფრვას გვთავაზობს. გაშიფრვა დაშიფრვის ანალოგიურად ხორციელდება. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბანკიდან მიღებული საბუთის გაშიფრვა მხოლოდ იმ პირს შეუძლია, რომელსაც პირველი ხელმოწერის უფლება გააჩნია, ან პირს, რომელსაც მეორე ხელმოწერის უფლება გააჩნია.

ძირითადად საბანკო დაწესებულება კლიენტებს სამუშაო საათების განმავლობაში ემსახურება. მომსახურების 24 საათიან რეჟიმზე გადასვლისა და საბანკო დაწესებულების ხარჯების შემცირების პირველ ნაბიჯად ითვლება ბანკომატების გამოყენება. მოგვიანებით დაინერგა საბანკო მომსახურება ტელეფონით. ბოლოს, წარმოიქმნა ბანკთან ურთიერთობის ახალი ფორმა — სპეციალიზირებული სისტემა "ბანკი-კლიენტი". თავიდან ეს სერვისი ხორციელდებოდა მხოლოდ დახურული, გამოყოფილი არხებით, ამჟამად, აქტუალური ხდება ამ დანიშნულებით Internet-ის გამოყენება.

არსებობს კლიენტის ადგილზე საბანკო მომსახურების განხორციელების სამი მოდელი,

1. კლიენტის სამუშაო ადგილზე გამოიყენება სისტემა "ბანკი-კლიენტი", რომელიც დამუშავებულია თვით ბანკის მიერ ან პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი, სპეციალიზირებული ფირმის მიერ.
2. კლიენტის სამუშაო ადგილზე გამოიყენება შუამავალი ან სერვისის პროვაიდერის მიერ შექმნილი სტანდარტული პროგრამული საშუალება.
3. კლიენტის მომსახურების უზრუნველყოფა ხორციელდება Internet-ით. ამ შემთხვევაში ინტერფეისის როლს ასრულებს ინტერნეტ ნავიგატორის სტანდარტული პროგრამა, ქსელის როლს — Internet-ი.

საფინანსო ორგანიზაციებს ინტერნეტ ნავიგატორის პროგრამის საშუალებით შეუძლიათ კლიენტებისთვის მომსახურების ფართო სპექტრის მიწოდება:

- ნორმატიული და საცნობარო ინფორმაცია;
- ანგარიშსწორების ოპერაციები;
- ელექტრონული შეტყობინებები კლიენტსა და ბანკს შორის;
- პერსონალურ, საფინანსო ინფორმაციასთან დისტანციური დაშვება.

სისტემა "ბანკი-კლიენტის" გამოყენების არქიტექტურა ასეთია: ბანკი ყიდულობს (ან თვითონ ამუშავებს) სისტემას და შემდეგ, კლიენტს აწვდის სისტემასთან დაშვების უფლებას.

საფინანსო მომსახურების რეალიზაციის თვალსაზრისით სისტემა "ბანკი-კლიენტი" არ წარმოადგენს რაიმე, პრინციპიალურ სიახლეს. სისტემა "ბანკი-კლიენტი" საფინანსო დოკუმენტის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესიდან გამორიცხავს ქაღალდის ორგინალის ოპერატორზე გადაცემისა და მისი ელექტრონულ ფორმად გადაყვანის პროცედურას; ასევე, ავტომატიზირებულია ამ პროცედურის თანმხლები, იდენტიფიკაციისა და აუტენტიფიკაციის ოპერაციები. ხოლო შემდგომ, ელექტრონული ფორმის საბუთის დამუშავება – ქაღალდის საბუთის იდენტურია.

ამ სისტემის დანერგვისას, დაუყონებლივ არ უნდა ველოდეთ პირდაპირ ეკონომიას, პერსონალის შემცირების ან მსგავსი ღონისძიების ხარჯზე. ჩადებული კაპიტალის ამოღება მოსალოდნელია მოგვიანებით.

სისტემის ექსპლუატაცია საწყის ეტაპზე მოითხოვს თანხებს, ტექნიკის გამოყოფასა და სისტემის ასათვისებლად პერსონალის მომზადებას.

"ბანკი-კლიენტი" სისტემის უპირეტესობა საბანკო მომსახურების ტრადიციულ ფორმასთან შედარებით: სისტემაში "ბანკი-კლიენტი" ჩართვა ძირეულად ცვლის კლიენტის ბანკთან ურთიერთობის ფორმას.

საბანკო მომსახურების ტრადიციულ ფორმასთან შედარებით "ბანკი-კლიენტი" სისტემის ძირითადი უპირეტესობებია:

- კლინტთან ურთიერთობის 24 საათიანი ფორმის დამყარება და მასთან, შესაბამისი ფილიალის შენახვის ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება.
- კლიენტს ოფისიდან გაუსვლელად შეუძლია აწარმოოს საფინანსო ოპერაციები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ამ პროცედურას, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ქალაქების სატრანსპორტო პრობლემებს. გარდა ამისა, კლიენტს უჩნდება საშუალება ბანკი აირჩიოს მომსახურების ხარისხის მიხედვით და არა ტერიტორიალური პრინციპით.
- სისტემა "ბანკი-კლიენტის" გამოყენების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია გარე საბუთების ბრუნვის რეალიზაციისა და აღრიცხვის მტკიცე და საიმედო სისტემის გამოყენება. სისტემა "ბანკი-კლიენტი" ბანკთან მიმოქცევის, პრაქტიკულად, ყველა საბუთის ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა. ხშირად, ეს სისტემა წარმოადგენს ორგანი-

ზაციის შიდა საბუთების ბრუნვის ავტომატიზაციის პირველად წყაროს.

ამდენად, კლიენტთან საბუთების ბრუნვის ელექტრონული ფორმით შესაძლებელია საბანკო მომსახურების თითქმის მთლიანი სპექტრის ავტომატიზაცია.

სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები სისტემებისათვის "ბანკი-კლიენტი": არსებობს კომუნიკაციის მრავალი სისტემა, რომელიც გამოსადეგია სისტემისთვის "ბანკი-კლიენტი":

- საკუთარი საკომუნიკაციო საშუალებები;
- World Wide Web (WWW) – მსოფლიო ობობა;
- ელექტრონული ფოსტის სხვადასხვა სისტემები;
- კომუნიკაციის სპეციალიზებული საშუალებები.

თითოეულ მათგანს გააჩნია გარკვეული ნაკლი და შეზღუდვები, რაც ართულებს მათ მოხმარებას.

სისიტემის მუშაობის რეჟიმის შერჩევა საკმაოდ რთული საკითხია. ინფორმაციასთან დაშვების დანაწილებულ დონეებად ორგანიზების შემთხვევაში on-line რეჟიმში მომუშავე სისტემები განსაკუთრებით ხელსაყრელია. თუმცა, კავშირის არამდგრადი და არასაიმედო ხაზების პირობებში (რაც დამახასიათებელია ჩვენი პირობებისათვის) დანაწილებული დაშვების სისტემის მუშა მდგომარეობის უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები იმდენად იზრდება, რომ მისი მოხმარება აზრს კარგავს. გარდა ამისა, on-line სისტემების ექსპლუატაციისას საჭიროა 5-10 – ჯერ მეტი ფიზიკური და ვირტუალური ხაზები, ვიდრე off-line სისტემების გამოყენებისას.

პრაქტიკაში გამოიყენება კავშირის ყველანაირი სახეობა:

- კავშირის კომუტირებული სატელეფონო ხაზები (მათ შორის მობილური სატელეფონო კავშირები);
- კავშირის პირდაპირი, გამოყოფილი არხები (მათ შორის ოპტიკურ-ბოჭკოვანი);
- კავშირი თანამგზავრული არხებით.

ელექტრონული ფოსტის სისტემებს შორის, აღსანიშნავია ორი სისტემა, რომელიც ექვემდებარება საერთაშორისო სტანდარტებს:

SMTP (Internet-ის ფოსტა); X.400.

Internet-ის ქსელი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია არაკომერციული ინფორმაციის გადასაცემად, ამიტომ საბანკო სისტემის

მოთხოვნებს სრულად მხოლოდ X.400 პასუხობს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს კერძო საფოსტო სისტემებიც, რომელსაც შეუძლია სერვისის მხოლოდ ზოგიერთი, აუცილებელი სახეობის გამოყენება და ამასთან, სავსებით დააკმაყოფილოს კონკრეტული სისტემის მოთხოვნები.

შეტყობინების საჭირო საიმედოობის უზრუნველსაყოფად სტანდარტების ჯგუფში არსებობს სპეციალური ოქმი – "მონაცემების ელექტრონული გაცვლა" (Electronic Data Interchange – EDI), რომელიც აღწერს საფოსტო სისტემის აბონენტებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესებს და აღინიშნება X.435. ამ ოქმის ფუნქციაა ელექტრონული საბუთების საიმედო ტრანსპორტირების უზრუნველყოფა ერთი სამომხმარებლო სისტემიდან – მეორემდე, კონფინდენციალობის დაცვით.

ელექტრონული საბუთების მიმოქცევის სისტემების პროვაიდერები: სისტემა "ბანკი-კლიენტი"-ს მომხმარებელთა დიდი რაოდენობის პირობებში, ბანკისთვის თითქოს მომგებიანი უნდა იყოს საკუთარი საკომუნიკაციო სისტემის ექსპლუატაცია, მაგრამ როგორც სჩანს, უმჯობესია სპეციალიზებული პროვაიდერის მომსახურეობით სარგებლობა:

- კლიენტთა რაოდენობის მატება მოითხოვს კავშირის ხაზების რაოდენობისა და ხარისხის განუწყვეტელ ზრდას – ერთ სატელეფონო ხაზზე, შეერთების საკმარისი დროის უზრუნველსაყოფად, დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 30 აბონენტს. პროვაიდერს კი – შეუძლია კავშირის ხაზების მოცემულ მომენტისათვის საჭირო რაოდენობის უზრუნველყოფა.
- დაშორებული კლიენტების მომსახურება მოითხოვს IP ქსელებში ჩართვას, თუმცა ხშირად, ესეც არ იძლევა კლიენტის საიმედო კავშირის გარანტიას.
- სისტემა მკაცრ მოთხოვნებს აყენებს მისი ყველა კომპონენტის საიმედოობისადმი. საკუთარი, საკომუნიკაციო სისტემის აგებისას აუცილებელია სისტემის ყველა ელემენტის (სატელეფონო ხაზების, კომპიუტერების, საკომუნიკაციო მოწყობილობების) დარეზერვება, რაც საკმაოდ ზრდის მის თვითღირებულებას.
- ბანკს აღარ ექნება საკუთარი საკომუნიკაციო კვანძის შექმნის საჭიროება;

- პროვაიდერი უზრუნველყოფს კავშირის არხების საკმარის რაოდენობას, მოწყობილობებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მონტაჟს და ექსპლუატაციისას ტექნიკურ უზრუნველყოფას.

"ბანკი-კლიენტი" სისტემების განვითარების პერსპექტივები: მრავალ, სხვადასხვა ორგანიზაციაში წარმატებით ინერგება საბუთების ელექტრონული ბრუნვა, ამასთან დაკავშირებით მოსალოდნელია, რომ თანდათანობით სისტემა "ბანკი-კლიენტი" –ს ზოგიერთი ფუნქცია გადავა ორგანიზაციის ავტომატიზაციის შიდა რესურსებზე, რაც გამოიწვევს ეკრანული ინტერფეისის მნიშვნელოვან გამარტივებას; ამასთან, მკვეთრად გაიზრდება ამ სისტემით დასამუშავებელი საბუთებისა და სხვადასხვა გარე სისტემების რაოდენობა, რომელთანაც მოუწევს ურთიერთობა სისტემა "ბანკი-კლიენტი"–ს. ფაქტიურად სისტემა გარდაიქმნება საბუთების გარე მიმოქცევის უნივერსალურ კვანძად.

მისი ძირითადი ამოცანები იქნება:

- ურთიერთობა სხვადასხვა შიდა და გარე ავტომატიზებულ სისტემებთან;
- სხვადასხვა ტიპის საბუთების დამუშავება;
- მომხმარებელსა და მიმწოდებლს შორის საბუთების მარშრუტიზაცია, აუტენტიფიკაციისა და კრიპტოდაცვის შესაბამისი საშუალებების გამოყენებით;
- ურთიერთობა კომუნიკაციის სხვადასხვა სატრანსპორტო სისტემებთან, მათ შორის on-line / off-line რეჟიმებში მომუშავე სისტემებთან.

სისტემა "ბანკი-კლიენტი" გარდაიქმნება სერვისის აუცილებელ სახეობად, რომელიც უნდა გააჩნდეს ყველა სოლიდურ ბანკს. სხვადასხვა ორგანიზაციების ქაღალდის ფორმიდან ელექტრონული საბუთების მიმოქცევაზე თანდათანობით და გარდაუვალ გადასვლასთან დაკავშირებით, ეს სისტემა ბანკის შერჩევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება.

თავი 7. პირადი ანაბრების ავტომატიზაცია

§ 7.1. ფიზიკური პირების მომსახურების თავისებურებები

ფიზიკური პირების მომსახურეობა, თუკი მოსახლეობის დანაზოგების სიდიდეს გავითვალისწინებთ, საბანკო საქმიანობის მეტად პერსპექტიული მიმართულებაა. ამასთან ფიზიკური პირების მომსახურებას, იურიდიული პირების მომსახურებასთან შედარებით, რიგი პრინციპული განსხვავებები და თავისებურებები გააჩნია:

პირველ რიგში - მუშაობა კლიენტების დიდ ნაკადთან და რეალური დროის რეჟიმში არის საჭირო. აღნიშნული მდგომარეობა ამა თუ იმ სახის საგადახდო ოპერაციების შესრულების ხანგრძლიობაზე მკაცრ შეზღუდვებს განაპირობებს. კლიენტები საანაბრო პუნქტების ფანჯრების წინ რიგში არ უნდა იდგნენ, ხოლო ოპერაციონისტებმა ინფორმაციის რთულ დამუშავებაზე დრო არაწარმოებლურად არ უნდა დახარჯონ. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ბანკებისათვის, რომლებიც დიდი რაოდენობის მცირე მოცულობის ანაბრებს, საწარმოების სახელფასო პროექტებსა და კომუნალური გადახდების ოპერაციებს ემსახურება.

მეორე მხრივ - ოპერაციონისტების მიერ მცირე რაოდენობის ტიპიური ოპერაციების ხშირი გამეორება, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ: ანგარიშების გახსნა და დახურვა, ანგარიშთან მიმართებით შემოსავლისა და გასავლის ოპერაციები, ბარათებზე, წიგნაკებზე, დეპოზიტურ ხელშეკრულებებზე, შემოსავლებისა და გასავლების ორდერებზე ბეჭდების დასმა, ანაბრების პროლონგაცია და მათი ვადამდე ადრე დარღვევა.

მესამე - ფიზიკური პირების მიმდინარე და დეპოზიტურ ანაბრებზე პროცენტების მირიცხვის პირობები და ხერხები დიდი ნაირსახეობით გამოირჩევა. კლიენტების უფრო ეფექტიანად მოზიდვის მიზნით ბანკები ცდილობენ პროცენტების დარიცხვის პირობები რაც შეიძლება უფრო მრავალფეროვანი გახადონ. პრაქტიკულად თითოეულ მსხვილ ბანკს პროცენტების სტანდარტულ ალგორითმებში, რაღაც საკუთარი ცვლილება შეაქვს. ამასთან ბანკების უმეტესობა მიისწრაფის იქეთკენ, რომ მათ პროცენტების დარიცხვის კონკრეტულ პირობებზე, ანგარიშების შესაბამისად აწყობის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

მეოთხე ქაღალდის საბუთებთან მუშაობაზე სტანდარტების არ არსებობა. სხვადასხვა ბანკებში ფიზიკურ პირებთან მუშაობისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელშეკრულებები, ბარათები და მეანაბრეების წიგნაკები, ამონაწერები ანგარიშებიდან, ნებისმიერი ფორმის შემოსავლისა და გასავლის ორდერები. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველ მესამე ბანკს ფიზიკური პირების მომსახურეობისათვის საკუთარი უნიკალური საბუთების კომპლექსი აქვთ შემუშავებული და მათ პრაქტიკაში წარმატებით იყენებენ.

მეხუთე ბანკების უმეტესობაში ანაბრების პროლონგაციის რთული სისტემების არსებობა. პირობები, რომელთა მიხედვით ანაბრის პროლონგაცია ხორციელდება, შეიძლება ანაბრის ვადაზე და თანხაზე იყოს დამოკიდებული, კლიენტის სიტყვიერი ან წერილობითი განკარგულებებზე და რიგ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

მეექვსე - კლიენტების ზოგირთი კატეგორიის ზედმეტი ეჭვიანობა. ასეთ კლიენტებს მუდმივად ელანდებათ, რომ მათ ანგარიშზე პროცენტები სწორად არ არის დარიცხული და ნაშთები მათ ანგარიშზე ნაკლებია, ვიდრე უნდა ყოფილიყო.

მეშვიდე თანამედროვე პირობებში ბანკების უმეტესობა საბანკო ბარათების სხვადასხვა სისტემებთან მუშაობაში არიან ჩართულები. აღნიშნული გარემოება ჩვეულებრივი მიმდინარე ანგარიშების ყველა თვისებების მქონე საბარათე ანგარიშების გამოყენებას მეტად აქტუალურს ხდის.

მერვე - ბანკების უმეტესობაში მათ მიერ კლიენტებზე სხვადასხვა საბანკო მომსახურების მიწოდებისათვის კერძო პირებისაგან საკომისიოების აღების მოქნილი სისტემის არსებობა.

მეცხრე მეანაბრის კაპიტალის მართვის კონცეფციის განვითარების აუცილებლობა. საერთო ჩარჩოებში აღნიშნული კონცეფცია ერთი მეანაბრის სხვადასხვა ვალუტიანი ანგარიშების ჯგუფისათვის თვით მეანაბრისათვის ყველაზე უფრო მეტი შემოსავლიანობის მიღების თვალსაზრისით მართვას ითვალისწინებს.

მეათე ზოგიერთი ბანკი ცდილობს, რომ თავიანთ კლიენტების მომსახურება ყველა განყოფილებაში და ცენტრებში განახორციელონ, მიუხედავად იმისა თუ სად იყო კლიენტის პირადი ანგარიში გახსნილი.

მეთერთმეტე - ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკის და საგადასახადო ინსპექციების წინაშე ანგარიშგების მრავალი ფორმა არსე-

ბობს, რომლებიც მხოლოდ ფიზიკური პირების ანგარიშებთან არის დაკავშირებული. ამასთან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის ინსტრუქციის არასაკმარისად გამართულობის გამო ხშირად ბანკების მხრიდან ამა თუ იმ ანგარიშგების ფორმების გაანგარიშებისადმი მეტად არსებითი განსხვავებები არსებობს.

მეთორმეტე - ბანკების უმეტესობა თავიანთი ქვედანაყოფების (პუნქტები, სერვის ცენტრები) საქმიანობის ანალიზისათვის ანგარიშგებისა და საქმიანობის შეჯამებისათვის არატრადიციულ ფორმებს იყენებენ.

მეცამეტე- ფიზიკური პირების ანაბრებთან მუშაობისას, ანაბრების მფლობელების გარდა, ასევე ნდობით აღჭურვილი პირების შეუზღუდავი რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობაც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომლებსაც სრული მოცულობით, ნაწილობრივ ან მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდით ანგარიშზე არსებული სახსრების განკარგვა შეეძლებათ.

ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებები ავტომატიზებული სისტემის შექმნის დროს შეიძლება იქნას გათვალისწინებული, რაც ბანკის საცალო ოპერაციებს მოიცავს და ისინი ინტეგრირებული პროგრამული კომპლექსის შემადგენლობაშია შესული.

§ 7.2. პირადი ანაბრების სისტემები

ავტომატიზებულ საბანკო სისტემებში (ასს) ფიზიკური პირების საანაბრო ოპერაციებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა ან ცალკე ქვესისტემის ან მისაერთებელი მოდულის სახით არის გამოყოფილი. მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს, როგორც შესრულებად ფუნქციებში, ასევე ისეთი სახის ნაირსახეობაში, რასაც პირადი ანაბრების სისტემების შედარებისას, სირთულეებთან მივყავართ. ამიტომ ქვემოთ მოვიყვანთ ზოგიერთი სისტემის მოკლე აღწერას მათი შედარების გარეშე.

§ 7.2.1. ფირმა "A-СОФТ"-ის პირადი ანაბრების წარმოების ქვესისტემა

ქვესისტემა ბანკის ნებისმიერ განყოფილებაში საბანკო სისტემასთან ინტეგრირებულ ისეთ ამოცანებს ასრულებს, როგორებიცაა:

- ხელშეკრულების დადების;
- ანგარიშების მომსახურეობის;
- ანგარიშების ფორმირების;
- მომსახურების პირობების დადგენისა და შემდგომი კორექციის.

ქვესისტემის მიერ გადაწყვეტილი ამოცანების დეტალიზაციის შესაძლებლობები არსებობს.

ანგარიშების მომსახურეობა:

- მიმდინარე (მოთხოვნამდე);
- ვადიანი და დაგროვებადი;
- საბანკო ბარათების სპეციალური ანგარიშები.

ანგარიშების ფორმირების:

- პირადი ანგარიშების ჭრილში;
- ხელშეკრულების;
- მომსახურების პირობების;
- განყოფილებების;
- ვალუტებისა და საბალანსო ანგარიშების.

მომსახურების პირობების დადგენა და შემდგომი კორექციები:

- ხელშეკრულებების ტიპების;
- პირადი ანგარიშების;
- საპროცენტო განაკვეთებისა და პროცენტების დარიცხვის სქემების კორექცია;
- ოპერაციის მინიმალური და მაქსიმალური თანხები;
- შეტანისა და დამატებითი შენატანების თანხების ვადები;
- ანგარიშებზე მინიმალური და მაქსიმალური ნაშთების თანხები;
- კლიენტების – ფიზიკური პირების ბანკის სალაროსთან ერთობლივად ბანკის ნებისმიერ განყოფილებაში საკასო მომსახურება;
- კლიენტების ანგარიშებიდან დადგენილი პერიოდულობით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებაზე ხელშეკრულებების დადება;
- კლიენტის პირადი ანგარიშის გახსნის გარეშე ბანკის სალაროს მეშვეობით კომუნალური გადასახადების მიღება;

- პროცენტების დარიცხვის სხვადასხვა სქემების გამოყენება. ხელშეკრულების მომსახურების პირობების შესაბამისად ანაბრებზე პროცენტების ავტომატურად და ხელით დარიცხვა;
- კლიენტის სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევაზე ჯარიმების, საკომისიოებისა და მოსაკრებლების დარიცხვა;
- კლიენტის ინიციატივის საფუძველზე ხელშეკრულების ვადამდე ადრე გაწყვეტისას დარიცხული პროცენტების დაბალი განაკვეთით გადაანგარიშება;
- კლიენტის დამატებით ანგარიშზე მარტივი სქემით დარიცხული პროცენტების ჩარიცხვა;
- ხელშეკრულების მიხედვით ნაშთების სახელშეკრულებო ვადის გასვლის დასრულების შემდეგ, ან მომსახურების ვადის განმავლობაში ნაშთების გადატანის დადგენილი გრაფიკის შესაბამისად სხვა პირად ანგარიშებზე გადატანა;
- სისტემის კლიენტების ანგარიშებზე უნაღდო ოპერაციების ჩატარება;
- ბანკის ბუღალტერიისათვის კლიენტების დეპოზიტურ ანგარიშებზე ფინანსური ანგარიშგების ფორმირება;
- მემორიალური ორდერებისა და საგადახდო საბუთების ბანკის საოპერაციო დღეში ექსპორტი.

§ 7.2.2. ფირმა БИС-ის "პირადი ანაბრების " მოდული

მოდული კერძო პირების ლარისა და სავალუტო ანაბრების ხელშეკრულებების მომსახურებისათვის არის გათვალისწინებული. მოდული საანაბრო ოპერაციების ანალიტიკური აღრიცხვის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა შემდეგ ჭრილში:

- კლიენტების;
- საანაბრო ოპერაციების;
- საკრედიტო ორგანიზაციის ტარიფების ფიზიკური პირებიდან სახსრების მოზიდვის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- პროცენტების დარიცხვის პირობების.

მოზიდულ სახსრებთან დაკავშირებით ანგარიშგების ფორმების და საბაზისო მოდულის ყველა საშუალებებისა და მექანიზმების ანგარიშებთან და საბუთებთან მუშაობისათვის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

მოდულში პროცენტების დარიცხვის ჯგუფური ოპერაციების შესრულებისა და ვადიანი ანაბრების პირობების ჯგუფური ცვლილებების შესრულების შესაძლებლობები არსებობს.

§ 7.2.3. ფირმა ДИАСОФТ-ის კერძო პირების მომსახურების Diasoft RETAIL 4X4 SB სისტემა

სისტემა კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების დეპოზიტებთან და კრედიტებთან, შემნახველი ბანკის ფილიალებში და განყოფილებებში და საპენსიო ფონდებში მუშაობისათვის გამოიყენება. სისტემა უზრუნველყოფს:

- მიმდინარე საბანკო კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობას;
- მრავალფილიალიანი საბანკო სტრუქტურის მუშაობას;
- ნებისმიერ ეროვნულ ენაზე მუშაობას;
- კერძო პირების ნებისმიერი სახის ანაბრის მომსახურებას;
- ანგარიშებისა და ხელშეკრულებების მიხედვით ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთების, აგრეთვე მომსახურებაზე საკომისიოს გაანგარიშებას;
- მოსახლეობიდან კომუნალური გადასახადების მიღებას;
- კომუნალური გადასახადებისა და სხვა ნაღდი გადარიცხვების რამოდენიმე სამუშაო ადგილზე მიღებას მათთან საკასო აპარატების მიერთებით;
- მოსახლეობის ფასიანი ქაღალდების შეძენა/გაყიდვას;
- მრავალფეროვანი საგადახდო: eurpay, visa სისტემებთან ინტეგრაციას;
- კლიენტების სახლში მომსახურების სისტემებთან ერთობლივ მუშაობას;
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე და კრედიტებზე სახსრების პროგნოზირება და დარეზერვება;
- კლიენტების ანგარიშებზე ნებისმიერ დროით ინტერვალში სახსრების მოძრაობის პროგნოზების აგება.

§ 7.2.4. ფირმა ИНВЕРСИЯ –ს "პირადი ანაბრების " ქვესისტემა

სისტემა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Vista-ს იყენებს. მისი ფუნქციონალური შესაძლებლობები ფიზიკური პირების მომსახურე-

ბის ამოცანების დროის რეალურ რეჟიმში გადაწყვეტას უზრუნველყოფს, ეს ამოცანებია:

- ადაპტაციის შესაძლებლობა უმეტეს ბანკებში მიღებული კლიენტების მომსახურების ტექნოლოგიის გათვალისწინებით;
- სხვადასხვა ბანკებში მიღებული პროცენტების დარიცხვის მრავალფეროვანი სქემებით გაანგარიშება;
- დეპოზიტური ხელშეკრულებების ვადამდე ადრე შეწყვეტა და პროლანგაციის მრავალფეროვანი ხერხები;
- ინტერფეისის საბარათე საგადახდო სისტემებთან მხარდაჭერა;
- სხვადასხვა ვალუტაში ნებისმიერი რაოდენობის ანგარიშების გახსნა;
- ბუღალტრული ანგარიშგებების ფორმირება როგორც მთლიანად ბანკში, ასევე ცალ-ცალკე ნებისმიერ მის საანაბრო პუნქტში;
- დაშორებული საანაბრო პუნქტების offline, online რეჟიმებში ფუნქციონირების ავტომატიზაცია.

სისტემაში ბანკის დეპოზიტური რესურსების შეფასების სპეციალური მოდული არის ჩართული. გააჩნია მონაცემების ექსპორტ/იმპორტის სტანდარტული ინტერფეისები "ბანკის ოპერაციული დღის" ავტომატიზებულ სისტემაში და სხვა პროგრამულ კომპლექსებში.

§ 7.2.5. ფირმა "კვორუმის" "პირადი ანაბრების აღრიცხვის" ქვესისტემა

ქვესისტემის დანიშნულებაა ფიზიკური პირების მომსახურების ოპერაციების ავტომატიზაცია. ასეთი ოპერაციებია:

- პირადი ანაბრების აღრიცხვა;
- საბანკო ბარათების მომსახურება;
- ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები;
- ოპერაციები ხელშეკრულებით;
- ხელშეკრულების მიხედვით სახსრების მოძრაობის გეგმის დათვალიერება;
- მასიური ოპერაციები ხელშეკრულებების მონიშნული სიის მიხედვით;
- ხელშეკრულების მიხედვით სტანდარტული ოპერაციები;
- სხვადასხვა ტიპის პირადი ანაბრების ხელშეკრულების მომსახურება;

- მეანაბრის ბარათის დაბეჭდვა მისი სკანირებული ხელმოწერის დათვალიერების შესაძლებლობით;
- ანაბარზე ანდერძის გაფორმება;
- მინდობილობისა და ანდერძის დაბეჭდვა;
- ანაბრის შევსებაზე ან ანაბრის გამოყენებაზე მინდობილობის გაფორმება;
- საანაბრო წიგნაკის გაცემა და აღნიშნული ოპერაციის გარესაბალანსო ანგარიშზე ასახვა;
- საჭირო ბუღალტრული საბუთების ფორმირება;
- გარე სისტემებიდან მეანაბრეების, ხელშეკრულებებისა და ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ჩატვირთვა;
- ოპერაციონისტის მიერ შემთხვევით წაშლილი საბუთების აღდგენა;
- საკომისიო გადახდების მიღება.

ხელშეკრულების მიხედვით სახსრების მოძრაობის გეგმის დათვალიერება ითვალისწინებს:

- პროცენტების დარიცხვას;
- პროცენტებს სხვა ხელშეკრულებებიდან;
- გეგმიურ გადახდებს.

მასიური ოპერაციები ხელშეკრულებების მონიშნული სიის მიხედვით ითვალისწინებენ:

- ნაღდი ფულის მიღება/გაცემას;
- პროცენტების მოხსნას;
- ყველა სახსრების მოხსნას;
- პროცენტების დარიცხვას ხელშეკრულების მიხედვით;
- პროცენტების გადახდას სპეციალური ანგარიშებიდან;
- პერსონალური საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ყველა ხელშეკრულებების მიხედვით;
- ოპერაციების აწყობას.

ხელშეკრულებების მიხედვით სტანდარტული ოპერაციები მოიცავენ:

- ნაღდი ფულის ოპერაციებს (მიღება/გაცემა);
- უნაღდო ოპერაციებს(შიდა საბანკო):
- ბანკთაშორის გადარიცხვას;
- პროცენტების დარიცხვას;
- პროცენტების გადახდას სპეციალური ანგარიშებიდან სალაროს მეშვეობით;

- სახსრების სხვა ხელშეკრულებაზე გადაყვანას;
- კონვერსიას ხელშეკრულებიდან ხელშეკრულებაზე.

რეგლამენტური ოპერაციები ხელშეკრულების მიხედვით მოიცავენ:

- პროცენტების სპეციალური ანგარიშებიდან ანაბარზე გადარიცხვას ზოგიერთი პირობების შესრულების შემთხვევაში.

სხვადასხვა ტიპის პირადი ანაბრების ხელშეკრულების მომსახურება:

- ჯამურ ანგარიშებზე;
- თითოეული სახის ანაბრებისათვის;
- ცალკე ანგარიშზე.

ოპერაციები ხელშეკრულებების მიხედვით:

- ხელშეკრულების რეგისტრაცია;
- ხელშეკრულების პროლანტაციას;
- ხელშეკრულების გადაფორმებას;
- ხელშეკრულების დახურვა და ხელმეორედ გახსნა;
- ხელშეკრულებაზე ყადაღის დადება ყველა ოპერაციების შესრულების ბლოკირებით;
- ყადაღის მოხსნა;
- სახელფასო ხელშეკრულებების მომსახურება;
- სახელფასო ხელშეკრულებების აწყობადი დაჯგუფება (მაგალითად, ორგანიზაციების ჭრილში);
- ხელშეკრულებების მომსახურება ჯამურ ანგარიშზე ან ცალკე პირად ანგარიშზე;
- ხელშეკრულებების სხვა საბალანსო ანგარიშზე გადატანა მისი მოქმედების ვადის შეცვლით;
- ხელშეკრულებიდან გეგმიური გადახდების შესრულება (შიდასაბანკო და ბანკთაშორისი);
- ხელშეკრულების მიხედვით პერსონალური საპროცენტო განაკვეთით მომსახურება;
- ბარათის დაბეჭდვა ხელშეკრულების მიხედვით;
- ხელშეკრულების დაბეჭდვა;
- ხელშეკრულების პარამეტრების კორექტულობის შემოწმება ანგარიშის ნომრის შედგენის წესის მიხედვით.

ავტომატიზებული გაანგარიშება ანაბრის ტიპის შესაბამისად:

- რეზიდენტი/არარეზიდენტი;
- ხელშეკრულების ვადა;

- საბანკო ბარათი;
- განყოფილების კოდი.

საპროცენტო განაკვეთები:

- ანაბრის სიდიდეზე და მის ვადაზე დამოკიდებული;
- ფიქსირებული;
- მცოცავი;
- ინდექსირებადი;
- პერსონალური.

კომუნალური გადასახადების მიღება:

- გადახდის შაბლონის შერჩევა მიმღების სახელწოდებისა და მისი რეკვიზიტების შესაძლებლობით;
- ქვითარში პოზიციური ჩაბეჭდვა ან ბანკის საკუთარი ქვითრის დაბეჭდვა;
- ჯამური რეესტრების დაბეჭდვა გადახდების ტიპების მიხედვით;
- ჯამური საგადასახადო საბუთების საოპერაციო განყოფილებაში გადაცემა.

ტიპიური ანგარიშგებების ფორმირება:

- დღიური საგადახდო საბუთების რეესტრები შემსრულებლების ან შემსრულებელთა ჯგუფის მიხედვით;
- პროცენტების დახურვის უწყისი;
- ხელშეკრულებებიდან გეგმიური გადარიცხვების შესრულება;
- პროლანგაციის გარეშე ხელშეკრულებები;
- ხელშეკრულებების მიხედვით ნაშთები მე-2-ე რიგის ანგარიშებისა და ვალუტების ჭრილში;
- ხელშეკრულების მიხედვით ნაშთები მომსახურების სქემის შესაბამისად;
- საბალანსო ანგარიშების გაშიფრვა ვადების მიხედვით;
- გადახდების კალენდარი ხელშეკრულებების მიხედვით;
- პროცენტების დარიცხვის პროგნოზი;
- ანალიტიკური ანგარიშგება შემოსავლიანობის დაანგარიშებისათვის.

სტანდარტული ანგარიშგების ფორმირება:

- ეროვნული (ცენტრალური) ბანკისათვის სავალდებულო ანგარიშგება;
- სახელმწიფო საგადასახადო სამსახურისათვის ცნობები და რეესტრები;
- საგადახდო საბუთების ყველა ტიპების მიხედვით ყოველდღიური რეესტრები;

- შიდასაბანკო ანგარიშგებები ქვედანაყოფის შემოსავლიანობის ანალიზისათვის;
- განყოფილების პირადი ანაბრების ყოველდღიური ანგარიშგების;
- პროგნოზური ანგარიშგებები ხელშეკრულების მიხედვით პროცენტების დარიცხვისა და სახსრების მოძრაობის შესახებ.

"პირადი ანაბრების აღრიცხვის" ქვესისტემას შეუძლია იმუშაოს, როგორც საბაზისო ქვესისტემასთან მონაცემების ერთ ბაზაზე დროის რეალურ რეჟიმში, ასევე ავტონომიურადაც მონაცემების ცალკე ბაზაზეც (დაშორებულ განყოფილებებში).

"კვორუმის" სისტემაში ხელშეკრულებების დამუშავების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გამოიყენება ისეთი ცნება, როგორიცაა ხელშეკრულების მომსახურების სქემა. მომსახურების სქემაში შეიტანება რეკვიზიტები, რომელთაც ხელშეკრულებების ჯგუფისათვის ერთნაირი მნიშვნელობები შეიძლება ჰქონდეთ. მომსახურების სქემა თავისთავში შემდეგი პარამეტრების ნაერთს მოიცავს:

- მომავალი პერიოდების შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშებს;
- ანაბრებისათვის და "ბანკის ვალდებულებებს პროცენტების გადახდასთან დაკავშირებით" ჯამურ ანგარიშებს;
- განაკვეთების ინდექსაციას შენახვის ვადიდან და თარიღიდან;
- ხელშეკრულების მოქმედების ხანგრძლივობას (ხელშეკრულების თარიღის დასრულების ავტომატურად გაანგარიშებისათვის);
- მოცემული სქემით მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით ნებადართულ ოპერაციების ჩამონათვალს;
- ხელშეკრულების ავტომატიზებული ნუმერაციის წესები, მათ შორის განყოფილებების ჭრილში;
- სხვადასხვა ტიპის ოპერაციების მიხედვით საკომისიოების აღების პირობები;
- ვალუტაში საკომისიოს სკალის მომსახურებას, რომელიც ხელშეკრულების ვალუტისაგან განსხვავებულია.

განაკვეთების ტიპებია:

- ფიქსირებული/დონებიანი/ინტერვალებიანი;
- წლიური/თვიური/მოთხოვნამდე;
- ცალკეული განაკვეთები ვადიანი და ვადაგადაცილებული ხელშეკრულებებისათვის და ვადამდე ადრე გამოთხოვის განაკვეთები.

პროცენტების გადახდის ხერხი:

- კაპიტალიზაცია;

- სპეცანგარიშზე დარიცხვა შემდგომში მისი ხელშეკრულებასთან მიერთებით ან სალაროს მეშვეობით გადახდით;
- პროცენტების დარიცხვა მეანაბრის სხვა ხელშეკრულებაზე;
- პროცენტების დარიცხვა დილის/საღამოს ტარიფით;
- გეგმიური დარიცხვის პერიოდულობა;
- საანგარიშო პერიოდების გამოთვლა წლის დასაწყისიდან ან ხელშეკრულების დასაწყისიდან;
- პროცენტების დამრგვალების სიზუსტე.

სისტემა პირად ანგარიშებთან და ნაშთებთან დროის რეალურ რეჟიმში მუშაობს. სისტემაში პროცენტების დარიცხვისა და გატარებების ბუღალტრული სქემის ალგორითმი არის რეალიზებული, რომელიც შესაბამისი ინსტრუქციითა და დებულებით არის გათვალისწინებული. სისტემაში სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის დებულების მოთხოვნები არის რეალიზებული, ანაბრების მიხედვით მატერიალური სარგებლის გადასახადით დაბეგვრის შესახებ.

§ 7.2.6. ფირმა მიმ-ის "MIM-Saving" სისტემა

სისტემის ტექნილოგია კომერციულ ბანკებში მეანაბრეების ფულადი სახსრების მომსახურების ყველა სახეობის მიხედვით, ოპერატიულ სააღრიცხვო და ანალიტიკურ მუშაობის გამოყენებაზე არის ორიენტირებული.

სისტემა საბანკო ინფორმაციის დამუშავების გამოთვლითი ქსელის ჩამოყალიბების საფუძველი შეიძლება გახდეს, რომელიც ბანკის დაწესებულებებს, მის ფილიალებსა და განყოფილებებს მოიცავს. სისტემა მოსახლეობის ანაბრებთან ბანკის საოპერაციო –სააღრიცხვო მუშაობის კომპლექსური განხორციელებისათვის არის განკუთვნილი და იგი უზრუნველყოფს:

- მეანაბრეთა ანგარიშების მომსახურებას;
- სხვადასხვა სახის ოპერაციების განხორციელებას;
- საკასო ოპერაციებს შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებით;
- უნაღდო გადარიცხვების ოპერაციებს;
- ბანკის საბალანსო ანგარიშების მდგომარეობისა და საქმიანობის ანალიზს;
- საანგარიშგებო და საცნობარო საბუთების დაბეჭდვას;

- ნორმატიულ-საცნობარო და საკლასიფიკაციო ინფორმაციის შექმნას, შენახვასა და მომსახურებას;
- კლიენტებისა (მეანაბრეების) და მათი პირადი ანგარიშების შესახებ მუდმივი ინფორმაციის შექმნას, შენახვას და მომსახურებას;
- სხვადასხვა ტიპის საბუთების შეყვანას;
- შესაყვანი საბუთების კონტროლს;
- სხვადასხვა ტიპის ანაბრების მიხედვით პირადი ანგარიშების წარმოება;
- შიდასაბანკო ანგარიშების მომსახურება;
- ყველა რეგლამენტირებული ანგარიშგებების ფორმირება და გაცემა;
- დამატებითი ანგარიშგებების ფორმირება და შედგენა;
- ბანკის საქმიანობის შედეგების ანალიზი;
- ანაბრების შესახებ მდგომარეობის პროგნოზი მომავალი პერიოდისათვის;
- სხვა სისტემებთან მონაცემების გაცვლა;
- ფილიალებთან ან განყოფილებებთან ინფორმაციის ტელეკომუნიკაციური გაცვლის უზრუნველყოფა.

არსებობს შემდეგი სახის საბუთები:

- შემოსავლისა და გასავლის ორდერები;
- ორდერები უნაღდო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით;
- ორდერები პროცენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

შესაყვანი საბუთების კონტროლი ხორციელდება:

- გაფორმების სისწორეზე;
- შევსების სისრულეზე;
- "წითელ სალდოზე";
- დახურულ ანგარიშებზე ოპერაციების განუხორციელებლობაზე.

სხვადასხვა ანგარიშების მომსახურება(გაძღოლა) ითვალისწინებს ავტომატურ ფორმირებას:

- დღიური, თვიური, კვარტალური, წლიური ბრუნვების;
- ანაბრებზე პროცენტების ავტომატურად გაანგარიშებას.

სისტემა ფაქტიურად არის ოპერაციონისტის სამუშაო ადგილი საანაბრო ოპერაციების მიხედვით (მოლარისა და კონტროლიორის) ბუღალტერის, ეკონომისტის, ბანკის ხელმძღვანელის.

§ 7.2.7. ფირმა სკილ-ის ანაბრებთან ოპერაციების მოდული

ეს სისტემა მოქალაქეთა პირადი ანაბრებთან მუშაობისათვის არის გათვალისწინებული. მოდული ახორციელებს:

- საბუთების ფორმირებას;
- საბუთების ავტორიზაციისას შესაბამის ანგარიშებზე გატარებების გენერაციას;
- გამომავალი ფორმების ფორმირებას;
- პროცენტების სქემის აწყობას;
- სადეპოზიტო ხელშეკრულებების შექმნას.

აღნიშნული ფუნქციების შესრულება ხორციელდება განსაზღვრული ოპერაციების შესრულების პირობებში.

საბუთების ფორმირება ხორციელდება:

- ხელშეკრულების დადებისას;
- პირადი სახსრების მეანაბრის ანგარიშზე შეტანისას;
- ანგარიშის დახურვისას.

პროცენტების სქემის აწყობა განსაზღვრავს:

- პროცენტების დარიცხვისა და კაპიტალიზაციის წესს;
- პროცენტების დარიცხვის პირობების დამუშავებას ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში;
- შიდასაბანკო ანგარიშებთან მიბმას დარიცხული პროცენტების მიხედვით ხარჯების აღრიცხვისათვის;
- პროცენტების მოთხოვნამდე ანგარიშებზე გადატანას;
- პროცენტების გაანგარიშებას ანგარიშებზე ყოველდღიური ნაშთების მიხედვით;
- გაანგარიშებული პროცენტების დარიცხვასთან დაკავშირებით საბუთების ავტომატურად მომზადებას და გატარებას.

შესაყვანი ფორმების ფორმირება მოიცავს:

- მემორიალურ ორდერებს;
- შემოსავალ – ხარჯის სალაროს ორდერებს;
- პროცენტების დარიცხვის ჟურნალს და უწყისს.

მოდული საანაბრო ოპერაციების განყოფილების მუშაკებისათვის არის განკუთვნილი

§ 7.2.8. ფირმა "R- Style Soft ware Lab"-ის RS-Retail პროგრამული კომოლექსი

სისტემა ბანკის ფრონტ და ბეკოფისური ქვედანაყოფების ავტომატიზაციისათვის გამოიყენება და იგი ფიზიკური პირების მომსახურებასთან დაკავშირებით ბანკის საქმიანობის ყველა მიმართულებებს მოიცავს. RS – Retail სისტემის მონაცემთა ბაზა და ალგორითმები ისეთი სახით არის დაპროექტებული და დამუშავებული, რომ ბანკის კლიენტების დიდი რაოდენობის ერთდროულად მომსახურება იქნას შესაძლებელი. პროცესის ინფორმაციულ-სააღრიცხვო ორგანიზაციის სხვადასხვა სქემები არსებობს: "on-line"–ის რეჟიმში (როდესაც ერთიანი ბაზიდან ერთდროულად ბანკის რამდენიმე ქვედანაყოფში ხორციელდება ოპერაციები) და "off-line" – ის რეჟიმში (როდესაც აღნიშნული ქვედანაყოფების საბაზო მონაცემები დანაწევრებულია). ერთიანი იდეოლოგიის ჩარჩოებში აგებული პროგრამული პროდუქტები, შეიძლება გამოყენებული იქნას ბანკებში, რომელთაც თანამშრომლების, დასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობის და ნომენკლატურის სხვადასხვა რაოდენობა გააჩნიათ.

სისტემის განმასხვავებელ თავისებურებებს წარმოადგენენ:

- ნებისმიერი კომერციული ბანკის მუშაობის ტექნოლოგიაზე გადაწყობა;
- პროგრამირების ბუნებრივი ენა;
- დამმუშავებლის მონაწილეობის გარეშე ანგარიშგების სხვადასხვა ფორმების შექმნა;
- სპეციალიზებული ავტომატიზებული სამუშაო ადგილების შექმნა, რომლებიც კონკრეტული ბანკის თანამშრომლის სამსახურებრივი ვალდებულებების შესაბამისი ფუნქციების ნაკრების ავტომატიზებას ახორციელებენ;
- სხვა ავტომატიზებული საბანკო სისტემებთან ინტეგრაცია.

სისტემა საბანკო მრავალფეროვანი მომსახურების სპექტრის ავტომატიზების შესაძლებლობას იძლევა:

- მოსახლეობის ანაბრების მიხედვით ნაციონალურ და უცხოურ ვალუტაში (აღნიშნული ოპერაციების სწორად შესრულებაზე ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლის განხორციელებით);
- საბანკო ბარათების მიხედვით, რომელთა მომსახურება სპეციალიზებულ პროცესინგულ ცენტრებში ხორციელდება;

- სავალუტო-გაცვლითი და საგზაო ჩეკების მიხედვით;
- ფასიანი ქაღალდების, ლატარიის ბილეთების, საიუბილეო მონეტებისა და ძვირფასი ლითონების მიხედვით;
- კომუნალური გადასახადების მიღებასთან დაკავშირებით;
- ბანკის სხვადასხვა ქვედანაყოფებში შესანახად მიღებული ფასეულობების, აგრეთვე მათი საღამოს სალაროში და გადათვლის სალაროში ინკასაციისათვის მიღებასთან დაკავშირებით;
- სხვა დანარჩენი სახის შემოსავლისა და ხარჯვის სალაროს ოპერაციები, აგრეთვე ნაღდი ფულის გაცემის მიზნით tcd 3210 ტიპის ელექტრონული მოლარეების გამოყენებით, რომლებიც " De La Rue Cash Systems" ან "Wincor Nexdof"-ის კომპანიის kei- dispeCeri BBa UT-ს იყენებენ.

სისტემა მოდულის პრინციპით არის აგებული.

არსებობს ორი ძითითადი ქვესისტემა:

- ბექ-ოფისი;
- ფრონტ-ოფსი.

RS-Retail-ში შემავალი თითოეული სისტემა ბანკის რომელიღაც ფუნქციონალური ქვედანაყოფის კომპლექსურ ავტომატიზაციას ასრულებს.

600000 ანგარიშის საბაზისო მონაცემების მომსახურებისათვის სერვერის არსებობა არის საკმარისი.

§ 7.2.9. ფინანსური ტექნოლოგიების ცენტრის ფირმის ინდივიდუალური კლიენტების მომსახურების სისტემა (Retail Banking System)

აღნიშნული სისტემა ფიზიკური პირების ავტომატიზებული მომსახურებისათვის უნივერსალური გამოგონებაა. Btrieve და Oracle – პროგრამული პლატფორმის საფუძველზე ორი სისტემა არსებობს.

ინდივიდუალური კლიენტების მომსახურების სისტემა (Btrieve) – დამოუკიდებელი ქვესისტემის იდეოლოგიით არის დამუშავებული, რომელიც ფიზიკური პირებისა და კორპორაციული კლიენტების ანგარიშებზე განხორციელებული ყველა ოპერაციების საკუთარ აღრიცხვას ახორციელებს. სისტემის ფუნქციონალური მახასიათებლებია:

- ბანკებში ექსპლოატაციაში არსებული ნებისმიერ ავტომატიზებულ საბანკო სისტემასთან თავსებადობა;
- ანგარიშებთან მუშაობის მოქნილი გადაწყობის რეჟიმი;

- ნებისმიერი საპროცენტო სქემების რეალიზაცია;
- საპროცენტო სქემების მოქნილი გადაწყობის შესაძლებლობა;
- ჯამური ანგარიშების მიხედვით სინთეტიკური აღრიცხვის დონეზე ბანკის ძირითად საოპერაციო დღესთან ინტეგრაცია;
- იმპორტ/ექსპორტის უნივერსალური მექანიზმები;
- სპეციალური სამუშაო ადგილები, რომლებიც ფიზიკური პირების ანგარიშებზე ხელფასების გადარიცხვის უწყისების ფორმირებისათვის საწარმოებში იდგმება;
- პროცენტების გაანგარიშების სპეციალიზებული მექანიზმები;
- რესურსებისადმი დაბალი მოთხოვნები;
- მუშაობის როგორც ქსელურ, ასევე ლოკალურ ვარიანტში განხორციელების შესაძლებლობა;
- სახელფასო პროექტების რეალიზაციის შესაძლებლობა;
- დაშორებული საანაბრო სალაროების რეალიზაცია;
- კლიენტების ანგარიშებზე ხელფასების გადარიცხვისათვის სიების მომზადების პროცესის ავტომატიზება;
- პროდუქტის დაბალი ღირებულება;
- გადაწყობადი ანგარიშთა გეგმა;
- ანგარიშთა გეგმის დამოუკიდებელი განვითარება და მოდიფიკაცია;
- პერსონიფიცირებული ანგარიშთა გეგმა გასათვალისწინებელი მონაცემებისა და ანგარიშგებების ასახვისათვის.

სხვადასხვა ოპერაციების განხორციელებისას, ანგარიშის მართვის სცენარის ფორმირება შემდეგი სახის ოპერაციების შესრულების შესაძლებლობას იძლევა:

- თანხის დამატება;
- თანხის მოხსნა ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე;
- ხელშეკრულების ხელახლა დადება და ა.შ.

სისტემას შეღწევადობის მოქნილი სისტემა გააჩნია:

- ანგარიშების ჯგუფებთან;
- საპროცენტო სქემების ტიპებთან;
- ანგარიშებთან ოპერაციების ჯგუფებით;

სისტემა დამატებითად უზრუნველყოფს:

- ხელფასების ჩარიცხვის სპეციალიზებული ავტომატიზებული სამუშაო ადგილების შექმნას;
- საბუღალტრო სისტემიდან ხელფასების დარიცხვის უწყისების იმპორტირებას;

- ანგარიშებზე ჩარიცხვისათვის სიების ფორმირებასთან ერთად მისი იმპორტირება.

სისტემაში არსებობს ანგარიშგების ჩაშენებული გენერატორი. ხორციელდება სისტემაში ჩატარებული ოპერაციების ფიქსაცია და მონიტორინგი.

§7.2.10. ინდივიდუალური კლიენტების მომსახურების სისტემა (Oracle Release)

აღნიშნული სისტემა მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა Btieve-ს წინა ვერსიის გაგრძელებაა, რომლის ყველა ფუნქციონალური თავისებურებები oracle-ს შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს. სისტემას სხვა პროგრამულ-აპარატულ პლატფორმაზე გადასვლის შესაძლებლობამ მთელი რიგი უპირატესობები მისცა. ეხლა უკვე ნებისმიერ ბანკს, რომელსაც ფიზიკური პირების და კორპორაციული კლიენტების მომსახურების ტერიტორიულ-განაწილებული გლობალური ქსელის აგების სურვილი ექნება, მას ამის გაკეთება მოცემული პროდუქტის საშუალებით შეეძლება.

RBS Brieve- ის უკვე არსებულ უპირატესობებს დამატებით კიდევ შემდეგი მნიშვნელოვანი თავისებურებები ემატება:

- On-line- განყოფილების მოწყობის შესაძლებლობა;
- კომუტირებად შეერთებით დაბალი სიჩქარით მუშაობა;
- დისტანციური (დაშორიშორებული) მომსახურება;
- ცენტრალურ ოფისში განხორციელებადი ყველა მომსახურების სახეების ნებისმიერ დაშორებულ ოფისში მიღება არის შესაძლებელი.

სისტემის მულტივალუტირება შესაძლებლობას იძლევა:

- ანგარიშების რამდენიმე ვალუტაში გახსნისა და მომსახურების შესაძლებლობას;
- ვალუტების კონვერტაციის განხორციელების შესაძლებლობას;
- ანგარიშების სხვადასხვა ვალუტაში პირდაპირი კორესპონდერციის განხორციელების;
- ბალანსის თითოეულ ვალუტაში დაჯამების;
- გარესაბალანსო ანგარიშებზე სავალუტო ცნობებისა და ჩეკების აღრიცხვის.

სისტემაში ანგარიშების გახსნა ავტომატურად გასუფთავებითა და შეუსებით (sweep account) არის შესაძლებელი. მექანიზმი ორი ურთიერთდაკავშირებული ანგარიშის არსებობას ითვალისწინებს, მათ შორის: ერთი – მოთხოვნამდე, ხოლო მეორესი კი – ვადიანი დეპოზიტი. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება მოთხოვნამდე ანგარიშებზე ნაშთების მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ანგარიშსწორების და დეპოზიტური ანგარიშები შეიძლება სხვადასხვა ვალუტებშიც იქნას გახსნილი. სახსრების ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანისას, ბანკში დადგენილი კურსის შესაბამისად ავტომატური კონვერტაცია ხორციელდება. ასევე ბანკის მომსახურებაზე და მასთან დაკავშირებული შეღავათებთან მიმართებაში ტარიფების ჩაშენებული მექანიზმი არსებობს.

სისტემა დამატებით შესაძლებლობას იძლევა:

- რეგულარული გადასახდების ავტომატიზების;
- კომუნალური გადასახადების აღრიცხვის ავტომატიზების;
- გარე საგადასახადო სისტემებთან ურთიერთობების განხორციელების;
- ფიზიკური პირების სავალუტო-გაცვლითი ოპერაციების ავტომატიზების.

ფიზიკური პირების კრედიტების აღრიცხვის განვითარებული სისტემა შესაძლებლობას იძლევა:

- საკრედიტო ბარათების ემისიის განხორციელების;
- საწარმოს თანამშრომლებთან ხელფასების გადახდასთან დაკავშირებული სპეციალიზებული საკრედიტო პროგრამების რეალიზების.

სისტემაში ორგანიზებულია ინტერფეისი Internet PC Banking-ი, ასევე ანგარიშებზე ნაღდი ფულისა და უნაღდოს შემონატანების ცალ-ცალკე აღრიცხვის განხორციელება არის შესაძლებელი.

სისტემას კლიენტის იდენტიფიცირების შესაძლებლობა გააჩნია:

- პასპორტის მიხედვით;
- სამხედრო ბილეთის მიხედვით;
- მძღოლის მოწმობის მიხედვით;
- საბანკო ბარათის მიხედვით;
- კლიენტის სურათის მიხედვით.

იდენტიფიკაციის განხორციელებისათვის სისტემა პროგრამულად სკანერთან არის მიერთებული.

თავი 8. საბანკო ბარათებთან მუშაობის ავტომატიზაცია

საცალო ბაზარი (retail) კომერციული ბანკებისათვის ყოველთვის იყო და დღესაც რჩება მიმზიდველ და სტაბილურ შემოსავლების წყაროდ. მეანაბრეების პირადი სახსრები ბანკებისთვის ყოველთვის იყო ყურადღების ცენტრში, მაგრამ აღნიშნული, საწყის ეტაპზე, დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. დანახარჯებია საჭირო მოწყობილობების შეძენაზე, კომუნიკაციის კავშირების ორგანიზაციაზე, ტექნოლოგიების შეძენაზე, პერსონალის მომზადებაზე. ამასთან ფიზიკური პირების ანგარიშებზე ნაშთების სიდიდე საკმაოდ მცირეა იურიდიული პირების ანგარიშებზე ნაშთების სიდიდესთან შედარებით, ხოლო მათი მომსახურება დიდ ხარჯებს მოითხოვს. აღნიშნული დანახარჯების შემცირების მიზნით, სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება, ერთ-ერთ მათგანს საბანკო ბარათი წარმოადგენს, რომელიც მეანაბრეების ანგარიშებთან მუშაობის სრულად ავტომატიზების შესაძლებლობას იძლევა, ბარათებით მომსახურების ახალ სახეობის მიწოდებით, კლიენტების მოზიდვის შესაძლებლობას იძლევა, რომელთაგან მთავარს-ანგარიშთან დღის ნებისმიერ დროში წვდომის შესაძლებლობა წარმოადგენს.

§ 8.1. საბანკო ბარათების განვითარების ისტორია

აშშ-ში ზოგიერთმა მაღაზიებმა 1914 წელს თავიანთ უფრო მეტად შემძლე მუდმივ კლიენტებზე სპეციალური ბარათების გაცემა დაიწყეს. 1928 წელს ბოსტონის კომპანიის farrington manufacturing-ის მიერ პირველ ლითონის ფირფიტები იქნა გამოშვებული, რომლებზედაც მისამართები იყო ამოტვიფრული, და რომლებიც კრედიტუნარიან კლინტებზე გაიცემოდა. გამყიდველი ასეთ ფირფიტას იმპრინტერის სახელწოდების სპეციალურ მოწყობილობაში ჩადებდა და მასზე ამოტვიფრული ასოები სავაჭრო ჩეკებზე აიბეჭდებოდა.

1946 წელს ჯონ ბიგინსმა, რომელიც სამომხმარებლო კრედიტების სპეციალისტი იყო ბრუკლინის ეროვნული ბანკ – flutbush-ში, მუშაობა Charge–It -ის სახელწოდების საკრედიტო სქემით დაიწყო. აღნიშნული სქემა თავისთავად ხელწერებს ითვალისწინებდა, რომლებსაც ადგილობრივი მაღაზიები მცირე შენაძენების საფასურად იღებდნენ. შეძენის ოპერაციის განხორციელების შემდეგ მაღაზია ხელწერებს ბან-

კში აბარებდა, რომელიც მათ საფუძველზე მყიდველების ანგარიშებიდან თანხის განაღდებას ახორციელებდა.

dinners club–ი პირველი მასიური საგადახდო საბარათე სისტემა გახდა. ერთ-ერთი მისი მთავარი თვისება ადრე შექმნილებისაგან განსხვავებით გახდა ის, რომ კლიენტებსა და კომერციულ სტრუქტურებს შორის, რომლებიც არა მარტო საქონელს, არამედ მომსახურებასაც თავაზობენ, წარმოიშვა შუამავალი ორგანიზაცია, რომელმაც ანგარიშსწორების ორგანიზაცია თავის თავზე აიღო. 1949 წელს ნიუ-იორკში ალფრედ ბლუმინგდელმა და ფრენსის მაკნამარამ *Empire State Building*-ის თანამშრომლებზე საბანკო ბარათების გაცემა დაიწყეს. პირველ ბარათებზე გადასახადების აღება არ ხორციელდებოდა და საკრედიტო პირები არ მოწმდებოდა, საკმარისი იყო ცათამბრჯენში მუშაობა, რაც კლიენტის გარკვეული სახის სტაბილური შემოსავალის გარანტიას იძლეოდა. პარალელურად კლენტების მომსახურებისათვის 10-12 ახლომდებარე რესტორანი იყო ჩართული. თანდათანობით საწარმომ ეროვნული მასშტაბი მიიღო და მას *Dinners Club*-ი ეწოდა.

Dinners Club -ის კომპანიას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული 285 სავაჭრო წერტილთან და 35 ათას ბარათის მფლობელთან, თითოეულ მათაგანს მომსახურებაზე გადასახადი წელიწადში 3 დოლარის ოდენობით ჩამოეჭრებოდათ. შემდგომში სისტემა ევროპაში გადავიდა, სადაც კომპანიისათვის საკომისიო გადასახადის აუცილებელი პირობის გამო სავაჭრო წერტილების მფლობელების მხრიდან დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა.

50-იანი წლებში 100-ზე მეტმა ამერიკულმა ბანკმა საკუთარი პროგრამების საკრედიტო ბარათების გამოშვება დაიწყეს, მაგრამ ამ პროგრამებმა დიდი განვითარება ვერ მოიპოვეს.

1958 წელს ბრძოლაში *Bank of America* და *Chase Manhattan Bank* -ი ჩაერთვნენ. მათგან პირველმა *Bank Americard* -ის ბარათების გამოშვება დაიწყო, რომელმაც 1976 წლიდან visa-ს ლოგოტიპის სახელწოდების საყოველთაო ცნობადობა მოიპოვეს. მეორე იმავე წელს *MasterCharge* -ის ბარათის გამოშვებას შეუდგა, ხოლო 1980 წლიდან იგი როგორც *MasterCard* -ის სახელით არის ცნობილი.

1951 წელს "*Dinners Club*"-ის კომპანიამ პირველი ლიცენზია გასცა თავისი სახელის ბრიტანეთში გამოყენებასთან დაკავშირებით. მიახლოებით იმავე დროს სასტუმროებისა და რესტორნების ბრიტანულმა ასოციაციამ *BHR* საკრედიტო ბარათების გამოცემა დაიწყო. 1965

წელს აღნიშნული სისტემა მის შვედურ კონკურენტ *Rikskort* -თან გაერთიანდა და *EuroCard International* -ი ეწოდა.

80-იანი წლების ბოლოსათვის, *MasterCard* და *EuroCard* საგადახდო სისტემებს შორის თანამშრომლობის გაფართოებასთან ერთად, მათი გაერთიანებაც განხორციელდა. ერთდროულად *Cirrus/Maestro* კომპანიასთან შეთანხმება იქნა დადებული. ახალმა ორგანიზაციამ *Europay International* სახელწოდება მიიღო.

თანამედროვე პირობებში visa -ს მთელ მსოფლიოში 140 მილიონი კლიენტი ყავს, ec/mc-ს კი – 110 მილიონზე მეტი.


§ 8.2 საბანკო ბარათების სახეები

ნახ. 14-ზე საბანკო ბარათების სხვადასხვა ნიშანთვისებების მიხედვით კლასიფიკაცია არის ნაჩვენები, რომლებიც განსაზღვრავს დანიშნულების, ფუნქციონირების, ტექნიკურ და სხვა მახასიათებლებს.

1. ანგარიშსწორების მექანიზმის მიხედვით გამოიყოფა ორმხრივი და მრავალმხრივი სისტემები. ორმხრივი სისტემები ანგარიშსწორების მონაწილეთა შორის ორმხრივი შეთანხმებების ბაზაზე აიგება. ბარათის მფლობელებს შეუძლიათ ისინი, ჩაკეტილ ქსელში, საქონლის შეძენისათვის გამოიყენონ, რომელიც ბარათების ემიტენტის (უნივერმაღები, ბენზინგასამართები და ა.შ.) მიერ არის კონტროლირებადი. მრავალმხრივი სისტემები ბარათების მფლობელებს თავაზობენ საქონელი სხვადასხვა მოვაჭრეებისგან შეიძინონ და ისეთი სახის სერვისის ორგანიზაცია განახორციელონ, რომელსაც აღნიშნული ბარათები საგადახდო საშუალების სახით ცნობენ. მრავალმხრივი სისტემები შეიძლება ცალკეული რეგიონების ან ქვეყნების ფარგლებში იყო შეზღუდული, ამასთან საერთო ეროვნულ კომუნიკაციებთან იყოს მიერთებული.

2. ფუნქციონალური მახასიათებლების სახით განასხვავებენ საკრედიტო და სადებეტო ბარათებს. საკრედიტო ბარათი ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნასთან არის დაკავშირებული, რაც მის მფლობელს საქონლის შესაძენად ან ნაღდი ფულის მისაღებად კრედიტის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. სადებეტო ბარათი – საბანკო ავტომატებში (ბანკომატებში) ნაღდი ფულის მისაღებად ან ელექტრონული ტერმინალების მეშვეობით ანგარიშის ფარგლებში საქონლის შესაძენად ანგარიშსწორებისთვის გამოიყენება.

3. ოპერაციის რეგისტრაციის ხერხების მიხედვით განასხვავებენ: საბარათე სისტემები, რომლებიც ქაღალდის ტექნოლოგიაზე (*paper–based systems*), ან ელექტრონულ სისტემაზე (*electronic systems*) არის დაფუძნებული. "ქაღალდის" სისტემაში მფლობელი თავის ხელწერას სავაჭრო ანგარიშზე ან გამყიდველის მიერ მომზადებულ სხვა საბუთზე ახორციელებს, რაც ბანკში მისი ანგარიშის დადებეტების ნებართვის დასტურს წარმოადგენს. ელექტრონულ სისტემაში ბარათის მფლობელი ემიტენტთან ტერმინალის მეშვეობით პირდაპირ კავშირს ახორციელებს. ანგარიშზე ხელწერის მაგიერ მას კლავიატურის მეშვეობით ციფრების საიდუმლო კომბინაცია შეყავს, რაც სწორად აკრეფისას საბანკო ანგარიშის დებეტირებაზე სანქციას წარმოადგენს.



ნახ. 14. საბანკო ბარათების სახეები

4. ბარათების ემიტენტების მიხედვით კლასიფიცირება – მათი ბანკებისა და საფინანსო კომპანიების მიერ გამოშვებულ უნივერსალურ ბარათებად და განსაზღვრული სახის მომსახურების ან რამდენიმე სახეობის ურთიერთდაკავშირებული მომსახურების გადახდისათვის გამოყენებად კერძო (*private*) ბარათებად დაყოფას ითვალისწინებს.

5. ბარათების კლიენტების კატეგორიის მიხედვით კლასიფიცირება – ინდივიდუალური და კორპორატიულ ბარათებად დაყოფას ითვალისწინებს. ინდივიდუალური ბარათები ბანკის ცალკეულ კლიენტებზე გაიცემა და ისინი შეიძლება "სტანდარტულები" ან "ოქროსნაირი" იყოს. ჩვეულებრივი ბარათი-რიგითი კლიენტისათვის არის გათვალისწინებული, მაგალითად *"Classic VISA"* და *Mass (Standart) EuroCard/MasterCard*. ოქროს ბარათები უფრო შემძლე და მდგრადი კლიენტებისათვის გადასაცემად არის გათვალისწინებული. კომერციული ანუ ბიზნესს-ბარათ (*Business Card*) კომპანიების მიერ თავიანთი სახსრების გადახარჯვის უფლებამოსილ თანამშრომლებზე გაცემას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში ბარათი ორგანიზაციაზე (ფირმაზე) გაიცემა და იგი სახელობითს არ წარმოადგენს. ბანკის წინაშე კორპორაციის ანგარიშთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზაციას, და არა ბარათების ინდივიდუალურ მფლობელებს.

6. ბარათების კიდევ ერთი კლასიფიცირება მათ ტექნოლოგიურ თავისებებთან არის დაკავშირებული. უფრო მეტად შემდეგი ორი სახეობაა გავრცელებული – მაგნიტურ ველიანი და ჩაშენებული მიკროსქემით (*chip card* -ჩიპიანი ბარათი, *smart card* -ს სმარტ ბარათი).

მაგნიტურ ხაზიან ბარათებს მეორე მხარეს მაგნიტური ზოლი გააჩნია, სადაც მისი საბანკო ავტომატებში და სავაჭრო დაწესებულებების ელექტრონულ ტერმინალებში მისი გამოყენებისას ბარათის მფლობელის პირადობის იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემებია ჩაწერილი.

მიკროსქემიან ბარათს (*chip card, smart card*) ჩაშენებული მიკროსქემა გააჩნია. აღნიშნული აფართოებს ბარათის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს და მის საიმედოობას ამაღლებს. ჩიპში ჩაწერილი მონაცემების საფუძველზე ბარათის მეშვეობით ოპერაცია შეიძლება ავტომატურ *ofline* რეჟიმში განხორციელდეს ანუ ოპერაციის უშუალოდ დაკავშირების გარეშე. იმასთან დაკავშირებით რომ ბარათი მეხსიერებაში საბანკო ანგარიშს არსებული სახსრების ნაშთს თვითონ ინახავს, ამიტომ ავტომატიზაცია საჭირო არ არის. და ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში გარიგება უბრალოდ არ განხორციელდება.

smart card -ის ინფორმაციული შესახლებლობები მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე მაგნიტურ-ველიანი ბარათებში. მიკროსქემა დაცვის რამდენიმე ხარისხი გააჩნია, და მასში ჩაწერილი ინფორმაციის გაყალბება

ძალიან ძნელია ან სრულად შეუძლებელია. ამასთან ასეთ ბარათებს მაღალი ღირებულება გააჩნიათ.

ბარათების ტექნიკურ თავისებურების მიხედვით დაყოფა: მიკროპროცესორიან ბარათებად დამამახსოვრებელი ტიპის ბარათების ორი ტიპი არსებობს: ბარათები თავისუფალი შეღწევის მახსოვრობით და ბარათები დაცული მახსოვრობით.

დაუცველ მეხსიერებიან ბარათებში ინფორმაციის წაკითხვასთან და ჩაწერასთან დაკავშირებით შეზღუდვები არ არის. ამასთან ინფორმაცია ბარათებში ბარათში არსებული მოწყობილობასთან მიმართებაში რომელიმე გარეშეს მეშვეობით უნდა დაიშიფროს, რომელმაც *PIN* -კოდის მეშვეობით ანალოგიური დაცვის მექანიზმის პროცედურის ორგანიზაცია უნდა განახორციელოს.

დაცული მეხსიერების ბარათებს მონაცემებთან შეღწევის დანაწევრების ჩაშენებული მექანიზმი გააჩნიათ. ინფორმაციის წაკითხვის, ჩაწერის ან წაშლის ოპერაციების შესრულების სანქციონირება სპეციალურ კოდების გამოყენებით ხორციელდება. ჩვეულებრივად დაცული მეხსიერებიანი ბარათები ისეთ სფეროსაც მოიცავენ, რომელშიც საიდენტიფიკაციო მონაცემების ჩაწერა ხორციელდება, რომელთა შემდგომში შეცვლა შეუძლებელია.

მიკროპროცესორი ბარათში შესანახი მონაცემების განსაზღვრული ოპერაციების შესრულების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ოპერაციები ბარათის საოპერაციო სისტემას (*COS — Card Operating System*) შეადგენს, რომელიც მეხსიერების მართვის ფუნქციებს, სერვისის ფინქციებსა და უსაფრთხოების საშუალების დიდი ნაკრების უზრუნველყოფას ახორციელებს.

smart card-ის წამკითხველი მოწყობილობებია ურთიერთქმედების თავისებურებასთან შესაბამისობაში და იყოფა: კონტაქტურ (წამკითხავ მოწყობილობასთან უშუალო კონტაქტიანი) და უკონტაქტო (ინფორმაციის გადაცემისათვის რადიოტალღა გამოიყენება).

ასეთი სახის ბარათების უპირატესობას – დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობა წარმოადგენს. აღნიშნული ბარათები მეტად მდგრადია გარეშე ზემოქმედებებთან მიმართებაში. მაგრამ მათი ბრუნვა გაშვება მაგნიტურ ბარათებზე ორიენტირებული გლობალური, კარგად აწყობილ ანგარიშსწორების სისტემის გამო მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

8.3. კომერციულ ბანკებში საბანკო ბარათებთან მუშაობის ორგანიზაციის წესი

ბანკის მიერ რეალიზებადი საბარათე პროგრამა სხვადასხვა ხარისხის სირთულისა და მასშტაბის შეიძლება იყოს:

- სხვა ბანკების ბარათებისა და საგადახდო სისტემების მომსახურება. ბანკი ბარათის მფლობელებზე თავისი ვალუტის გადამცველ განყოფილებებში და პუნქტებში სხვა ბანკების ან საგადახდო სისტემების მიერ გამოშვებული ბარათების მეშვეობით ნაღდი ფულის გადაცემას ახორციელებს;
- სხვა ბანკების ბარათების გავრცელება. ბანკი რომელიც ბარათების გავრცელებას ახორციელებს, ემიტენტთან სააგენტო ხელშეკრულებას დებს, რომლის საფუძველზე თავიანთ კლიენტებზე ემიტირებული "სხვისი" ბარათების გაცემას, კლიენტთან ყველა სახის ანგარიშსწორებას ახორციელებს და ოპერაციებისათვის ემიტენტისაგან შემოსავალს ღებულობს.

§ 8.3.1 სრული გაწევრიანება საგადახდო სისტემაში

აღნიშნულის ქვეშ არა მარტო რომელიმე საგადახდო სისტემის ბარათების გამოშვება, არამედ აღნიშნული სისტემის კომერციული ქსელის განვითარებასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებული საქმიანობაც არის გათვალისწინებული, ანუ ხელშეკრულებების დადება მაღაზიებთან, რესტორნებთან და სხვა კომერციულ წერტილებთან, რომლებიც ბარათს საგადახდო საშუალების სახით ღებულობენ.

ჩამოთვლილი საბარათე პროგრამები განსაზღვრულ საწყის დანახარჯებსა და ბიზნესის გულმოდგინე დაგეგმვას ითვალისწინებს. საბანკო ბარათების სფეროში ბანკის წარმატება დაფუძნებულია:

- კლენტებთან მუშაობაზე;
- პროცესის ავტომატიზაციაზე;
- ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე;
- ანგარიშსწორების ორგანიზაციაზე (ბულალტრულ აღრიცხვაზე).

საწარმოო ჯაჭვი საბარათე ბიზნესში შემდეგი რგოლებისაგან შედგება:

- მოცემულ საგადახდო სისტემაში დადგენილი ფორმატითა და ბანკის ლოგოტიპით საბანკო ბარათების დამზადება;
- ბარათის პერსონალიზაცია, ანუ ბარათის ნომრის, კლიენტის გვარისა და ნომრის ამოტვიფრვა, მაგნიტური ველის და ან ელექტრონული ჩიპის კოდირება;
- კლიენტების საბარათე ანგარიშების გახსნა და მომსახურება;
- ბარათების მიხედვით ოპერაციების დამუშავება;
- ოპერაციების მიხედვით ანგარიშსწორების განხორციელება.

§ 8.3.2. საბანკო საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული ოპერაციის საბარათე ანგარიშსწორების სისტემის ძირითადი მონაწილეები:

- ბარათის მფლობელი (*cardholder*);
- ბანკი-ემიტემტი issuing bank;
- სავაჭრო ამ მომსახურების სფეროს (მოვაჭრე) საწარმოო (*merchant*);
- ბანკი-ეკვაირი (სავაჭრო საწარმოს მომსახურე ბანკის- *acquring bank, acquirer*).

ბარათის ემიტენტი ბანკი ბარათს გასცემს, ბარათის მფლობელს სპეციალურ ანგარიშს გაუხსნის, რომელითაც ბარათთან დაკავშირებული ყველა ოპერაციები გაითვალისწინება. ბანკი სავაჭრო საწარმოს ანგარიშების გადასახადებით იღებს ვალდებულებას, რომელებიც ბარათის გამოყენებით შესყიდვასთან არის დაკავშირებული საკომისიო მომსახურებლების გამოკლებით. ბარათის გამოყენებით შესყიდვასთან არის დაკავშირებული საკომისიო მოსაკრებლების გამოკლებით. ბარათის მფლობელს ყოველთვიურად ეგზავნება ამონაწერი დავალიანების სიდიდის, ვალის თანხისა და ვალების მითითებით.

საბარათე ანგარიშსწორების სქემა სამი სახეობის ბარათის არსებობას ითვალისწინებს:

- მოვაჭრესა და ბარათის მფლობელს შორის- საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შესახებ;
- ბანკსა და მოვაჭრეს შორის – ამ უკანასკნელის მიერ საქონელზე ან მომსახურებაზე გადასახდელად ბარათის მიღების თანხმობის შესახებ;

- ბანკსა და ბარათის მფლობელს შორის – საკრედიტო ბარათიდან ოპერაციის შესაბამისად მოვაჭრისათვის გადახდა თანხის ბანკისათვის ანაზღაურების შესახებ.

ქვეყნების უმეტესობაში ბარათებთან დაკავშირებული ოპერაციები სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება.

§ 8.3.3 საკრედიტო ბარათთან მუშაობის წესი.

1. ბანკის კლიენტი ბანკში საბანკო საკრედიტო ბარათის მიღებაზე განაცხადს წარადგენს. კლიენტის მიერ მიწოდებული მონაცემები ბანკის მიერ კლენტის კრედიტუნარიანობის შეფასებისათვისა და დადგენილი ლიმიტის სიდიდის განსაზღვრისთვის გამოიყენება.

2. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ბანკი კლიენტს სპეციალურ საბარათე ანგარიშს გაუხსნის. ერთდროულად პერსონალური საბანკო ბარათი მზადდება.

ანგარიშთან მიმართებაში ორი სახის შეზღუდვა დგინდება:

საბარათე ანგარიშთან მიმართებაში დაუფარავი დავალიანების თანხის საერთო საკრედიტო ლიმიტი;

ერთი ან მომსახურების შეძენის მომენტში ბარათის მფლობელი წარმოადგენს ბარათს. გამყიდველი ბეჭდავს სავაჭრო ანგარიშს, რომელზედაც სპეციალური მოწყობილობის – ინპრინტერის მეშვეობით ბარათიდან მონაცემების კოპირება ხორციელდება.

სავაჭრო ბარათი სამ ეგზემპლარად მზადდება. პირველი ეგზემპლარი ბარათის მფლობელს გადაეცემა, მეორე – გამყიდველს რჩება, მესამე კი – ბანკ – ეკვაიერს ეგზავნება.

4. გამყიდველის (ეკვაიერის) ბანკი თავისი კლიენტისაგან გაფორმებულ სავაჭრო ანგარიშებს მიიღებს. აღნიშნული ანგარიშები ბანკის მიერ როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტის სახით განიხილება, რომლებიც გამყიდველის ანგარიშზე იმავდროულ ჩართვას ექვემდებარება. გამყიდველს შეუძლია აღნიშნული ანგარიშები ბანკის მიერ როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტის სახით განიხილება, რომლებიც გამყიდველის ანგარიშზე იმავდროულ ჩარტყმას ექვემდებარება. გამყიდველს შეუძლია აღნიშნული ფული მაშინვე გამოიყენოს მიუხედავად იმისა, მყიდველი ემიტენტ ბანკს აუნაზღაურებს თუ არა შემდგომში მის მიერ განხორციელებულ შენაძენის თანხას.

ანგარიშსწორების გადახდისას გამყიდველისაგან განსაკუთრებული საკომისიოს ჩამოჭრა ხორციელდება გარიგების თანხის 2-5%-ის ოდენობით.

5. ყოველი თვის ბოლოს ბანკი ბილინგის პროცედურას ახორციელებს, ანუ ბარათის მფლობელს მის საბარათე ანგარიშისაგან სპეციალურ ამონაწერს უგზავნის ყველა ოპერაციების ამონაწერს, რომელიც აღნიშნულ პერიოდში იქნა განხორციელებული, აგრეთვე დავალიანების თანხისა და ვადების მიმართებით. ამის შემდეგ ბარათის მფლობელის ბანკთან ანგარიშსწორების ალტერნატიული ვარიანტი გააჩნია:

- დაფაროს ვალი პროცენტების გადახდის გარეშე, ამონაწერში მითითებული გადახდის თარიღიდან 20-30 –დღის განმავლობაში;
- გაახანგრძლივოს კრედიტი საშელავათო ვადის ფარგლებს გარეთ დარჩენილი დაუფარავი საშუალო დღიური დავალიანების თანხაზე თვეში 1,5-2%-ის დარიცხვით.

თუკი ბარათის მფლობელი-სხვა ბანკის კლიენტია, ბანკი-ეკვაიერი თანხას ბანკი-ემიტენტისაგან საინფორმაციო გაცვლის (ინტერჩეინჯი) სისტემის მეშვეობით მიიღებს. ამასთან ბანკი-ეკვაიერი ემიტენტს ინტერჩეინჯზე საკომისიოს გადაუხდის.

ასეთია საერთო სქემა საქონლის საბანკო საკრედიტო ბარათის გამოყენებით შეძენის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში სქემის ელემენტების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს, რომელთა გარეშე ანგარიშსწორების სისტემას მუშაობა არ შეუძლია.

თავი 9. სავალუტო ოპერაციების ავტომატიზაცია

ბანკების ვალუტასთან ოპერაციები სავალტო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის შესახებ მიღებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად ხორციელდება, ამასთან უცხოურ ვალუტაში განხორციელებადი საბანკო ოპერაციები ბანკის ყოველდღიურ ერთიან ბუღალტრულ ბალანსში, ეროვნულ ფულად ერთეულში ლარებში უნდა იქნას ასახული. ანალიტიკურ აღრიცხვაში სავალუტო ოპერაციების ასახვა ლარებში და შესაბამის უცხოურ ვალუტაში ხორციელდება. უცხოურ ვალუტაში ბანკების აქტივები და ვალდებულებები ლარებში გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) ბანკის შესაბამის თარიღზე ოფიციალური კურსის მიხედვით.

ვალუტის ეროვნული ბანკის ოფიციალურ კურსზე დაბალი კურსით შეძენისას ან დადგენილ კურსზე უფრო მეტად გაყიდვისას ბანკი ეროვნული ბანკის კურსსა და შეძენა (გაყიდვის) კურსს შორის საკურსო სხვაობის სახით შემოსავალს მიიღებს. ვალუტის ეროვნული ბანკის ოფიციალურ კურსზე მეტად შეძენისას ან დადგენილ კურსზე უფრო დაბალი გაყიდვისას ბანკი საკურსო სხვაობიდან ხარჯებს მიიღებს. დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხვისათვის, რომელიც სავალუტო გაცვლით ოპერაციებში სხვაობის გამო (დღეებში) წარმოიშობა, სავალუტო პოზიციის ფასის და კონტრფასის სპეციალური ანგარიშები გაიხსნება.

ეროვნული (ცენტრალური) ბანკის აღნიშნული თავისებურებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად სავალუტო ოპერაციების ავტომატიზებით შემდეგი მიმართულები შეიძლება გამოიყოს:

- სავალუტო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა;
- გაცვლითი ფუნქციების აღრიცხვა;
- ექსპერტ-იმპორტული ოპერაციების აღრიცხვა;
- სტატისტიკური ანგარიშგება სავალუტო რეგულირებისა და კონტროლთან მიმართებაში.

§ 9.1 პროგრამული კომპლექსი სტატისტიკური ანგარიშგების ამოცანების გადასაწყვეტად

სავალუტო კონტროლთან დაკავშირებული სტატისტიკური ანგარიშგების შესრულებისათვის პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს:

- სავალუტო პოზიციის ფასის სავალუტო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში სავალუტო რეგულირებისა და კონტროლთან დაკავშირებულ კომპლექსს;
- ნაღდი უცხოური ვალუტისა და უცხოურ ვალუტაში საგადახდო საბუთების მოძრაობისა და კონტროლთან დაკავშირებულ კომპლექსს;
- ნაღდი უცხოური ვალუტისა და უცხოურ ვალუტაში საგადახდო საბუთების მოძრაობის შესახებ სავალუტო რეგულირებისა და კონტროლთან დაკავშირებული სტატისტიკური ანგარიშგების ამოცანების კომპლექსს.

1. "სავალუტო პოზიციის ფასის სავალუტო ანგარიშებზე უცხოური ვალუტაში სახსრების სავალუტო რეგულირებისა და კონტროლთან დაკავშირებული სტატისტიკური ანგარიშების ამოცანების კომპლექსის" პროგრამულ უზრუნველყოფას რეზიდენტების ტრანზიტულ სავალუტო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების ფორმირების, მომსახრებისა და ელექტრონული ბაზის გამოყენების დანიშნულება გააჩნია. კომპლექსი უზრუნველყოფს:

- მონაცემების ანგარიშგების ფორმის მიხედვით შეყვანას;
- შეცდომების ოქმების მიღებას;
- მონაცემების მდგომარეობის ბარათების შედგენას;
- საანგარიშგებო საბუთის ფორმირებას და დაბეჭდვას;
- საქართველოს ეროვნულ ბანკში გადაცემის მიზნით ჯამური ფაილების ფორმირებას.

პროგრამის შესრულება ორ ფუნქციონალურ ნაწილად დაყოფას ითვალისწინებს:

- მონაცემების ბაზის მომზადებას და საწყისი ინფორმაციების შეყვანას;
- ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ანგარიშგების მომზადებას.

მონაცემების ბაზის ან ინიციალიზაციას მომზადება წელიწადში ერთხელ პროგრამის პირველად გაშვებისას ხორციელდება და იგი თა-

ვისთავში მონაცემების თავისუფალი ბაზის ფორმირების პროცესს მოიცავს. ბაზის საწყისი ინფორმაციით შევსების შემდეგ ანგარიშგების გენერატორის მეშვეობით გამომავალი საბუთების ფორმირება ხორციელდება, რომლებიც საბუთების შაბლონების შექმნისათვის გამოიყენება. შაბლონების სახით ტექსტური ფორმები გამოიყენება, რომლებიც ეროვნული ბანკის მოთხოვნილებების შესაბამისია.

უცხოურ ვალუტაში ნაღდი უცხოური ვალუტისა და საგადახდო საბუთების მოძრაობის შესახებ სავალუტო რეგულირებასთან და კონტროლთან დაკავშირებული სტატისტიკური ანგარიშების ამოცანების კომპლექსის პროგრამული უზრუნველყოფის დანიშნულებაა უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულისა და საგადახდო საბუთების მოძრაობა და ელექტრონულ ბაზის გამოყენება.

აღნიშნული კომპლექსი უცხოური ვალუტისა და საგადახდო საბუთების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების შედგენისათვის პროგრამულ უზრუნველყოფას მოიცავს. კომპლექსი დამატებითი მოდულისაგან და რიგი სტრუქტურული ფაილებისაგან შედგება. იგი უზრუნველყოფს:

- მონაცემების ანგარიშგების შესაბამისი ფორმით შეყვანას;
- მონაცემების არითმეტიკულ კონტროლს;
- შემავალი ნაშთების კონტროლს;
- შეცდომების ოქმის მიღებას;
- მონაცემთა მდგომარეობის კარტოთეკის გაძღოლას;
- ანგარიშების საბუთის ფორმირებას და ამობეჭდვას;
- ჯამური ფაილების ფორმირებას გადაცემის მიზნით;
- ეროვნული ბანკში – კომერციული ბანკის დონეს;
- ეროვნული ბანკში და კომერციულ ბანკის სათაო ოფისში- კომერციული ბანკის ფილიალის დონეს;
- კომერციული ბანკის სათავო ოფისში – კომერციული ბანკის განყოფილების დონეს.

პროგრამის შესრულება შემდეგ ფუნქციონალურ ნაწილებად დაიყოფა:

- ამოცანის გაშვება;
- საწყისი პარამეტრების ფორმირება;
- მონაცემთა ბაზის მომზადება;
- ამოცანის გადაწყვეტა.

ამოცანის გადაწყვეტა შემდეგი ეტაპების შესრულებას ითვალისწინებს:

- საწყისი მონაცემების შეყვანას;
- შეყვანილი მონაცემების კონტროლს;
- გამოვლენილი შეცდომების გასწორებას;
- ანგარისწორების საბუთების ფორმირებასა და ამობეჭდვას;
- ჯამური ფაილების ფორმირებას.

გადამცველელ პუნქტში შემავალი ნაშთების, არითმეტიკული შეცდომების, გარიგებების რაოდენობის შესაბამისობისა და მიღებული და გადახდილი თანხების ჯამის სისწორის მონაცემების კონტროლი ხორციელდება. კონტროლის პროცედურა კონტროლის ოქმის შედგენით დასრულება. ვალუტების ყიდვისა და გაყიდვის საშუალო კურსის, გადახდის პროცენტის შეცვლა, გარიგების საშუალო სიდიდის კონტროლი სისტებაში დაფიქსირებული სავალუტო პოლიტიკის შესაბამისად ხორციელდება.

გამავალი საბუთების უმეტესობის ფორმირება ანგარიშგების გენერატორის მეშვეობით ხორციელდება, რომელიც საბუთების შაბლონების შესაქმნელად გამოიყენება და იგი ტექსტურ ფაილებშია აღწერილი. ფაილ-შაბლონი თავისთავში მოიცავს:

- საბუთის თავსართს;
- რიცხობრივი მნიშვნელობების წარმოდგენის სიზუსტეს;
- პროგრამულ ცვალებადობის ან მასივების მნიშვნელობას;
- საბუთის თავსართის გამყოფსა და გარეთა სახის აღწერილობას;
- საბუთის გარე სახის აღწერილობას;
- მონაცემების გამოტანის ველების სიდიდეებს.

§ 9.2. პროგრამული კომპლექსი საექსპორტო კონტროლს ამოცანების გადასაწვეტად.

საქონლის ექსპორტიდან სავალუტო ამონაგების შემოსვლის კონტროლს სისტემის საბანკო ნაწილის პროგრამული საშუალებების კომპლექსი ბანკებში სავალუტო სახსრების შემოსავალზე კონრტოლის უზრუნველმყოფელი ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების პროცესის ავტომატიზაციისათვის არის გათვალისწინებული.

პროგრამა შემდეგი ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს:

- სისტემის აწყობას;
- გარიგებების პასპორტების შეყვანას და კორექტირებას;
- ექსპორტირებული საქონლის ბარათების რეესტრების შეყვანა და კორექტირებისა და ანგარიშგების ფორმირებას;
- მონაცემების ბაზის არქივიზაცია, ტექნიკური შეფერხებისას ბაზების დარეზერვება და აღდგენა.

პროგრამა მოდულურ პრინციპით არის აგებული. პროგრამის კომპლექსის მონიტორი კომპლექსის ცალკეულ მოდულების გაშვებას ახორციელებს.

სისტემას გააჩნია:

- მოქნილი ფორმის გენერატორი;
- მონაცემთა ბაზის მთლიანობის კონტროლი;
- ბანკსა და ქვეყნის მაკონტროლებელ ორგანოს შორის მონაცემების გაცვლა;
- მონაცემების გაცვლის პრეფექსის შექმნა / ამოღება;
- მონაცემების არქივატორი;
- ვერსიის შეცვლისას მონაცემების გადაწერა.

თავი 10. საფონდო ტექნოლოგიების ავტომატიზაცია

ბანკების ინტერესი საფონდო ოპერაციებისადმი წარმოიშვა და ვითარდება მათი მაღალი შემოსავლიანობასთან დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშსწორების სისტემის ფუნქიონირების პირობების შექმნა, საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირება ითვალისწინებს:

- ტელეკომუნიკაციური მომსახურების ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობებისა და ტექნოლოგიური სისტემის შექმნას;
- ფინანსურ ბაზარზე ოპერაციების განხორციელებისა და რეგისტრაციის ერთიანი სტანდარტების ფორმირებას;
- კომერციული გარიგებების კონფიდენციალობისა, ინფორმაციის დაცვას, მესაკუთრეების უფლებების აღრიცხვას და დაცვას.

ბანკების მიერ საფინანსო ბაზარზე ოპერაციის განხორციებისათვის როგორც გრიგების ფასის, ასევე სხვა სახის ოპერატიული და უტყუარი ინფორმაცია არის საჭირო, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენს ზემოქმედებას. გარიგებების დადებისათვის საიმედო კონტრაგენტების ოპერაციული მოძიების საშუალებები არის საჭირო, რომლებიც მათი შერჩევისას ყველაზე უფრო მცირე რისკების მატარებელი იქნება. გარიგების დადების შემდეგ მონაწილეების მიერ ვაჭრობის დადგენილი წესების დაცვის მიზნით საჭიროა გარიგების ფიქსაციის, კონტროლისა და შედარების სისტემა. შემდგომში გარიგების შესრულების სისტემა არის საჭირო, სადაც უკვე მნიშვნელოვანი ხდება გარიგების აღსრულების რისკების შემცირება.

საფონდო ბაზრების ავტომატიზებული სისტემები შეიძლება ინფორმაციულ და სავაჭრო სისტემებად დაიყოს.

სავაჭრო სისტემები – ბაზრის მონაწილეების მიერ თავისთავზე აღებული ვალდებულებებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, ასევე მათ დამრღვევთა მიმართ მიღებული ზემოქმედების და კონტროლის მექანიზმს უზრუნველყოფს.

სავაჭრო სისტემის ძირითად ამოცანებს წარმოადგენენ:

- ელექტრონული ვაჭრობის ფინანსური ინსტრუმენტების ფართო სპექტრით უზრუნველყოფა, საბაზრო სავალუტო და სხვა მრავალფეროვანი ინსტრუმენტების ჩათვლით;
- ერთიანი სავაჭრო ცენტრის ბაზაზე ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ვაჭრობის განაწილებული ქსელის ფორმირება, ავტომა-

ტიზებული სამუშაო ადგილების უშუალოდ ვაჭრობის მონაწილეების ოფისებში მოწყობით;

- თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე სავაჭრო ცენტრების ერთიან ქსელში გაერთიანების გზით ფინანსური ინსტრუმენტების ერთიანი საერთო ბაზრის შექმნა;
- უცხოეთის საფინანსო ბირჟაზე აპრობირებულ მსოფლიო სტანდარტების, ტექნიკური და საპროექტო გადაწყვეტილებების გამოყენება;
- სახელმწიფო, მუნიციპალური და კორპორაციული ფართო წესისა და სხვადასხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსების, მეორადი მიმოქცევისა და დეპოზიტარული მომსახურების, აგრეთვე სხვადასხვა ვალუტებითა და საკრედიტო რესურსებით ვაჭრობის უზრუნველყოფა.

სავაჭრო-დეპოზიტარული კომპლექსი შედგება აბონენტებისა (ტრეიდერების) და ცენტრალური რგოლის სამუშაო ადგილებისაგან, რომელიც სავაჭრო სისტემასა და ელექტრონულ დეპოზიტარებს შეიცავს. იგი უზრუნველყოფს ვაჭრობის პროცესის მთლიან ავტომატიზაციას ვაჭრობის მონაწილეთა განაცხადის შეყვანიდან დაწყებული დეპოზიტარების მომსახურებით, ვაჭრობისა და კლირინგის შედეგების დაანგარიშებით. ვადიანი ბაზრის მოდული ფიუჩერსული კონრაქტების სრული სასიცოცხლო ციკლის უზრუნველყოფას ახორციელებს, მიმოქცევაში კონტრაქტის მიწოდების, შეყვანის, კონტრაქტებით ვაჭრობის, ვაჭრობის შედეგად მარჟასთან დაკავშირებით ვალდებულებების გაანგარიშებისა და აღნიშნული ვალდებულებების დაფარვის აღრიცხვის, მონაწილეთა ღია პოზიციის, როგორც ვაჭრობის დროს, ასევე ვაჭრობებს შორის, კონტრაქტის დასრულებამდე.

სისტემა ქსელური გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყოფს ელექტრონული ვაჭრობის რეალიზებას ცენტრალურ რგოლთან დაშორებული ვაჭრობის მონაწილეების სამუშაო ადგილებიდან და იგი ყველა აბონენტებისათვის, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად, ვაჭრობაში თანაბარუფლებიან მონაწილეობას და ინფორმაცასთან თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფას ახორციელებს.

ინფორმაციული სისტემები – ისეთი სახის ინფორმაციებს ასახავენ, რომლებიც საფონდო ბაზრის მონაწილეებისაგან და გარე წყაროებისაგან არის მიღებული. საფონდო ბაზარზე უტყუარი ინფორმაციის თავისდროულ არსებობას სწორი გადაწყვეტილებების მიღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თითოეული კომპანიის რესურსების საერ-

თო შეზღუდულობის პირობებში ინფორმაციული საქმიანობა სპეციალიზებულ ფირმებს საინფორმაციო სააგენტოებს გადაეცემა. მსოფლიოში უმსხვილესი სააგენტო-რეიტერი, კერძო თანამგზავრული ქსელის ან ინტერნეტის მეშვეობით ფინანსურ ინფორმაციას დედამიწის (უბისმიერ წერტილში აწვდის. რეიტერი ტრადიციული პაკეტების შეთავაზებებს ახორციელებს, ისეთების როგორებიცაა *Markets 2000* ან *Rynki 1000*, რომლებიც უმეტეს საჭირო ოპერაციულ მონაცემებს მოიცავს. რეიტერის სიახლეების სამსახური *RXpress* საიმედო საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს მსოფლიო საფონდო ბაზრებზე. რეიტერის საკუთარი კორესპონდენტები მრავალ ქვეყანაში მუშაობენ. თანამედროვე პირობებში ხელმომწერებმა შეიძლება 30-მდე წამყვანი უცხოური მონაწილეების 50-თი მეტად პოპულარული აქციების (მათ შორის პრივილეგირებულების) ბირჟის გარეშე კოტირებები დაათვალიერონ.

ინფორმაციული სისტემა ფინანსური ინსტრუმენტების კოტირების, ინფორმაციული შეტყობინების მიმოხილვისა და რიგი ტექნიკური ანალიზის შესრულების შესაძლებლობას იძლევა. ოპერაცია დროის რეალურ რეჟიმში ხორციელდება. სისტემის ბირთვს ცენტრალური სერვერი და რეტრანსლიატორი შეადგენს, სადაც ინფორმაციის კოდირება ხორციელდება და გადაიცემა თანამგზავრებზე. ინფორმაცია ცენტრალურ სერვერებიდან მიეწოდება, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშია განთავსებული. აღნიშნული სერვერების ძირითად დანიშნულებას კონტრიბუტორებიდან ინფორმაციის, ანუ სისტემაში მონაცემების გადამცემი ინფორმაციული წყაროების მიღების უზრუნველყოფა წარმოადგენს. მთელ მსოფლიოში ასეთ წყაროებს წამყვანი ბანკები, ბირჟები და საინფორმაციო სააგენტოები წარმოადგენენ. კონტრებუტებიდან ლოკალურ სერვერებამდე ინფორმაცია, მოცულობიდან გამომდინარე და დამოკიდებულებაში, შეიძლება სხვა არხების: კომპიუტერული ქსელების, გამოყოფილი სატელეფონო ხაზების, კომპიუტერული სატელეფონო ხაზების მეშვეობით შემოვიდეს. სერვერსა და ცენტრალურ სერვერს შორის კავშირი მხოლოდ გამოყოფილი ხაზების მეშვეობით ხორციელდება. იმისათვის რომ სისტემის აბონენტი გახდე მომხმარებელმა აპარატულ-პროგრამული საშუალებების კომპლექსი უნდა დაიყენოს. კომპლექსი მოიცავს თანამგზავრულ ანტენას, გადამცემს და საგაზეთო ბარათს, რომელიც მომხმარებლის პერსონალურ კომპიუტერში ჩადგება. მუშა სადგურის პროგრამული უზრუნველყოფა მხოლოდ საგაზეთო ბარათის არსებობის შემთხვევაში არის შესაძლებელი. სიგნა-

ლების გადამცემ-მიმღები სიგნალის მიღებას და დეკოდირებას უზრუნველყოფს. ცალკეული ბლოკის საბოლოო დეკოდირება საგასაღებო ბარათით ხორციელდება, რომელიც მხოლოდ იმ ინფორმაციულ ბლოკებს "გაატარებს", რომელიც, თანახმად ხელშეკრულებისა, ხელმისაწვდომია კონკრეტული მომხმარებელისთვის.

მონაცემთა ძებნის მძლავრი საშუალებები საკმაოდ რთული არჩევის კრიტერიუმების საფუძველზე საძიებო მოთხოვნის შედგენის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან მუშაობა ერთიან ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზასთან ხორციელდება, რომელიც მსოფლიოში არსებული უმეტესი ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

რეიტერ *Triarch* 2000–ის ინტეგრაციული პლატფორმა – ერთიანი სტანდარტის საფუძველზე არა მხოლოდ რეიტერის ინფორმაციასთან მუშაობის შესაძლებლობას იძლევა, არამედ ღია ოქმების საფუძველზე სხვა არხების მეშვეობით შემოსული მონაცემების საფუძველზეც ხორციელდება. *Triarch* 2000-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს-თანამედროვე მულტიპლატფორმიანი ქვესისტემა წარმოადგენს, რომელიც ობიექტზე ორიენტირებული ტექნოლოგიის საფუძველზე არის აგებული. სისტემის ყველა საჭირო კომპონენტები რეალიზებულია, როგორც "ობიექტები", რომლებიც ერთმანეთთან ადვილად შეიძლება დაკავშირებული იქნას, რაც მონაცემებთან მუშაობას ბევრად უფრო ეფექტიანს ხდის.

ინფორმაციულ სისტემებში შემოსული ინფორმაცია სეგმენტებად და ბლოკებად დაჯგუფდება. შეგროვებადი და გამოშვებადი ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი სავალუტო ბაზარზე მოდის. ინფორმაციის ცალკეული სეგმენტი წამყვან ფიუჩერსული ვაჭრობების შედეგების, საბანკო ფორვარდული კონტრაქტების კოტირებების, ბანკებში ურთიერთცვლადი ვალუტების კურსების შესახებ მონაცემების, აგრეთვე ვალუტების ნაღდი და უნაღდო ყიდვა-გაყიდვის უფრო მომგებიანი კურსების, სავალუტო ოფციონირების შესახებ ჯამურ მონაცემებს წარმოადგენენ. აღნიშნულის გარდა ბიულეტენებში ძვირფას ლითონებზე ფასები ლონდონში, ევროდეპოზიტების, ევროკრედიტების და ლიბორის განაკვეთების, ძირითადი ფინანსური ინდიკატორების შესახებ 12 და 18 საათის მდგომარეობით მონაცემებია მოყვანილი.

ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მთავრობის, პარლამენტის, ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის, დედაქალაქის ადმინისტრაციისა და

სხვა უწყებების ნორმატიული საბუთები მუდმივად ცვალებადია. აღნიშნულს უშუალოდ ეხება ასევე ახალი ამბების ყოველდღიური ინფორმაცია და ქვეყნის საქმიანი პრესისა და "ფაუნენშინალ ტაიმსის" გაზეთის მიმოხილვა.

ინფორმაციის მეორე დიდ ბლოკს – "საფონდო ბაზრის" ყოველდღიური გამომცემლობა შეადგენს, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე სიტუაციებს ეხება. აღნიშნულ პუბლიკაციებში შეიძლება ყველა სახელმწიფოებრივი ვალდებულებები, საგარეო სავალუტო სასესხო ობლიგაციების კოტირებები მოიძიოს.

იბეჭდება სტატიები თამასუქების მიმოქცევის სპეციფიკაციასთან დაკავშირებით, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული მონაცემები, საagენტოს საკონსულტაციო საქმიანობასთან დაკავშირებით. მზადდება საარქივო ცნობები ფინანსური ბაზრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მოეწოდება საწარმოების შესახებ განსაზღვრული მონაცემები, რომლებიც საინვესტიციო ობიექტები შეიძლება გახდნენ.

§ 10.1. საფონდო ოპერაციების აღრიცხვა

"ინტეგრირებული საფონდო სისტემა" არის პროგრამების პაკეტი, რომლებიც საფონდო ოპერაციების კომპლექსური ავტომატიზაციისათვის არის შექმნილი. პროგრამული პროდუქტი არის განაწილებული სისტემა მონაცემთა ცენტრალიზებული შენახვით.

სისტემა სხვადასხვა ემიტენტების ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც როგორც გლობალური სერტიფიკატების, ასევე ჯამური და/ან ერთიანი სერთიფიკატების სახით არის გამოშვებული.

სისტემაში აღრიცხვის აგების საბალანსო პრინციპი გამოიყენება: ყველა დეპონენტის ფასიანი ქაღალდები აღირიცხება ორჯერ – მათი კუთვნილიების ჭრილში (დეპოს "პასივის" მიხედვით) და მათი ფიზიკური შენახვის ადგილის (დეპოს "აქტივის" მიხედვით).

სისტემა სხვადასხვა ხერხით გაფორმებულ ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების წარმოების შესაძლებლობას იძლევა, მათ შორის კუპონების.

სისტემა უზრუნველყოფს დეპოზიტარული მომსახურების სრულ კომპლექსს:

- საკუთარ საცავებში ან სხვა დეპოზიტარებთან ერთად ფასიანი ქაღალდების პასუხისმგებელობის ქვეშ შენახვას და მათ დეპო უნაღდო ანგარიშების სისტემის ფორმით აღრიცხვას;
- კომპიუტერიზებული სისტემის მომსახურებას ფასიანი ქაღალდების დეპო უნაღდო ანგარიშებისა და ფულადი გადახდებისათვის;
- ბანკის საკუთარი აქტივების მოძრაობის საბანკო საბალანსო ანგარიშების მიხედვით ასახვა პირველადი ემისიისა და მეორადი მიმოქცევისას.

სისტემა ფიზიკური პირების მომსახურებასთან მიმართებაში რამდენიმე სახის განყოფილებას იყენებს, როგორიცაა: საფონდო მაღაზია, ფასიანი ქაღალდების ყიდვა/გაყიდვასთან დაკავშირებული განყოფილება და საფოსტო განყოფილება.

სისტემას სხვა დეპოზიტარებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების მხარდაჭერის შესაძლებლობა გააჩნია, რომელიც როგორც ერთმხრივ ასევე ორმხრივ შეთანხმებებზეა აგებული, და იგი ნოსტრო-ლორო ანგარიშების გამოყენებით დეპოზიტართაშორისი ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

სისტემაში "მიწოდება გადასახადის საპირისპიროდ" პრინციპით არის რეალიზებული, ანუ გარიგებების დასრულებისას შემდეგი პირობების დაცვა ხორციელდება: გამყიდველმა გადახდის მიღებისათვის მყიდველს (ან მის აგენტს) ფასიანი ქაღალდები უნდა მიაწოდოს. გადახდა ერთდროულად ფასიანი ქაღალდების მიწოდებისთანავე ხორციელდება.

ბირჟაზე ბაზარი საინფორმაციო საფონდო სისტემაში "დამტკიცებული გარიგების აღსრულების სისტემის" – სავაჭრო სისტემის მეშვეობით არის ორგანიზებული, რომლებიც საფონდო ბაზრის მონაწილეებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს, რაც ცენტრალურ ოფისში ოპერატორების მეშვეობით ყიდვა და/ან გაყიდვაზე განაცხადის არა მარტო გადაცემით, არამედ დაშორებული მონაწილეთა სისტემის მეშვეობითაც არის შესაძლებელი.

სისტემაში ამა თუ იმ სახეობის ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობისათვის პროგრამების ბლოკები არსებობს, რომლებიც საინფორმაციო საფინანსო სისტემის ქვესისტემებიდან უშუალოდ მიიღება და სისტემის ბირთვის ქვესისტემებთან დამაკავშირებელ ინფორმაციებს ამუშავებენ.

სისტემის აქტიური ელემენტებია საინფორმაციო საფონდო სისტემის დაშორებული მონაწილეები, რომლებსაც დაშორებული რეგისტრატორების როლის შესრულება შეუძლიათ. მათი ძირითადი ფუნქციაა თავიანთი კლიენტებისგან დავალების მიღება, ფლობის უფლებების გადაფორმებისა და ფასიანი ქაღალდების დეპო ანგარიშებზე გადასატანად განაცხადის ფორმირება.

სისტემა უზრუნველყოფს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვას როგორც სუბდეპოზიტარის (დილერისათვის) როლში, ასევე ინვესტორის როლშიც, ასევე საკუთარი ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, საჭირო ანგარიშგებების ამობეჭდვისა და პორტფელის გადაფასების შესაძლებლობით.

სისტემა საბეჭდი ფორმების (საინფორმაციო საფონდო სისტემაში საგადახდო საბუთებისა და საანგარიშგებო საბუთების) ფორმირების მოქნილ ხერხს ითვალისწინებს, რომლის რეალიზება ანგარიშგების გენერატორის მეშვეობით ხორციელდება. აქ ინტერაქტიულ რეჟიმში დოკუმენტის ფორმა და მონაცემებია აღწერილი, რომლებიც საბუთში იქნება გადატანილი.

სისტემის მიერ ფორმირებული ყველა საბუთი, მათი შემდგომი დამუშავების მიზნით საბანკო საოპერაციო დღის ნებისმიერ სისტემაში შეიძლება იქნას გადაცემული.

საინფორმაციო საფონდო სისტემის სრული კომპლექსი თავისთავში სისტემის ბირთვს და რამდენიმე ქვესისტემას მოიცავს:

- სისტემის ბირთვს- "დეპოზიტარის საოპერაციო დღე";
- ავტონომიურ სისტემას – "დივიდენდების გადახდა";
- გამოყოფილ ქვესისტემას – "დივიდენდების დაშორებული გადახდა";
- გამოყოფილ ავტომატიზებული სამუშაო ადგილს – "ბროკერის ჟურნალები";
- გამოყოფილი ავტომატიზებულ სამუშაო ადგილი- "საინფორმაციო საფონდო სისტემის ბუღალტერი".

დეპოზიტარის საოპერაციო დღე – საინფორმაციო საფინანსო სისტემის ბირთვია. მთლიანი სისტემის საჭირო კონფიგურაციის მისაღებად საჭიროა ბირთვთან მივაერთოთ სასურველი ქვესისტემები. დეპოზიტარის მიერ ყველა გამოყენებადი შესაძლო რეჟიმების სია, და ყველა შენახვის ადგილების სია ერთობლიობაში დეპოზიტარის "საბალანსო ანგარიშთა გეგმას" შეადგენს. დეპოზიტარში ფასიანი ქაღალდები

შეიძლება იქნას შენახული "გამოცალკავებულად" ("დახურული") ან "კოლექტიურად" ("ღია"). შენახვის ხერხი აისახება სხვადასხვა საბალანსო დეპო ანგარიშებზე. ფასიანი ქაღალდის დეპო ბალანსში აღირიცხება ცალობით და არა თანხობრივად. დეპო ბალანი ფორმირდება ცალცალკე, თითოეული კონკრეტული სახეობის ფასიანი ქაღალდის ჭრილში.

"აქტიური" დეპო ანგარიშებისათვის მათი მფლობელის სახით თავად დეპოზიტარი მიეთითება, რადგანაც იგი საცავებში აღრიცხვისათვის მიღებულ ფასიან ქაღალდებს, თავისი სახელით განათავსებს, ან დეპოზიტარი – კორესპონდენტების სახით, რომელთა საცავებში დეპოზიტარმა საალრიცხვოდ მიღებული ფასიანი ქაღალდები განათავსა. დეპო დეპოზიტარი – კორესპონდენტის აქტიური ანგარიში დეპოზიტარის აღრიცხვაში ნოსტრო ანგარიშად იწოდება. "პასიური" დეპო ანგარიშებისათვის მათ მფლობელებს დეპოზიტარების (დეპონენტების) კლიენტები წარმოადგენენ, ვის ფასიან ქაღალდებსაც აღრიცხავს დეპოზიტარი. დეპოზიარის კლიენტი შეიძლება სხვა დეპოზიტარი – კორესპონდენტიც იყოს. დეპოზიტარი – კორესპონდენტის პასიური ანგარიში დეპოზიტარის აღრიცხვაში ლორო ანგარიშის სახით იწოდება. დეპოზიტარის თითოეულ კლიენტს დეპო ანგარიში გაეხსნება, რომელიც მოცემულ დეპოზიტარში კლიენტს ცალსახად განსაზღვრავს. დეპო ანგარიშებზე აღირიცხებაკლიენტის ყველა ფასიანი ქაღალდი, მიუხედავად მათი ტიპისა: აქტები, ობლიგაციები და ა.შ. ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების ასახვა არის ფასიანი ქაღალდების საბალანსო დეპო ანარიშების მიხედვით მოძრაობა, თითოეულ მათგანს თავისი შინაარსობრივი მნიშვნელობა გააჩნია. სისტემაში ოპერაციები, შესასრულებელი მოქმედებების თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგ კლასებად დაიყოს:

- ადმინისტრაციული ოპერაციები – არის დეპოზიტარული ოპერაციები, რომლებიც დეპო ანგარიშების ანკეტების, კლიენტების დოსიეს, ფასიანი ქაღალდების, აგრეთვე სხვადასხვა ჟურნალების შინაარსში აღწერილობის ცვლილებებს იწვევს.
- ბუღალტრული ოპერაციები – არის ოპერაციები, რომლებიც დეპო ანგარიშებზე ფასიანი ქაღალების ნაშთების ცვლილებას იწვევს.
- ინფორმაციული ოპერაციები – არის ყველა შესაძლო ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებული, მაგალითად, დეპო ანგარიშების მდგო-

მარეობის შესახებ ანგარიშგებები, კლიენტების დოსიეები, აგრეთვე დეპოზიტარული საქმიანობის განხორციელების შესახებ ოპერაციები.

სისტემის საფუძველში დროის რეალურ რეჟიმში საბუთბრუნვის პრინციპია ჩადებული. აღნიშნული ნიშნავს, რომ თითოეული საბუთი გარკვეული მოქმედებების ჯაჭვის ინიცირებას ახდენს, მათ შორის სხვა საბუთების შექმნასაც, რომლებიც მათი შესრულების შემდეგ სისტემის ყველა მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ხდება მაშინათვე მათი უფლებამოსილებების ფარგლებში. რეალური დროის პრინციპი ნებისმიერი ანალიტიკური და საანგარიშგებო ინფორმაციის მიმდინარე მომენტში მიღების და სისტემის ქმედითუნარიანობის ოპერატიული კონტროლის გარანტიას იძლევა. საბუთების ერთ-ერთი წყაროა "ავტომატიზებული სამუშაო ადგილები", რომლებიც საინფორმაციო ფინანსური სისტემის ლოკალურ ქსელშია მიერთებული. მომხმარებლები, რომლებსაც ინფორმაციასთან წვდომის უფლებამოსილება გააჩნიათ, პირველადი საბუთების და/ან კლიენტების სურვილის საფუძველზე ბრძანებების ფორმირების შესახებ ღებულობენ გადაწყვეტილებებს. საბუთების გაფორმება დეპო ანგარიშების წარმოების წესების შესაბამისობაში ხორციელდება. გარდა ამისა, სისტემაში საბუთების ფორმირება ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება.

დამტკიცებული გარიგებების აღსრულების სისტემა – სისტემაში ფასიანი ქაღალდების ყიდვა/გაყიდვაზე კლიენტების დავალებები შემოდის, რომლებიც მათ დეპო ანგარიშებზე აღირიცხებიან. დავალებაში ბრძანების მოქმედების ვადა, მოსალოდნელი გადახდის ვადა და ფინანსური პირობები არის მითითებული.

თითოეული დავალებისათვის სისტემა ყველა შემხვედრ დავალებისაგან დროში, ფინანსურ და სხვა პირობებით ოპტიმალურ განაცხადებს შეარჩევს და ასეთის არსებობის შემთხვევაში, გარიგების დაჯამებას (გაქვითვას) ახორციელებს. გაქვითული გარიგება დამტკიცებულად ითვლება. ყველა კონტრაგენტების მიხედვით ხდება შეტყობინებების ფორმირება.

გარიგების შესრულება გადარიცხვა გადახდის პრინციპის დაცვით და "მიწოდება გადახდის საპირისპიროდ" სქემით ხორციელდება.

გამყიდველისა და მყიდველისათვის ფორმირდება ფინანსური ანგარიშებიდან ამონაწერები, ფასიანი ქაღალდების სახეობის მიხედვით საგადახდო დავალებების ასლები, გარიგების საგნისა და პირობების დეტალური აღწერილობით. აღნიშნული საბუთები დეპო ანგარიშის თი-

თოეული დეპოზიტარისათვის შესაბამისი ოპერაციების განხორციელების იურიდიული საბუთია და იგი (ოპერაცია) აღნიშნულ საბუთების მიღებისთანავე უნდა იქნას შესრულებული.

სისტემაში ორი ძირითადი ბრძანების ტიპი სრულდება:

1. საბაზრო ბრძანება ერთი საოპერაციო დღის განმავლობაში მოქმედებს და იგი ხელმისაწვდომი ფასებიდან უკეთესის სისტემაში შემოსვლისთანავე სრულდება.
2. ლიმიტირებული ბრძანება ფასიანი ქაღალდების შეძენის მაქსიმალურ ან გაყიდვის მინიმალურ ფასს ადგენს. ფასების ზღვრები შეიძლება შეიცავდეს მითითებას "ან უკეთესი". ლიმიტირებული ბრძანება ფასების კორექტორებისათვის ან ბრძანების მოქმედების დროის კორექტირებისათვის, გარკვეული მითითებებით შეიძლება იქნას შევსებული (სულ 8 პირობა).

დეპოზიტარების სპეციალიზებული განყოფილებები – ფიზიკური პირების მომსახურებისათვის გამოიყენება. განყოფილებებში განხორციელებადი ოპერაციების ძირითად პირობაა ის, რომ გარიგების კონტრაგენტის როლში "საკუთარი დეპოს" მქონე ორგანიზაცია – მფლობელი გამოდის, ამასთან იგი შეიძლება ფასიანი ქაღალდების მფლობელის როლშიც, ასევე ემიტენტის აგენტის როლშიც გამოვიდეს. ფასიანი ქაღალდის მოძრაობა მხოლოდ, მის დეპო ანგარიშთან და შესაბამისი საბალანსო დეპო ანგარიშებთან არის დაკავშირებული. სისტემაში განასხვავებენ შემდეგი სახეობის დეპოზიტარიების განყოფილებას:

1. ყიდვა/გაყიდვასთან დაკავშირებული განყოფილებები. ასეთი სახის განყოფილებაში ფასიან ქაღალდებთან მუშაობის საკალდებულო პირობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შესაძენად/გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები დეპო ანგარიშებზე იმყოფება, ანუ დეპოზიტარებშია დეპონირებული.
2. ფასიანი ქაღალდების გაყიდვის განყოფილებები, რომლებიც საფოსტო განყოფილებაშია განთავსებული. საფოსტო განყოფილებები დამოუკიდებლად ადგენენ ანგარიშგებებს გაყიდული ფასიანი ქაღალდების შესახებ და დეპოზიტარის ცენტრალურ ოფისში გადასცემენ. ოპერატორი საფოსტო განყოფილებებიდან მიღებულ ანგარიშგებების ინფორმაციას "ავტომატიზებულ სამუშო ადგილში" შეიყვანს. ისევე როგორც განყოფილების ვარიანტში, საკალდებულო პირობას წარმოადგენს ის, რომ გასაყიდი ფასიანი ქაღალდები დეპოზიტარებში დეპო ანგარიშებზე უნდა იყოს აღრიცხული.

საფონდო მაღაზია. ამ სპეციალიზირებულ განყოფილებას სისტემაში ბრუნვაში არსებული ნებისმიერ ფასიანი ქაღალდის შეძენა/გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციის განხორციელება შეუძლია.

ბრძანებების შექმნისას გარიგების მთლიან თანხაზე ავტომატურად გენერირდება სალაროს დოკუმენტები (განცხადება შეტანაზე, გასაცემის ორდერები) ბანკში არსებული საბუთების ანალოგიურად, რაც მათ სისტემაში მიმოქცევას ხდის მოხერხებულად. კლიენტთან მუშაობის ნებისმიერი ფაზის დროის შესაძლოა ბრძანების შეჩერება ანუ ამოშლა ან "შეცვლა" - რედაქტირება განხორციელდეს, ამასთან პირველ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების ნაშთი განყოფილებაში ავტომატურად კორექტირდება.

საინფორმაციო ფინანსური სისტემისაგან დაშორებული კლიენტი – სისტემის ერთ-ერთ აქტიურ ელემენტს წარმოადგენს. მის განკარგულებაში იმყოფება აღნიშნული სისტემის "ავტომატიზებული სამუშაო ადგილი", რომელსაც მონაცემების საკუთარი ავტონომიური ბაზა გააჩნია და იგი კლინტს სისტემასთან off-line რეჟიმში მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. კლიენტსა და საინფორმაციო ფინანსურ სისტემას შორის, ინფორმაციის გაცვლა მოდემური კავშირის მეშვეობით ხორციელდება. სისტემაში მისი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, დაშორებულ კლიენტს განსაზღვრული შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ მისი მუშაობის საერთო სქემა უცვლელია: კლიენტი ადგენს დავალებას სისტემისადმი და გადასცემს ცენტრაკურ ოფისს. ცენტრალური ოფისიდან იგი ფორმირებულ შეკითხვებზე პასუხს ღებულობს. ინფორმაციების გაცვლა დაშორიშორებული მონაწილესა და სისტემას შორის კომპიუტერულ-მოდემურ კავშირის მეშვეობით ხორციელდება. დაშორიშორებულმა მონაწილემ შეიძლება დაშორიშორებული რეგისტრატორის რგოლი შეასრულოს, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება თავიანთი კლიენტებისაგან დავალებების მიღება და განაცხადების ფორმირება დეპო ანგარიშების მიხედვით ფასიანი ქაღალდების გადაყვანაზე ფლობის უფლებების გადაფორმებაზე. აღნიშნული ქვესისტემის მეშვეობით სისტემის დაშორიშორებული მონაწილეების ქსელის ორგანიზაცია არის შესაძლებელი, რაც ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების სფეროს, აგრეთვე სისტემის მომსახურების მიმღები კლიენტების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაფართოების შესაძლებლობას იძლევა.

"ელექტრონული საბუთების ოპერაციების" - ავტომატიზებული სამუშაო ადგილი შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

- აგენტების ბრძანებების დამუშავება;
- ბრძანებების გაუქმება;
- გადარიცხვებთან მუშაობა, ჩამოწერა გადახდით და გადახდის გარეშე;
- ფასიანი ქაღალდების შეძენა/ გაყიდვაზე ბრძანებების დამუშავება;
- ბრძანების გაქვითვასთან დაკავშირებით გაფორმებულ გარიგებებთან მუშაობა.

ბრძანების სრულად გატარება მოიცავს:

- ჩატარებული ოპერაციის კორექტულობაზე შემოწმებას;
- ფინანსური ანგარიშების გახორციელებას;
- ფასიანი ქაღალდების შეძენა/გაყიდვაზე ბრძანებების დამუშავებას.

დამუშავებული ბრძანებების მდგომარეობა დაშორიშორებულ მონაწილეს ავტომატურად გადაეგზავნება საინფორმაციო სისტემის მიერ. ასევე ავტომატურად გადაიგზავნება ფასიანი ქაღალდების ამონაწერებიც.

§ 10.2. ფასიანი ქაღალდების პაკეტების მართვის ავტომატიზაცია

ფასიანი ქაღალდების პაკეტების მართვის ავტომატიზაცია უფრო ფართო სფეროა, ვიდრე ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიები.

მაგალითად, პორტფელური ფასიანი ქაღალდების მართვის სისტემები *GAMA (Global Asset Management Assistant)*. სისტემას ელექტრონული ცხრილების სახით განვითარებული სამომხმარებლო ინტერფეისი და ფიქსირებული ფორმები გააჩნია. მას ანგარიშგებების გენერირების და მონაცემების იმპორტ/ექსპორტის მდიდარი საშუალებები გააჩნია. *MS Windows*-ის გარემოში მრავალჯერად გამოყენებად სისტემას წარმოადგენს. სისტემა სპეციალიზირებულია ავტომატიზებულ სამუშაო ადგილების სახით არის წარმოდგენილი, მაგალითად, ფუნქციების *front–office, middle–office* და *back–office*-ს ტრადიციულად დაყოფის შესაბამისად.

სისტემა *GAMA* პორტფელის მენეჯერს ან ინვესტიციებთან დაკავშირებულ მენეჯერს პორტფელის მდგომარეობის, ლიკვიდობის, საბანკო ანგარიშების მდგომარეობისა და ბაზარზე სიტუაციის შესახებ აქტუალური ინფორმაციებით უზრუნველყოფს. სისტემას სხვადასხვა ფი-

ნანსურ ინსტრუმენტებთან, როგორებიცაა აქციები, ობლიგაციები, ოფციონერები, ფიუჩერსები და რიგი სხვები, ტრანზაქციის შედგნის შეყვანის, კონტროლისა და ანალიზისათვის საკმაოდ მდიდარი შესაძლებობები გააჩნია. სისტემას რიგი ანალიტიკური ფუნქციების უზრუნველყოფის შესაძლებლობები გააჩნია, ისეთების როგორიცაა პორტფელის და ცალკეული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის ანალიზი.

სისტემა შემდეგ მოდულებს მოიცავს:

აქტივების (აქციებიზე ოფციონერების ჩათვლით);

ობლიგაციების (ობლიგაციებიზე ოფციონების ჩათვლით);

ფორექსის (ოფციონერებისა და სვოპების ჩათვლით);

ფიუჩერების (ფიუჩერებზე ოფციონების ჩათვლით);

დეპოზიტების (*Fixed Time Deposits*);

გაერთიანებული პორტფელების (გაერთიანებული ტრანზაქციები, ჰოლდინგები);

ბუღალტრული აღრიცხვა (ლიკვიდობა, საბანკო ანგარიშები, ბალანსი ანგარიშების მიხედვით, მთავარი წიგნი).

ბაზარზე არსებული პროდუქტებიდან საფონდო ბაზრის სისტემა *GAMA* განსხვავდება:

- პორტფელში ინტეგრაციასთან დაკავშირებული მხარდამჭერი ფინანსური ინსტრუმენტების კრებულით;
- ფინანსური სიტუაციებისა მოდელირების და "უკან ჩაბრუნების" განვითარებული საშუალებებით;

  ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობით;

  ფინანსური დანართების ავტომატურად დამუშავების სისტემის არსებობით, რაც სისტემის კლიენტის მოთხოვნათა შესაბამისად გადაწყობის შესაძლებლობებს მკვეთრად აჩქარებს და აიაფებს;
- კვალიფიცირებული კონსალტინგით ინვესტირების ავტომატიზირებული არატრადიციული სტრატეგიის შემთხვევაში, რამდენადაც დამუშავებები ხორციელდება, მათ შორის, ევროპული საფონდო ბაზრებისათვისაც.

ახალი ფინანსური ინსტრუმენტები, მეთოდები და გაანგარიშებების ალგორითმები *GAMA* სისტემაში გამოყენებისათვის მზა მდგომარეობაშია ბევრად უფრო ადრე, როგორც კი ისინი საფონდო ბაზარზე რეალურად იწყებენ მათ გამოყენებას.

GAMA სისტემა შემდეგი ფუნქციების უზრუნველყოფას ახორციელებს:

- ყველა ტრანზაქციების რეგისტრაციის, მათ შორის აქციებისათვის, კუპონები და დაფარვები ობლიგაციებისათვის, რეპო გარიგებებისათვის და ა.შ. დივიდენტებს;
- ნებისმიერი ინფორმაცია, მიმდინარე საბაზრო ინფორმაციების ჩათვლით, ბულალტრულ ანგარიშგებისა და სხვა. ელექტრონული ცხრილების სახით მიწოდება;
- პორტფელის საშუალო მნიშვნელობების *LIFO* ან *FIFO*-ს მიხედვით გაანგარიშებას;
- შემოსავლიანობის ანალიზს;
- პორტფელის მთლიანობაში შეფასებას, ფულის საბანკო ან კლიენტეთა ანგარიშების ჩათვლით;
- სავალუტო ვალდებულებების შეფასებას, რომელთაც მდგრადი კოტირებები არ გააჩნიათ;
- მონაცემების ნებისმიერი კატეგორიისათვის კონსოლდაცია და ამორჩევა;
- აქციების შერწყმისა და კონსოლიდაციის ისტორიის აღნუსხვა და ასეთი ოპერაციებისათვის კალკულაციებში ავტომატურად აღრიცხვა;
- ბულალტრულ ანგარიშებზე, დეპოზიტურ ანგარიშებზე მდგომარეობის შესახებ და ბროკერებთან ანგარიშსწორებისათვის და დეპოზიტარებისათვის ინსტრუქციის მომზადება სამუშაო დღით ან პერიოდის მდგომარეობით;
- ცალკეული მომხმარებლებისა და მომხმარებლების კატეგორიებისათვის სისტემაში წვედომის მართვა;
- ცხრილების იმპორტ/ექსპორტი, *ReuteRS*-ი ცხრილების რეალურ დროში იმპორტ/ექსპორტის ჩათვლით;
- *MS Office* და *Internet* -ში ინტეგრაცია;
- *GAMA* სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მათი ქმედების ქვეშ ექცევა;
- *GAMA* სისტემას საკუთარი ანგარიშგების გენერატორი გააჩნია. გენერატორი სისტემაში ნებისმიერ სახის ცხრილური მონაცემების სახით ანგარიშგების შექმნის შესაძლებლობას იძლევა;
- უფრო მეტად მნიშვნელოვანი ცხრილების მისაღებად ანგარიშგების გენერატორისათვის დამატებითი უტილიტები გამოიყენება.

ევროპაში *GAMA* სისტემაში და მის ვერსიაში მართვადი აქტივების მოცულობა დღეს 70 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს.

თავი 11. ინფორმაციული უსაფრთხოება

ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოება ბაზრისა და კონკურენტების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხოებაზე და თავისი კომერციული საიდუმლოების საიმედო დაცვაზე არის დაფუძნებული.

ფასეული კომერციული ინფორმაციისათვის საშიშროების მთავარ წყაროებს წარმოადგენენ:

- არაკეთილსინდისიერი და ხელმოკლე, პარტნიორების ან კლიენტების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;
- სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობრივი პირების მხრიდან უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა;
- კომერციულ საიდუმლოებაზე და ინტელექტუალურ საკუთრებაზე კრიმინალური ძალადობის, სამრეწველო შპიონაჟის მცდელობები;
- ბანკის თანამშრომლების არაკეთილსინდისიერება ან დაბალი კვალიფიკაცია.

ბანკის დაცვა ბიზნესთან ერთად უნდა განიხილებოდეს და რისკის დასაშვებ დონეს უნდა უზრუნველყოფდეს. თუ რისკის დონე დასაშვებზე მეტია, მაშინ დაცვა არასაკმარისია, ხოლო თუ კი ნაკლებია, მაშინ დაცვაზე გაწეული დანახარჯები ზედმეტია. საბანკო საიდუმლოების დაცვის დღევანდელი მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით საჭიროა, უპირველეს ყოვლისა სისტემის სუსტი მხარეების გამოვლენა, ტერმინების ალბათობაში ანუ სხვა სახის რიცხობრივ ან ფუნქციონალურ ფორმაში მათი შეფასება და იმ შედეგების გათვლა, რასთანაც სისტემის სისუსტეებმა შეიძლება მიგვიყვანოს.

თუ საიდუმლოების 4-დონიანი სქემიდან გამოვალთ, მაშინ კომერციული საიდუმლოება შეიძლება შემდეგი სახით იქნას კვალიფიცირებული: სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მნიშვნელოვანი ინფორმაცია, "მგრძნობიარე" ინფორმაცია, საერთო მიღწევადი ინფორმაცია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოცულობა უმნიშვნელოა, მასთან შეღწევადობის უფლება ადამიანთა ვიწრო წრეს გააჩნია (ბანკის ხელმძღვანელობა, აპარატის ნდობით აღჭურვილი პირები, წამყვანი საკადრო თანამშრომლები და ა.შ.), მაგრამ მათი დაცვის ღონისძიებები - მეტად სერიოზულია. მნიშვნელოვანი ინფორმაცია – არის ისეთი სახის ინფორმაცია, რომლის დაკარგვის შედეგი დიდ მორალურ და მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთია კონფიდენციალური ინფორმაციის ძირითადი ნაწილი, რომელიც ძირითადი

საკადრო შემადგენლობის ბრუნვაში იმყოფება, როგორიცაა - ინფორმაციული რესურსი, რომელიც დაცვას მოითხოვს. საერთო ნაკადში მისი მოცულობა დიდი არ არის – დაახლოებით 5%-ის ფარგლებშია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და მნიშვნელოვანი ინფორმაციისათვის ყველაზე უფრო საიმედოს-კრიპტოგრაფიულ დაცვის საშუალებები წარმოადგენენ. დაცვის სისტემაში გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაძლო გაუმართაობები, დაზიანებული ელექტრო მაგნიტური, აკუსტიკური და სხვა სახის არხების გაჟონვები. ოპერატორების შეცდომები და სხვა საშიში გარემოებები. ინფორმაციის გაჟონვისაგან ასევე ის სათავსოები და ტექნიკური საშუალებები უნდა იქნას დაცული, რომლებშიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციები მუშავდება. "მგრძნობიარე" ინფორმაცია – არის ისეთი სახის ინფორმაცია, რომლის დაკარგვა ზარალის მომტანია, მაგრამ მისი არსებობის შემთხვევაში ბანკს ეფექტურად ფუნქციონირების შენარჩუნება შეუძლია. მაგრამ "მგრძნობიარე " ინფორმაციის დაგროვებამ და სისტემატიზაციამ შეიძლება საშიშ და არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ფაქტიურად, მას კომერციული ბანკის სამსახურებრივი ინფორმაციის ძირითადი მოცულობა მიეკუთვნება, რომლებთანაც წვდომა შეზღუდული უნდა იყოს. და ბოლოს, საერთო მიღწევადი ინფორმაცია ისეთი ინფორმაციაა, რომლებსაც დაცვა არ ესაჭიროება.

§ 11.1. საბანკო ინფორმაციის დაცვა

საბანკო ინფორმაცია ყოველთვის იყო ყველა სახის ბოროტმოქმედების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი. ნებისმიერი საბანკო ძალადობა ინფორმაციის გაჟონვიდან იწყება. ავტომატიზებული საბანკო სისტემები ასეთი სახის გაჟონვების არხებს წარმოადგენენ. ავტომატიზებული საბანკო სისტემები დანერგვის დასაწყისიდანვე ძალისმიერი ზემოქმედების ობიექტი ხდება. ექსპერტების შეფასებით, აშშ-ში კომპიუტერული ინფორმაციის არაკანონიერად გამოყენებისაგან საბანკო დაწესებულებების ზარალი 0.3-დან 5 მილიარდ დოლარამდე შეადგენს. ინფორმაცია არის საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო პრობლემის ასპექტი. მაგრამ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მუშაობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ თუნდაც მეტად მკაცრი ორგანიზაციულ ღონისძიებებიც კი ფიზიკური არხების მეშვეობით გაჟონვებისაგან სრულად დაცული ვერ იქნება. ამიტომ ინფორ-

მაციული დაცვისადმი სისტემური მიდგომა მოითხოვს, რომ ბანკის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გამოყენებული ორგანიზაციული, ფიზიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და ქმედებები უნდა იქნას განხილული, როგორც ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთშევსებადი და ურთიერთზემოქმედი ღონისძიებების ერთიანი კომპლექსის სახით. ასეთი კომპლექსი მიმართული უნდა იყოს არა მარტო ინფორმაციის არასანქცირებული შეღწევადობისაგან, არამედ შემთხვევითი განადგურების, ინფორმაციის შეცვლისა ან გაჟონვის თავიდან აცილებაზე, მათ შორის ხანძრის, წყალდიდობის, სტიქიური უბედურების, ავარიების და ბანკის ნორმალური მუშაობის სხვა დარღვევებისაგანაც უნდა იყოს დაცული.

§ 11.2. ინფორმაციის დაცვის უცხოური გამოცდილება

უცხოეთის ავტომატიზებული საბანკო სისტემა, ისევე როგორც მისი ტიპიური პლატფორმები (მონაცემების ბაზების მართვის სისტემა, ოპერაციული სისტემა), რომლის საფუძველზეც იგება სისტემის ბირთვი, უკვე მოიცავენ არასანქცირებადი შეღწევის თავიდან აცილების არასტანდარტულ საშუალებებს. მაგრამ აღნიშნული საშუალებები ბანკის საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საკმარისი არ არის, და ამიტომ ისინი აუცილებლად შემდეგი დამატებითი ღონისძიებების გატარებას უნდა ითვალისწინებდნენ:

- ორგანიზაციულ ღონისძიებებს, მათ შორის: ოპერატიულს და გაუმჟღანებელს; ისეთ პერსონალზე კონტროლის განხორციელებისათვის, რომელთაც ავტომატიზებულ საბანკო სისტემაში წვდომის უფლებამოსილების მაღალი დონე გააჩნიათ: პროგრამისტები, სისტემური ადმინისტრატორები, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები;
- ორგანიზაციულ ღონიზიებებს, რომლებიც არასტანდარტული სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში ავტომატიზებული საბანკო სისტემის მუშაობის აღდგენის უზრუნველყოფასთან იქნება დაკავშირებული;
- ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები ისეთ სათავსოებში შეღწევის მართვასთან დაკავშირებით, რომლებშიც გამოთვლითი ტექნიკა და მონაცემების მატარებლები არის განთავსებული.

მაგალითის სახით ერთ-ერთი უმსხვილესი დასავლეთის ბანკი შეიძლება მოვიყვანოთ, რომელსაც ფილიალების განშტოებული ქსელი გააჩნია. მთავარ გამოთვლით ცენტრში მრავალჯერადად რეზერვირებადი გამოთვლითი კომპლექსია დაყენებული. მეორე, სარეზერვო, გამოთვლითი ცენტრი სხვა ქალაქშია განთავსებული. მასში ისეთივე გამოთვლითი კომპლექსია განთავსებული, როგორიც მთავარ გამოთვლით ცენტრში არსებობს. მონაცემების სინქრონიზაცია ყოველდღიურად საოპერაციო დღის დასრულების შემდეგ გამოყოფილი ჩქაროსნული კავშირის არხის მეშვეობით სარეზერვო გამოთვლით ცენტრში განახლებული მონაცემების გადაგზავნის სახით ხორციელდება. გამოთვლითი ცენტრი ტერორისტული აქტებიდან დაცვის მიზნით საწყობის ფორმით არის შენილბული. თვით გამოთვლით ცენტრში პერსონალს მაგნიტურ ბარათებში კონტროლის სისტემის მეშვეობით სხვადასხვა სათავსოებში შეღწევა შეზღუდულია. კომპლექსის მომსახურების ზონები ორ კატეგორიად არის დაყოფილი და პერსონალს, რომელსაც დაბალი კატეგორიის მომსახურების შესვლის უფლება გააჩნია, მას მაღალი კატეგორიის ზონაში შესვლის უფლება არ აქვს. უმაღლესი კატეგორიის ზონაში კონფედენციალური ინფორმაციის დამგროვებელი და შეყვანა/გამოყვანის მოწყობილობებია განთავსებული. პროგრამისტებს, რომლებიც ლოკალური გამოთვლითი სისტემის მომსახურებას ეწევიან, განმანაწილებელ მონაცემებთან შეღწევის უფლება არ გააჩნიათ. ანგარიშებზე ყველა სამუშაოები უპირატესად ფიქტიურ მონაცემებზე ხორციელდება, რომელთა სკანირება სპეციალური პროგრამით ხდება. თითოეულ პროგრამისტზე კონტროლია დაწესებული, გაუფრთხილებელი დაკვირვებების ჩათვლით, როგორიცაა: პირადი ცხოვრების შესახებ მონაცემების და დოსიეს შემოწმება. პროგრამისტების მიერ ერთმანეთის საქმიანობის სისტემატურად გადამოწმება ხორციელდება პროგრამაში აღმოჩენილი შეცდომებისა და არაკორექტული ქმედებების გამოვლენაზე წახალისების გამო. ყველა პროგრამული პროდუქტი, რომლებიც გამოთვლით კომპლექსში გამოიყენება და გარედან არის შეძენილი, მხოლოდ საწყის ტექსტებში შეიძინება, რომელთა კომპილირება, გულმოდგინე შემოწმების შემდეგ, ადგილზე ხორციელდება. მთავარ გამოთვლით ცენტრში შეტანა და მით უმეტეს რაიმე სახის ჩანაწერის ან მაგნიტური მატარებლების გატანა აკრძალულია. პერსონალი პირად ნივთებს (პაპკები, პორტფელი, საბუთები) შესასვლელში აბრებს და მათ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ გასასვლელში უკან ღებულობს. ყველა

სახის საბუთებისა და მაგნიტური მატარებლების, რომლებიც სამუშაოსათვის არის საჭირო, შენობაში შეტანა გულმოდგინე შემოწმების შემდეგ არის შესაძლებელი. სისტემაში გარემოებების აღრიცხვის ჟურნალის (sequrity log/ardit trail) აღწერილობა ცალკე ელექტრონულ გამოთვლით მანქანაზე ხორციელდება და განმხოლოებულ ადგილას განთავსებულ დამგროვებლებში ინახება. აღნიშნულ სათავსოში შესვლის უფლება მხოლოდ უსაფრთხოების სისტემის ადმინისტრატორის პერსონალს გააჩნია, რომელთაც ჟურნალის გადამოწმების უფლებამოსილება გააჩნია. ჟურნალის დაარქივება ოპტიკურ დამგროვებელზე ერთჯერადი ჩანაწერით ხორციელდება. გარემოებების რეგისტრაციის ჟურნალში სისტემაში არასანქცირებული შეღწევისა და საეჭვო მოვლენების მცდელობის შესახებ "სტანდარტული" მონაცემების გარდა ასევე ზოგიერთი ტიპისა და დონის ფულადი ოპერაციების რეგისტრირებაც ხორციელდება. კერძოდ, ვლინდება ანგარიშები, რომლებზედაც დიდი რაოდენობის ძალიან მცირე თანხები არის ჩარცხული (რათა ანგარიშზე ისეთი მცირე თანხების ჩარიცხვა იქნეს გადამოწმებული, რომლებიც თანხების ზუსტ და დამრგვალებულ მნიშვნელობებს შორის სხვაობით არის გამოწვეული). ბუნებრივია, აღნიშნული ქმედება ძალიან ძვირადღირებული დაცვაა და მას შესაბამისი ფინანსური დასაბუთებაც უნდა ჰქონდეს.

ავტომატიზებულ საბანკო სისტემაში შეღწევის კონტროლი სამი პრინციპის საფუძველზე ხორციელდება:

- წვდომის შეზღუდვები;
- წვდომის გამიჯვნა;
- წვდომის რეგისტრაცია.

წვდომის შეზღუდვის პრინციპი: სისტემის სუბიექტს წვდომის არც მეტი და არც ნაკლები უფლება უნდა გააჩნდეს, ვიდრე მას ნორმალური მუშაობისათვის ესაჭიროება.

წვდომის გამიჯვნის პრინციპი: სისტემის ობიექტებში შეღწევის უფლება მხოლოდ იმ სუბიექტებს უნდა გააჩნდეს, რომელთაც მოცემულ ობიექტში შეღწევის განსაზღვრული უფლებები გააჩნიათ.

წვდომის რეგისტრაციის პრინციპი: სუბიექტის მიერ სისტემის ობიექტის შეღწევის თითოეული ფაქტი სპეციალურ სისტემურ ჟურნალში უნდა იქნას რეგისტრირებული.

აღნიშნული სამი პრინციპის ერთობლიობა შეიძლება როგორც წვდომის კონტროლის სახით იქნას აღქმული, ხოლო მათი განხორციელებისათვის საშუალებები კი როგორც წვდომის კონტროლის საშუალება. აღნიშნული პრინციპების შესრულებაზე კონტროლს სისტემის და უსაფრთხოების ადმინისტრატორები ახორციელებს. სისტემის ადმინისტრატორის ფუნქციებში შედის:

- მონაცემების სტრუქტურის გენერაცია;
- მონაცემების ბაზების მართვის სისტემის ობიექტებთან აღნიშნული სისტემის მომხმარებლებისათვის წვდომის უფლების მინიჭება (ცნობარებთან, მონაცემთა ბაზებთან, ცხრილებთან, კლონებთან, ჩანაწერებთან, ველებთან).

სისტემის უსაფრთხოების ადმინისტრატორი არის პირი, რომელიც შემდეგ ფუნქციებს ასრულებს: ავტომატიზებული საბანკო სისტემის ექსპლოატაციით დაკავებულ საბანკო მუშაკთა წვდომის უფლებების მინიჭება. ბანკის განვითარებასთან ერთად მოზიდული კლიენტების რაოდენობაც იზრდება. შესაბამისად იზრდება დღეში განხორციელებული საბანკო ოპერაციების რაოდენობაც. და თუ დღეში 50 ოპერაციის ყველა გატარებების ხელით შემოწმება რთული არ არის, 500 ოპერაციის შემოწმება-სერიოზულ შრომადანახარჯებს მოითხოვს, ხოლო 5000 კი

საერთოდ პრობლემატურია. ამიტომ უსაფრთხოების ადმინისტრატორის ფუნქციაში სისტემური ჟურნალისა და უსაფრთხოების ჟურნალის ანალიზი შედის. უსაფრთხოების ჟურნალების ანალიზის ამოცანა, რომლებშიც წინასწარ განსაზღვრული ხასიათის მხოლოდ საეჭვო გარემოებების ჩაწერა ხორციელდება, შედარებით მარტივია. სისტემურ ჟურნალების ანალიზის ამოცანა ძალიან შრომატევადია და იგი დიდ დაბაბულობას და გონებამახვილობას მოითხოვს. ასეთი სახის სამუშაოს ყოველდღიურად განხორციელება ავტომატიზებული საშუალებების გარეშე თითქმის შეუძლებელია. აღნიშნული მიზნებისათვის შედარების მეთოდები გამოიყენება. სისტემის ცალკეულ საკონტროლო წერტილებში მდგომარეობის (ან გარემოების) რომელიმე ეტალონთან შედარება, რომელიც სისტემების მუშაობის სტატისტიკის საფუძველზე არის ფორმირებული. სისტემური ჟურნალების ანალიზის საშუალებების სხვა ტიპი, რომელიც სისტემის უსაფრთხოებისათვის პოტენციალურად საშიში მდგომარეობის ან გარემოების შესრულებისათვის ხელოვნური ინტელექტის მეთოდებს იყენებს. ორივე მეთოდი ადამიანის მიერ

განხორციელებულ ანალიზის ინფორმაციული მოცულობის მნიშვნელოვნად შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

წვდომის კონტროლის მექანიზმი შეიძლება წარმოვადგინოთ:

$M = < \Phi, Y, \Pi, X, Z >$

$\Phi = \overline{\{\varphi_i : i \in I\}}$ – ინფორმაციული რესურსების საიდუმლოების ხარისხის სიმრავლე.

$Y = \| y_{li} \|, i \in I, l \in L_k \subseteq L$ – სტრუქტურული ელემენტების საიდუმლოების მატრიცა.

$\Pi = \{\pi_n \mid n = \overline{1, N}\}$ – მომხმარებელთა უფლებამოსილების დონეების სიმრავლე.

$X = \| x_{ki} \|$ – მომხმარებელთა უფლებამოსილების მატრიცა.


$Z = \{z_m \mid m = \overline{1, M_z}\}$ – ინფორმაციულ რესურსებთან წვდომის ტიპების მატრიცა.

$$Y = \begin{array}{c} \\ d_1 \\ d_2 \\ \cdots \\ d_L \end{array} \begin{array}{c} \begin{array}{ccc} \varphi_1 & \varphi_2 & \cdots \quad \varphi_I \end{array} \\ \begin{bmatrix} y_{11} & y_{12} & y_{1I} \\ y_{21} & y_{22} & y_{2I} \cdots \\ & & \\ y_{L1} & y_{L2} & y_{LI} \end{bmatrix} \end{array},$$

$$X = \begin{array}{c} \\ p_1 \\ p_2 \\ \\ p_K \end{array} \begin{array}{c} \begin{array}{ccc} \pi_1 & \pi_2 & \cdots \quad \pi_N \end{array} \\ \begin{bmatrix} x_{11} & x_{12} & x_{1N} \\ x_{21} & x_{22} & x_{2N} \cdots \\ & & \\ x_{K1} & x_{N2} & x_{KN} \end{bmatrix} \end{array},$$

$$Z = \begin{array}{c} \\ \pi_1 \\ \pi_2 \\ \\ \pi_N \end{array} \begin{array}{c} \begin{array}{ccc} \varphi_1 & \varphi_2 & \cdots \quad \varphi_I \end{array} \\ \begin{bmatrix} z_{11} & z_{12} & z_{1I} \\ z_{21} & z_{22} & z_{2I} \cdots \\ & & \\ z_{N1} & z_{N2} & z_{NI} \end{bmatrix} \end{array}$$

წვდომის კონტროლის მექანიზმის რეალიზაციის თანმიმდევრობა ნახ.15-ზეა ნაჩვენები.



ნახ.15. წვდომის კონტროლის მექანიზმი

§ 11.3. ავტომატური საბანკო სისტემის ფიზიკური უსაფრთხოება

გამოთვლითი ცენტრი(მონაცემთა დამუშავების ცენტრი), სადაც რეალური ფინანსური მონაცემების დამუშავება ხორციელდება, როგორც მინიმუმ, სისტემებისა და ქვესისტემების სერვერი და ქსელის სერვერები ცალკე შენობაში უნდა იყოს განთავსებული, რომელიც

შეღწევადობის თვალსაზრისით მკაცრად შეზღუდულ და კონცენტრირებადი იქნება. ძირითადი და სარეზერვო სერვერები არ შეიძლება ერთ შენობაში იყოს განთავსებული, რომელთა ხანძრის ან დატბორვის, წყალმომარაგების ან კანალიზაციის ავარიის შედეგად მწყობრიდან ერთდროულად გამოყვანის შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს.

სერვერების ოთახებს არ შეიძლება საერთო ან ურთიერთდაკავშირებული სავენტილაციო არხები ჰქონდეთ.

მონაცემების სარეზერვო ასლები ყოველდღე უნდა კეთდებოდეს. მონაცემების ბაზის დაარქივება ერთჯერადად ჩასაწერ ოპტიკურ დისკებზე და მაგნიტურ – ოპტიკურ მატარებლებზე უნდა განხორციელდეს. ბუნებრივია, სისტემური ჟურნალები სხვა ფაილებისაგან გამოცალკევებულ მატარებლებზე უნდა დაარქივდეს.

თითოეული არქივის ასლი ორ ეგზემპლარად უნდა ინახებოდეს. ერთი ეგზემპლარი სამანქანო განყოფილებაში ინახება და იგი ოპერატიულად აღდგენის მიზნით გამოიყენება, ხოლო მეორე კი უსაფრთხო ადგილას შეინახება და იგი სამანქანო დარბაზის სერვერებთან და პირველ ასლთან ერთად მწყობრიდან გამოყვანის შემთხვევაში გამოიყენება. საარქივო ასლები ცეცხლგამძლე კარადებში უნდა ინახებოდეს.

§ 11.4. ინფორმაციის ფიზიკური არხებით გაჟონვა.

ძირითადი ფიზიკური არხი, რომლის მეშვეობით შეიძლება ინფორმაციის გაჟონვა განხორციელდეს შეიძლება გამოთვლითი ტექნიკის ელექტრომაგნიტური გამოსხივება იყოს. თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებს ცენტრალური პროცესორები გააჩნიათ, რომლებიც საშუალოტალღოვან რადიომაუწყებელ დიაპაზონის სიხშირეზე მუშაობენ. მაგრამ წყაროს დაბალი ძაბვის გამო ინფორმაციის მდგრადი მიღების მანძილი საკმაოდ მცირეა. ამასთანავე სიგნალის შემდგომი კოდირება, რომელიც ცენტრალურ პროცესორისაგან არის მიღებული, არც ისე უბრალო ამოცანას წარმოადგენს. ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებში გამოსხივების ყველაზე მძლავრი წყარო არის – კომპიუტერის დისპლეი. ფერადი ელექტრონულ-სხივური მილაკის დამაჩქარებელი ძაბვა 5 კვ-ს აჭარბებს. სტროფული გაშლის სიხშირეც ასევე საკაოდ მაღალია. ყოველივე აღნიშნული დისპლეის კარგ გადამცემად აქცევს, ამასთან მისი სიგნალი ეკრანზე გამოსახულების აღდგე-

ნისათვის საკმარის ინფორმაციას მოიცავს. ჩვეულებრივ მონიტორებს ასეთი სახის კონფიდენციალური ინფორმაციის აღნიშნული არხების მეშვეობით გაჟონვებისაგან საჭირო დაცვა არ გააჩნიათ. კონფიდენციალური ინფორმაციის აღნიშნული არხების მეშვეობით გაჟონვისაგან დაცვისათვის სამი ძირითადი მეთოდი გამოიყენება:

- სათავსოს ეკრანირება;
- ელექრონულ-გამომთველელი მანქანების ეკრანირება;
- გენერატორების მეშვეობით ფართო დიაპაზონიანი ხმაურით ჩახშობა;
- წყაროს დაბალი ძაბვიანი თხევად კრისტალური ეკრანების გამოყენება.

§ 11.5. ინფორმაციის დაცვის სისტემები

ინფორმაციის დაცვის სისტემები გამოთვლითი ქსელებისადმი, როგორც მონაცემების გადაცემის პოტენციურად საიმედო გარემოსადმი, ტრადიციულ მიდგომებს იყენებენ. პროგრამული-ტექნიკური გარემოს უსაფრთსოების უზრუნველყოფის რამოდენიმე ძირითადი ხერხი არსებობს დ მათი რეალიზება სხვადასხვა მეთოდებით შეიძლება განხორციელდეს:

1. იდენტიფიკაცია (აუტენტიფიკაცია) და ავტორიზაცია პაროლების მეშვეობით.

მომხმარებელთა პროფაილების შექმნა თითოეულ კვანძისათვის იქმნება მომხმარებლების მონაცემების ბაზა, მათი პაროლები და ლოკალურ გამოთვლით რესურსებთან წვდომის პროფაილები.

პროცესების პროფილების შექმნა – აუტენტიფიკაციის ფუნქციას დამოუკიდებელი სევერი (*third–party*) ასრულებს, რომელიც ინახავს პაროლებს, როგორც მომხმარებლებისათვის, ასევე სერვერებისათვისაც (სერვერების ჯგუფების შემთხვევაში, პაროლების მონაცემების ბაზა განთავსებულია მხოლოდ ერთი (master) სერვერ-აუტენტიფიკატორიზე; დანარჩენები კი მხოლოდ პერიოდლად განახლებად ასლებს წარმოადგენენ). ამრიგად, ქსელური მომსახურების მიღება ორ პაროლს მოითხოვს (თუმცა მომხმარებელმა მხოლოდ ერთი უნდა იცოდეს – მეორე მას სერვერის მიერ მიეწოდება). ნათელია, რომ სერვერი მთლიანი სისტემის ყველაზე პრობლემური ადგილია, ხოლო მასში შეღწევამ შეიძლება მთლიანობაში გამოთვლითი ქსელის უსაფრთხოების დარღვევა გამოიწვიოს.

2. გადასაცემი ინფორმაციის გაცვლის სპეციალურ ოქმებში ინკაპსულაცია.

კომუნიკაციებში ასეთი მეთოდების გამოყენება ღია გასაღებიანი დაშიფვრის ალგორითმებზე არის დაფუძნებული. ინიციალიზაციის ეტაპზე იქმნება გასაღების წყვილი – ღია და დახურული. დახურული გასაღების მფლობელები, რომლებიც ინფორმაციის გაცვლაში მონაწილეობენ, ერთმანეთში ცვლიან მხოლოდ ღია გასაღებს.

დაშიფვრის ალგორითმების არსი იმაში მდგომარეობს, რომ დაშიფვრისა და გაშიფვრის ოპერაციები სხვა გასაღებებით (შესაბამისად რესპონდენტის ღია და საკუთარი დახურული გასარებებით) ხორციელდება. ამით რესპონდენტებს ერთმანეთში კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა ეძლევათ. დაშიფვრაზე აგებულ სისტემებს ახლავს თან კომპრომეტაციის რისკიც, ვინაიდან არსებობს გასაღებების მორგების თეორიული შესაძლებლობა.

3. საინფორმაციო ნაკადების შეზღუდვა.

Firewalls (დამცავი კედელი). მეთოდი ლოკალურ და გლობალურ ქსელებს შორის სპეციალური სერვერების შექმნას ითვალისწინებს. მათი მეშვეობით ხორციელდება ქსელურ/სატრანსპორტო არხებში გამავალი ნაკადების ინსპექტირება და ფილტრაცია. ეს მეთოდი კორპორატიულ ქსელებში არასანქცირებულად შეღწევადობის საშიშროებას მკვეთრად ამცირებს, მაგრამ იგი ქსელში შეღწევის სრულად აღმოფხვრის გარანტიას ვერ იძლევა. ამ მეთოდის უფრო დაცული ნაირსახეობას – მასკარადის (masquerading) ხერხი წარმოადგენს, როდესაც ლოკალური ქსელის მთლიანი გამავალი ნაკადი firewall- სერვერის სახელით იგზავნება. ამით ლოკალური ქსელი პრაქტიკულად უხილავი ხდება.

Proxi-sever. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ლოკალურ და გლობალურ ქსელებს შორის მთლიანი ნაკადი ქსელურ სატრანსპორტო დონეების მეშვეობით სრულად აკრძალულია - ანუ მარშუტიზაცია როგორც ასეთი უბრალოდ არ არსებობს, ხოლო ლოკალური ქსელიდან გლობალურში მიმოქცევა სპეციალური სერვერ-შუამავლების მეშვეობით ხორციელდება. ნათელია, რომ მიმოქცევის აღნიშნული მეთოდით, გლობალური ქსელისგან ლოკალურში, მიმოქცევა პრინციპში შეუძლებელი ხდება. ასევე ნათელია, რომ აღნიშნული მეთოდი საკმარის დაცულობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას ვერ იძლევა უფრო მა-

ღალ დონეზე თავდასხმისაგან – მაგალითად, სისტემებისა და ქვესისტემების დონეზე.

აღწერილი ხერხების შეჯამებით, შეძლება ითქვას, რომ ინფორმაციული სისტემების დამუშავება პარალელურად ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიის დამუშავებასაც მოითხოვს. აღნიშნულმა ტექნოლოგიებმა გადასაცემი ინფორმაციების საიმედო დაცვის ინკაპსულირება უნდა განახორციელონ, თუმცა საიმედობა თანამედროვე ეტაპზე გაიგება, როგორც საიმედობა არა ფიზიკურ დონეზე, არამედ უფრო ლოგიკურ (ინფორმაციულ) დონეზე.

არსებობს ასევე რიგი დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც შემდეგი პრინციპების რეალიზებას ახორციელებენ:

1. პროცესების მონიტორინგს. პროცესების მონიტორინგის მეთოდი სისტემის სპეციალური მოდულების შექმნაში მდგომარეობს, რომელიც ასეთი ტიპის შემოწმებს მუდმივად განახორციელებს. ნათელია, რომ სისტემა ჰოსტ-სისტემად მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცევა, როდესაც იგი მომხმარებლებს თავის ინფორმაციულ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობას აძლევს. ასეთი წვდომის საშუალებების (სერვერული პროცესების) შექმნისათვისაც, როგორც წესი, არსებობს საკმარისი რაოდენობის აპრიორული ინფორმაცია, რომელიც კლიენტის მიერ სისტემაში განსახორციებელ პროცესებს ასახავს. სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია უბრალოდ იგნორირდება. გარე პროცესის აუტენტიფიკაციის შემდეგ სისტემაში იგი თავისი მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში რაიმე სახის დამატებითი შემოწმების გარეშე გარკვეული საინფორმაციო რესურსებთან წვდომისათვის ავტორიზებულად ითვლება. მიუხედავად იმისა რომ, გარე პროცესის ქცევის ყველა წესების მითითება უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია, სრულად რეალურია განვსაზღვროთ ისინი უარყოფის გზით, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მიუთითოთ გარე პროცესს რისი გაკეთება არ შეუძლია არანაირ პირობებში.
2. გადაცემის ტექნოლოგიის დუბლირება. რამდენადაც ინფორმაციის გადაცემის ნებისმიერი ტექნოლოგიის კომპრომენტაციის რისკი არსებობს, როგორც მისი შიდა ნაკლოვანებების გამო, ასევე გარეშე ზემოქმედების შედეგად. ასეთი მსგავსი სიტუაციებიდან დაცვა რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული, გადაცემის ტექნოლოგიების პარალელურად გამოყენებაში მდგომარეობს. ნათელია, რომ დუბლი-

რება ქსელში ნაკადების მკვეთრ გაზრდამდე მიგვიყვანს. მიუხედავად ამისა, ასეთი ხერხი შეიძლება ეფექტური იყოს, როდესაც შესაძლო დანაკარგებისაგან რისკების ღირებულება დუბლირებასთან მიმართებაში ზედნადებ სარჯებზე უფრო მაღალი აღმოჩნდება.

3. დეცენტრალიზაცია. უმეტეს შემთხვევებში ინფორმაციის გაცვლის სტანდარტული ტექნოლოგიების გამოყენება სტანდარტიზაციისადმი მისწრაფებით კი არა, არამედ ჰოსტ-სისტემის გამოთვლითი სიმძლავრის უკმარისობით არის გამოწვეული. დეცენტალიზებული მიდგომის რეალიზაციად შეიძლება ჩაითვალოს Internet ქსელში ფართოდ გავრცელებული "სარკის" პრაქტიკა. რესურსების რამდენიმე იდენტური ასლების შექმნა შეიძლება რეალური დროის სისტემებში სასარგებლოც კი იყოს, თუმცა ასეთ სისტემაში მოკლევადიანმა შეფერხებამ შეიძლება საკმაოდ სერიოზული შედეგები გამოიწვიოს.

წვდომის მართვის სისტემა. წვდომის სამართავად, კორპორაციული ქსელის რესურსების სამ ნაწილად დაყოფა არის შესაძლებელი: საერთო წვდომის, შიდა კორპორატიულ და დახურულ საინფორმაციო რესურსებად. საერთო წვდომის რესურსები განთავსებულია საერთო შელწევად ზონაში. ისისინი მარშუტიზატორის ან დამატებით დაყენებული ქსელთაშორისო ეკრანის საშუალებების კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, რომლებიც გამჭირვალე რეჟიმში მუშაობს. კორპორატიული და საერთო სეგმენტების შერწყმისას გამოიყენება არა მარტო ფილტრაციის აქტიური რეჟიმი, არამედ მისამართების ტრანსილაცია, სერვერ – შუამავლის (proxy)–ს გამოყენებით. აღნიშნული ინფორმაციული ნაკადის შერწყმის წერტილში ინფორმაციული ნაკადების კონტროლის საშუალებას იძლევა. Proxy-ს გამოყენება არა მარტო სისტემის უსაფრთხოებას ამაღლებს, არამედ ასევე ბანკის თანამშრომლების ინფორმაციულ მოთხოვნილებების ანალიზის ინსტრუმენტის სახითაც გამოიყენება.

ინტელექტუალური ბარათების მხარდაჭერა. ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში ერთ-ერთ მიმართულებას მომხმარებლების საიდენტიფიკაციო საშუალებების პროგრამული მხარდაჭერა წარმოადგენს. პიროვნების იდნტიფიკაციის ამოცანა შეიძლება ადამიანის თითის ანაბეჭდით, ხელისგულის აღწერილობით, თვალის გარსით ან ელექტრონული ბარათების გამოყენებით გადაწყდეს. ამ ამოცანის გადაწყვეტისას ბარათების გამოყენებას შეჰქვეგი უპირატესობები გააჩნია:

- უფრო ნაკლები დანახარჯები, განსაკუთრებით ბარათების მასიურად გამოყენების შემთხვევაში;
- ბარათების წასაკითხად ტიპიური მოწყობილობების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან და აპარატულ პლატფორმებთან ადვილად გამოყენებადია;
- ბანკის პერსონალისა და კლიენტების მხრიდან საბანკო ბარათების სწორედ გამოყენებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების არსებობა;
- ერთ ფიზიკურ მატარებელზე სხვადასხვა ამოცანების ფუნქციონალური ინტეგრაციის შესაძლებლობა.

ამასთან ერთი და იგივე ბარათი შეიძლება ბანკის თანამშრომლისათვის ბანკში საშვის, სამუშაო დროის რეგისტრაციის, საბანკო სისტემებში მუშაობის სეანსების რეგისტრაციის საშუალებად შეიძლება იქნას გამოყენებული, აგრეთვე საბანკო ტრანზაქციების ელექტრონულციფრული ხელწერაც მოიცავდეს. ბანკის კლიენტისათვის ბარათი შეიძლება ბანკში საშვის, თვითმომსახურების (ბანკომატებში საცნობარო ინფორმაციის მისაღებად) და ელექტრონულ ციფრული ხელწერის მატარებელის (დაშორიშორებული კლიენტების მომსახურებისას, მათ შორის ოფ-ლაინ რეჟიმში მუშაობისას) სახით იქნას გამოყენებული. გამორიცხული არ არის აღნიშნული ბარათის ბანკის თანამშრომლებზე ხელფასების გასაცემად საგადახდო საშუალების სახითაც იქნას გამოყენებული.

საკრედიტო ბარათების ფუნქციონირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პასიური საკრედიტო ბარათების დაცვის მეთოდებს შორის ცნობილია შემდეგი:

- დამატებითი რთული კონფიგურაციის (ორნამენტის მსგავსი) ხაზების დატანება, რომლებიც მაგნიტური მელანით იქნება შესრულებული;
- ბარათის იდენტიფიკაცია ხანგრძლივი სიცოცხლის უნარიანი რადიო იზოტოპებით;
- ბარათის დამზადება ისეთი მასალისაგან, რომელიც დაცულია გაცხელებისა და დაწვისაგან.

საბარათე ბიზნესში ბოროტმოქმედებრივი პრობლემების რადიკალურად გადაწყვეტის საშუალება არის ბარათის ინტელექტუალიზაცია.

ელექტრონული ბარათები ორ მნიშვნელოვან თვისებას ფლობს, რომლებიც სხვადასხვა სახეობის ბოროტმოქმედებისაგან დაცვას უზ-

რუნველყოფენ. პირველ რიგში-ელექტრონული ბარათი ენერგოდამოუკიდებელი პროგრამირებადი მუდმივი მეხსიერებით არის აღჭურვილი. აღნიშნულ მეხსიერებაში მიმდინარე ინფორმაცია შეიტანება, და იგი კვების წყაროს გამორთვის შემდეგაც შენარჩუნდება. მასში შეიძლება ჩაწერილი იქნას ყველა დანახარჯებისა და შენაძენის ღირებულება. კლიენტის მიერ შეძენის განხორციელებისას, დადგენილ თანხაზე გადამეტება გამოირიცხება. მეორე მხრივ, თითოეულ ბარათში საკუთარი პროცესორია ჩამონტაჟებული, რომელიც განსაზღვრული არქიტექტურის არჩევისას უზრუნველყოფს ბარათის ისეთნაირ მუშაობას, რომ მეხსიერების გარკვეული ნაწილი დახურული იქნება ყველასათვის, ბარათის ემიტენტი ფირმის გარდა. პროცესორს შეუძლია შეამოწმოს პაროლის სისწორე. პაროლი ინახება დახურულ მეხსიერებაში და იგი უცნობია ნებისმიერი გარე სისტემისათვის. არ არის მიზანშეწონილი ბარათს ემიტენტისათვის პაროლის ცოდნა. ბარათის ემისიისას მის მომავალ მფლობელს თვითონ შეუძლია შეცვალოს პაროლი, ამისათვის მან სპეციალური ტერმინალი უნდა გამოიყენოს, რომელიც მეხსიერების საიდუმლო ზონაში მონაცემების წაკითხვასა და ჩაწერას ახორციელებს.

პაროლის გარდა, საიდუმლო ზონაში შეინახება ასევე მფლობელის მიმდინარე ბალანსი, ბარათის სერიული ნომერი, აგრეთვე განსაზღვრულია ასოებისა და ციფრების დანამიმდევრობა, რომელიც ბარათის შემდგომი შემოწმებისათვის ფირმა ემიტენტის მიერ არის შერჩეული. პროგრამირებად მუდმივი მეხსიერების სხვა ზონაში, რომელსაც ღია ზონას ვუწოდებთ, შეიძლება მფლობელის სახელი და გვარი, მისი მისამართი, ტელეფონის ნომერი და მისი ანგარიში იქნას შეტანილი. ღია ზონაში არსებული მონაცემები, შეიძლება ნებისმიერი წამკითხავი მოწყობილობის მეშვეობით იქნას წაკითხული, რომლებიც ასეთი სახის ბარათებთან მუშაობენ, მაგრამ აღნიშნული მონაცემების შეცვლა შეუძლებელია – ცენტრალური პროცესორი ღია ზონაში ნებისმიერი ინფორმაციის შეცვლაზე უარს იტყვის.

ყოველთვის, როდესაც ბარათის მეშვეობით რაიმე სახის შესყიდვა ხორციელდება ისთი მონაცემები, როგორიცაა შეძენის ღირებულება, სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, აგრეთვე თარიღი, ჩაიწერება მეხსიერების სხვა ზონაში ეგრეთწოდებულ სამუშაო ზონაში. ამ მეხსიერებაში მონაცემების ჩაწერა მხოლოდ გარკვეული პირობების დაცვით უნდა განხორციელდეს. (ვთქვათ, როდესაც ბარათი

შესაბამის სალაროს აპარატშია ჩადებული), ამასთან წაკითხვა და ჩაწერა მხოლოდ ბარათის მფლობელის ნებართვით შეიძლება განხორციელდეს.

შეიძლება ითქვას რომ, თანამედროვე პირობებში საიდუმლო ინფორმაციასთან არასანქცირებული შეღწევისაგან და საიდუმლოების უზრუნველყოფისგან დაცვის საკითხები პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ხოლო დაშიფვრის ალგორითმები – სტანდარიზირებულია.

§ 11.6. მონაცემთა დაშიფვრის ტექნოლოგიები

ინფორმაცია თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. გლობალური კომპიუტერული სისტემების დანერგვამ და განვითარებამ მოითხოვა საბირჟო, საბანკო, კომერციული ინფორმაციის, იურიდიული დოკუმენტების და ბევრი სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა. რამაც კრიპტოგრაფია გახადა ერთ-ერთი ძირითადი საშუალება საიდუმლოების დასაცავად, საიმედოობისა და კონტროლისათვის, ელექტრონული გადარიცხვებისათვის, ორგანიზაციების დაცვისა და სხვა მრავალ სფეროში.

კრიპტოგრაფია საიდუმლოს შენახვის მეცნიერებაა. „კრიპტოგრაფია“ ბერძნული სიტყვაა (ბერძნ. Kryptos – საიდუმლო, ფარული, Grapho –ვწერ, ვხაზავ, ვხატავ) და პირობითი საიდუმლო ნიშნებით წერას ნიშნავს.

კრიპტოგრაფიის საშუალებით შეიძლება გადაწყდეს უსაფრთხოების 4 ძირითადი პრობლემა – კონფიდენციალურობა, აუტენტიფიკაცია, ინფორმაციის მთლიანობა და მონაწილეების ურთიერთქმედების კონტროლი.


დაშიფვრა ეს არის ინფორმაციის წაუკითხავ ფორმაში გადაყვანა დაშიფვრისა და გაშიფვრის გასაღებების გამოყენებით. ადრესატისადმი გასაგზავნ წერილს (ჩვეულებრივ შეტყობინებას) ეწოდება დაუშიფრავი ან ღია ტექსტი. კოდირებულ ტექსტს კი – დაშიფრული შეტყობინება. დაშიფრული ინფორმაციიდან საწყისის აღდგენას ეწოდება დეშიფრაცია. დაშიფვრისა და გაშიფვრის (დეშიფრაციის) შემთხვევაში ადგილი აქვს ინფორმაციის გარდაქმნას განსაზღვრული ალგორითმის შესაბამისად. გარდაქმნის ტიპი ამოირჩევა გარდაქმნების სიმრავლიდან, რომელიც ქმნის კრიპტოგრაფიულ სისტემას. სისტემის ნაწილს, რომელიც ახორციელებს ინფორმაციული ტექ-

სტის კონკრეტული გარდაქმნის კოდს, ეწოდება გასაღები. როგორც წესი (თუმცა არა ყოველთვის), გასაღების სიგრძე გაცილებით ნაკლებია ტექსტის სიგრძეზე.

ზოგიერთი კრიპტოგრაფიული მეთოდი ეყრდნობა ალგორითმის გასაიდუმლოებას. ასეთ ალგორითმებს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს და თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს. ყველა თანამედროვე ალგორითმი დაშიფრისა და გაშიფრისათვის გამოიყენებს გასაღებს. შეტყობინება გაიშიფრება იმ შემთხვევაში თუ გასაღები შეესაბამება დაშიფრის გასაღებს.

გასაღებზე დაყრდობილი ორი ტიპის კრიპტოსისტემა არსებობს: სიმეტრიული (საიდუმლო გასაღების) და ასიმეტრიული (ღია გასაღების). განსხვავება იმაშია, რომ სიმეტრიულ ალგორითმში დაშიფრისა და გაშიფრის გასაღებები ერთნაირია (ან გაშიფრის გასაღები ადვილად იწარმოება დაშიფრის გასაღებიდან), ამავე დროს ასიმეტრიულ ალგორითმში გამოიყენება სხვადასხვა გასაღებები (გაშიფრის გასაღები არ იწარმოება დაშიფრის გასაღებისაგან).


სიმეტრიული კრიპტოსისტემის კლასიკური მოდელი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ (ნახ.19):



ნახ. 19. სიმეტრიული კრიპტოსისტემის მოდელი

ასიმეტრიულ (ღია გასაღების) ალგორითმში დაშიფვრისა და გაშიფვრის გასაღებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. გამოიყენება სხვადასხვა გასაღებები (გაშიფვრის გასაღები არ იწარმოება დაშიფვრის გასაღებისაგან). ერთი გასაღები ღიად გამოცხადდება, ხოლო მეორე საიდუმლოდ ინახება.

ღია გასაღებების სისტემის მოდელი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ (ნახ. 20.):



ნახ. 20. ასიმეტრიული კრიპტოსისტემის მოდელი

სიმეტრული და ასიმეტრიული სისტემების გასაღებების სიგრძეები შემდეგნაირად შეესაბამება ერთმანეთს:

სიმეტრიული გაგსაღების სიგრძე	ღია გასაღების სიგრძე
56 ბიტი	384 ბიტი
64 ბიტი	512 ბიტი
80 ბიტი	768 ბიტი
112 ბიტი	1792 ბიტი
128 ბიტი	2304 ბიტი

არსებობს მონაცემთა დაშიფვრის ორი რეჟიმი:

- On-Line (ინფორმაციის მიღების პარალელური რეჟიმი)

• Off-Line (ავტონომიური რეჟიმი).

ალგორითმებში უფრო მეტად გავრცელებულია On-Line ტიპი.

IBM-ის მიერ 70-იანი წლების დასაწყისში შემუშავებულ იქნა მონაცემთა დაშიფვრის სტანდარტი DES (Data Encrption Standart), რომელიც რეკომინდირებულია ამერიკის ბანკირთა ასოციაციის მიერ და დღემდე ითვლება ციფრული ინფორმაციის დაშიფვრის სახელმწიფო სტანდარტად.

DES ალგორითმში გამოიყენება გასაღები – სიგრძით 56 ბაიტი და შემოწმება – 8 ბაიტი და უსანქციო შეღწევის მცდელობისას მოიცავს 72 კვადრილიონ კომბინაციას, რაც უზრუნველყოფს დაცვის მაღალ ხარისხს, ამასთან ალგორითმის გასაღების შეცვლისას უპრობლემოდ არის გადწყვეტილი კონფიდენციალურიდან დაცულ ინფორმაციად გარდაქმნის პროცედურა.

ამავე პერიოდში შეიქმნა ალგორითმი RSA (ავტორები: რივესტი, შამირი და ალდემანი). ეს ალგორითმი კრიპტოგრაფიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. ალგორითმი RSA ასევე მიღებულ იქნა ამერიკის სტანდარტების ნაციონალური ბიუროს მიერ, როგროც სტანდარტი.

DES ალგორითმი – სიმეტრიულია, მაშინ როდესაც ალგორითმი RSA – ასიმეტრიულია და სხვადასხვა გასაღები გამოიყენება დაშიფვრა-გაშიფვრისას. ამ შემთხვევაში კლიენტს ორი გასაღები აქვს და თავისუფლად შეუძლია გამოაქვეყნოს დაშიფვრის გასაღები. კლიენტს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მისთვის ცნობილი გასაღები შეტყობინების დასაშიფრად, ხოლო გაშიფვრა შეეძლება მხოლოდ განსაზღვრულ პიროვნებას.

DES ალგორითმში მკაცრად განსაზღვრულია გასაღებისა და მონაცემთა მოცულობა, ხოლო RSA ალგორითმის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ზომის გასაღებით. რაც უფრო გრძელია გასაღები, მით მეტია უსაფრთხოება, მაგრამ იზრდება დაშიფვრა-გაშიფვრის პროცესი. DES გასაღების გენერაცია შესაძლებელია წამის მეათედებში, ხოლო RSA გასაღების გენერაციას ათეული წამი სჭირდება, ამიტომაც პროგრამისტები უპირატესობას ანიჭებენ RSA გასაღებს, ხოლო აპარატურაში გამოიყენება DES გასაღები.

უსაფრთხობისთვის გამოიყენება "VeriSign Server ID" (ელექტრონული სერთიფიკატი), შემოწმებული და იაფად ღირებული საშუალება, რომელსაც იყენებენ მსოფლიოს წამყვანი ელექტრონული კო-

მერციის კომპანიები. VeriSign უკვე გაცემული აქვს 300,000 ასეთი სერთიფიკატი VeriSign არის ერთ-ერთი უდიდესი კომპანია, რომელსაც მიღებული აქვს ა.შ.შ. სახელმწიფო კომერციის დეპარტამენტის ლიცენზია 128-ბიტიანი ელექტრონული სერთიფიკატების გაყიდვის უფლებაზე.

ელექტრონული სერთიფიკატი არის ბიზნესის ლიცენზიის ელექტრონული ექვივალენტი. ისინი გაიცემა მესამე კომპანიების მიერ , რომელთაც ეწოდებათ "Certification Authority" შემდეგში "CA". CA პასუხისმგებლობას იღებს უფლებაზე გამოვიყენოთ ჩვენი კომპანიის სახელი და ინტერნეტ-მისამართი.

ელექტრონული სერთიფიკატი მუშაობს SSL ტექნოლოგიით, რომელიც ითვლება უსაფრთხო ინტერნეტ -კომუნიკაციების სტანდარტიზირებულ ოქმად. ამ სერთიფიცატის დაინსტალირების შემდეგ ავტომატურად აქტივიზირდება SSL და შეიქმნება უსაფრთხო არხი სერვერსა და კლიენტს შორის. ეს გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ უსაფრთხო ტრანზაქციების შემდეგი კომპონენტები:

• აუტენთიფიკაცია – მომხმარებელს შეუძლია ზუსტად დაადგინოს, რომ მოხვდნენ მისთვის სასურველ და არა ყალბ მისამართზე. ეს მექანიზმი აუცილებელია რათა მომხმარებელმა მოგვანდოს კონფიდენციალური ინფორმაცია.

• ინფორმაციის საიდუმლოება – SSL შიფრავს მთელ ინფორმაციას, რომელიც ურთიერთ იცვლება სერვერსა და კლიენტს შორის (საკრედიტო ბარათების ნომრები, პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია ანგარიშებზე, ნაშთებზე, ამონაწერზე გადარიცხვებზე და ა.შ.) იყენებს რა სეანის უნიკალურ გასაღებებს.

• ინფორმაციის მთლიანობა – ყოველი მონაცემის გადაცემის დროს ხდება უნიკალური კოდის ფორმირება, რომელიც დაფუძნებულია ამ მონაცემის შიგთავსზე. კლიენტის კომპიუტერი და სერვერი ამოწმებენ მონაცემებს ამ კოდის შესაბამისობაზე. ანუ ორივე მხარემ იცის, რომ რასაც ხედავენ არის ის რაც გაგზავნილი იყო.

§ 11.7. საინფორმაციო სისტემების კატასტროფამედეგობა

საინფორმაციო სისტემებს(სს) შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მაღალი ხელმისაწვდომობის(მხ) უნარის მქონე სისტემებს. "მაღალი ხელმისაწვდომობის" ცნება შემოტანილია TPC კომიტეტის რეკომენდაციით. მაღალი ხელმისაწვდომობა, როგორც სისტემის უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი გულისხმობს, რომ მონაცემებთან და დანართებთან წვდომა ხორციელდება მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია და მისაღებია წინასწარ განსაზღვრული დასაშვები დონით. თანაც, წვდომის დასაშვები დრო შენარჩუნებულია არა მარტო არსებული დატვირთვისას, არამედ მისი პერსპექტივაში მოსალოდნელი მომატებისას, სისტემის არქიტექტურის დეგრადაციისას, რაც სისტემის გაუმართაობით არის გამოწვეული.

მომხმარებლის საინფორმაციო სისტემით განხორციელებული მომსახურება არ წყდება. ამ კონტექსტში საიმედოობა (აპარატული და პროგრამული ნაწილების) და წარმადობა (რეაქციის დრო/გამტარუნარიანობა) — სისტემის ხელმისაწვდომობის შემადგენელი ნაწილია. საინფორმაციო სისტემების მაღალი ხელმისაწვდომობისაგან მოითხოვება სისტემის მზადყოფნა განახორციელოს სამომხმრებლებო სისტემების ან მართვადი ობიექტების მომსახურება. ეს კი ნიშნავს, რომ გაზრდილი მოთხოვნები წაეყენება უზრუნველყოფის ყველა საშსახურს. შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი სისტემების აგებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კატასტროფამედეგობის უზრუნველყოფის საკითხებს. ენერგეტიკულმა კატასტროფებმა ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა აშშ-ში, 2002-2003 წწ. სტიქიურმა უბედურებებმა ევროპაში, ელექტრომომარაგების მოშლამ 2005 წ. 25 მაისს რუსეთში ცხადყო კრიტიკულ მდგომარეობაში კატასტროფამედეგობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა. კატასტროფის შედეგად სისტემის ხელმისაწვდომობის დაკარგვა იწვევს არა მარტო ორგანიზაციების მატერიალურ დანაკარგებს, არამედ შეიძლება მიგვიყვანოს მათი ვალდებულებების შესრულების ან ფუნქციური დანიშნულების თვალსაზრისით ფუნქციონირების შეწყვეტამდე. ამავე დროს, კატასტროფამედეგობის სისტემის რეალიზება მოითხოვს ინფორმაციის კონფიდენციალობისა და მთლიანობის უზრუნველყოფას, ახალი პრობლემების გადაწყვეტას.

ამრიგად, გაზრდილი შეფერხება და კატასტროფამედეგობა სს მხ-ის ორი მნიშვნელოვანი და ურთიერთდაკავშირებული თვისებაა. შეფერხებამედეგობა განსაზღვრავს კონკრეტული სს-ის შესაძლებლობას – შეინარჩუნოს შრომისუნარიანობა მისი ცალკეული ელემენტების და მათი კომპონენტების შემთხვევით მწყობრიდან გამოსვლის ან გაუმართაობისას. კატასტროფამედეგობა, როგორც ზოგადსისტემური თვისება, განსაზღვრავს კონკრეტული სს-ის უნარს – შეინარჩუნოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციული და პროგრამული რესურსები და გააგრძელოს თავისი ფუნქციების (შესაძლოა გარკვეული შეზღუდვებით) შესრულება სისტემის არქიტექტურის დეგრადაციის პირობებში, რაც გამოწვეულია მისი ელემენტებისა და ასევე მათ შორის კავშირების მასობრივი განადგურებით, სტიქიური უბედურებების, ტექნოგენური ავარიების და კატასტროფების, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების მიზანმიმართული ზემოქმედების (ტერორისტული აქტების ჩათვლით) შედეგად.

ხელმისაწვდომობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$T = \frac{T_{CC}}{T_{CC} + T_{CB}} \cdot 100\%;$$

სადაც T_{CC} არის საშუალო დრო, რომლის განმავლობაში სისტემა მუშაობს შეფერხების გარეშე დაყენებისა და გაშვების ან აღდგენის შემდეგ; T_{CB} – აღდგენის საშუალო დრო შეფერხების შემდეგ.

მხ-ის მნიშვნელობა იმყოფება (99,9–100)%-ის დიაპაზონში. ხელმისაწვდომობა უფრო ფართო ცნებაა მზადყოფნის კოეფიციენტთან შედარებით, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია მხოლოდ სისტემის ქმედუნარიანობასთან და განისაზღვრება მისი საიმედოობის მახასიათებლებით. ხელმისაწვდომობა ითვალისწინებს ყველა მიზეზის შედეგად შეჩერების დროს, ხოლო მაღალი ხელმისაწვდომობა გულისხმობს სისტემის უწყვეტი ფუნქციონირების შესაძლებლობას ნებისმიერ პირობებში (მაგალითად, მისი მასშტაბირებისას –დამატებითი სიმძლავრეების დამატებისას მუშაობის შეჩერების გარეშე, სისტემური და პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის შეცვლისას და სხვ.)

განხილული სს-ის მხ საჭიროა უპირველეს ყოვლისა მაშინ, როდესაც ავტომატიზებული საშუალებები თვით ორგანიზაციის ფუნქციონირების ტექნოლოგიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. მაგალითად, ტრანსპორტის მოძრაობის დისპეტჩერიზაცია, ელექტრული სიმძლავ-

რების გადანაწილების მართვა ქვეყნის მასშტაბით, ელექტრონული ანგარიშსწორების განხორციელება დროის რეალურ რეჟიმში. ამ დროს სისტემის აგების დასაშვები დრო შეიძლება განისაზღვროს ფორმალური ნორმატიული შეზღუდვებით (ელექტრონული ანგარიშსწორების შესრულების დასაშვები დრო) ან ფიზიკური შეზღუდვებით (თვითმფრინავის მარშრუტის მახასიათებლების შეცვლის ზღვრული დრო).

კატასტროფების არარსებობისას, წვდომის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნება გეგმიურ შეჩერებებთან ბრძოლისუნარიანობის ორგანიზებას. გამოთვლითი და სატელეკომუნიკაციო ტექნიკის თანამედროვე სერიული მოწყობილობები, როგორც წესი, პრევენციული დიაგნოსტიკის პირობებში უკვე საკმაოდ მდგრადია გაუმართაობების მიმართ. მაგრამ, ყოველწლიურად კატასტროფების შედეგად მთელ მსოფლიოში კომერციული ფირმები და სახელმწიფო სტრუქტურები განიცდიან სერიოზულ ფინანსურ დანაკარგებს, რაც ხშირად კერძო ფირმების ლიკვიდაციას იწვევს.

კატასტროფამედეგობის დაგეგმვისას განსაზღვრულია არქიტექტურული გადაწყვეტილებები და გამოყენებული აპარატული და პროგრამული პლატფორმა.

კატასტროფამედეგი ტექნიკური გადაწყვეტილებები არის პროგრამული და აპარატული საშუალებების, გაწყობის პარამეტრების, შესაბამისი დოკუმენტებისა და ორგანიზაციული ზომების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მონაცემების შენარჩუნებას და გამოთვლითი კომპლექსის მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას სხვადასხვა კატაკლიზმების შემთხვევაში, რომელსაც იწვევს კომპლექსის ნაწილის მწყობრიდან გამოსვლა ან ნაწილის განადგურება. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილება ითვალისწინებს ორი ან მეტი გამოთვლითი ცენტრის არსებობას, რომლებიც შეერთებულია კავშირგაბმულობის არხებით და საკმაო მანძილით არის დაშორებული ერთმანეთისგან, რათა შესაძლო კატასტროფა რამდენიმე ცენტრს ერთდროულად არ შეეხოს.

კატასტროფამედეგობის საკითხების განხილვისას მიზანშეწონილია შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინება:

1. კატასტროფამედეგი სისტემების დაპროექტება ხდება გამომდინარე იმ ვარაუდიდან, რომ კატასტროფა, გაუმართაობისგან განსხვავებით (შესაძლებელი, პროგნოზირებადი და ალბათური მოვლენა), შესაძლებელი მოვლენაა, მაგრამ არაჩვეულებრივი, ან რომლის ალბათობა მცირეა და შეუძლებელია დასაბუთებულად შეფასდეს

დაპროექტების პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საუბარი იქნებოდა არა კატასტროფაზე, არამედ სისტემის ფუნქციონირების პირობებზე;

2. სისტემის კატასტროფამედეგობის შემადგენელ ელემენტებს და მთლიანად სისტემას შეიძლება არ ჰქონდეს სრული მოცულობით ფუნქციონირების უნარი კატასტროფის პირობებში;
3. კატასტროფამედეგობის თვისება წარმოიქმნება პროცესში და ითვლება, როგორც სისტემის ფუნქციონირების შედეგი. კატასტროფამედეგობის ტექნიკური გადაწყვეტილებები, როგორც წესი, არ ითვალისწინებს ზემოქმედების ხასიათს.

სს-ის დაპროექტების, შემუშავების, დანერგვისა და ექსპლუატაციისას, ხელმისაწვდომობის საჭირო დონის უზრუნველყოფის პირობებში ბუნებრივია მინიმალური ჯამური დანახარჯებისკენ სწრაფვა. სახელმწიფო და ბევრი კომერციული ორგანიზაციისთვის ძირითადი ინტეგრალური ეკონომიკური მაჩვენებლის მახასიათებლად გამოიყენება სისტემის ჯამური ღირებულების სიდიდე დროის გარკვეული შუალედის განმავლობაში (როგორც წესი, 10 წელი).

სს მხ-ის აგების ძირითადი პრინციპების დასაბუთებისთვის საჭიროა სს-ის აგების სისტემოტექნიკური საშუალებების ტენდენციების შეფასება. ინფო-ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურის აგება ბოლო ათწლეულში გაბატონებული "კლიენტ-სერვერული" ტექნოლოგიის საფუძველზე ხორციელდება. ლოკალური ქსელებისა და ქსელური ტექნოლოგიების განვითარება ყოველწლიურად მოითხოვს ძალების და სახსრების სულ უფრო მეტ დანახარჯებს, იწვევს კომპიუტერული ქსელის ფლობის ჯამური ღირებულების არაკონტროლირებად ზრდას. დანართების, ოპერაციული სისტემებისა და საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება მოითხოვს სულ უფრო რთული, მძლავრი და ექსპლუატაციაში ძვირადღირებული პერსონალური კომპიუტერების და სერვერების გამოყენებას, ფულადი სახსრების ჩადებას გამოთვლით სიმძლავრეებში, პროგრამულ უზრუნველყოფაში, ადმინისტრირებასა და საინფორმაციო ბაზების უზრუნველყოფაში, საინჟინრო ინფრასტრუქტურასა და ტექნიკურ მომსახურებაში და ა.შ. ამავე დროს თვითონ გამოთვლითი სიმძლავრეები გამოიყენება უკიდურესად არაეფექტურად (როგორც წესი, პროცენტის ნაწილებით).

სერვერული კომპლექსის ეფექტური მუშაობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დატვირთვის ხელსაყრელ განაწილებაზე ცალკეულ

სერვერებს შორის. სისტემის მუშაობის მაღალი ნაყოფიერების მისაღებად გამოიყენება სერვერების სპეციალიზაციის მეთოდი ცალკეული ფუნქციური მიმართულებების მიხედვით. მაგალითად, მონაცემთა ბაზის სერვერი, სერვერი "მეტაფრეიმი", კონკრეტული დანართების სერვერი, Web–სერვერი, უსაფრთხოების სერვერი და სხვ. სერვერების კონსოლიდაციის განხორციელებისას ყველაზე მაღალი ეფექტი მიიღწევა სამუშაო დატვირთვების მართვის პირობებში, რაც უზრუნველყოფს ერთ ფიზიკურ სერვერზე ერთი ოპერაციული სისტემით მართვისას რამოდენიმე გამოყენებითი სისტემის კონსოლიდაციას და საჭირო წარმადობის მისაღწევად ასევე ითვალისწინებს რესურსების მართვის საშუალებებს სხვადასხვა სამუშაო დატვირთვებისათვის.

ამჟამად კონსოლიდირებულ სერვერში რესურსების ერთობლივი გამოყენების დროს სამუშაო დატვირთვებისა და ინფორმაციის დაცვის მართვის სრულყოფილი ტექნოლოგიების გამოყენებით ეფექტურობა მიიღწევა მეინფრეიმებით (მათ შორის, წამყვანი პოზიციები უკავია ფირმა IBM-ის სწრაფად პროგრესირებად პლატფორმას z Series).

ტელეკომუნიკაციის დარგში ძირითადი მსოფლიო ტენდენციაა ორიენტაცია IP ოქმის გამოყენებაზე, როგორც პერსპექტიული სატელეკომუნიკაციო ქსელების აგების ტექნოლოგიის ბაზურ შემადგენელზე. ფართო გავრცელება პოვა ინტერნეტის გარემოდან სისტემაში შეღწევისგან დაცვის ახალმა მეთოდებმა – Virtual Privet Nest (VPN).

ბოლო წლებში განვითარდა და პრაქტიკული გამოყენება აქვს არხების მულტიპლექსირების ახალ ტექნოლოგიას–Dense Wavelength Multiplexing (DWM). კორპორატიული არხების აგების თანამედროვე მეთოდების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ტერიტორიულ-განაწილებადი სს-ის შექმნა, სადაც შესაძლებელია მომხმარებლთა ცენტრალიზებულ რესურსებთან დაკავშირება შეუზღუდავი დაშორების პირობებში.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მსოფლიო საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კატასტროფამედეგობის უზრუნველყოფას. ასე, მაგალითად, აშშ-ის სამი ორგანიზაციის–Federal Reserve Board, Offic of the Comptroller of the Currency და Securities and Exchange Commission წარმომადგენლებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა სექტემბრის მოვლენებზე რეაქციის და გამოწვეულ შედეგებზე 2002 წელს მოამზადა რეკომენდაციების პროექტი აშშ-ის ფინანსური ორგანიზაციების კატასტროფამედეგობის უზრუნველყოფის

შესახებ. ასევე მომზადდა საბოლოო ვარიანტი, რომელსაც აღნიშნული სამი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 2003 წ. აპრილში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 11 სექტემბრის გაკვეთილმა გამოიწვია აუცილებლობა იმისა, რომ ფინანსური ფირმებისა და მთლიანად აშშ-ის ფინანსური სისტემის წინაშე ჩამოყალიბდეს ბიზნეს-პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის შემდეგი სამი მიმართულება:

1. ფართომასშტაბიანი კატასტროფის წარმოქმნის შემდეგ კრიტიკული ოპერაციების სწრაფი აღდგენა და დროული განახლება;
2. კრიტიკული ოპერაციის სწრაფი აღდგენა და დროული განახლება პერსონალის დაკარგვის ან მიუწვდომლობის შემდეგ, თუნდაც ერთ მნიშვნელოვან ოპერაციულ დისლოკაციაში;
3. დარწმუნების მაღალი დონე (ყოველდღიური გამოყენების ან შესამოწმებელი ტესტირების ხარჯზე) იმაში, რომ პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფის გარე და შიგა ღონისძიებები ეფექტური და თავსებადია.

§ 11.8. მონაცემთა დამუშავების ცენტრის კონსტრუქციის კატასტროფამედეგობის ვარიანტის არჩევა

სს-ის აგების ყველაზე გავრცელებული მაგალითია — ტერიტორიულად განაწილებული მონაცემთა დამუშავების იმ ცენტრების (მდც) აგება, რომლის გამოთვლითი სიმძლავრეები მდებარეობს ორ გეოგრაფიულად დაშორებულ ადგილზე. ასეთი კონსტრუქციის კატასტროფამედეგობა გამოხატავს ამ სისტემის შესაძლებლობას — მდც-ის ერთერთ პლათფორმაზე გამოთვლითი საშუალებების მწყობრიდან გამოსვლისას დროის მოცემული შუალედის განმავლობაში აღიდგინოს საჭირო რეჟიმში ფუნქციონირება.

კატასტროფამედეგი გადაწყვეტილების არსი მდგომარეობს ობიექტზე (ან ამ ობიექტის ტერიტორიულად დაშორებულ უბნებზე) სამუშაოების ორგანიზებაში და გამოთვლითი კომპლექსის საშუალებების ფუნქციონირებებში, რაც უზრუნველყოფს შემდეგ მოქმედებებს:

- ინფორმაციის დამუშავების დროულ (წინასწარ ან მოვლენის მოხდენის შემდეგ) გადაცემას სარეზერვო ობიექტზე;
- მომხმარებელთა მოთხოვნების სარეზერვო იდც-ზე გადამისამართების მიზნით სატელეკომუნიკაციო შემადგენლის რეკონფიგურაციას;

- მომხმარებელთა მოთხოვნების დამუშავების აღდგენას სარეზერვო იდც-ში.

ყველა სისტემოტექნიკური გადაწყვეტილება იდც-ის ფუნქციონირების აღდგენისა და უწყვეტობის უზრუნველყოფისთვის კატასტროფის შემთხვევაში ფაქტობრივად ერთი პრინციპული პარამეტრით განსხვავდება – ფუნქციონირების აღდგენის დროით (ფად), რომელიც კატასტროფის მოხდენის მომენტიდან იხარჯება იდც-ის მთლიანად მუშა მდგომარეობაში გადაყვანამდე (დაბრუნებამდე). ცალკე ავღნიშნოთ, რომ ფად შეიცავს ბიზნეს-პროცესის როგორც კრიტიკული, ასევე არაკრიტიკული დანართების ფუნქციონირების აღდგენას.

ფად-ის სახით შეიძლება მივიღოთ სარეზერვო უბანზე ინფორმაციის დამუშავების გადაყვანის დრო ძირითადის მოშლის მომენტიდან. ინფორმაციის სარეზერვო უბანზე გადაყვანის დროის შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ გაუმართაობის შემდეგ აღდგენის მუშაობის დროის შეფასების მეთოდიკა.

კატასტროფამედეგობის უზრუნველყოფილი დონის მიხედვით იდც-ის "მოშლა" შეიძლება გავუტოლოთ ერთ-ერთ გაუმართაობის წარმოქმნას. მაშინ, კატასტროფის წარმოქმნის შემდეგ აღდგენის დროის შეფასებისას შეიძლება გამოვიყენოთ ამ გაუმართაობის შემდეგ მოსალოდნელი აღდგენის დროის განსაზღვრის შესაბამისი გამოსახულებები.

<u>კატასტროფამედეგობის დონეები.</u> მოვიყვანოთ იდც-ის კატასტროფამედეგობის დონეების კლასიფიკაცია ფირმა IBM-ის მასალების გამოყენებით.

თუ იდც შედგება ერთი გამოთვლითი ცენტრისგან და არა აქვს კატასტროფამედეგობა, ეს არის ნულოვანი დონე. ასეთი სიტუაცია დამახასიათებელია სს-ის შექმნის საწყისი ეტაპისთვის. მსგავსი სისტემისთვის არ არსებობს მოთხოვნები კატასტროფის შემდეგ მონაცემების შენარჩუნებაზე აღდგენის გეგმის რეალიზაციისთვის და გამოიყენება მხოლოდ გაუმართაობისადმი მედეგი გადაწყვეტილებები.

კატასტროფამედეგობის <u>პირველი დონის</u> შესაბამის იდც-ს აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- გამოთვლითი ცენტრი, რომელზეც აღდგენილი იქნება სისტემა, განისაზღვრება კატასტროფის წარმოქმნის შემდეგ;
- შემუშავებულია კატასტროფის შემდეგ აღდგენის გეგმა;

- სრულდება ყოველდღიური სარეზერვო კოპირება ლოკალურად მყოფ მატარებელზე;
- სარეზერვო ასლის მატარებელი ინახება გარე საცავში, რომელიც მდებარეობს შესაძლო კატასტროფის მოქმედების ზონის მიღმა;
- სარეზერვო ასლის მატარებლის გადატანა ხდება "ხელით".

პირველი დონე შეესაბამება წინასწარ ჩატარებული სამუშაოების მინიმალურ დონეს. ობიექტიდან ობიექტზე მონაცემთა დამუშავების გადაცემა მდგომარეობს მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოების ჩატარებაში, რაც უპირატესად ორგანიზაციულ ხასიათს ატარებს. მონაცემთა დამუშავების ობიექტიდან ობიექტზე გადაცემის ხანგრძლივობა განისაზღვრება არა სისტემის ტექნიკური შესაძლებლობებით, არამედ სამეურნეო საქმიანობის ტემპზე სარეზერვო იდც-ის განსაზღვრას, მომზადებასა და მოქმედებაში შეყვანასთან დაკავშირებით.

ასეთი მუშაობის ვადები ძირითადად განისაზღვრება საწარმოების მუშაობის საგეგმო-საანგარიშო პერიოდით (პერიოდით, რომლის გავლის შემდეგ მათ შეუძლიათ მოახდინონ უზრუნველყოფის სახეობების მიხედვით მოცულობის ცვლილებები). ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა უწყებების საწარმოებისთვის ეს არის კვარტალი; ერთი უწყების საწარმოებისთვის – თვე. რადგან ავარიების და კატასტროფების მოხდენა არ არის კორელირებული საწარმოს მუშაობის საგეგმო-საანგარიშო პერიოდებთან, ამ დონის გამოთვლითი კომპლექსებისთვის მონაცემთა დამუშავების ობიექტიდან ობიექტზე გადაცემის საშუალო დროის შესაფასებლად შეიძლება მივიღოთ აღნიშნული პერიოდების ნახევარი. იგი შესაბამისად იქნება 34 ან 11-12 სამუშაო დღე.

მონაცემთა ყოველდღიური სარეზერვო კოპირებისას დანაკარგების საშუალო მოცულობა შეადგენს სამუშაო დღის ნახევარს. რადგან აღდგენის ასეთი პროცედურის ასეთი ორგანიზებისას ცვლილებების ჟურნალი დაიკარგება, ამიტომ ინფორმაციის აღდგენამ ნახევარი სამუშაო დღის განმავლობაში დამუშავებული ტრანზაქციების შესახებ შეიძლება მოითხოვოს მნიშვნელოვანი დრო, რომელიც განისაზღვრება საწარმოს საქმიანობის სახით და შეუძლებელია მისგან დამოუკიდებლად განისაზღვროს.

სისტემის ფუნქციონირების აღდგენა უნდა ჩატარდეს პროცედურით, რომელიც შეიცავს:

- სისტემის აღდგენას უკანასკნელი ასლიდან (მბ-ის სადაზღვევო ასლიდან);

- ყველა იმ ტრანზაქციის განმეორებით შესრულებას, რომელიც შესრულდა უკანასკნელი ასლის შექმნის შემდეგ.

აღდგენის დროის გამოთვლის ფორმულას კატასტროფამედეგობის პირველი დონისთვის აქვს შემდეგი სახე:

$$T_{ВН} = T_{ОР} + T_S\left(e_Z\right) + \frac{1}{\mu}\left(\frac{n_З - 1}{2}\right),$$

სადაც $T_{ВН}$ არის სისტემის ფუნქციონირების აღდგენის მოსალოდნელი დრო; $T_{ОР}$ – სარეზერვო გამოთვლითი ცენტრის შექმნის და მუშაობაში მისი შეყვანის მოსალოდნელი დრო; T_S – მბ-ის მეხსიერების ფიზიკური მოშლის მომენტიდან მთლიანობის სინქრონიზაციის ბოლო S წერტილში (მსწ) სისტემის გადასვლის მოსალოდნელი დრო (სადაზღვეო ასლი – მბ ასლი); $n_З$ – მბ-ის ცვლილებების რაოდენობა, შესრულებული მესამე ტიპის ციკლის განმავლობაში; μ – მბ-ში ცვლილებების ინტენსივობა სარეზერვო ცენტრის საექსპლუატაციო მახასიათებლების გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ $T_{ОР}$ შესაკრები შეიცავს პერიოდს, რომელიც გავიდა კატასტროფის მოხდენის მომენტიდან სისტემის სარეზერვო გც-ზე გადასვლისა და მზადყოფნის მომენტამდე (მბ-ს აღდგენა უკანასკნელი ასლიდან). რადგან სარეზერვო ცენტრი განისაზღვრება კატასტროფის მოხდენის შემდეგ, ამიტომ მოცემული პერიოდი შეიცავს სარეზერვო ცენტრის განსაზღვრისთვის საჭირო დროს, მასზე აუცილებელი აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირების დროს და სხვ.

აღდგენის დრო კატასტროფამედეგობის პირველი დონისთვის უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება $T_{ОР}$ დროით და ორიდან ხუთ კვირამდე პერიოდს შეადგენს.

კატასტროფამედეგობის <u>მეორე დონის</u> შესაბამისი იდც ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

- გც, რომელზეც მოხდება სისტემის აღდგენა, განისაზღვრება კატასტროფამდე;
- შემუშავებულია კატასტროფის შემდეგ აღდგენის გეგმა;
- სრულდება ყოველდღიური სარეზერვო კოპირება ლოკალურ მატარებელზე;

- სარეზერვო ასლის მატარებელი ინახება გარე საცავში (იგი შეიძლება იყოს სარეზერვო ცენტრი), რომელიც მდებარეობს შესაძლო კატასტროფის მოქმედების ზონის გარეთ;
- სარეზერვო ასლის მატარებლის გადატანა ხდება "ხელით".

კატასტროფამედეგობის მეორე დონე შეესაბამება აღდგენის აუცილებელი საორგანიზაციო სამუშაოების წინასწარ ჩატარების მაქსიმალურ მოცულობას და განისაზღვრება შემდეგი პროცედურით:

- სარეზერვო ცენტრში არის გამოთვლითი კომპლექსი, რომლის წარმადობის მარაგი საკმარისია გადასაცემი მონაცემების დასამუშავებლად;
- ინფორმაციის ხანგრძლივი შენახვის არსებული საშუალებები უზრუნველყოფს მონაცემთა პერიოდულ სარეზერვო კოპირებას მოცემული ორგანიზაციისათვის;
- ჩვეულებრივ პირობებში გც-ში ორგანიზებულია მანქანის მოხსნადი მატარებლების მხოლოდ შენახვა.

ამ შემთხვევაში, დამუშავების გადაცემა ობიექტიდან ობიექტზე დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვანი მოცულობის იმ ღონისძიებების ჩატარებასთან, რომლებიც უპირატესად ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხასიათს ატარებს.

შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მონაცემების დამუშავების ობიექტიდან ობიექტზე გადაცემის ხანგრძლივობა განისაზღვრება სისტემის არა ტექნიკური შესაძლებლობებით, არამედ გც-ის უზრუნველყოფის სტრუქტურების მუშაობის ტემპებით.

მონაცემების ყოველდღიური სარეზერვო კოპირების დანაკარგების საშუალო მოცულობა სამუშაო დღის 0,5-ს (4 სთ) შეადგენს. თუკი აღდგენის პროცედურის ასეთი ორგანიზებისას ცვლილებების ჟურნალი დაიკარგება, მაშინ ინფორმაციის აღდგენას სამუშაო დღის ნახევრის განმავლობაში დამუშავებული ტრანზაქციების შესახებ შეიძლება დასჭირდეს მნიშვნელოვანი დრო, რომელიც განისაზღვრება საწარმოს საქმიანობის ხასიათით და არ შეიძლება განისაზღვროს მისგან დამოუკიდებლად.

სისტემის ფუნქციონირების აღდგენა კატასტროფამედეგობის პირველი - დონის დროს აღდგენის ანალოგიურად ხდება

$$T_{BB} = T_{OP} + T_S\left(e_z\right) + \frac{1}{\mu}\left(\frac{n_3 - 1}{2}\right),$$

ისევე როგორც კატასტროფამედეგობის პირველი დონისას, ფუნქციონირების აღდგენის ძირითად დროს შეადგენს საორგანიზაციო ღონისძიებები. თუმცა, წინა დონისგან განსხვავებით, ღონისძიებების საერთო მოცულობა მცირდება სარეზერვო იდც-ის ;ინფორმაციის დამუშავების ცენტრი? წინასწარ განსაზღვრის ხარჯზე.

კატასტროფამედეგობის მეორე დონის შემთხვევაში, როგორც წესი, აღდგენის დრო შეადგენს არანაკლებ სამ დღეს.

კატასტროფამედეგობის <u>მესამე დონის</u> შესაბამის იდც-ს შემდგომი მახასიათებლები აქვს:

- სარეზერვო გც, რომელზეც მოხდება სისტემის აღდგენა, განსაზღვრულია კატასტროფის მოხდენამდე;
- შემუშავებულია კატასტროფის შემდეგ აღდგენის გეგმა;
- სრულდება კრიტიკული და ყველა არაკრიტიკული მონაცემების ნაწილის ყოველდღიური სარეზერვო კოპირება ლოკალურად მდებარე მატარებელზე;
- სარეზერვო ასლის მატარებელი ინახება გარე საცავში (მოცემულ დონეზე, როგრც წესი, იგი არის სარეზერვო ცენტრი), რომელიც შესაძლო კატასტროფის მოქმედების ზონის მიღმა მდებარეობს;
- სარეზერვო ასლის მატარებლის გადატანა ხდება „ხელით“;
- სარეზერვო ცენტრში ხდება კრიტიკული მონაცემების გარკვეული ქვესიმრავლის დაშორებული შენახვა (კავშირგაბმულობის გლობალური ქსელის არხების გამოყენებით), პირველ რიგში ცვლილებების ჟურნალის.

მესამე დონე შეესაბამება მონაცემების გრძელვადიანი შენახვის საშუალებების მაქსიმალურ ავტომატიზებულ გამოყენებას, ამ დროს იგულისხმება, რომ:

- ყველა საჭირო ორგანიზაციული სამუშაო წინასწარ არის ჩატარებული;
- სარეზერვო გც-ში, სადაც დაგეგმილია მონაცემთა დამუშავების გადატანა, მუდმივად ფუნქციონირებს მონაცემთა საცავი, ორაგნიზებულია მონაცემებთან მუშაობა;
- საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა წინასწარ არის ჩატვირთული და გამართული, განხორციელებულია მოხსნილი მანქანური მატარებლების შენახვა;
- წინასწარ არის გამართული ინფორმაციის კვლევის ყველა საშუალება;

- წინასწარ არის გამოყოფილი გც-ის მუშაობისთვის საჭირო ყველა რესურსი (გამოთვლითი ტექნიკა, სათავსოები, აღჭურვილობა, ავეჯი და ა.შ.);
- განსაზღვრულია მათი მუშაობის რეჟიმი და გამოყენების წესი;
- ჩატარებულია ყველა აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიება (მაგალითად, ობიექტზე მიმართვის ორგანიზება და ა.შ.).

ამ შემთხვევაში, მონაცემების დამუშავების გადაცემა ობიექტიდან ობიექტზე დაკავშირებული იქნება იმ ღონისძიებების ნაკლები მოცულობის ჩატარებასთან, რომლებიც უპირატესად არის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის.

მონაცემების დამუშავების ობიექტიდან ობიექტზე გადაცემის ხანგრძლივობა კატასტროფამედეგობის მესამე დონის შემთხვევაში, ძირითადად შემდეგი ფაქტორებით განისაზღვრება:

- მომსახურე პერსონალის გადაადგილების დრო;
- ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება სარეზერვო ასლის ჩატვირთვაზე და ჟურნალის საფუძველზე დაკარგული მონაცემების აღდგენა.

კატასტროფამედეგობის მესამე დონისთვის აღდგენის დროის გამოსათვლელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$T_{ВВ} = T_{ОР} + T_S(e_z) + \frac{\alpha}{2}(n_3 - 1) + \frac{1}{\mu}\left(\frac{n_2 - 1}{2}\right),$$

სადაც α არის განახლების შემდეგ ჟურნალის ჩანაწერების გამოყენებით ერთი ცვლილების აღდგენის საშუალო დროჟ n_2 მბ-ში ცვლილებების რაოდენობა, შესრულებული მეორე ტიპის ციკლის განმავლობაში.

მესამე დონის კატასტროფამედეგობის აღდგენის დრო ჩვეულებრივად შეადგენს 1-2 დღეს.

იდც-ის კატასტროფამედეგობის მეოთხე დონე მოიცავს კატასტროფამედეგობის მესამე დონის მქონე სისტემების შესაბამის ყველა მახასიათებლს და მათთან დამატებით გვთავაზობს:

- მაღალსიჩქარულ კავშირს ცენტრებს შორის, რაც საშუალებას იძლევა ასინქრონულ რეჟიმში გავცვალოთ ყველა კრიტიკული მონაცემი და უფრო ხშირად მოვახდინოთ ცვლილებების ჟურნალის კოპირება;

- სამუშაო დატვირთვების განაწილებას ცენტრებს შორის;
- Ꝟ ცენტრის გამოყენებას Ո ცენტრის რეზერვად;
- ზოგიერთი დანართის და მონაცემის აღდგენას საცავიდან.

კატასტროფამედეგობის მეოთხე დონე შეესაბამება მონაცემების დროებითი შენახვის დაცილებული საშუალებების მაქსიმალურ ავტომატიზებულ გამოყენებას. ამ დროს იგულისხმება, რომ:

- ყველა საჭირო ორგანიზაციული ღონისძიება წინასწარ არის ჩატარებული;

  სათადარიგო გც-ში, რომელზეც აპირებენ მონაცემების დამუშავების გადაცემას, მუდმივად ფუნქციონირებს მონაცემთა საცავი, ორგანიზებულია მონაცემებთან მუშაობა;

  მონაცემთა ბაზების და ფაილების ცვლილებების მიხედვით რეგულარულად ხორციელდება დროებითი შენახვის მონაცემების ოპერატიული განახლება;

  მომსახურე პერსონალი, რომელიც განახორციელებს სისტემის საწყის გაშვებას და მონაცემთა დამუშავების განახლებას, მუდმივად გც-ი იმყოფება.

ამ შემთხვევაში დამუშავების გადაცემა ობიექტიდან ობიექტზე დაკავშირებული იქნება ნაკლები მოცულობის ღონისძიებების ჩატარებასთან, რომელიც უპირატესად ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხასიათს ატარებს.

აღდგენის დროის გამოსათვლელ ფორმულას კატასტროფამედეგობის მეოთხე დონისთვის აქვს შემდეგი სახე:

$$T_{HB} = T_S\left(e_Z\right) + \frac{\alpha}{2}\left(n_3 - 1\right) + \left(\frac{n_2 - 1}{2}\right)\left(\frac{1}{\mu} + \gamma\right),$$

სადაც γ არის ერთი ცვლილების ანულირების საშუალო დრო.

ფორმულა მართებულია შემდეგი დაშვებისას: სისტემის ბოლო საკონტროლო წერტილი შეიძლება არ ჩაიწეროს სარეზერვო გც-ის ჟურნალის ასლში (ჟურნალით აღდგენა ხდება ბოლო ჩანაწერამდე, შემდეგ კი ხორციელდება უკან დაბრუნება სისტემის ბოლო ჩაწერილ საკონტროლო წერტილამდე), ტრანზაქციების საკონტროლო წერტილები სისტემაში არ არის დასმული. T_{OP} ნულთან არის გატოლებული, რადგან ყველა საჭირო ორგანიზაციული ღონისძიება წინასწარ არის ჩატარებული.

აღდგენის დრო კატასტროფამედეგობის მეოთხე დონის შემთხვევაში, განისაზღვრება პირველ რიგში არაკრიტიკული დანართების ფუნქციონირების აღდგენის დროით და, როგორც წესი, შეადგენს არაუმეტეს ერთი დღისა.

კატასტროფამედეგობის <u>მეხუთე დონის</u> შესაბამის იდც-ს, წინა დონის ყველა დამახასიათებელ თვისებასთან ერთად, აქვს შემდეგი შესაძლებლობები:

- კრიტიკული მონაცემები და დანართები ერთდროულად არსებობს ორივე მოედანზე, იკარგება მხოლოდ კატასტროფის დროს გადაცემული მონაცემები;
- გამოიყენება განაწილებული ტრანზაქციებით ორფაზიანი დასრულების ოქმი (two-plase coomit protocol);
- სარეზერვო კოპირება ხდება სინქრონულ რეჟიმში.

მეხუთე დონე შეესაბამება მონაცემთა დროებით შენახვის დაშორებული საშუალებების მაქსიმალურ ავტომატიზებულ გამოყენებას. ამ დროს იგულისხმება, რომ:

- ყველა საჭირო ორგანიზაციული სამუშაო წინასწარ არის ჩატარებული;
- ჩატარებულია მეოთხე დონის იდც-თვის გათვალისწინებული ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება;
- რეგულარულად ხდება როგორც კრიტიკული, ასევე არაკრიტიკული მონაცემების სარეზერვო კოპირება და მათი აქტუალიზაცია;
- დისკიან ქვესისტემებზე ხორციელდება დაშორიშორებულ მონაცემთა ავტომატური „არეკვლა“ (კონტროლირების დონეზე) ან დუბლირება (ოპერაციული სისტემის დონეზე);
- მომსახურე პერსონალი, რომელიც განახორციელებს სისტემის საწყის გაშვებას და მონაცემების დამუშავების განახლებას, მუდმივად გც-ში იმყოფება.

სისტემის ფუნქციონირების აღდგენა უნდა ჩატარდეს შემდეგი პროცედურის მიხედვით:

- ყველა შეწყვეტილი ტრანზაქციის ცვლილების ანულირება;
- ყველა შეწყვეტილი ტრანზაქციის განმეორებით შესრულება.

შესაბამისად, აღდგენის დროის გამოსათვლელი ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$T_{BH} = T_S(e_z) + \left(\frac{n_2 - 1}{2}\right)\left(\frac{1}{\mu} + \gamma\right),$$

სადაც $T_s(e_z)$ არის სისტემის ბოლო S მდგომარეობაში გადასვლის მოსალოდნელი დრო e_z შეფერხებისას (სისტემის მუშაობის უეცარი შეწყვეტა).

IBM ფირმის მონაცემებით, დაშორიშორებულ მონაცემთა ავტომატური „არეკვლის" ტექნოლოგიის გამოყენებისას, აღდგენის გაშვების დრო არ აღემატება რამდენიმე წუთს. თუმცა, დაგროვილი მონაცემების ტომების აღდგენის სრულმა დრომ შეიძლება 2-4 სთ-ს მიაღწიოს, რადგან გარკვეული დრო იხარჯება კრიტიკული გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის გაწყობაზე, რომელიც დაიკარგა ძირითად ცენტრში კატასტროფის შედეგად. ასეთ აღდგენაზე დაკარგული დრო გათვალისწინებულია $T_s(e_z)$.

კატასტროფამედეგობის მეექვსე დონის შესაბამისი იდც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

- კატასტროფის მოხდენისას არ იკარგება მონაცემები „zero data loss";
- კატასტროფისას ხდება ინფომრაციის დამუშავების დაუყოვნებელი და ავტომატური გადაცემა დამუშავების სარეზერვო ცენტრზე;
- ორივე გც-ის გამოთვლითი კომპლექსი ერთ კლასტერში არის გაერთიანებული.

მეექვსე დონე შეესაბამება მონაცემების მიმდინარე (ოპერატიული) შენახვის დაცილებული საშუალებების მაქსიმალურ ავტომატურ გამოყენებას. ამ დროს იგულისხმება, რომ:

- მეხუთე დონის რეალიზაციის უზრუნველყოფის ყველა პირობა სრულდება;
- როგორც ძირითად, ასევე სარეზერვო გც-ში არის გამოთვლითი კომპლექსები კლასტერული ორგანიზაციით, რომელიც ტერიტორიულად განაწილებულ სტრუქტურას ქმნის.

ამ შემთხვევაში, დამუშავების გადაცემა ობიექტიდან ობიექტზე მდგომარეობს ნაკლები მოცულობის ღონისძიებების ჩატარებაში, რაც უპირატესად ტექნიკურ ხასიათს ატარებს. დეტალური განხილვა გვიჩვენებს, რომ ობიექტიდან ობიექტზე მონაცემთა დამუშავების გადაცემის ხანგრძლივობა ძირითადად განისაზღვრება გამოთვლითი კომპლექსის

ტექნიკური შესაძლებლობებით. ამასთან, მონაცემების დამუშავების გადაცემის დროის შეფასებისთვის შეიძლება ავირჩიოთ ნებისმიერი საკმარისად მცირე სიდიდე.

გამოყენებული მეთოდით მონაცემების კოპირებისას განპირობებული დანაკარგების მოცულობა განისაზღვრება ერთდროულად დასამუშავებელი იმ დოკუმენტების რაოდენობით, რომლებიც გამოთვლითი კომპლექსის რღვევისას ვერ გადანაწილდა კლასტერის სერვერებს შორის. პრაქტიკაში არ იქნება დიდი შეცდომა თუ ჩავთვლით, რომ დაკარგულია ყველა იმ დოკუმენტის დამუშავების შედეგები, რომელთა დამუშავება გამოთვლითი კომპლექსის რღვევის მომენტისთვის არ იყო გადაცემული მეორე ობიექტზე. ეს დანაკარგები არ არის აბსოლუტური, როგორც კატასტროფამედეგობის 1-4 დონეებისთვის. ისინი ატარებენ მონაცემთა გადადებული დამუშავების ხასიათს. ფაქტობრივად, დაკარგული შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ ის დოკუმენტები, რომელთა ჩაწერა დამუშავების შესავალ ნაწილში დამთავრებული არ იყო. თანამედროვე გამოთვლითი კომპლექსების წარმადობისას და მონაცემთა დამუშავების გადაცემაზე ინსტრუქციის დროული გაცემისას (გამოთვლითი კომპლექსის რღვევის დაწყებამდე არაუგვიანეს 1-2 წმ-ით ადრე) მათი რაოდენობა, საიმედოობის მაღალი ხარისხით, შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

სისტემის ფუნქციონირების აღდგენა უნდა ჩატარდეს e_z შეფერხების შემდეგ, იმ პროცედურის რეალიზების საშუალებით, რომელიც შეიცავს:

- სისტემის გადაყვანას S მდგომარეობაში;
- ცვლილებების ანულირებას ყველა შეწყვეტილ ტრანზაქციაზე;
- ყველა შეწყვეტილი ტრანზაქციის განმეორებით შესრულებას.

მაგალითად, IBM ფირმის მონაცემებით, Geographicaly Dispersed Parallel Sysplex/Peer-to-Peer Remot Copy (GDPS/PPRS), ტექნოლოგიის გამოყენებისას, დამუშავების სარეზერვო გამოთვლით ცენტრზე გადაყვანის დრო არ აღემატება ერთ წუთს, თუმცა დაგროვილი მონაცემების ტომების სრული აღდგენის დრო შეიძლება აღწევდეს 0,5-1 სთ-ს (გამოყენებითი სისტემების მიერ საკონტროლო წერტილების ჩაწერის პერიოდულობის მიხედვით).

კატასტროფამედეგობის მეექვსე დონისთვის აღდგენის დროის გამოსათვლელ ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$T_{BB} = T_S(e_z) + \left(\frac{n_2 - 1}{2}\right)\left(\frac{1}{\mu} + \gamma\right).$$

ამ ფორმულაში (მეხუთე დონისგან განსხვავებით) $T_s(e_z)$ არ შეიცავს კრიტიკული გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის გაშლაზე დახარჯულ დროს, რომელიც დაიკარგა ძირითად ცენტრში კატასტროფის შედეგად. შესაბამისი გამოყენებითი პროგრამები მზადყოფნის მდგომარეობაშია განაწილებული კლასტერის სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის მოქმედებით.

§ 11.9. კატასტროფამედეგობის დონის და სისტემის ფუნქციონირების აღდგენის დროის უზრუნველყოფის ღირებულებების თანაფარდობა

კატასტროფამედეგი სს-ის დანერგვისას პირველ ნაბიჯია ზოგადად კატასტროფამედეგობის და კატასტროფამედეგობის კონკრეტული დონის არჩევის აუცილებლობის გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, ამ დროს განმსაზღვრელი პარამეტრი იქნება მაქსმიალური დრო, რომელიც საჭიროა სს-ის იდც-ის მოშლილი უბნის ფუნქციონირების აღდგენისა და სს-ის ორგანიზაციის სრული მოცულობით აღდგენის მომენტამდე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კატასტროფის მოხდენის შემდეგ კატასტროფამედეგობის შესაბამისი დონის რეალიზებისთვის საჭირო დანახარჯებსა და მოცემული დონის რეალიზაციით მიღწეულ იდც-ის ფუნქციონირების აღდგენის დროს შორის თანაფარდობა. რაც ნაკლებია აღდენის დრო, შესაბამისად მით უფრო მაღალი იქნება იდც-ის სს-ის ფლობის საერთო ღირებულება.

სს-ის კატასტროფამედეგობის საჭირო დონის არჩევისას გამოდიან კატასტროფამედეგობის უზრუნველყოფის ჯამური ხარჯების და იმ ზარალის თანაფარდობიდან, რომელსაც ორგანიზაცია განიცდის შეჩერების დროის განმავლობაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ბანკებში ანგარიშსწორების სისტემების შეჩერების მიზეზების სტატისტიკა ტერორისტული

აქტების და სს-ისადმი ხელმისაწვდომობის შენარჩუნების მოთხოვნების გათვალისწინებით.

იდც-ის სს-ის მაღალი ხელმისაწვდომობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად ჩამოთვლილი მოვლენების უმეტესობის მოხდენისას, რაც შეესაბამება მოვლენათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 68-ს, ადგილობრივი გეოგრაფიული პირობების სწორად გამოყენებისას, ძირითადი და სარეზერვო უბნების დაშორება შეიძლება შეადგენდეს შედარებით მცირე მანძილს (რამდენიმე ათეულ კილომეტრს). დანარჩენი მიზეზები, კატასტროფის მოქმედების მნიშვნელოვნად უფრო დიდი რადიუსის გამო, მოითხოვს მათ დაშორებას ასეულობით კილომეტრით.

ცხრილი 1.

საბანკო სისტემების შეფერხების მიზეზები

საფრთხის ხასიათი	შემთხვევების რაოდენობა	მოთხოვნები სსს-ის მიმართ
განზრახ თავდამხმები (ტერაქტები)	17	კატასტროფამედეგობა
ხანძარი	17	კატასტროფამედეგობა
ქარიშხალი	14	კატასტროფამედეგობა
მიწისძვრა	11	კატასტროფამედეგობა
ელექტროენერგიის გათიშვა	10	შეფერხებამედეგობა
პროგრამის მწყობრიდან გამოსვლა	9	შეფერხებამედეგობა
წყალდიდობა	7	კატასტროფამედეგობა
ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა	5	შეფერხებამედეგობა
პერსონალი + სხვა მიზეზები	10	უსაფრთხოების პოლიტიკა

თავი 12. ანალიზისა და პროგნოზირების სისტემები

საიმედო Baring Bank–ის გაკოტრების გამო გამოწვეული ფინანსური აურზაური და ჩვენი რეალობა, რომელმაც გვიჩვენა, რომ სახელმწიფოზეც კი არ შეიძლება უსიტყვოდ ნდობა, კიდევ ერთხელ გვახსენებენ ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაში ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი როლის შესახებ. მეცნიერება ტევადი ამოცანების გადაწყვეტა-კლიენტების კრედიტუნარიანობის ანალიზი, საინვესტიციო პორტფელების ან რისკების მართვა, მსოფლიო და რეგიონალური ეკონომიკის მდგომარეობა შესაბამის მათემატიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას მოითხოვს. ბიზნესის ანალიზისა და ოპტიმიზაციისათვის ასეთი სახის აპარატს სისტემები და გადაწყვეტილებათა მიღების სისტემები ახორციელებენ. ანალიტიკურ სისტემებზე მოთსოვნის წარმოშობის მომენტისათვის, ბიზნესის ავტომატიზაციის სისტემებმა დიდი გზა გამოიარეს, შესაბამისად მონაცემების დიდ მოცულობა იქნა დაგროვებული. აღნიშნული კორპორაციული და გარე ინფორმაცია სისტემების ფუნქციონირების საფუძველს შეადგენს. გასაგებია, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემემების ხარისხი მიღებული გადაწყვერილებების ხარისხსაც განსაზღვრავს.

თანამედროვე გადაწყვეტილებების მიღების სისტემები შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან (ფუნქციებისაგან) შედგება:

- მონაცემთა ბაზისა და საცავებისაგან;
- მოთხოვნების გენერაციის და ანგარიშეგებებას შედგენის საშუალებებისაგან;
- ოპერატიულ ანალიტიკური დამუშავების ინსტრუმენტებისაგან;
- მონაცემთა ინტერპრეტაციის პროგრამული უზრუნველყოფისგან.

მონაცემთა ბაზები და ინფორმაციული საცავები დანამედროვე გადაწყვეტილებების მიღების სისტემების საფუძველს წარმოადგენენ.

მოთხოვნების ფორმირებისა და ანგარიშგებების გენერაციის საშუალებები ინფორმაციისადმი წვდომის ორგანიზებისა და მისი სასურველი ფორმით მიწოდების შესაძლებლობას იძლევა.

საცნობარო ანალიტიკური ფუნქციები უზრუნველყოფენ:

- მონაცემთა ბაზების დათვალიერებისა და ძირითადი ობიექტების – კლიენტების, ხელშეკრულების, პირადი ანგარიშების, საოპერაციო დღის საბუთების და ა.შ. მდგომარეობის განსაზღვრა;

- მონაცემთა ბაზისადმი მომხმარებელთა მოთხოვნების ფორმირებისა და ობიექტთა ჯგუფების მდგომარეობის განსაზღვრა;
- დამმუშავებლის მიერ შემოთავაზებული და მომხმარებლის მიერ დამატებით შექმნილი ანგარიშგების ფორმირება.

ოპერატიულ ანალიტიკური დამუშავების ინსტრუმენტები ისეთი სახის ამოცანების ანალიზის შესაძლებლობებს იძლევა, რომლებიც მოთხოვნების ფორმირების პროდუქტების საფუძველზე არის მიღებული.

თანამედროვე ანალიტიკური სისტემებისადმი ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენენ:

- ინფორმაციის გარე წყაროებისადმი, (მათ შორის დაშორებული) წვდომის უზრუნველყოფა;
- გარე ინფორმაციის მონაცემთა მიზნობრივ ბაზაში ავტომატურად ჩატვირთვის საშუალების არსებობა;
- ბიზნეს პროცესების ავტომატურად მართვის მექანიზმების მხარდაჭერა, მაგალითად, გარკვეულ დროში ან ბიზნეს პროცედურების შესაბამისად, მონაცემთა ბაზის აქტუალიზაციას, აგრეგირებული მონაცემების გადაანგარიშების, ინფორმაციის დაარქივების პროცედურების გაშვების შესაძლებლობა;
- მონაცემთა ბაზის მოქნილი სტრუქტურა, რომელიც *drill down* და *slice and dice*-ს ტიპის მონაცემების ინტელექტუალური ანალიზისთვის "მრავალგანზომილებიანი კუბების" დინამურად შექმნის შესაძლებლობას იძლევა;
- მონაცემების მოდელების ოპტიმიზაცია, ნებისმიერი მოთხოვნის შესრულების სიჩქარესთან მიმართებაში;
- დროის დიდი ინტერვალის მონაცემების შენახვა;
- მონაცემების ოპერატიულად დაარქივებისა და აღდგენის შესაძლებლობა;
- მობილური მონაცემების არსებობა;
- ღია სისტემის პრინციპი;
- სისტემის მონაცემებთან და ფუნქციებთან წვდომასთან დაკავშირებით მომხმარებლებლის უფლებამოსილების მართვის მხარდაჭერა და აუდიტის ჩაშენებული საშუალებების არსებობა.

მოყვანილი ფუნქციების უმეტესი ნაწილი *DiasofiMANAGEMENT* კომპანიის პროდუქტშია რეალიზებული, რომელიც "ინფორმაციული საწყობების" ტექნოლოგიურ საფუძველზეა აგებული და გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერ სისტემის კლასს მიეკუთვნება. ინფორმაციული საწყობების ტექნოლოგიას – *Data Warehousing*, სხვადასხვა

სისტემებისაგან მიღებული მონაცემების ცენტრალიზებულ ბაზაში (საწყობში) გაერთიანებისა და შეგროვებული მონაცემების საბოლოო მომხმარებლებზე მიწოდების შესაძლებლობა გააჩნია. აღნიშნული შეიძლება იყოს როგორც ანგარიშგებების გენერატორების ტიპის შედარებითი მარტივი ქვესისტემები ან *SQL* - მოთხოვნები, ასევე მძლავრი (მნიშვნელოვანი) ქვესისტემები, რომლებიც მონაცემების ინტელექტუალური ანალიზის – ჰიპოტეზების შემოწმებების მეთოდებზე, გადაწყვეტილების ხერხების აგებაზე, კლასტერული და სტატისტიკური ანალიზებზე, ნეირონულ ქსელებზე და ა.შ. არის დაფუძნებული.

დასავლეთში ასეთი სისტემები ფინანსურ სფეროში მეტად პოპულარულია. მონაცემების ინტელექტუალური ანალიზის მეთოდების გამოყენების პირველი წარმატებული გამოცდილება, ფასიანი ქაღალდების პორტფელის ოპტიმალური მართვის ამოცანების გადაწყვეტისას იყო დაგროვებული. დღეს მრავალი ცნობილი ბანკი (*Bank of America*, *Chase Manhattan* და სხვები) ინფორმაციულ საცავების საფუძველზე მოქმედი ანალიტიკური სისტემები გააჩნიათ, რომელებიც მრავალი ამოცანის გადაწყვეტისათვის გამოიყენება. ყველაზე უფრო პოპულარულს საკრედიტო რისკების შეფასება, სადაზღვეო რისკების შეფასება, ფინანსურ ბაზებზე ტენდენციების პროგნოზი, საკრედიტო ბარათებთან მიმართებაში მაქინაციების გამოვლენა, ახალი მომსახურებებისათვის კლიენტების პორტფელის აგება შეიძლება მივაკუთვნოთ.

დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე მომწოდებელი გვთავაზობს საკუთარი პროდუქტების საფუძველზე დასრულებულ გადაწყვეტილებებს (*end–to–end*). მრავალი კონსალტინგური ფირმები და სისტემური ინტეგრატორები რამოდენიმე ფირმა მწარმოებლებისაგან შექმნილი პროდუქტების საფუძველზე გვთავაზობენ გადაწყვეტილებებს. ამ შემთხვევაში ერთის მხრივ, შემკვეთი საუკეთესო კომპონენტების ნაკრებს, მეორე მხრივ კი ადმინისტრირების, გაწყობისა და ვერსიების შეცვლის პრობლემებს ღებულობს.

მართვის სისტემების შექმნის პრობლემა – უპირველეს ყოვლისა საბანკო ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ინფორმაციების მოძიების, ანალიზისა და გადაცემას ერთიანი მექანიზმით კონვეიერული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის პრობლემას წარმოადგენს.

საბანკო პროდუქტის უნიფიკაცია – ანალიტიკური პროგრამული პროდუქტების შექმნის საფუძველია.

ბანკმა კლიენტებისთვის ახალი მომსახურების შეთავაზებითა და ძველის მოდიფიცირებით, გარემოს პირობებზე უნდა მოახდინოს რეაგირება. სხვადასხვა ბაზარზე პროდუქტების შემოსავლიანობის ექსპრეს–ანალიზის საჭიროების შესაბამისად, საბანკო პროდუქტების სისტემის შიდა ინსტრუმენტების საშუალებით აღწერა არის საჭირო, მთელი სისტემის დაპროექტებისადმი ობიექტ–ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე.

§ 12.1. მონაცემების სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პროდუქტები

ბიზნესის ანალიზისა და ოპტიმიზაციის განხორციელებისას პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაში ფართოდ გამოიყენება სტატისტიკური ანალიზის პაკეტები. მათი მეშვეობით მათემატიკური სტატისტიკის ისეთი ძირითადი მეთოდების რეალიზება ხორციელდება, როგორიცაა: დისპერსიული ანალიზი, ფაქტორული ანალიზი, რეგრესიული ანალიზი. პაკეტების დამხმარე ფუნქციებს წარმოადგენენ: სტატისტიკური ინფორმაციის კონტროლი, დროითი მწკრივების ანალიზი, ანომალური მნიშვნელობის შეფასება, დროითი მწკრივების ანალიზი და გრაფიკული გამოსახვა.

სტატისტიკური ანალიზის პროგრამულ პროდუქტებს მიეკუთვნება: ინტეგრირებული და სპეციალიზირებული, მეთოდურ, პრობლემურ–(ან საგნობრივ) ორიენტირებული პაკეტები.

მეთოდურ-ორიენტირებული პაკეტები მოდულური პრინციპით აიგება, ცალკეული ბიბლიოთეკების სახით. ბიბლიოთეკა თავის მხრივ, ცალკეული მოდულებისაგან ან მათ ჯგუფებისაგან შედგება, რომლთა მეშვეობით განსაზღვრული მათემატიკურ-სტატისტიკური ფუნქციების რეალიზება ხორციელდება.

ყველაზე უფრო გაუმჯობესებული სტატისტიკური ანალიზის პროგრამული პროდუქტები ისეთ პროგრამას მოიცავს, რომელიც წინასწარ დამუშავებული პროგრამების გენერირებას ახორციელებენ. ასეთი სახის გენერატორები ოპერაციულ სისტემასთან არის დაკავშირებული, მათი მეშვეობით ფორმირდება დავალება მონაცემების დამუშავებაზე, სადაც მოდულების გამოყენების თანმიმდევრობა არის განსაზღვრული. ასევე მყარდება კავშირი მოდულებს შორის ინფორმაციასა და მართვის კუთხით.

§ 12.2. გადაწყვეტილებების მიღების სისტემები

ყველაზე უფრო "ინტელექტუალურებად" მონაცემების ინტერპრეტაციის საშუალებები ითვლება, რომელებიც კანონზომიერებების დადგენისა და პროგნოზირების განხორციელების შესაძლებლობებს იძლევა. აღნიშნული მიმართულების უმაღლეს მიღწევად მონაცემების ინტელექტუალური ანალიზის პროდუქტები ითვლება, რომლებიც არა მარტო რეგრესიული ანალიზის ერთიერთდამოკიდებულებების დადგენის, კლასიფიცირებისა და პროგნოზირების განხორციელების შესაძლებლობებს იძლევა, არამედ ისინი ალბათობის, სტატისტიკური, ნეირონული ქსელების, აგრეთვე არამკაფიო ლოგიკის რეალიზებასაც ახორციელებენ. აღნიშნული ბაზარი საკმაოდ დინამიურად ვითარდება. ასთი სისტემებია: *AbTech, Neural Ware, Thinking Machines, Silicon Graphics, Biocomp System, California Scientific Software, SPPS, Megaputer Intelligence.*

გადაწყვეტილებების მიღების მართვის სისტემის არქიტექტურის აგების სირთულის გამო შეიძლება მხოლოდ მრავალდონიანი იყოს – ორდონიანი სტრუქტურაც არაეფექტურად მუშაობს. თანამედროვე გადაწყვეტილების მიღების მართვის სისტემა, როგორც წესი, კლიენტ-სერვერის სამდონიან სისტემას წარმოადგენს:

- მონაცემთა ბაზის დონე, გულისხმობს ბიზნეს პროცესების შესაბამისი მონაცემების შენახვას და ძებნას;
- გამოყენებითი პროგრამების დონე, რომელზეც პროგრამების შესრულების ლოგიკა არის რეალიზებული;
- ინფორმაციის წარმოდგენის დონე, მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისის გამოყენებით.

იმისათვის რომ მსხვილმა კომპანიამ გადაწყვეტილების მიღების მართვის სისტემის დანერგვისაგან ეფექტი მიიღოს, საკმაოდ მნიშვნელოვანი დაბანდებები უნდა განახორციელოს. დროის ერთეულში დასამუშავებელი ინფორმაციის მნიშვნელოვანი რაოდენობის და დიდი ინფორმაციული ნაკადების გამო, გადაწყვეტილებების მიღების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის მძლავრი გამოთვლითი და საკომუნიკაციო საშუალებები, პროგრამულ-აპარატული კომპლექსის საიმედოობის მაღალი დონე და არასანქცირებული შეღწევისაგან ინფორმაციის დაცვის საშუალებები არის საჭირო. დანახარჯები მნიშვნელოვანია არა მარტო მათ დაპროექტებაზე, შეძენაზე, სისტემის დაყენებაზე და დანერგვაზე, არამედ ექსპლოატაციაზე და განვითარებაზეც.

ამასთან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ხელფასი, რომელთა გარეშე გადაწყვეტილებების მიღების მართვის სისტემა სათანადო ეფექტს ვერ მოგვცემს, საერთო საექსპლოატაციო ხარჯებში საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენს.

§ 12.3. გადაწყვეტილებების მიღების მართვის სისტემის ძირითადი სამსახური

გადაწყვეტილებების მიღების მართვის სისტემის ორი ძირითადი სამსახური არსებობს:

1. ინფორმაციის მიღების ტექნიკური სამსახური და
2. ანალიტიკური სამსახური.

ინფორმაციის მიღების სამსახური ელექტრონული ფოსტის, ფაქსებისა და სატელევიზიო გადაცემების მისაღებად, აგრეთვე მონაცემების გადაცემის გლობალური ქსელებისადმი წვდომისათვის ერთი ან რამდენიმე საკომუნიკაციო სერვერებით არის აღჭურვილი. საკომუნიკაციო სერვერები ორგანიზაციის სხვა კომპიუტერებთან, (მუშა სადგურებთან) კავშირის არხების მეშვეობით ურთიერთქმედებენ.

ანალიტიკური სამსახური – გადაწყვეტილებების მიღების მომზადების ჯაჭვში "ინტელექტუალურ" რგოლს წარმოადგენს აქ მზადდება ანალიტიკური მასალები ხელმძღვანელობისათვის. ამ სამსახურზეა დაკისრებული კომპანიის სტრუქტურის გაუმჯობესების, მისი იმიჯის მხარდაჭერის ფუნქცია. ანალიტიკური სამსახურის თანამშრომლები კომპანიის განვითარების სტრატეგიის დაგეგმვაში მონაწილეობენ, მათზეა დაკისრებული მონაცემების ბაზების ჩატვირთვისა და შენახვის ფუნქციები, რაც ნებისმიერი გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს.

ანალიტიკურ სამსახურში ხორციელდება ინფორმაციის ფორმირება, მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, მოდელების აგება და გამოცდა. საექსპერტო მონაცემების შეგროვება, იქმნება შემაჯამებელი ანგარიშგებები.

გადაწყვეტილებების მიღებას მართვის სისტემის პერსპექტიულ მიმართულებებს ხელოვნური ინტელექტის მეთოდები წარმოადგენენ, მაგრამ მათი სიძვირისა და აღნიშნულ სფეროში დაუსრულებელი სამეცნიერო გამოკვლევების გამო ისინი ჯერ-ჯერობით ანალიტიკურ საქმიანობაში ფართე გამოყენებას ვერ პოულობენ.

თავი 13. ავტომატიზებული საბანკო სისტემების მიმოხილვა

თანამედროვე ავტომატიზებული საბანკო სისტემის შექმნა მხოლოდ მსხვილი სპეციალიზირებული ინსტიტუტებისთვის არის ხელმისაწვდომი. ფინანსურ სფეროში რთული ამოცანების ავტომატიზაცია დიდი ინტელექტუალური და დროით დანახარჯებს მოითხოვს.

თანამედროვე ავტომატიზებული საბანკო სისტემა ბანკის ყველა ქვედანაყოფის მუშაობას ერთიან კომპლექსში უნდა ერთიანებდეს, ანუ ინტეგრირებული უნდა იყოს. თანამედროვე ინტეგრირებული ავტომატიზებული საბანკო სისტემისადმი ძირითად კონცეპტუალურ მოთხოვნას, რომელიც აუცილებელია ბანკის მდგომარეობის ანალიზისათვის და გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებისათვის, რეალური დროის რეჟიმის მოთხოვნა წარმოადგენს. ნებისმიერი ახალი ინფორმაციის შეყვანისას იგი მაშინვე უნდა გახდეს ხელმისაწვდომი სისტემასთან დაშვებულ ყველა მომხმარებლისათვის.

საბანკო ოპერაციებისა და მომსახურების სპექტრის გაფართოება და სავალუტო ოპერაციების წილის ამაღლება, რეალურ მსხვილ, ასევე საშუალო და მცირე ბანკებშიც, სისტემის მრავალვალუტიანობის უზრუნველყოფის მოთხოვნილებას აყენებს დღის წესრიგში.

ბანკების მიერ ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას, რომლებიც ბანკის თანამშრომლების მიერ გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობის ამაღლებას მოითხოვენ (ისეთების, როგორებიცაა, მაგალითად ბანკთაშორისი კრედიტი ან სავალუტო დილინგი), ავტომატიზებულ საბანკო სისტემების შესაძლებლობა უნდა იყოს აღნიშნული ფუნქციების შესაბამისი.

საბანკო სისტემის განვითარებას და ბანკების საერთაშორისო საინფორმაციო ფინანსური სისტემების ინტეგრაციას ბანკების მიერ ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა სისტემების გამოყენებით ინფორმაციის გაცვლის საშუალებებით უზრუნველყოფის აუცილებლობისაკენ მივყავართ.

ავტომატიზირებული საბანკო სისტემის პროექტირების საშუალების არქიტექტურა და ინსტრუმენტების სისტემების შემდგომი დამუშავების პერსპექტივისა და ახალი ვერსიების შექმნის გათვალისწინებით დასმული ამოცანების ადეკვატურობით უნდა ხასიათდებოდეს.

ავტომატიზირებული საბანკო სისტემა მოდულის პრინციპით უნდა იქნეს აგებული და ბანკს სისტემის საბანკო მომსახურების სპექტრის

გაფართოების შესაბამისად მომავალში გაფართოების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს. ასს უკვე დამუშავებული ამოცანების დამატებით შეძენის, ან ახალი დამუშავებული ამოცანების შეკვეთის, ან ბანკის პროგრამისტების ძალებით ცალკეული გამოყენებით ამოცანების გადაწყვეტას ინფორმაციის ექსპორტთან და იმპორტთან დაკავშირებით ავტომატიზირებული საბანკო სისტემის გამოყენებით შეძლებს. სისტემის საინფორმაციო მოცულობისა და გამოთვლითი ტექნიკის რესურსების გაზრდის შესაბამისად ასს-მ, სხვა პლატფორმაზე სინქრონული, რბილი გადასვლის განხორციელება უნდა შეეძლოს.

ავტომატიზირებული საბანკო სისტემის ახალ ვერსიებზე გადასვლისას უკვე ყველა არსებული ინფორმაციის უშუალოდ გადატანის შესაძლებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ვერსიის მემკვიდრეობითობა, ინტერფეისის სიმარტივე და თვალსაჩინოება თანამშრომლების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების პროცესში სპეციალური დამატებითი სწავლების გარეშე სამუშაოს ათვისებას უზრუნველყოფენ.

მრავალფილიალებიანი ბანკის შემთხვევაში თანამედროვე ავტომატიზირებული საბანკო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს:

- ბანკის მთავარ ოფისში ფილიალებისაგან მიღებული ინფორმაციის ავტომატიზირებულად შეგროვებას, გადამუშავებას და ანალიზს;
- ეროვნული ბანკის დაწესებულებებში ყველა სახის ფინანსური ოპერაციების და ანგარიშგებების დროის რეალურ რეჟიმში გადაგზავნას დადგენილი ფორმათა და ოპერაციების ავტორიზირებით;
- ფილიალებში და კორესპონდენტ ბანკებში წარსადგენი ინფორმაციის, დადგენილ ფორმატების შესაბამისად ფორმირებისა და გადაგზავნას. ნებისმიერი ფინანსური ხასიათის მონაცემების ინფორმაციის ურთიერთ გაცვლას;
- ბანკის ყველა ფილიალებს შორის ავტომატიზებულ ანგარიშსწორებას.

ავტომატიზირებული საბანკო სისტემა მის ძირითად სისტემურ ბირთვთან უნდა იყოს ინტეგრირებული, ამასთან იგი უნდა იყოს დაყოფილი საბანკო ოპერაციების შინაარსის მიხედვით, გააჩნდეს ინფორმაციულ-საცნობარო სისტემა ბანკის უკვე არსებული და პოტენციური კლიენტების მიხედვით. საბანკო ოპერაციების სააღრიცხვო-საოპერაციო ჭრილში კი საოპერაციო და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემას უნდა წარმოადგენდეს. ავტომატიზირებული საბანკო სისტემის ქვესისტე-

მების საგნობრივი არე ორიენტირებული უნდა იყოს ისეთ ცნებებზე, როგორებიცაა:

- "საოპერაციო დარბაზი" (სავალუტო და სალარე ოპერაციები საოპერაციო დღეში);
- "სალაროს ოპერაციები" (სალაროს კვანძი, საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურება, საკასო გეგმა, ფულის საცავი, ინკასაცია, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, გაცვლითი სალაროები);
- "ნაერთი ბუღალტერია" (დღის დახურვა, ბალანსებისა და ანგარიშგებების სხვა სტანდარტული ფორმების მიღება);
- "შიდა ბუღალტერია" (ბანკის მატერიალური აქტივების აღრიცხვა, ბარათების მომსახურება, შესაბამისი საანგარიშგებო ფორმების გაცემა);
- "ანგარიშსწორება საკორესპონდენტო ურთიერთობების მიხედვით" (საანგარიშსწორებო ცენტრთან და სხვა ბანკებთან ელექტრონული ანგარიშსწორების ორგანიზაცია).

თითოეულ ქვესისტემას, რომელიც განსაზღვრული საბანკო მომსახურების ავტომამატიზებას ახორციელებს, როგორც წესი უნდა გააჩნდეს შემდეგი შესაძლებლობები:

- ხელშეკრულებებისა და სხვა ოპერაციების შესაბამისი საბუთების მონაცემების შეყვანა და კორექცია (გარანტია, ვადიანი ვალდებულებები, გირაოს ხელშეკრულებები და ა.შ.);
- კლიენტებთან დაკავშირებით საცნობარო ხასიათის ინფორმაციის შეყვანა და კორექცია შემდგომში მისი საერთო საინფორმაციო-საცნობარო სისტემაში ჩასართად;
- ჩატარებული ოპერაციების მიხედვით სტატისტიკური ანგარიშგებების მიღება მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სახით;
- საოპერაციო აღრიცხვის ქვესისტემასთან კავშირის რეალიზაცია.

ყველა ქვესისტემა, რომელიც კლიენტების მომსახურეობაზეა ორიენტირებული, დროის რეალურ რეჟიმში (ფაქტიურად, ბანკის თანამშრომლის კლიენტთან საუბრისას) უნდა ფუნქციონირებდეს. ისინი შემდეგი სახის სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობას უნდა უზრუნველყოფდეს:

- კლიენტთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით გრაფიკის ფორმირებას, მომავალში ყველა შემონატანებთან და გადახდებთან დაკავ-

შირებით, როგორც თანხების, ასევე პროცენტებისა და საკომისიოების ჩათვლით;

- საოპერაციო დარბაზში (განყოფილებაში) ანგარიშის გახსნაზე მოთხოვნის იმავდროული ფორმირების შესაძლებლობა;
- დასადები ხელშეკრულების არსის შესაბამისად ბუღალტერიისათვის დავალების შედგენა;
- საპროცენტო განაკვეთების, უზრუნველყოფის სახეობისა და ფულადი ეკვივალენტების ცვლილებების წესების შეთავაზება;
- "დაშორებული" კლიენტების მომსახურების ფორმირებისა და გასაღებების შეთავაზება ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენებით.

თანამედროვე ავტომატიზებული საბანკო სისტემის აუცილებელი ელემენტია ანალიზისა პროგნოზირების ქვესისტემა, რომელიც ანგარიშგებების გენერატორს მოიცავს და რომელიც არასპეციალისტ მომხმარებელს ნებისმიერ გრაფიკულ და ცხრილური ანგარიშგებების (შედარებითი ანალიზის ცხრილები, ცნობები, ნორმატიული და ბუღალტრული ანგარიშგებების სტანდარტული ფორმები) სისტემაში არსებული ინფორმაციების მიხედვით ფორმირებაში დაეხმარება. ანგარიშგებები ბანკის ხელმძღვანელობის, აქციონერების, აგრეთვე ცენტრალური ბანკის ინსტანციების მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული ანგარიშგების ფორმების ხშირი ცვლილებების ოპერატიული რეალიზაცია.

ინფორმაციის დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე ავტომატიზებული საბანკო სისტემას ადმინისტრირების ქვესისტემა უნდა გააჩნდეს. იგი უზრუნველყოფს მომხმარებლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ტრადიციული ფუნქციების შესრულების შესაძლებლობას. მომხმარებლის სამუშაო ადგილების ფორმირებასთან და უფლებამოსილებების დაყოფასთან ერთად, მომხმარებლების ფუნქციების, მონაცემებზე წვდომის განაწილების, სისტემის ფუნქციების გამოყენების შესაბამისი ჩანაწერების (ოქმების) განხორციელებასთან ერთად მუშაობის სეანსების, დახურულ ინფორმაციასთან შეღწევის არაუფლებამოსილი მცდელობების, აღრიცხვის განხორციელება უნდა შეეძლოს.

§ 13.1. უცხოეთის ავტომატიზებული საბანკო სისტემების მიმოხილვა

საბანკო სექტორში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე მსოფლიო სისტემო-ტექნიკური ტენდენციების განსაზღვრისათვის, ჩავატაროთ საერთაშორისო ბაზარზე საბანკო საქმიანობის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული კომპლექსური ავტომატიზაციის სისტემის ანალიზი.

Midas DBA, Equation DBA (Midas-Kapiti International, UK) აღნიშნული ავტომატიზებული საბანკო სისტემა მომხმარებლების რაოდენობისა და მოქმედი ტექნიკური საშუალებების მიხედვით მსოფლიო ლიდერს წარმოადგენს. ამ სისტემაში საკმაოდ გაძნელებულია ადგილობრივი კანონმდებლობის და ნორმატიულ ბაზის მოთხოვნების შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული იმით აიხსნება, რომ განსახილველი სისტემებიდან იგი ყველაზე ძველი სისტემაა – მათი კომერციული გაყიდვა 1975 წელს (Equation) და 1977 წელს (Midas) არის დაწყებული. სისტემები IBM AS/400-ის პლატფორმაზე მუშაობენ.

Bank master (Kindle Banking SysteMS Ltd., Ireland). Bank master-ი მცირე და საშუალო ბანკებზე არის ორიენტირებული. პირველი კომერციული სისტემა თავდაპირველად ICL სისტემის პლატფორმისათვის იქნა დამუშავებული. შემდგომ ავტომატიზურებული საბანკო სისტემის (BANKMAS TER/RS)-ის ვერსია იქნა გამოშვებული, რომელშიც მონაცემების ბაზის მართვისთვის სისტემა Informix-ი გამოიყენება. Bank master-ი – არის უნივერსალური საბანკო სისტემა, მაგრამ ფუნქციონალური ქვესისტემების მნიშვნელოვანი წილის მხარდაჭერა მწარმოებლის დამატებით პროდუქტების ან მესამე ფირმების ხარჯზე ხორციელდება, ასევე კლიენტი-სერვერის რეჟიმში ერთობლივი მუშაობა არის დასაშვებ Transaction Processing Gateway ინტერფეისის გამოყენებით.

Finance KIT (Trema Oy., Sweden). Finance KIT-ის სისტემა თავიდან ხაზინის ბეკ-ოფისისთვის იქნა დამუშავებული და გავრცელდება ძირითადად კორპორაციული ხაზინის სექტორში პოვა, თუმცა მათ შორის რამდენიმე ბანკი-მომხმარებელიც იყო. დასაწყისში ავტომატიზირებული საბანკო სისტემის ფლატფორმის სახით პერსონალური კომპიუტერები იყო შერჩეული, რომელიც ფირმა Microsoft-ის Windows-ის ოპერაციული სისტემას და მონაცემთა ბაზას Access -ს იყენებდა. მაგ-

რამ აღნიშნულმა პლატფორმამ საჭირო წარმადობა ვერ უზრუნველყო, და შემდგომ აღნიშნული ავტომატიზებული საბანკო სისტემა ოპერაციულ სისტემა UNIX -ზე და მონაცემთა ბაზა Sybase-ის პლატფორმაზე იქნა გადატანილი. ამ სისტემას საკუთარი ქვესისტემები არ გააჩნია, და იგი გარე მწარმოებლის შესაბამის ფუნქციონალურ ქვესისტემებთან უნდა იყოს ინტეგრირებული.

Banks (Financial network Services PTY Ltd., Australia) სისტემის პირველი ვერსია სხვადასხვა სექტორის ბეკ-ოფისის ავტომატიზაციისათვის State Building Society-ის მონაცემების დამუშავების ქვედანაყოფის მიერ იქნა დამუშავებული. სისტემა NCR9800 კომპიუტერებზე VRX ოპერაციულ სისტემაში მუშაობდა. დღეს უკვე აღნიშნული პროდუქტი FNS და Bancs-ის სახელითაა ცნობილი. სისტემა მრავალ აპარატულ-ტექნიკურ პლათფომასთან მუშაობს, ისეთებთან როგორიცაა *IBM, DEC VAX* და სხვადასხვა UNIX- სისტემების მეინფრეიმების ჩათვლით, განაწილებულ სივრცეში მუშაობის თავისებურებას, როგორც ცენტრალურ ბაზასთან საოპერაციო რეჟიმში ურთიერთობის შესაძლებლობა, ასევე კომუნიკაციებთან პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში ავტომატურ რეჟიმში მუშაობაც წარმოადგენს.

თავიდან სისტემა მცირე და საშუალო მოცულობის სხვადასხვა ოპერაციების ავტომატიზაციისათვის იყო გათვალისწინებული. იგი ახორციელებს ავტომატიზირებულ სალაროს ოპერაციებს და სავაჭრო ტერმინალებთან ამყარებს კავშირს. სისტემას "მთავარი წიგნი" არ გააჩნია, მაგრამ Finance One, Oracle Financials და Peoplesoft-ის ინტერფეისებს იყენებს, რომლებიც აღნიშნულ ფუნქციის რეალიზებას ახორციელებენ. სისტემაში სავალუტო და ბანკთაშორისო დილინგის, ძვირფასი ლოთონებისა და ფასიანი ქაღალდების ვაჭრობა, ასევე კორპორაციული კრედიტები იქნა რეალიზებული.

Platon (IMS Business System Corp. USA). ავტომატიზებული საბანკო სისტემის პირველი ვერსია ნიუ-იორკში ფუნქციონირებადი ორი კორეული ბანკისათვის იქნა დამუშავებული. ავტომატიზებული საბანკო სისტემა დაიწერა 4 GL Progress-ზე და UNIX-პლატფორმების ბაზაზე მუშაობს. ასევე არსებობს ინტერფეისები მონაცემთა ბაზებზე ORACLE, DB2 და DB2/400-თან. Platon-ი –სავალუტო და ბანკთაშორისი დილინგის, კომერციული და სამომხმარებლო კრედიტების, იპოთეკის, აკრედიტირების მიღებისა და გამოშვების, "ნოსტრო" ანგარიშებთან მუშაობის ძირითად ოპერაციებს მოიცავს. ავტომატიზებულ სა-

ბანკო სისტემის ძირითადი ფინანსური შეტყობინების S.W.I.F.T., CHIPS და FEDWIRE მეშვეობით დამუშავებისა და გადაცემის შესაძლებლობა გააჩნია.

რამდენადაც Platon-ს ხაზინასთან მიმართებაში შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია, ამიტომ სავალუტო დილინგის სისტემისთვის და Financial Software Systems (FSS) ფირმის ხაზინისათვის ინტერფეისი იქნა დამუშავებული, რომელიც ფრონტ-და ბეკ-ოფისის პროცესებს მოიცავს.

Olimpic (ERI Bancaire SA, Switzerland). Olimpic ავტომატიზებული საბანკო სისტემის პირველი ვერსია AS/400 პლატფორმაზე შეიქნა, როგორც კერძო პირებთან მუშაობაზე ორიენტირებული სისტემა.

Olimpic ფრონტ და ბეკ-ოფისების მუშაობის მხარდაჭერისათვის არის დამუშავებული, იგი უზრუნველყოფს კლიენტების ფინანსურ მოსახურეობაზე განაცხადების მომსახურებას, ანგარიშსწორებისა და შეტყობინებებით დამთავრებული, ელექტრონული ბანკინგის ჩათვლით. ავტომატიზირებული საბანკო სისტემა ფრონტ-ოფისების მენეჯერებისა და დილერების, სავალუტო დილინგის, ბანკთაშორისი დილინგის, ფასიანი ქაღალდების, სვობის, ფიუჩერსების, ოფციონების მხარდაჭერას ახორციელებს, რომელსაც შემგომ საკრედიტო მოდულთან ერთად, სხვადასხვა ოპერაციების რეგისტრაცია და აღრიცხვა, დოკუმენტალურ ოპერაციების (ძირითადად ამ ქვესისტემების ის ფუნქციები, რომლებსაც კერძო საბანკო მომსახურებისათვის ყოველდღიური ოპერაციების შესრულება უწევთ) შესრულება დაემატა. გარდა ამისა, S.W.I.F.T.-ისა და ძირითადი საკლირინგო სისტემებისაგან ინტერფეისებიც გააჩნია. შემდგომში ავტომატიზებული საბანკო სისტემა Windows პლატფორმაზე იქნა გადატანილი. სისტემა მონაცემების საცავების ობიექტურ-ორიენტირებული ტექნოლოგიებისა და კონცეფციების გამოყენებით აიგო.

SYMBOLS (System Access Pte Ltd., Singapore). სინგაპურის System Access-ის ფირმის Symbols-ის ავტომატიზებული საბანკო სისტემა სისტემების ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე ახალ წინადადებაა. მისი პირველი მომხმარებელი სინგაპურში Credit Suisse FiiRST Borton Bank-ი გახდა. ავტომატიზებული საბანკო სისტემის პირველი ვერსია სააღრიცხვო ბირთვისაგან და ხაზინის ძირითადი ფუნქციონალური შესაძლობისაგან შედგებოდა.

ქვემოთ მოყვანის ცხრილში მოცემულიაზოგიერთი ავტომატიზებული საბანკო სისტემის ტექნიკური მახასიათებლები.

ცხრილი 2.

ავტომატიზებული საბანკო სისტემების ტექნიკური მახასიათებლები

პროდუქტის დასახელება	სისტემის დონეები	ამოყენებული ოპერაციული სიტემები		მონაცემთა ბაზა	დამუშავების საშუალება	საბაზისო ელემენტი
		სერვრი	სამუშაო ადგილი			
Midas DBA. Equation		OS/400	OS/400	AS/400 RDB, DB2		გატარება, დოკუმენტი
Bank master		UNIX. Windows	UNIX, Windows	Informix		გატარებად ოკუმენტი
IBIS	ტერმინალი კლიენტ-სერვერი	OS/400	OS/400	AS /400 RDB		დოკუმენტი
Finance KIT	კლიენტ-სერვერი	Solaris. HP–UX	UNIX. Windows	Sybase		დოკუმენტი, გარიგება
Bank s	ტერმინალი კლიენტ-სერვერი	UNIX. Windows NT	IX, Windows	Oracle, Informix.SQL Server		გატარება, დოკუმენტი, გარიგება
Platon	ტერმინალი კლიენტ-სერვერი	UNIX	UNIX	Progress	Progress 4GL	გატარება, დოკუმენტი, გარიგება

პროდუქტის დასახელება	სისტემის დონეები	გამოყენებული ოპერაციულისისტემები		მონაცემთა ბაზა	დამშავების საშუალება	საბაზისო ელემენტი
		სერვრი	სამუშაო ადგილი			
Opics	კლიენტ-სერვერი	UNIX. Windows	UNIX, OS/2. Windows	ODBC		დოკუმენტი , გარიგება
Olympic	ტერმინალი კლიენტ-სერვერი	OS/400	OS/400	DB2 for AS/400		გატარება, დოკუმენტი , გარიგება
Symbols	კლიენტ-სერვერი	UNIX (SCO, HP, Sun), NetWare	DOS, UNIX	Oracle	ForMS, SQL* Report Writer, 4GL	დოკუმენტი , გარიგება
Globus	ტერმინალი კლიენტ-სერვერი	UNIX, Windows NT	Windows	UniveR Se	UV–BAS.C, Visual Basic	გარიგება

პროდუქტის დასახელება	სისტემის დონეები	გამოყენებული ოპერაციული სისტემები		მონაცემთა ბაზა	დამუშავების საშუალებები	საბაზისო ელემენტი
		სერვერი	სამუშაო ადგილი			
DiasoftBANK 4x4	ტერმინალი, ფაილ სერვერი, კლიენტ-სერვერი	Novell NetWare, Windows NT , OS/400 (DB2), UNIX (Informix)	DOS, Windows (3.X, 95, NT), OS/2	Pervasive SQL, Scaleable SQL,DB/2 for AS /400, Informix.	C++, sakuTari instrumenti Diasoft SYSTEM	გატარება, დოკუმენტი, გარიგება
RS-Bank	კლიენტ-სერვერი	Novell NetWare, Windows NT	Windows (95, NT)	Btrieve, MS SQL, Sybase		გატარება, დოკუმენტი, გარიგება
«Новая Афина»	კლიენტ-სერვერი	Windows NT, UNIXWare, SCO UNIX, Digital UNIX, Solaris, HP-UX, AIX	Windows (95, NT)	Oracle	SQL Windows, Oracle PL\SQL	დოკუმენტი

პროდუქტის დასახელება	სისტემის დონეები	გამოყენებული ოპერაციული სისტემები		მონაცემთა ბაზა	დამუშავების საშუალებები	საბაზისო ელემენტი
		სერვერი	სამუშაო ადგილი			
«Кворум»	კლიენტ-სერვერი	Novell NetWare, Windows NT	DOS, Windows 95	Btrieve, Oracle	Pascal 7.0, Delphi, Atlantis	დოკუმენტი
AS Bank	კლიენტ-სერვერი	UNIX, Windows NT	Windows 95, UNIX, Java	რაცლე , Информикс , შუბასე	IB -II	გატარება, დოკუმენტი , გარიგება
«БИСквит»	ტერმინალი კლიენტ-სერვერი	UNIX, Windows NT	Windows (95, NT)	Progress	Progress 4G	გატარება, დოკუმენტი , გარიგება
InvoBank	ფაილ-სერვერი	Novell NetWare, Windows NT	DOS, Windows (95, NT)	Btrieve	C++, Borland v.4.5	გატარება, დოკუმენტი , გარიგება

§ 13.2. ავტომატიზებული საბანკო სისტემის არჩევა

ავტომატიზირებული საბანკო სისტემისადმი მოთხოვნები შეიძლება ფორმალურად იქნან აღწერილი. იგი შემდგომში მდგომარეობს:

U – ყველა სახის ავტომატიზირებული საბანკო სისტემების მახასიათებლების სიმრავლე, ქვესიმრავლე $u \in U$ განისაზღვრავს ავტომატიზებული საბანკო სისტემის კონკრეტული რეალიზაციის მახასითებლებს (სიას);

$u_i \in u \mid i = \overline{1, I}$ – მახასიათებლების დასახელება;

μ_i – u_i მახასიათებლების მნიშვნელობა;

V – ავტომატიზებული საბანკო სისტემის ფუნქციონირებისადმი პირობებისა და შეზღუდვების სიმრავლე;

$v^* \in V$ – სტანდარტული გადაწყვეტილებების ხარისხის მახასიათებლების ქვესიმრავლე;


$v^m \in V$ – მომხმარებელთა მოთხოვნების ქვესიმრავლე;

$v_j \in v \mid j = \overline{1, J}$ – მოთხოვნების დასახელება (სახელი);

υ_j – v_j –ი მოთხოვნის დასაშვებ მნიშვნელობის სიმრავლე.

I დონე	ინტეგრალური მაჩვენებელი (ავტომატიზებული საბანკო სისტემის გამოყენების სასარგებლო ეფექტი)	V^I
II დონე	II დონის განზოგადებული მაჩვენებლები (ავტომატიზებული საბანკო სისტემის რეალიზაციას კონცეფციები)	$V^{II} = \{v_1^{II}, v_2^{II}, ..., v_{I2}^{II}\}$ $W = \{w_1, w_2, ..., w_{I2}\}$
III დონე	III–ე დონის განზოგადებული მაჩვენებლები	$V^{III} = \{v_1^{III}, v_2^{III}, ..., v_{I3}^{III}\}$
IV დონე	კერძო მაჩვენებლები	$V^{IV} = \{v_1^{IV}, v_2^{IV}, ..., v_{I4}^{IV}\}$
V დონე	კერძო მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორები	$V^V = \{v_1^V, v_2^V, ..., v_{I5}^V\}$

მოთხოვნილებები გრაფიკული სახით ნახაზზე არის წარმოდგენილი(იხ. ნახ. 16)



ნახ. 16. მოთხოვნები ავტომატიზებულ საბანკო სისტემებისადმი

თავი 14. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

§ 14.1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ადგილი

საკრედიტო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ადგილის სწორად გააზრება ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობისა და მომგებიანობის თვალსაზრისით ბევრად განმსაზღვრელი იქნება.

ბანკის ავტომატიზაციის საქმიანობისადმი იდეალურს ისეთი მიდგომა წარმოადგენს, როდესაც ბანკის რეგისტრაციამდე და მისი პრაქტიკული საქმიანობის დაწყებამდე სპეციალური ქვედანაყოფი იქმნება, რომელიც უშუალოდ პირველი ხელმძღვანლისან ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანოს დაქვემდებარებაში იქნება, რომელზედაც ავტომატიზებული საბანკო სისტემის არჩევაზე, შეძენაზე და დანერგვაზე ექნება პასუხისმგებლობა დაკისრებული. ამასთან ასეთი სახის ქვედანაყოფს ბანკის განვითარების სტრატეგიის, მისი სტრუქტურისა და ფუნქციების განსაზღვრაში უფლებამოსილებები ეძლევა, გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ხშირად ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური ბანკის ხელმძღვანელობის მიერ, როგორც დამხმარე ქვედანაყოფის უზრუნველმყოფელი, სტრუქტურის სახით განიხილება. აღნიშნული ავტომატიზებული საბანკო სისტემის დანერგვის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ამცირებს, ვინაიდან ქვედანაყოფები, რომელსაც ტოლი ან უფრო მაღალი სტატუსი გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მოსაზრებების იგნორირების შესაძლებლობას ღებულობენ. ამასთან ტექნოლოგიის მთლიანობა შეიძლება დაირღვას, ხოლო დანერგვის ვადები მცირე კონფლიქტების მუდმივად დარეგულირების აუცილებლობის გამო გაჭიანურდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვედანაყოფს, რომელიც ბანკის მუშაობის ავტომატიზაციაზე იქნება პასუხისმგებელი, არა მარტო უნდა გააჩნდეს ბანკის მუშაობის მიმართულებების შესახებ ოპერატიული და უტყუარი ინფორმაცია, არამედ აღნიშნული მიმართულებების ფორმირებაზე ზემოქმედების შესაძლებლობაც შეეძლოს.

§ 14.2. ავტომატიზაციასთან დაკავშირებული ქვედანაყოფის შემადგენლობა

თანამედროვე ავტომატიზებული საბანკო სისტემა ინფორმატიზაციის სხადასხვა სფეროს სპეციალობის არსებობას მოითხოვს, ინჟინერ ტექნიკოსებს, სისტემურ პროგრამისტებსა და გამოყენებით პროგრამისტებს, დაპროექტების სპეციალისტებსა და გამოყენებით პროგრამისტებს, სპეციალისტებს კომუნიკაციებთან დაკავშირებით, მონაცემების ბაზების ადმინისტრატორებს, ქსელურ ადმინისტრატორებს და ა.შ.

ქვედანაყოფის სტრუქტურა ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურაზე დამოკიდებულებით შეიძლება განსხვავებული იყოს. მცირე ბანკებისათვის ზოგიერთ შემთხვევაში ქვედანაყოფი შეიძლება ბანკის ძირითად სტრუქტურებში ინტეგრირებული იქნას. საშუალო და მსხვილი ბანკებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის სტრუქტურაში სისტემის გამართვასთან, დამუშავებასთან, მომსახურებასთან მიმართებაში ცალკე მიმართულებების გამოყოფა არის საჭირო. ჩვეულებრივად შეიძლება გამოიყოს შემდეგი მიმართულებები:

- საპროექტო უზრუნველყოფის;
- პროგრამული უზრუნველყოფის;
- ტექნიკური უზრუნველყოფის;
- ტელეკომუნიკაციური უზრუნველყოფის.

აღნიშნულებიდან თითოეული მიმართულება, თავის მხრივ, შეიძლება თავის მხრივ ჯგუფებად იყოს დაყოფილი. მსხვილი ბანკებისათვის ინფორმატიზაციის ქვედანაყოფი შეიძლება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს წარმოადგენდეს, რომლის შემადგენლობაში შედის:

- სისტემური ინტეგრაციისა და ტელეკომუნიკაციის განყოფილება;
- ავტომატიზაციის განყოფილება;
- მომსახურებისა მა მხარდაჭერის განყოფილება;
- პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავების განყოფილება.

ამოცანები, რომლებიც ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წინაშე დგას, შეიძლება გადაწყვეტილი იქნას:

- ბანკის საშტატო თანამშრომლების მიერ;
- გარე სპეციალიზირებული ორგანიზაციის სპეციალისტების მიერ;
- ბანკის ცენტრალური ქვედანაყოფის (მრავალ ფილიალიანი სტრუქტურის არსებობის შემთხვევებში) სპეციალისტების მიერ.

სამუშაოს თანაფარდობა, რომელსაც სპეციალისტები ასრულებენ, შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ მთლიანად ყველა სამუშაო არ შეიძლება მხოლოდ ბანკის თანამშრომლებზე ან გარე ფირმებზე იქნას დაკისრებული.

სტრუქტურის არჩევა ქვედანაყოფის ხელმძღვანელზე უნდა იყოს დაკისრებული, რომელიც ავტომატიზაციაზე იქნება პასუხისმგებელი. მას ბანკის ხელმძღვანელობის დარწმუნება და თავისი არჩევანის დასაბუთება უნდა შეეძლოს.

თითოეულ ქვედანაყოფში მცირე, მაგრამ კარგად განსწავლული სპეციალისტების შემადგენლობა უნდა იყოს, რომელიც სისტემის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის იქნება საკმარისი. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მხარდაჭერა გარე სპეციალიზირებული სპეციალისტების მიერ იქნას განხორციელებული.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ძირითად ამოცანას მოქმედი ავტომატიზებული სისტემის პროგრამული პროდუქტების მხარდაჭერა და გაუმჯობესება, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება და სარეზერვო კოპირება, აგრეთვე გამომთვლელი ტექნიკის საშუალობების პროფილაქტიკასთან დაკავშირებული ღონისძიება წარმოადგენს.

რამდენადაც ბანკის საქმიანობაში გადასაწყვეტი მხარდაჭერის ამოცანებისა და მოთხოვნებების ფუნქციონალური შემადგენლობა სტანდარტულია, ამიტომ ავტომატიზებული საბანკო სისტემის მომწოდებელი ფირმასა და ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს შორის ფუნქციები შეიძლება დაიყოს. აღნიშნული მოთხოვნების ერთობლიობა შეიძლება სფეროებად იქნას დაყოფილი, რომლებშიც შეიძლება ცალკეული ამოცანები იქნა გამოყოფილი.

ადმინისტრირების სფეროში გამოიყოფა ამოცანები:

- შეფერხებების ადმინისტრირების;
- კონფიგურაციის შეცვლის;

- წარმადობაზე კონტროლის;
- რესურსების აღრიცხვიანობის;
- მონაცემების დაცვის;
- სარეზერვო კოპირების (დაარქივების).

პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის სფეროში გამოიყოფა ამოცანები:

- ავტომატიზებული საბანკო სისტემის დამამუშავებელ ფირმასთან ურთიერთობის;
- დამამუშავებელი ფირმებისათვის ტექნიკური დავალების მომზადების;
- არსებული ბიზნეს პროექტირებისა და მოქმედი ტექნოლოგიების ოპტიმიზაციის;
- შემდგომში ავტომატიზაციის შესაძლო ვიწრო ადგილების გამოვლენის;
- პროგრამული პროდუქტების, რომლებიც ბანკის ავტომატიზაციის, საბუთბრუნვის, ფინანსების მართვის ამოცანების რეალიზებას ახორციელებენ, არჩევის, დანერგვის და ექსპლუატაციის;
- სისტემის მომსახურებისა და განვითარების.

კომუნიკაციურ სფეროში:

- კაშირის ქსელების ორგანიზაციის;
- გაცვლის ტექნოლოგიური და გამანაწილებელი ქსელების ოპტიმიზაციისა და მომსახურების;
- ლოკალური გამოთვლითი ქსელების, სტრუქტურული საკაბელო სისტემის, უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემის დაპროექტება, მონტაჟი, გაშვება გამართვისა და ექსპლოატაციაში ჩაბარების;
- სატელეფონო კავშირის, სიგნალიზაციის, ქსელების შეთანხმების;
- არსებული ქსელების მხარდაჭერისა და მოდერნიზაციის;
- ქსელების მუშაობის ოპტიმიზაციის.

აპარატურის მომსახურების სფეროში გამოიყოფა ამოცანები:

- მოწყობილობის დიაგნოსტირება და რემონტის;
- ტექნიკის შეძენისა და განახლების;
- მოწყობილობების, სახარჯი მასალების, პერიფერიული და კომპიუტერული აქსესუარების მოწოდების;

- კომპიუტერული ტექნიკის განახლების გეგმის დამუშავების;
- გამოყენებაში უკვე არსებული ტექნიკის რეალიზაციის.

ბანკის თანამშრომლების სწავლის სფეროში:

- პერსონალის მიერ სინფორმაციო სისტემის მოხმარების შესწავლა;
- ინტერფეისების სამუშაო ადგილებზე გამართვის;
- ინდივიდუალური ფუნქციონალური გამართვის არჩევის;
- სისტემის ფინქციონალური შესაძლებლობების შესწავლის;
- ახალი პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობის შესწავლის;
- სისტემის ფუნქციონალური შესაძლებლობების შესწავლის;
- ახალი პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობის შესწავლის;
- სისტემის მუშაობის შესახებ უკუკავშირის მიღების.

ადმინისტრირების სფეროში:

- გარე და ახალი ლიცენზირებული პროგრამების მიმოქცევის კონტროლის;
- სერვერის უფლებების კატალოგების მიხედვით განაწილების;
- უფლებამოსილების კლასიფიკატორის დამუშავების;
- ცვლილებებამდე და მის შემდეგ ქმედებების აუდიტისა და ოქმის შედგენის;
- ელექტრონული ხელმოწერებების შეცვლისა და მომზადების;
- მონაცემთა ბაზაზე და ანგარიშგებების მიღებაზე ოპერაციის კონტროლის;
- მომსახურების რეგისტრაციის;
- ელექტრონული გამოსხივების აღმოფხვრა, რომელიც კომერციული ინფორმაციის გაჟონის წყაროა;
- მომსახურების მუშაობის ჟურნალის წარმოების;
- არასანქცირებული ქმედებების, ქმედების ადგილისა და დროის რეგისტრაციის;
- მიმდინარე ჩართვების მონიტორინგის;
- მიმდინარე შეღწევადობის მართვის.

გადასაწყვეტი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ამოცანები ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის დებულებაშია გაწე-

რილი. დებულება ქვედანაყოფის სტრუქტურას, მის ფუნქციებსა და ამოცანებს, პრსონალურ ვალდებულებებს, ქვედანაყოფის პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას განსაზღვრავს. მასში საკანონმდებლო, სამართლებრივი და შიდა საბუთებია მითითებული, რომლითაც ქვედანაყოფმა უნდა იხელმძღვანელოს.

დებულებაში ჩამოყალიბებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები, აგრეთვე საორგანიზაციო და საკონტროლო ფუნქციები. დებულებაში ქვედანაყოფის საქმიანობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პუნქტებია ჩართული.

§ 14.3. ინციდენტებისა და მოთხოვნების სადისპეჩერო სამსახური (Help Desk)

ყველა ორგანიზაციაში და, მათ შორის ბანკშიც, ხდება ინციდენტები, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენენ მუშაობის ნორმალურ რეჟიმზე. საბანკო სფერო განსაკუთრებით მგრძნობიარეა ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებში არსებული შეფერხებების მიმართ, ამიტომ მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად უნდა მოხდეს ნებისმიერ ინციდენტზე რეაგირება.

ინციდენტების მართვის პროცესი გულისხმობს ინციდენტების არა მარტო სწრაფად აღმოფხვრას, არამედ მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას, ანალიზს და ადეკვატური ზომების მიღებას. ამ დროს მნიშვნელოვანია არსებული რესურსების სწორად განაწილება. ამგვარად, ინციდენტების მართვის მიზნებია:

- აღადგინოს მუშაობის ნორმალური რეჟიმი რაც შეიძლება სწრაფად;
- მაქსიმალურად შეამციროს ინციდენტების უარყოფითი გავლენა ბიზნესზე;
- უზრუნველყოს ინციდენტების და სერვისზე მოთხოვნების თანმიმდევრული დამუშავება და არ დაუშვას რომელიმე მათგანის გამოტოვება;
- მიმართოს მხარდაჭერის (support) რესურსები ყველაზე საჭირო მიმართულებით;

- შეაგროვოს ინფორმაცია, რომლის ანალიზის საფუძველზე მოხდება მხარდაჭერის პროცესის ოპტიმიზაცია და ინციდენტების რაოდენობის შემცირება;

ინციდენტის ტიპიური მაგალითებია:

- სერვისის მიუწვდომლობა;
- პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება;
- ფიზიკური მოწყობილობის დაზიანება;
- ვირუსის აღმოჩენა;

სერვისის მოთხოვნის მაგალითებია:

- ცვლილების მოთხოვნა (request for change, RFC);
- ინფორმაციის მოთხოვნა (request for information, RFI);
- პაროლის აღდგენის მოთხოვნა და ა.შ.

საკვანძო ტერმინები

ინციდენტი (Incident). ნებისმიერი მოვლენა, რომელიც არ არის სერვისის სტანდარტული ფუნქციონირების ნაწილი და იწვევს, ან შეიძლება გამოიწვიოს სერვისის შეფერხება, ან მისი ხარისხის დაცემა;

პირველადი დახმარების (მხარდაჭერის) ჯგუფი (Initial support team). ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პირველად დახმარებას ინციდენტის ან სერვისის მოთხოვნის დამუშავების პროცესში. აღნიშნული ჯგუფი ცდილობს აღმოჩენისთანავე აღმოფხვრას ინციდენტი, რისთვისაც ის იყენებს ცნობილ მეთოდებს, სხვადასხვა დიაგნოსტიკურ სკრიპტებს, საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას.

ცნობილი შეცდომა (Known error). ინციდენტი ან პრობლემა, რომლის გამომწვევი მიზეზები ცნობილია და არსებობს დროებითი ან მუდმივი ალტერნატივა.

სერიოზული ინციდენტი (Major incident). დიდი ზეგავლენის ან პოტენციურად დიდი ზეგავლენის მქონე ინციდენტი, რომელიც მოითხოვს ნორმალურზე უფრო მაღალი დონის რეაგირებას. ჩვეულებრივ, ამგვარი ინციდენტების აღმოფხვრა მოითხოვს დამატები-

თი რესურსების მობილიზაციას, სხვა ორგანიზაციებთან თანამოქმედებას, ხელმძღვანელობის ინფორმირებას და ა.შ.

პრობლემა (Problem). ინციდენტ(ებ)ის გამომწვევი ძირეული მიზეზი.

აღმომფხვრელი ჯგუფები (Resolver groups). სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ იმ ინციდენტების აღმოფხვრაზე, რომელთა გადაჭრაც ვერ მოახერხა პირველადი დახმარების ჯგუფმა. აღმომფხვრელი ჯგუფების სტრუქტურა შეიძლება იყოს იარუსული (მეორადი, მესამედი და ა.შ.) ან ობიექტზე ორიენტირებული (ქსელის ჯგუფი, მონაცემთა ბაზის ჯგუფი, ოპერაციული სისტემების ჯგუფი და ა.შ.);

მომსახურების მაგიდა (Service desk). სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტების, მომხმარებლების, IT სერვისების და გარე ორგანიზაციების მუდმივ კავშირს ერთმანეთთან. მომსახურების მაგიდა არა მარტო კოორდინირებს ინციდენტების მართვის პროცესს, არამედ წარმოადგენს ინტერფეისს ბევრი სხვა IT პროცესისთვის.

სერვისის მოთხოვნა (Service request). ახალი ან შეცვლილი სერვისის მოთხოვნა.

გადაწყვეტილება (Solution). მუდმივი, საბოლოო შესწორება, რომელიც უზრუნველყოფს ინციდენტის (პრობლემის) აღმოფხვრას.


გვერდის ავლა (ჭორკაროუნდ). შესწორება, რომელიც აღმოფხვრავს კონკრეტულ ინციდენტს და უზრუნველყოფს სერვისის ნორმალურად ფუნქციონირებას, მაგრამ ვერ გადაჭრის ამ ინციდენტის გამომწვევ პრობლემას.

§ 14.3.1. ინციდენტების მართვის პროცესი

Help Desk პასუხისმგებელია IT სერვისებთან დაკავშირებულ ყველა ინციდენტზე და აკონტროლებს მათი აღმოფხვრის პროცესის მსვლელობას. მისი მოვალეობაა განაახლოს ინციდენტების ჩანაწერები (პროგრესის თვალსაჩინოებისთვის) და შეატყობინოს მომხმარებლებს მიღწეული პროგრესის შესახებ. თუ რომელიმე ინციდენტის აღმოფხვრა ვერ ხერხდება (გადაჭრის პროცესი შეჩერე-

ბულია) გარკვეული მიზეზების გამო, Help Desk-ს საშუალება უნდა ჰქონდეს მოახდინოს ინციდენტის შემდგომი ესკალაცია.

ინციდენტების მართვის პროცესი გრაფიკულად შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სქემის სახით:



ნახ.16. ინციდენტების მართვის პროცესი

აღმოჩენა, თვითმომსახურება, რეგისტრაცია. ინციდენტის აღმოჩენა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით. Help Desk-ს ინციდენტი შეიძლება ეცნობოს ტელეფონით, ფაქსით, შეტყობინებების სერვისით (ICQ), ელექტრონული ფოსტით, ვებ-ინტერფეისით ან უშუალო კონტაქტით (ოთახში ვიზიტით). ინციდენტის შესახებ ინფორმაცია ასევე შეიძლება მოდიოდეს მონიტორინგის სხვადასხვა სისტემებიდან.

მომხმარებლებს სასურველია ჰქონდეთ თვითმომსახურების საშუალება, რაც გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელს შეეძლოს საკუთარი ინციდენტის სტატუსის ნახვა, ცოდნის ბაზით სარგებლობა და ა.შ.

აუცილებელია ყოველი ინციდენტის რეგისტრაცია, რომ შესაძლებელი იყოს მათი მონიტორინგი, სტატუსის ცვლილება, ინციდენტების ისტორიის შემდგომი ანალიზი ძირეული პრობლემების აღმოსაჩენად.

სერვისზე მოთხოვნების მომსახურება. Help Desk ახორციელებს სერვისზე მოთხოვნების რეგისტრაციას და შესაბამის სამსახურისთვის გადაცემას (მაგალითად, ცვლილებების მართვის სამსახური). ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია გარკვეული დახმარების აღმოჩენაც.

კლასიფიკაცია და პირველადი დახმარება. კლასიფიკაციის პროცესი ახდენს ინციდენტების კატეგორიზაციას და მათი პრიორიტეტების განსაზღვრას.

ინციდენტის აღმოფხვრას, პირველ რიგში, უნდა შეეცადოს თვითონ ინციდენტის დამარეგისტრირებელი. ეს შეიძლება განხორციელდეს ცნობილ შეცდომებთან და არსებულ პრობლემებთან შედარების გზით, ასევე ცოდნის ბაზაში ან ინციდენტების ისტორიაში მსგავსი ინფორმაციის ძიებით და გვერდის ავლის მეთოდების დადგენით.

გამოკვლევა და დიაგნოსტიკა. ამ ეტაპზე ხდება ინციდენტის გამოკვლევა და დიაგნოსტიკური ინფორმაციის შეგროვება შემდგომში მისი სწრაფად აღმოფხვრის მიზნით.

სერიოზული ინციდენტის პროცედურა. ეს პროცედურა არსებობს სწორედ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც საქმე გვაქვს კრიტიკულ ინციდენტებთან და საჭიროა ნორმალურზე უფრო მაღალი

დონის რეაგირება. ამგვარი ინციდენტების აღმოფხვრა ხორციელდება ჩვეულებრივი სქემით, მაგრამ გულისხმობს გაძლიერებულ კოორდინაციას, ესკალაციას, კომუნიკაციებს და რესურსებს.

აღმოფხვრა და აღდგენა. ეს პროცედურა მოიცავს ინციდენტის აღმოფხვრისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას. მოქმედებების ჩატარების შემდეგ აუცილებელია ინციდენტის აღმოფხვრის წარმატებულობის შემოწმება.

ინციდენტის გადაჭრის შემდეგ (მაგალითად, მყარი დისკის გამოცვლის შემდეგ), ზოგჯერ აუცილებელია აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, როგორიცაა მონაცემების აღდგენა ან სერვისის გადატვირთვა.

დახურვა. ინციდენტის დახურვის პროცესი ამოწმებს მომხმარებლის კმაყოფილებას და ინციდენტის შესაბამისი ჩანაწერის სისრულეს. ამის შემდეგ ინციდენტს ენიჭება დახურულის სტატუსი.

§ 14.3.2. აღმოჩენა, თვითმომსახურება, რეგისტრაცია

➢ **ინციდენტის აღმოჩენა**

ინციდენტების უმრავლესობის აღმოჩენა ხდება მომხმარებლების მიერ ყოველდღიური სამუშაოს შესრულების პროცესში. ინციდენტების აღმოჩენა შეიძლება ასევე მოხდეს IT პერსონალის ან პარტნიორი ორგანიზაციების მიერ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწორედ Help Desk იყოს მომხმარებლებსა და IT-ის ერთადერთი შეხების წერტილი. ეს უზრუნველყოფს ყველა ინციდენტის რეგისტრაციას და თანმიმდევრულ აღმოფხვრას, ასევე საშუალებას აძლევს დახმარების ჯგუფებს იმუშავონ მასიმალურად ეფექტურად (დრო არ კარგონ ცნობილ ინციდენტზე მომჩივან მომხმარებლებთან ურთიერთობაზე).

ინციდენტების აღმომჩენი შეიძლება ასევე იყოს მონიტორინგის სისტემა. ასეთი სისტემები მუდმივად აკონტროლებენ კომუნიკაციებს, სერვერების მგდომარეობას, სერვისების ფუნქციონირებას და ა.შ. სასურველია, რომ მოხდეს ამ სისტემების ინტეგრაცია Help Desk-ის სისტემასთან.

➢ **თვითმომსახურება**

თვითმომსახურების სისტემების სწორად შემუშავებამ და დანერგვამ შეიძლება მოგვცეს ძალიან დადებითი შედეგები. კერძოდ, დახმარების რესურსების (პერსონალის, აპარატურის) მნიშვნელოვანი ნაწილის გამოთავისუფლება. იმისათვის რომ ეს სტრატეგია ეფექტურად განხორციელდეს, საჭიროა გარკვეული ანალიზის ჩატარება. Help Desk-ის ანალიტიკოსმა პერიოდულად უნდა გააანალიზოს შემოსული მოთხოვნების ტიპები, გადაწყვიტოს მათგან რომლები ექვემდებარება თვითმომსახურებას და დასაბუთებულად წარადგინოს შესაბამისი თვითმომსახურების სისტემის შექმნის რეკომენდაცია. ამგვარი მიდგომის შედეგად, ორგანიზაცია შეძლებს გამოათავისუფლოს ტექნიკური რესურსები და კონცეტრირება მოახდინოს შედარებით კომპლექსურ და მნიშვნელოვან ინციდენტებზე.

მაგალითად, თუ შემოსული მოთხოვნების დიდი ნაწილი უკავია „როგორ ...“ ტიპის შეკითხვებს, უნდა დაისვას ცოდნის ბაზაში ე.წ. FAQ-ის განყოფილების შექმნის საკითხი. თუ ხშირია საწყისი პაროლის აღდგენის მოთხოვნები, შეიძლება მიზანშწონილი იყოს აღნიშნული პროცესის ავტომატიზირების სისტემის შექმნა (უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით).

რეკომენდირებული არ არის სერიოზული და კრიტიკული. ინციდენტების თვითმომსახურების კატეგორიაში გაყვანა და თვითმომსახურების გზით მათი გადაჭრის მცდელობა. ამან შეიძლება გაზარდოს ინციდენტის აღმოფხვრის დრო, ასევე მისი არ დარეგისტრირება გაართულებს სამომავლო ანალიზს და ძირეული პრობლემების გამოვლენას.

თვითმომსახურების გზით რეკომენდირებულია, ძირითადად, „როგორ ...“ ტიპის შეკითხვების დაკმაყოფილება და არა მნიშვნელოვანი ინციდენტების აღმოფხვრა, რადგან არ ხდებოდეს ინციდენტების გამომწვევი პრობლემების გამოტოვება.

იმისათვის რომ თვითმომსახურების სტრატეგია იყოს წარმატებული, აუცილებელია მისი ინტერფეისი იყოს მარტივი და გასაგები, ასევე მომხმარებელი უნდა ხედავდეს, რომ გარკვეული ინფორმაციის მიღება უფრო სწრაფად შესაძლებელია Help Desk-თან დაკავშირების გარეშე. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ბან-

კომატები, რომელთა წარმატების მიზეზი არის სწორედ მოხერხებული და მარტივი მოხმარების წესი, მუდმივად ხელმისაწვდომობა და მოლარესთან ურთიერთობის სწრაფი ალტერნატივა. თუ თვითმომსახურების საშუალებები მომხმარებლებისთვის იქნება რთულად მოსახმარი, ძალიან ნაკლებ სავარაუდოა, რომ ისინი ამ საშუალებებს გამოიყენებენ.

ჩვეულებრივ, თვითმომსახურების სისტემა არის სასარგებლო ინფორმაციის და გამოცდილების მონაცემთა ბაზა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მარტივად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია. ძიების მაგალითებია შეცდომის კოდი ან შეტყობინება, შემთხვევის ზოგადი აღწერა და ა.შ. სასურველია ეს მონაცემთა ბაზა იყოს თემატურად მოწესრიგებული და არ იყოს გადატვირთული ზედმეტი, დროებითი ინფორმაციით.

➢ **რეგისტრაცია**

ინციდენტის აღმოჩენის გზის მიუხედავად, აუცილებელია ყველა ინციდენტის რეგისტრაცია. Help Desk-ის ანალიტიკოსის სამუშაო არის სწორედ ამგვარად დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი, ინციდენტების გამომწვევი პრობლემების გამოვლენა, ასევე Help Desk-ის სტრუქტურის და მუშაობის ოპტიმიზაცია და დახვეწა. მაგალითად, Help Desk-ის ანალიტიკოსმა შეიძლება შეამჩნიოს, რომ შემოსული ზარების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს უბრალოდ ტელეფონის ნომრის გაგების, ან გადართვის მოთხოვნებს და დააყენოს ტელეფონების ცნობარის შექმნის ან განახლების საკითხი.

Help Desk-ის სისტემა უნდა იძლეოდეს ინციდენტის დეტალების მონაცემთა ბაზაში ჩაწერის საშუალებას. ყოველი ინციდენტის შესაბამისი ჩანაწერი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- უნიკალური იდენტიფიკატორი;
- რეგისტრაციის თარიღი და დრო;
- ინციდენტის დამარეგისტრირებელი პიროვნების იდენტიფიკატორი;
- ინციდენტის აღმომჩენი პიროვნების იდენტიფიკატორი (სახელი და გვარი, სამმართველო, ადგილი, საკონტაქტო ინფორმაცია);
- კონტაქტის სასურველი ფორმა;

- ინფორმაცია იმ კონფიგურაციის ერთეულებზე (configuration items, CIs), რომლებზეც გავლენა იქონია ინციდენტმა;
- სიმპტომების, შეცდომების კოდების და შეტყობინებების აღწერა;
- ინციდენტის გამომწვევი მოქმედებების ნუსხა (ნაბიჯების სახით);

სერვისის მოთხოვნის შემთხვევაშიც, შესაბამისი ჩანაწერი უნდა შეიცავდეს ზემოთჩამოთვლილ ინფორმაციას, თუმცა სიმპტომების აღწერის ნაცვლად შეიძლება ჩაიწეროს მოთხოვნილი სერვისის დეტალები, საჭიროების დასაბუთება და ა.შ.

ყოველ ინციდენტს და სერვისის მოთხოვნას, სისტემის მხრიდან, აუცილებლად უნდა ენიჭებოდეს უნიკალური იდენტიფიკატორი, რომელიც უნდა მიეწოდოს ინიციატორს (Help Desk-თან კონტაქტზე გამომსვლელ პირს). სწორედ იდენტიფიკატორით ხდება ინციდენტის ჩანაწერის მოძიება, როდესაც ინიციატორი კვლავ უკავშირდება Help Desk-ს მისი ინციდენტის სტატუსის გასაგებად ან შესაცვლელად. იდენტიფიკატორი მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს ტელეფონით, თუმცა უმჯობესია ეს ხდებოდეს შეტყობინების მიღების დასტურის სპეციალური ფორმით, რომელიც მომხმარებელთან გაიგზავნება ელექტრონული ფოსტით.

Help Desk-ის ოპერატორს ევალება მომხმარებლისგან მიიღოს და შეაგროვოს აუცილებელი ინფორმაცია. თუმცა, შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც ინციდენტის აღმოფხვრის პროცესში საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ან დაზუსტება. ამ შემთხვევებში, ოპერატორის მოვალეობაა კვლავ დაუკავშირდეს მომხმარებელს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

სასურველია, რომ ინციდენტის დეტალების შევსებაში Help Desk-ის ოპერატორს მაქსიმალურად ეხმარებოდეს Help Desk-ის სისტემა (შესაძლებლობის ფარგლებში, ავტომატურად ავსებდეს გარკვეულ ველებს); ამავე დროს, ავალდებულებდეს აუცილებელი ველების შევსებას.

ყოველი ინციდენტი არსებობისას გაივლის გარკვეულ ეტაპებს და ენიჭება შესაბამისი სტატუსები, სანამ საბოლოოდ არ დაიხურება. ინციდენტის ჩანაწერში სტატუსის ველი ლაკონურად უნდა ასახავდეს ინციდენტის მიმდინარე მდგომარეობას. სტატუსის შესაძლო ვარიანტებია:

- *ახალი (New)*. ინციდენტი დაფიქსირებულია, მაგრამ გარკვეული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- *მიღებული (Accepted)*. ინციდენტი სრულად რეგისტრირებულია და ექვემდებარება პირველად რეაგირებას;
- *დავალებული (Assigned)*. ინციდენტი გადაეცა მხარდაჭერის შესაბამის ჯგუფს და ელოდება პროგრესს;
- *აქტიური (Active)*. მიმდინარეობს ინციდენტზე მუშაობა;
- *ელოდება დამატებით ინფორმაციას (Awaiting evidence)*. ინციდენტზე მუშაობა დროებით შეჩერებულია გარკვეული ინფორმაციის არარსებობის ან სიმწირის გამო;
- *დაგეგმილი (Scheduled)*. შემდგომი სამუშაოები ვერ განხორციელდება დაგეგმილ დროზე ადრე;
- *დროებით შეჩერებული (Suspended, On hold)*. მოქმედებები დროებით შეჩერებულია ელოდება რა გარკვეულ მოვლენას;
- *აღმოფხვრილი (Resolved)*. ინციდენტზე მომუშავე ხგუფმა ჩაითვალა, რომ ინციდენტი აღმოფხვრილია. Help Desk-ის ოპერატორმა ინიციატორისგან (ინციდენტის აღმომჩენისგან) უნდა მიიღოს ამის დასტური. თუ ინიციატორი უკმაყოფილოა და არ ადასტურებს ინციდენტის ამოწურულობას, ინციდენტს უბრუნდება „დავალებულის“ ან „აქტიურის“ სტატუსი;
- *დახურული (Closed)*. ინიციატორი კმაყოფილია გაწეული დახმარებით, ინციდენტი ამოწურულია;

აუცილებელია ინციდენტის სტატუსის ხშირი განახლება (მისი პრიორიტეტის გათვალისწინებით).

სასურველია Help Desk-ის სისტემას ჰქონდეს შესაბამისი უწყებისთვის ავტომატური შეტყობინების გაგზავნის საშუალება. ამგვარი შეტყობინება შეიძლება იყოს:

- ინციდენტების სიაში ინციდენტის გასწვრივ გარკვეული ნიშნის ჩვენება;
- ინციდენტის შესაბამისი ჩანაწერის მონიშვნა გამორჩეული ფერით;
- მოდალური ფანჯრის გამოტანა (pop-up dialog);
- SMS-შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის გაგზავნა;

§ 14.3.3. სერვისზე მოთხოვნების მომსახურება

სერვისზე მოთხოვნებს იღებს და არეგისტრირებს Help Desk-ის ოპერატორი, თუმცა დასამუშავებლად ის გადაეცემა ცვლილებების მართვის (Change Management) ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს ცალკე სტრუქტურას. ინციდენტების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, Help Desk-ის ოპერატორს მოეთხოვება ინიციატორისგან მაქსიმალური ინფორმაციის მიღება. ინფორმაციის მიღების და შესაბამისი ჯგუფისთვის გადაცემის შემდეგ, უმეტეს შემთხვევებში, მომხმარებელთან შეხების წერტილად კვლავ Help Desk-ის ოპერატორი რჩება. ასე რომ, მოთხოვნაზე მუშაობის პროცესში, მას ევალება ცვლილებების მართვის ჯგუფისგან პროგრესის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ჩანაწერის სტატუსის განახლება და საბოლოოდ მომხმარებლის კმაყოფილების შემოწმება.

§ 14.3.4. კლასიფიკაცია და პირველადი დახმარება

➢ **კლასიფიკაცია**

ინციდენტების სწრაფად და ეფექტურად აღმოფხვრისთვის აუცილებელია მათი კლასიფიკაცია. კლასიფიკაცია არის ინციდენტების კატეგორიზაციის და მათთვის პრიორიტეტების მინიჭების პროცესი, რომელიც განსაზღვრავს შემდგომი მოქმედებების თანმიმდევრობას.

ხშირად განმეორებადი ინციდენტების კლასიფიკაცია მარტივად განხორციელდება (მაგალითად, პრინტერის პრობლემა). სხვა ინციდენტების შემთხვევაში, საჭირო იქნება დამატებითი გამოკვლევა. გამოკვლევას უნდა ჰქონდეს ინიციატორთან კითხვა-პასუხის სახე. ამ დროს შეიძლება ინციდენტი აღმოიფხვრას კიდეც.

კლასიფიკაციის კატეგორიების არჩევა ძალიან ფრთხილად უნდა განხორციელდეს. თუ ეს კატეგორიები ზედმეტად ტექნიკური ხასიათის იქნება, მაშინ Help Desk-ის ოპერატორს უნდა შეეძლოს მომხმარებლების მიერ აღწერილი სიმპტომების თარგმნა ტექნიკურ ექვივალენტებად. ზედმეტად ტექნიკური სახის კატეგორიების შემოღებამ ასევე შეიძლება გაართულოს ცოდნის ბაზა და თვითმომსახურების პროცესი.

Help Desk-ის ოპერატორებმა ასევე უნდა გაარკვიონ ინციდენტის ზეგავლენა სხვა სერვისებზე. ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს შესაბამისი პრიორიტეტის განსაზღვრა. პრიორიტეტების მინიჭება ინციდენტების მართვის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რამდენადაც ის განსაზღვრავს დახმარების ჯგუფების მიდგომას ინციდენტისადმი (ცხადია, აქ არ იგულისხმება, რომ დაბალი პრიორიტეტის მქონე ინციდენტებს უპასუხისმგებლოდ მოეკიდებიან; აქ ვგულისხმობთ მხოლოდ დროის განაწილების საკითხს).

ჩვეულებრივ, ინციდენტის პრიორიტეტი განისაზღვრება მისი ზეგავლენით (Impact) და გადაუდებლობით (Urgency). მაგალითად, დიდი ზეგავლენის მქონე, სასწრაფო ინციდენტი მიიღებს მაღალ პრიორიტეტს, ხოლო მცირე ზეგავლენის მქონე, სასწრაფო ინციდენტმა შეიძლება მიიღოს ნორმალური პრიორიტეტი.

ქვემოთ მოტანილია პრიორიტეტების განსაზღვრის ცხრილი, რომელიც ეფუძნება ინციდენტის ბიზნესზე ზეგავლენას (ზიანს) და გადაუდებლობას:

ცხრილი 3.

პრიორიტეტის განსაზღვრის ცხრილი ორი ფაქტორის გათვალისწინებით: ზეგავლენა და გადაუდებლობა

		ზეგავლენა		
		მაღალი	საშუალო	დაბალი
გადაუდებლობა	მაღალი	1	2	3
	საშუალო	2	3	4
	დაბალი	3	4	5

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შესაძლებელია პრიორიტეტების განსაზღვრის უფრო რთული მექანიზმების გამოყენება (მაგალითად, კლასიფიკაციაში თითოეულ კატეგორიას შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს ასოცირებული პრიორიტეტი, ეს პრიორიტეტი, თავის მხრივ, შეიძლება დამოკიდებული იყოს სამმართველოზე და ა.შ.), მაგრამ საწყის ეტაპზე ეს მიზანშეწონილი არ არის.

ინციდენტის პრიორიტეტით და სერვისის დონის ხელშეკრულებით (Service Level Agreement, SLA) განისაზღვრება ინციდენ-

ტის აღმოფხვრის სასურველი დრო. ქვემოთ მოტანილია შესაბამისი ცხრილის მაგალითი:

ცხრილი 4.
ინციდენტის აღმოფხვრის სასურველი დროების
და პრიორიტეტების კოდების ცხრილი

პრიორიტეტის ნომერი	პრიორიტეტის დასახელება	აღმოფხვრის სასურველი დრო
0	სერიოზული ინციდენტი	---
1	კრიტიკული	1 საათი
2	მაღალი	8 საათი
3	ნორმალური	24 საათი
4	დაბალი	48 საათი
5	დასაგეგმი	დაგეგმილი

აღმოფხვრის სასურველი დროების ცხრილის შევსება უნდა მოხდეს გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებაც. აღმოფხვრის სასურველ დროებზე დაყრდნობით Help Desk-ის სისტემამ შეიძლება განახორციელოს ინციდენტების ავტომატური ესკალაცია, შეტყობინებების გაგზავნა და ა.შ. აქვე შევნიშნოთ, რომ სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში, საჭიროა მყისიერი რეაგირება და მისი მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრა.

➢ **პირველადი დახმარება**

პირველადი დახმარების პროცესი ითვალისწინებს Help Desk-ის ოპერატორის მიერ მომხმარებლის დაკმაყოფილებას (ინციდენტის აღმოფხვრას) დახმარების სხვა ჯგუფების ჩარევის გარეშე. ეს შეიძლება განხორციელდეს, თუ Help Desk-ის ოპერატორი აღმოაჩენს მსგავსებას რომელიმე გადაჭრილ ინციდენტთან, ცნობილ შეცდომასთან ან ცოდნის ბაზაში არსებულ ჩანაწერთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ საქმე გვაქვს ცნობილ შეცდომასთან, პირველადი დახმარების აღმოჩენის შემთხვევაშიც, უნდა მოხდეს ინციდენტის დაკავშირება ამ ცნობილი შეცდომის ჩანაწერ-

თან, რათა არსებული პრობლემების ანალიზის დროს შესაძლებელი იყოს მათი გავლენის მასშტაბების ზუსტად დადგენა და შესაბამისად დაიგეგმოს მათი გადასაჭრელი მოქმედებები.

სასურველია Help Desk-ის სისტემაში არსებობდეს ცნობილი შეცდომების მართვის და ანალიზის ფორმები.

როდესაც ეს შესაძლებელია, Help Desk-ის ოპერატორი ყოველთვის უნდა შეეცადოს პირველადი დახმარების გაწევას და ამ გზით ინციდენტის აღმოფხვრას, თუმცა ამან არ უნდა იქონიოს უარყოფითი გავლენა შემოსული ახალი ინციდენტების აღრიცხვა-რეაგირებაზე. ანუ თუ Help Desk-ის ყველა სხვა ოპერატორი დაკავებულია, ოპერატორმა შეიძლება მიიღოს დახმარების ჯგუფისთვის ინციდენტის გადაცემის გადაწყვეტილება მაშინაც კი, თუ მას შეუძლია პირველადი დახმარების გაწევა.

და ბოლოს, თუ Help Desk-ის ოპერატორი ვერ ახერხებს პირველადი დახმარების გაწევას, ან ნათელი ხდება, რომ ეს პროცესი არაეფექტურია, ოპერატორმა ინციდენტი უნდა გადასცეს (დაავალოს) შესაბამის დახმარების ჯგუფს.

§ 14.3.5. გამოკვლევა და დიაგნოსტიკა

თუ პირველადი დახმარებისას ვერ მოხერხდა ინციდენტის აღმოფხვრა, ის გადაეცემა დახმარების ჯგუფს და დაიწყება გამოკვლევის და დიაგნოსტიკის პროცესი. დახმარების ჯგუფების რაოდენობა და სტრუქტურა შეიძლება დაპროექტდეს სხვადასხვა მიდგომით. ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი სქემით მუშაობა:

საჭიროა გამოიყოს კომპეტენციის სფეროები და დახმარების ჯგუფის ყოველი წევრი ასოცირდეს კომპეტენციის ერთ ან რამდენიმე სფეროსთან. ინციდენტების განაწილება Help Desk-ის მენეჯერის მიერ ხდებოდეს კომპეტენციის სფეროების მიხედვით. მას შემდეგ რაც Help Desk-ის ოპერატორი ინციდენტს გადასცემს დახმარების ჯგუფს, Help Desk-ის მენეჯერმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დახმარების ჯგუფის რომელ წევრ(ებ)ს დაევალება აღნიშნული ინციდენტის აღმოფხვრა. ამის შემდეგ, დახმარების ჯგუფის არჩეული წარმომადგენელი იწყებს ინციდენტზე მუშაობას

და პასუხისმგებელია შემდგომ მოქმედებებზე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე და ინციდენტის შესაბამისი ჩანაწერის განახლებაზე (მდგომარეობა, პროგრესი, სტატუსი, ...).

ინციდენტზე მუშაობისას, შესაბამისი ჩანაწერი უნდა განახლდეს შემდეგი სახის ინფორმაციით:

- დახმარების ჯგუფის იმ წარმომადგენლის იდენტიფიკატორი, რომელმაც განახორციელა კონკრეტული მოქმედება;
- მოქმედების ტიპი (დიაგნოსტიკა, პრობლემის გადაჭრა, თავიდან დაყალება და ა.შ.);
- მოქმედების დრო;
- მოქმედების შედეგად მიღებული პროგრესი;

თუ ინციდენტზე მუშაობის რომელიმე საფეხურზე იგრძნობა, რომ ინციდენტი უნდა გადაეცეს სხვა კომპეტენციის ჯგუფს, ინციდენტი უბრუნდება Help Desk-ის მენეჯერს და ეს უკანასკნელი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

დახმარების ჯგუფის წარმომადგენლებს არ უნდა ჰქონდეთ ინციდენტის დახურვის უფლება. როდესაც ინციდენტი ჩაითვლება აღმოფხვრილად, მას უნდა მიენიჭოს სტატუსი „აღმოფხვრილი“ და დაუბრუნდეს Help Desk-ის ოპერატორს, რომელიც ინციდენტის დახურვამდე გადაამოწმებს მომხმარებლის კმაყოფილებას.

მას შემდეგ, რაც დახმარების ჯგუფის რომელიმე წევრს დაევალება ინციდენტის აღმოფხვრა, ის ეცნობა დეტალებს და იწყებს მნიშვნელოვანი ფაქტების შეგროვებას. შეგროვილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, საქმე ხომ არ გვაქვს ცნობილი შეცდომის გამეორებასთან. თუ ეს ასეა, უნდა მოხდეს ინციდენტის ჩანაწერის დაკავშირება ცნობილი შეცდომის ჩანაწერთან.

თუ ინციდენტი არ აღმოჩნდება დაკავშირებული არცერთ ცნობილ შეცდომასთან, იწყება მისი შედარება არსებულ პრობლემებთან. არსებული პრობლემები არის ინციდენტების გამომწვევი უკვე ცნობილი პრობლემები. არსებულ პრობლემას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს გვერდის ავლის გზები. თუ ასეთი გზა არ არსებობს, ხდება ინციდენტის დაკავშირდება შესაბამის პრობლემასთან; თუ გვერდის ავლის გზა არ არსებობს, ხდება ინციდენტის დაკავშირდება შესაბამის პრობლემასთან და აღმოფხვრის და აღდგენის საფეხურზე გადასვლა.

Help Desk-ის მიზანია მაქსიმალურად სწარაფად აღმოფხვრას ინციდენტი[1]. ამიტომ ინციდენტების გადაჭრა, როდესაც ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს დისტანციურად (ინციდენტის ადგილზე ფიზიკურად მისვლის გარეშე, დისტანციური მართვის პროგრამების გამოყენებით). თუ იკვეთება, რომ ინციდენტის დისტანციურად აღმოფხვრა უფრო მეტ დროს მოითხოვს ვიდრე ადგილზე ვიზიტი, საჭიროა გამოიყოს შესაბამისი რესურსები და მოხდეს ადგილზე მისვლა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რადგან, ჩვენს შემთხვევაში, Help Desk აერთიანებს ორ სამსახურს – ინციდენტების მართვის და პრობლემების მართვის სამსახურებს, ნაწილობრივ საქმე გვაქვს წინააღმდეგობრივ მიზნებთან: ინციდენტების მართვის სამსახურის მიზანია მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრას ინციდენტი. ის არ ულრმავდება ინციდენტის გამომწვევ პრობლემებს; მაშინ როდესაც, პრობლემების მართვის სამსახურის მიზანი სწორედ ამ პრობლემების გამოვლენაა. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ რომელიმე სერვერის „გაჭედვის“ ინციდენტი. ინციდენტების მართვის სამსახური მიიღებს სერვერის გადატვირთვის გადაწყვეტილებას, ხოლო პრობლემების მართვის სამსახური დაიწყებს „გაჭედვის“ მიზეზების დადგენას (ჟურნალის ჩანაწერების ანალიზს და ა.შ.). ამ წინააღმდეგობრივი მიზნების მიღწევის გზად ჩვენ გვესახება შემდეგი სახის მიდგომა: Help Desk ორიენტირებული იქნება ინციდენტების მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრაზე, მაგრამ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოში იარსებებს ჯგუფი, რომელიც შეიკრიბება გარკვეული პერიოდულობით, ჩაატარებს რეგისტრირებული ინციდენტების ანალიზს და გამოავლენს მათ გამომწვევ ძირეულ პრობლემებს. ასევე შეადგენს ამ პრობლემების გადაჭრის გეგმას. აღნიშნულ (პრობლემების მართვის) ჯგუფში შესაძლებელია შედიოდნენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს კომპეტენტური თანამშრომლები, მათ შორის, თვითონ Help Desk-ის წარმომადგენლებიც.

---

[1] ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ინციდენტები, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოების საკითხებთან. ამ შემთხვევაში, ინციდენტი გამოსაძიებლად უნდა გადაეცეს შესაბამის სამსახურს;

ინციდენტი შეიძლება არ განეკუთვნებოდეს სერიოზული ინციდენტების კატეგორიას, მაგრამ მაინც დასჭირდეს დამატებითი ესკალაცია. არსებობს ესკალაციის ორი ფორმა: იერარქიული და ფუნქციონალური.

- იერარქიული ესკალაცია შეიძლება განხორციელდეს ინციდენტის დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ინციდენტის აღმოფხვრა ვერ მოხდება დამაკმაყოფილებელ დროში, სასურველია მსგავსი ტიპის ესკალაცია განხორციელდეს SLA-ში შეთანხმებული დროის ამოწურვამდე;
- ფუნქციონალური ესკალაცია ასევე შეიძლება განხორციელდეს ინციდენტის დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე. გამოცდილების ან შესაბამისი კომპეტენციის უკმარისობის შემთხვევაში, Help Desk ინციდენტს გადასცემს უფრო გამოცდილ სპეციალისტ(ებ)ს;

ესკალირებული ინციდენტის ჩანაწერი უნდა შეიცავდეს შესაბამის ინფორმაციას.

§14.3.6. სერიოზული ინციდენტის პროცედურა

Help Desk-ის მენეჯერს უნდა გააჩნდეს კრიტერიუმები, რომლითაც გადაწყვეტს მიანიჭოს თუ არა ინციდენტს სერიოზული ინციდენტის კატეგორია. ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს: ფინანსური ზიანი, უსაფრთხოების დარღვევა, იმიჯის შელახვა და ა.შ.

სერიოზული ინციდენტი გაივლის ჩვეულებრივი ინციდენტების დამუშავების ყველა საფეხურს დაჩქარებული ტემპით, გაძლიერებული რესურსებით და მკაცრი მეთვალყურეობით.

§ 14.3.7. აღმოფხვრა და აღდგენა

აღმოფხვრის და აღდგენის საფეხური გულისხმობს ინციდენტის აღმოფხვრას, ან გვერდის ავლის გზის დადგენას და, საჭიროების შემთხვევაში, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

ინციდენტის აღმოფხვრის მოქმედებები ითვალისწინებს ინციდენტის გამომწვევი პრობლემების გადაჭრას (თუნდაც, გვერდის ავლის გზით). მაგალითად, მყარი დისკის გამოცვლა. აღდგენითი სამუშაოები კი გულისხმობს ინციდენტით მიღებული ზიანის განე-

იტრალებას. მაგალითად, დაზიანებულ დისკზე არსებული ინფორმაციის აღდგენას.

ინციდენტის აღმოფხვრის პროცესში, დახმარების ჯგუფს ხშირად უწევს ურთიერთობა ცვლილებების მართვის ჯგუფთან (Change Management), რომელიც პასუხისმგებელია აუცილებელი ცვლილებების განხორციელებაზე. თუ ცვლილება განხორციელდა, მაგრამ პრობლემა მაინც არ გადაიჭრა, ინციდენტი უბრუნდება გამოკვლევის და დიაგნოსტიკის საფეხურს. ზოგჯერ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ცვლილება არამიზანშეწონილად განხორციელდა და საჭირო გახდეს ძველი კონფიგურაციის აღდგენა.

ინციდენტის აღმოფხვრის შემდეგ, იწყება აღდგენითი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს ინციდენტის შედეგად დაკარგული ინფორმაციის აღდგენას, შეჩერებული სერვისის გაშვებას და ა.შ.

აღმოფხვრის და აღდგენის მოქმედებების დასრულების შემდეგ, დახმარების ჯგუფის მხრიდან ინციდენტს უნდა მიენიჭოს სტატუსი „აღმოფხვრილი“ და გადაეცეს Help Desk-ის ოპერატორებს შემოწმებისთვის.

§ 14.3.8. ინცინდენტის დახურვის ფაზა

ინციდენტის დახურვის ფაზა გულისხმობს, რომ ინიციატორი კმაყოფილია ჩატარებული სამუშაოებით და ადასტურებს ინციდენტის აღმოფხვრას. ასევე უნდა შემოწმდეს, რომ ინციდენტის ჩანაწერი სრულად ასახავს მის ისტორიას (სიმპტომებს, განხორციელებულ მოქმედებებს, აღმოფხვრის გზებს). ამაზე პასუხისმგებელია Help Desk-ის ოპერატორი. თუ ინციდენტის შესაბამისი ჩანაწერი არასრულია, Help Desk-ის ოპერატორი უნდა დაუკავშირდეს შესაბამის ჯგუფებს, მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია და შეავსოს ჩანაწერი.

ინციდენტის დახურვის სტატუსთან ასოცირებული უნდა იყოს ე.წ. დახურვის კატეგორია, რომელიც ლაკონურად ასახავს ინციდენტის გამომწვევ მიზეზს. დახურვის კატეგორიების სია უნდა შემუშავდეს მაქსიმალურად ოპტიმალურად, რადგან მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული Help Desk-ის ანალიტიკოსის მუშაობა. დახურვის კატეგორიების მაგალითებია: „ცუდი ფიზიკური

კონფიგურაცია“, „ქსელის ცუდი კონფიგურაცია“, „სერვერის ცუდი კონფიგურაცია“ და ა.შ. თუ Help Desk-ის ანალიტიკოსი შეამჩნევს, რომ ინციდენტების დიდი ნაწილი გამოწვეულია, მაგალითად, დომენის ანგარიშის (domain account) ცუდი კონფიგურაციით, ის დააყენებს ამ კონფიგურაციების შეცვლის საკითხს.

ინციდენტის დახურვის წინ მომხმარებლის კმაყოფილების შემოწმება შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. მაღალი პრიორიტეტის მქონე ინციდენტების შემთხვევაში ეს შეიძლება მოხდეს ტელეფონით, ხოლო დაბალი პრიორიტეტის მქონე ინციდენტების შემთხვევაში – ელექტრონული ფოსტით.

§ 14.3.9. სტრუქტურა, როლები და მოვალეობები

Help Desk-ის სტრუქტურა უნდა ითვალისწინებდეს რამდენიმე როლს. არსებული რესურსების გათვალისწინებით, ასევე ეფექტურად მუშაობისთვის, მიზანშეწონილია მოხდეს გარკვეული როლების გაერთიანება.

Help Desk-ისთვის საჭირო როლებია:

- Help Desk-ის ოპერატორი;
- Help Desk-ის მენეჯერი;
- Help Desk-ის ანალიტიკოსი;
- Help Desk-ის დამხმარე სპეციალისტი;

➢ Help Desk-ის ოპერატორი

Help Desk-ის ოპერატორის მოვალეობაა მიიღოს და დაარეგისტრიროს მომხმარებელთა მოთხოვნები. ყოველი ოპერატორი პასუხისმგებელია მის მიერ დარეგისტრირებული ინციდენტის ან მოთხოვნის დახურულ სტატუსამდე მიყვანაზე. ერთი შეხედვით ამ მარტივ პროცედურას, თან ახლავს უამრავი ნიუანსი, რომელიც Help Desk-ის ოპერატორისგან მოითხოვს დიდ ცოდნას და გამოცდილებას.

ინციდენტის აღმოჩენის მომენტში, Help Desk-ის ოპერატორს ევალება სამი მნიშვნელოვანი მოქმედების განხორციელება: ინციდენტის რეგისტრაცია (შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება), ინციდენტის კლასიფიკაცია და პირველადი დახმარების გაწევა. პირვე-

ლადი დახმარების დროს, მათ უნდა აღმოფხვრან მაქსიმალურად ბევრი ინციდენტი, ამასთან, ამან არ უნდა იქონიოს უარყოფითი გავლენა Help Desk-ის ოპერატორთა ჯგუფის მუშაობაზე.

მას შემდეგ, რაც Help Desk-ის ოპერატორი ინციდენტს გადასცემს დახმარების ჯგუფს (Help Desk-ის მენეჯერის გავლით), იგი არ იხსნის პასუხისმგებლობას ამ ინციდენტის აღმოფხვრაზე. მას ეკალება მუდმივად აკონტროლოს ინციდენტზე მუშაობის პროგრესი და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მომხმარებელს.

ინციდენტის აღმოფხვრის შემდეგ, Help Desk-ის ოპერატორი უნდა დაუკავშირდეს ინციდენტის აღმომჩენ მომხმარებელს და მიიღოს დასტური, რომ მისი პრობლემა გადაჭრილია. მხოლოდ ამის შემდეგ მიანიჭოს ინციდენტს სტატუსი „დახურული".


Help Desk-ის ოპერატორებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომხმარებელთა კმაყოფილება და განცდა, რომ მათი პრობლემა უყურადღებოდ არ დარჩება.

➢ Help Desk-ის მენეჯერი

Help Desk-ის მენეჯერის მოვალეობაა გაანაწილოს ინციდენტები და მოთხოვნები მათი პრიორიტეტების მიხედვით და აწარმოოს მონიტორინგი, რომ ყველა მათგანი განიცდის პროგრესს.

ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ დახმარების ჯგუფი Help Desk-ის ოპერატორებისგან პირდაპირ იღებდეს დავალებებს. შემდეგ კი ჯგუფის შიგნით წყდებოდეს, თუ რომელი სპეციალისტ(ებ)ი შეასრულებს მიღებულ დავალებას. მაგრამ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ამგვარი მიდგომა უარყოფით შედეგებს მოგვცემს. ჯგუფის შიგნით იარსებებს საკუთარი პრიორიტეტები (თუნდაც, პიროვნული ურთიერთობებიდან გამომდინარე), რომელიც გადაფარავს ინციდენტების რეალურ პრიორიტეტებს. ამასთან, რადგან მკაფიოდ არ იქნება განაწილებული პასუხისმგებლობები, დაეცემა Help Desk-ის მუშაობის ხარისხი (გაიზრდება ინციდენტების აღმოფხვრის დრო, ხარჯები, დაგვიანებით მოხდება შესაბამისი ჩანაწერების განახლება, ადგილი ექნება არაკოორდინირებულ მოქმედებებს), რაც აუცილებლად აისახება მომხმარებელთა კმაყოფილებაზე.

ზემოთჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია შემდეგი სქემით მუშაობა. Help Desk-ის ოპერატორები იღებენ და არეგისტრირებენ ინციდენტებს და მოთხოვნებს, მაგრამ არ ავალებენ დახმარების ჯგუფის კონკრეტულ წარმომადგენელს. ამას აკეთებს Help Desk-ის მენეჯერი. აქედან გამომდინარე, Help Desk-ის მენეჯერი სამუშაო საათებში მუდმივად უნდა იყოს ადგილზე. Help Desk-ის მენეჯერის მოვალეობაა აგრეთვე ხელმძღვანელობასთან და სხვა სამსახურებთან ურთიერთობა, რეპორტების წარმოება (Help Desk-ის სისტემაში უნდა არსებობდეს რეპორტინგის მოქნილი საშუალებები), ინციდენტისთვის სერიოზული ინციდენტის სტატუსის მინიჭება და შესაბამის რეჟიმზე გადასვლა.



ნახ. 17. Help Desk-ის მუშაობის ზოგადი სქემა

Help Desk-ის მენეჯერი დაინტერესებული უნდა იყოს Help Desk-ის სამსახურის მუდმივი დახვეწით, მუშაობის ხარისხის და ეფექტურობის გაზრდით, Help Desk-ის სისტემების განვითარებით. ასევე უნდა იზრუნოს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და, შესაბამისად, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

➢ Help Desk-ის ანალიტიკოსი

Help Desk-ის ანალიტიკოსის მოვალეობაა ანალიზი გაუკეთოს შემოსულ ინციდენტებს და მოთხოვნებს, დაადგინოს მათი გამომწვევი მიზეზები და Help Desk-ის მენეჯერთან დასვას შესაბამისი საკითხები.

Help Desk-ის ანალიტიკოსის როლში მოიაზრება არა ერთი პიროვნება, არამედ ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს სხვადასხვა განყოფილებების სპეციალისტებით. ეს ჯგუფი იკრიბება გარკვეული პერიოდულობით, ატარებს ანალიზს და შეიმუშავებს გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრის გეგმას.

ანალიტიკოსთა ჯგუფი ასევე გააანალიზებს Help Desk-ის მუშაობის ეფექტურობას (მენეჯერის მიერ წარმოდგენილ რეპორტებზე დაყრდნობით) და წარადგენს შესაბამის რეკომენდაციებს.

➢ Help Desk-ის დამხმარე სპეციალისტი

Help Desk-ის დახმარების ჯგუფში განსაზღვრული იქნება კომპეტენციები და ამ ჯგუფის ყოველი სპეციალისტი დაკავშირებული იქნება კომპეტენციის ერთ ან რამდენიმე სფეროსთან. დამხმარე სპეციალისტი პასუხისმგებელია მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული კონკრეტული დავალების შესრულებაზე, რაც ძირითადად გამოიხატება ინციდენტზე მუშაობაში სტატუსამდე „აღმოფხვრილი“.

ზოგჯერ, დახმარების ჯგუფის სპეციალისტს არ ჰყოფნის ცოდნა ან გამოცდილება, რომელიც საჭიროა ინციდენტის აღმოსაფხვრელად. ასეთ შემთხვევებში, სპეციალისტი მენეჯერის თანხმობით, კონსულტაციას გადის კომპეტენტურ კადრთან – ექსპერტთან (ეს შეიძლება იყოს ქსელის ადმინისტრატორი, პროგრამისტი და ა.შ.).

თუ ინციდენტზე მუშაობის პროცესში, დახმარების ჯგუფის სპეციალისტმა გამოავლინა ინციდენტების გამომწვევი ძირეული პრობლემა, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს Help Desk-ის მენეჯერს და მიიღოს შესაბამისი ინსტრუქციები.

დახმარების ჯგუფის სპეციალისტი მუდმივად უნდა აფიქსირებდეს გაწეული სამუშაოს შედეგად მიღებულ პროგრესს და ყოველთვის უნდა იყოს მისაწვდომი მენეჯერისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზების ერთადერთი წერტილის ცნება (single point of contact), როდესაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოსთან კონტაქტი ხდება მხოლოდ Help Desk-ის ოპერატორების საშუალებით. ამგვარ რეჟიმზე გადასვლა უნდა მოხდეს ერთბაშად, მაგრამ შედარებით მშვიდ პერიოდში.

➢ **განვითარების გეგმა**

იმისათვის რომ Help Desk დაიხვეწოს და განვითარდეს, რეგულარულად უნდა ხდებოდეს მისი მუშაობის ეფექტურობის გაზომვა. ეს სამუშაო შეიძლება ჩატარდეს ანალიზის ჯგუფის მიერ Help Desk-ის მენეჯერთან ერთად. ეფექტურობის გასაზომად შეიძლება გაანალიზდეს მიღებული და მიტოვებული ზარების, ასევე გადაუჭრელი ინციდენტების რაოდენობა. მომხმარებლებს შეიძლება ჩაუტარდეთ გამოკითხვები, რომლებიც გამოავლენს Help Desk-ის მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეებს.

ასევე აუცილებელია Help Desk-ის თანამშრომლების პერიოდული ტრენინგი, წახალისება. შესაბამისი შუამდგომლობა უნდა წარადგინოს Help Desk-ის მენეჯერმა.

რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემა (რდას) (მომხმარებლის ინსტრუქცია)

საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშსწორების სისტემა არის რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემა. მისი მიზანია, გადარიცხვების ელექტრონულად წარმოება და ტრანზაქციების რეალურ დროში გატარება საქართველოს ეროვნულ ბანკში.

სისტემა შედგება დადგენილი ოპერაციული პროცედურებისა და სამართლებრივად სავალდებულო შეთანხმებებისაგან, კომპიუტერული სისტემებისაგან და საკომუნიკაციო ქსელებისაგან, რომლებიც ამ კომპიუტერულ სისტემებს აკავშირებს.

რდას სისტემის ფიზიკური კონფიგურაცია ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

- რდას სისტემის შეტყობინების მარშრუტიზატორის ინტერფეისული სისტემარდას ანგარიშსწორების სისტემა
- მომხმარებლის სამუშაო ადგილის სისტემები
- ქსელი, რომელიც მომხმარებლის სისტემას ცენტრალურ სისტემასთან აკავშირებს.

რდას სისტემა იყენებს S.W.I.F.T.-ის შეყობინების სტანდარტიზებულ ფორმატებს. სისტემაში რეალიზებულია შემდეგი ტიპის შეტყობინებები:

- MT100 - კლიენტის გადარიცხვა - თანხების გადარიცხვის ინსტრუქცია;
- MT202 - გადარიცხვა ბანკიდან ბანკში - მოითხოვს თანხების გადატანას ფინანსურ ინსტიტუტებს შორის;
- MT192 - გაუქმების მოთხოვნა - მიმღებისაგან მოითხოვს გააუქმოს MT100 ან MT102 შეტყობინება, რომელიც მოთხოვნაშია განსაზღვრული;
- MT292 - გაუქმების მოთხოვნა - მიმღებისაგან მოთხოვს გააუქმოს MT200 ან MT202 შეტყობინება, რაც მოთხოვნაშია განსაზღვრული ;

- MT900 - დებეტის დადასტურება - დებეტის მფლობელს უგზავნის ავიზოს მის ანგარიშზე;
- MT910 - კრედიტის დადასტურება - კრედიტის მფლობელს უგზავნის ავიზოს მის ანგარიშზე;
- MT940 - კლიენტის ამონაწერის შეტყობინება - ანგარიშის მფლობელის სახელით უზრუნველყოფს ფინანსურ ინსტიტუტებს დაწვრილებითი ინფორმაციით ანგარიშზე ბალანსისა და გატარებების შესახებ;
- MT950 - ამონაწერის შეტყობინება - ანგარიშის მფლობელს უზრუნველყოფს დეტალური ინფორმაციით ანგარიშზე ბალსისა და გატარებების შესახებ;
- MT999 - თავისუფალი ფორმატი - გამოიყენება ისეთი ინფორმაციის გასაგზავნად, რომლისთვისაც არ არსებობს სხვა ტიპის ფორმატი.


1. მომხმარებლის სამუშაო ადგილი

მომხმარებლის სამუშაო ადგილი არის ინტერნეტის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც შექმნილია ანგარიშწორების მონაწილეთათვის რდას სისტემაში სამუშაოდ.


მომხმარებლის სამუშაო ადგილის პროგრამული უზრუნველყოფა შედგება ხუთი სხვადასხვა კომპონენტისაგან:

- ტრანზაქციის შეტანა/შექმნის (Transaction Entry/Origination) ფუნქციები,
- ფაილის მართვის ფუნქციები (File Management Functions),
- გზავნილის მართვის ფუნქციები (Parcel Management Functions),
- სამუშაო ადგილის ოპერაციული კონტროლის ფუნქციები (Workstation Operation Control),
- სამუშაო ადგილის ადმინისტრატორის ფუნქციები (Workstation Administrator)

სისტემაში შესვლისას ოპერატორმა უნდა შეიტანოს მომხმარებლის სახელი და მომხმარებლის პაროლი.



მომხმარებლის სამუშაო ადგილის ეკრანი მოგთხოვთ მეორე მომხმარებლის სახელს და მომხმარებლის პაროლს. გაიმეორეთ ზემოთ აღწერილი პროცესი იმავე მომხმარებლის სახელისა და თქვენი მომხმარებლის სამუშაო ადგილის პაროლის გამეორებით. დააჭირეთ ხელი შესვლას (Login).



3. მონაცემთა ორგანიზების კონცეფციები

ჩანაწერი (ოპერაცია items), ფაილები (files) და გზავნილები (Parcels) წარმოადგენენ მომხმარებლის სამუშაო ადგილის მონაცემთა სტრუქტურის საფუძველს.

ფაილი არის ოპერაციის ჩანაწერების ფიზიკური ნაკრები, რომელსაც ვალიდაციის, დამუშავებისა და სხვა სისტემებისათვის გადაცემის მიზნით ჩვეულებრივ განიხილავენ როგორც მთლიანს. ფაილები აგრეთვე შეიცავენ საკონტროლო ინფორმაციას, რომელიც გვეხმარება ფაილისა და მისი შინაარსის იდენტიფიკაციასა და მთლიანობის შენარჩუნებაში. ამჟამად მომხმარებლის სამუშაო ადგილი ორი ტიპის ფაილის ექსპორტ-იმპორტს უზრუნველყოფს: S.W.I.F.T.-ის ფაილებს, რომლებიც შეიცავენ შეტყობინებებს S.W.I.F.T. ფორმატში და DBF ფაილებს, რომლებიც შეიძლება სამუშაო ადგილში S.W.I.F.T.-ის გადარიცხვად გარდაიქმნას.

გზავნილი არის ოპერაციის ჩანაწერების ნაკრები, რომლებიც დაჯგუფებულია სერვერის ინტერფეისში გადასაცემად. ეს ინტერფეისი ეროვნულ ბანკში დგას. რდას ინტერფეისული სისტემა დამუშავებამდე "გახსნის" გზავნილებს. ასევე "ხსნის" მომხმარებლის სამუშაო ადგილი რდას სისტემიდან მიღებულ გზავნილებს.


მთლიანი სამუშაო დგილის მომხმარებლის ინტერფეისი, სამუშაო ადგილის ძირითადი ადმინისტრაციული ფუნქციების გამოკლებით, დამყარებულია ზემოთ აღწერილ მონაცემთა სამი ტიპის სტრუქტურულ ერთეულზე.

4. ოპერაციის ჩანაწერის შეტანა

ოპერაცია **(item)** არის ჩანაწერი, ან შეტყობინება, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს ანგარიშსწორების ერთ ტრანზაქციას. ოპერაციის ჩანაწერი (Items) შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ ფორმატში, რომელსაც რდას სისტემის მომხმარებლის სამუშაო ადგილი იყენებს. დღეისათვის ეს მხოლოდ S.W.I.F.T. -ის ფორმატებია.

ოპერაციის ჩანაწერის შეტანის ფუნქციის გააქტიურება ხდება ჩანაწერი/შეტანა ოფციით მენიუდან. ამისათვის შემოთავაზებულია ორი

ოფცია: სტანდარტი და გაფართოებული (STANDARD and EXTENDED). ეს ოფცია დაკავშირებულია ორი ტიპის შეტანის ფანჯარასთან, საიდანაც ოპერატორს შეუძლია არჩევა.




S.W.I.F.T.-ს გადარიცხვის თითოეული ტიპისათვის აქვს მრავალი ველი. ზოგიერთი მათგანი სავალდებულოა (M), ზოგი - არჩევითი (O), ზოგიც კიდევ - მოთხოვნით, გამომდინარე ადგილობრივი მოთხოვნებიდან. უმეტესი ტრანზაქციისათვის მხოლოდ სავალდებულო და კონკრეტული "მოთხოვნით" ველებია შესავსები. ოპერატორებისათვის სტანდარტული საგადახდო დავალებების შეტანის პროცესის გასაადვილებლად თითოეული ტრანზაქციისათვის შექმნილია შეტანის მოკლე ფორმა. ეს ფორმა საკმარისი იქნება უმეტესი საგადახდო დავალების შესატანად. ამ ფორმის გამოსაყენებლად დააჭირეთ ხელი "სტანდარტის" ("STANDARD") ღილაკს. მაგრამ თუ საჭიროა დამატებითი ნაწილები, ან დამატებითი დაწვრილებითი ინფორმაცია ტრანზაქციის შესახებ, ოპერატორს შეუძლია აირჩიოს შეტანის გაფართოებული ფორმა, რისთვისაც დააჭირეთ ხელი ღილაკს ("EXTENDED").

თითოეულ ოფციას აქვს ჩამონაშალი სია, რომელშიც არის სხვადასხვა შეტყობინების ტიპების ნაკრები: MT100, MT102, MT200, MT202, ან MT999. აირჩიეთ შესატანი შეტყობინების ტიპი

და დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი რედაქტირების ფორმა. (შენიშვნა: MT102 ტიპის შეტყობინებისათვის არ არსებობს შეტანის გაფართოებული ფორმები).

შეტანის ფუნქცია შედგება ფორმების შევსებისა და ანგარიშსწორების შედეგის ეკრანზე ჩვენებისაგან. ამისათვის დააჭირეთ ხელი ფორმის SUBMIT(გადაცემა) ღილაკს.


S.W.I.F.T.-ის რედაქტირების ფორმა სამი სვეტისაგან შედგება. მარცხენა სვეტი საიდენტიფიკაციო ნომრები (Field Tags).შუა სვეტი ველის მოწვევებს (პრომპტებს Field Prompts). ეს მოწვევები (პრომპტები) გვატყობინებენ, თუ რა ინფორმაციაა საჭირო თითოეული ველის შესავსებად. მარჯვენა სვეტი შედგება ან უნიკალური ველებისაგან, ან მისამართის ველების შემთხვევაში, ტექსტის შესატანი სივრცისაგან, რომელშიც შეიტანთ სახელს და მისამათს.



სამუშაო ადგილს აქვს მონაცემთა ბაზების ცხრილები. ამ ცხრილებს სამუშაო ადგილის ინსტალაციისას შეიტანენ სამუშაო ადგილში. მათში შევა SWIFT ID და DFI საბანკო კოდები საქართველოში არსებული ყველა ბანკისათვის. საგადახდო დავალების შეტანისას ინფორმაციის ამ ცხრილებიდან მითითება შესაძლებელი იქნება ჩამონათვალი სიიდან, რომელიც შესაბამის ველებშია (party fields).

5. რედაქტირებასა და ეკრანს შორის გადასვლა

რედაქტირების ფორმის დასრულების შემდეგ დააჭირეთ ხელი გადაცემის (SUBMIT) ღილაკს. სისტემა ამოწმებს, შევსებულია თუ არა ყველა ველი შევსების დადგენილი წესების მიხედვით. ამ პროცედურას ვალიდაცია ეწოდება. შეტანის პროცესის დასრულებამდე საჩვენებელ გვერდზე (Display page) გამოჩნდება რედაქტირების ფორმის ვალიდაციის შედეგები. თუ აღმოჩნდება შეცდომა, სისტემა გამოიტანს შეტყობინებას, ან შეტყობინებებს. თუ სისტემა შეცდომას იპოვის, ან პროცესი აღმოჩნდება არასრული, შეიძლება კვლავ რედაქტირების ფორმაში დაბრუნება. ამისათვის დააჭირეთ ხელი ბრაუზერის უკან დასაბრუნებელ ღილაკს, რომელიც ეკრანის ზედა მარცხენა ნაწილშია. შესწორებების შეტანა ან დამატება შესაძლებელია რედაქტირების ფორმაში. ამის შემდეგ მისი შინაარსი კვლავ გაიგზავნება დასამუშავებლად და შედეგად ვიხილავთ ახალ ეკრანს.



შეტანის ოპერატორს შეუძლია წინ და უკან მოძრაობა რედაქტირების ფორმასა და საჩვენებელ ეკრანს შორის მანამ, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევთ.

როდესაც მოხდება ეკრანზე ნაჩვენები შეტყობინების ვალიდაცია და დამტკიცდება მისი სისწორე, დააჭირეთ ხელი OK-ს. მომხმარებლის სამუშაო ადგილი უპასუხებს ჩანაწერის საიდენტიფიკაციო ნომრისა და ახლად შექმნილი ჩანაწერისათვის მინიჭებული სტატუსის ჩვენებით. ჩანაწერებს, რომელთა შეტანაც დასრულდა, მიენიჭებათ დამტკიცების სტატუსი.

6. ჩანაწერის იდენტიფიკაცია და აუდიტური ინფორმაცია

ინფორმაციის წარმატებით შეტანის შემდეგ ოპერაციის ყველა ჩანაწერს მიენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი, ან ოპერაციის ჩანაწერის ნომერი. ამ ნომრით ადვილია ოპერაციის დამუშავებისას ამა თუ იმ ჩანაწერის თვალყურის დევნება. ოპერაციის ჩანაწერების საიდენტიფიკაციო სისტემა შემდეგია: პირველი 8 ციფრი მიუთითებს შეტანის თარიღს YYYYMMDD ფორმატში. შემდეგი ორი ნიშანი TS აღნიშნავს სამუშაო ადგილში შეტანილი (ტერმინალში შეტანა) ოპერაციის ჩანაწერს, IS კი - იმპორტირებულ ოპერაციებს. შემდეგი ოთხი ციფრი მიუთითებს სესიის ნომერს და გამოიყენება იმ სამუშაო ადგილის საიდენტიფიკაციოდ, რომელიც გადარიხცვის შესატანად გამოიყენება. ბოლო 6 ციფრი მიუთითებს ტრანზაქციის ნომერს. დღის გახსნისას ეს ნომერი დაყენებული იქნება 0-ზე. პირველი შეტანილი ტრანზაქციას კი ექნება 000001 ნომერი.

ტრანზაქციის წარმატებით შეტანის შემდეგ ხელმეორედ გამოჩნდება ოპერაციის ჩანაწერის შეტანის არჩევის ეკრანი (Item Entry selection screen). ეკრანის თავში არის ძალიან მნიშვნელოვანი აუდიტორული ინფორმაცია, რომელიც გვიჩვენებს შეტანილი ტრანზაქციისათვის მინიჭებულ საიდენტიფიკაციო ნომერს და ჩანაწერის შემდეგ სტატუსს. ტრანზაქციის დამუშავების პროცესში ეს ინფორმაცია შევა აუდიტორულ ინფორმაციაში, რომელიც ეკრანის ბოლოში გამოჩნდება ყოველთვის, როდესაც ტრანზაქცია გამოჩნდება. ეს ინფორმაცია შეიცავს ოპერატორის, ან ოპერატორების სახელებს, რომლებმაც ტრანზაქცია დაამუშავეს და აგრეთვე ყოველი შესრულებული მოქმედების თარიღსა და დროს.

- ჩანაწერის (ოპერაციის) ნაკადი

შეტანის შემდეგ გამავალი ოპერაციების(outgoing items) შესაძლო სტატუსებია: დასამტკიცებელი (APPROVE), გასწორების

(REPAIR), გაუქმებულის (CANCELLED), მზა (READY), გაგზავნილის (SENT), უარყოფილის (REJECTED) და დასრულებულის (COMPLETE). შემომავალი ოპერაციების (**incoming** items) შესაძლო სტატუსებია მიღებული (RECEIVED) და ექსპორტირებული (EXPORTED).

- გამავალი ოპერაციის (ჩანაწერების) ნაკადი **(OUTGOING ITEM FLOW)**

დამტკიცება (APPROVE) არის შეტანის შემდეგი ეტაპი. ამ სტატუსის მქონე ზედამხედველი (მეთვალყურე supervisor) გადაათვალიერებს (review) და შემდეგ ამტკიცებს ოპერაციას. თუ ჩანაწერში არის შეცდომა, ზედამხედველს შეუძლია მისი გასწორება. (დამტკიცების ფუნქციიდან არ შეიძლება რაიმე შესწორების შეტანა). გასწორების შემდეგ ოპერაცია დაბრუნდება ხელმეორედ დასამტკიცებლად. ეს გადასვლა დამტკიცებიდან გასწორებაში განმეორდება მანამ, სანამ ჩანაწერი არ იქნება სწორი. თითოეული შესრულებული მოქმედებით იზრდება აუდიტორული ინფორმაციის მოცულობა და ოპერატორს უჩვენებს ამ შესრულებული მოქმედების დღესა და თარიღს.

ოპერაციის დამტკიცების შემდეგ ის იძენს მზა სტატუსს. ეს ნიშნავს, რომ ეხლა უკვე ნებისმიერ დროს შეიძლება მისი გაგზავნა ეროვნულ ბანკში. ეს პროცესი შემდეგ თავში იქნება განხილული. ოპერაციის გაგზავნის შემდეგ ისინი იქნებიან გაგზავნილის (SENT) სტატუსში. და ბოლოს, როდესაც ეროვნული ბანკიდან მიღებულია შეტყობინება (ACK) იმის შესახებ, რომ ოპერაცია მიღებულია და შესრულებულია რდას სისტემაში, ოპერაციას მიენიჭება დასრულებულის სტატუსი.

ჩვეულებრივად მიმდინარე გამავალი ნაკადის შემთხვევაში შესაძლებელია ორი გამონაკლისი: 1) თუ ოპერატორი გადაწყვეტს, რომ ოპერაცია არ უნდა გაიგზავნოს ის შეიძლება გაუქმდეს გაუქმების ფუნქციის გამოყენებით,. ოპერაციის გაუქმება მხოლოდ დამტკიცების ან გასწორების სტატუსიდან არის შესაძლებელი. 2) ეროვნულმა ბანკმა შეიძლება უკუაგდოს ოპერაცია. თუ ეროვნული ბანკი უკუაგდებს ოპერაციას ანგარიშზე თანხების ნაკლებობის გამო, ან რაიმე სხვა მიზეზით, სამუშაო ადგილი ამ ოპერაციის შესახებ მიიღებს უარყოფით შეტყობინებას (NACK) და ოპერაციას მიენიჭება უკუგდებულის (REJECTED) სტატუსი. უარყოფითი შეტყობინება NACK გახდება ოპერაციის ჩანაწერის ნაწილი და მისი დათვალიერება შესაძლებელი იქნება ჩამოთვლის ფუნქციის მეშვეობით.

- შემომავალი ნაკადი (INCOMING ITEM FLOW)


შემომავალ ოპერაციებს ექნებათ მიღებულის (RECEIVED) ან ექსპორტირებულის (EXPORTED) სტატუსი. საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებულ ოპერაციებს ექნებათ მიღებულის სტატუსი და ისინი დარჩებიან სამუშაო ადგილში ბექ ოფისის სისტემებში ექსპორტირებამდე.

- ოპერაციის მენიუს ოფციები

ოპერაციის მენიუში 5 ოფციაა: ჩამონათვალი (List), შეტანა (Enter), გასწორება (Repair), დამტკიცება (Approve) და გაუქმება (Cancel). შეტანა აღწერილია წინა თავში. შემდეგ თავებში აღწერილია, როგორ უნდა გამოვიყენოთ სხვა ფუნქციები.

- ჩამოთვლა (List)

ჩამოთვლის ოფცია გამოიყენება გამოკვლევისათვის (investigation). ის ეკრანზე გამოიტანს ინფორმაციას სამუშაო ადგილის მიერ იმ დღეს, ან წინა დღეებში დამუშავებული ყველა ოპერაციის შესახებ. ჩამონათვალის ოფცია გვიჩვენებს ყველა არჩეული ოპერაციის სტატუსს. ამასთან მისი საშუალებით შესაძლებელია საწყისი შეტანის ფორმისა და ნებისმიერი აუდიტორული ინფორმაციის წვდომა. პირველ ეკრანზე ნაჩვენები ჩამონათვალის ოფცია შეიცავს ველებს, რომლებშიც შეგვაქვს ინფორმაცია სანახავი ჩანაწერის ან ჩანაწერების ასარჩევად



- შემომავალი (INCOMING)


შემომავალი ინფორმაციის ოპერაციების შერჩევის უჯრა შეიცავს ჩამონაშალ სიას. ამ სიიდან აირჩიეთ მიღებული (Received), რათა დაათვალიეროთ სამუშაო ადგილის მიერ იმ დღეს მიღებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუგზავნელი ოპერაციების სია. მიღებული და უკვე ექსპორტირებული ოპერაციების სანახავად აირჩიეთ ფუნქცია ექსპორტირებული (Exported), ან აირჩიეთ ყველა (ALL) დღევანდელი შემომავალი ოპერაციების სრული სიის სანახავად.

მეორე ტექსტური უჯრა გაჩუმებით დაყენებულია TODAY-ზე (დღეს). თუ გამოსაკვლევი ოპერაცია წინა დღეს დამუშავდა, შეიტანეთ თარიღი YYYYMMDD ფორმატში, ან დატოვეთ ის, რაც გაჩუმებით არის ეკრანზე, ანუ იმ დღის თარიღი.

შემდეგ, დააჭირეთ ხელი OK-ს. ეკრანზე გამოჩნდება შერჩეული ოპერაციების სია დამატებითი ინფორმაციით, როგორიცაა ვალუტა, თანხა, მიმღები, შეტყობინების ტიპი და ა.შ. თითიეული ოპერაციის მარჯვენა ბოლოში სიაში გამოჩნდება დირექტორიის პიქტოგრამა. დააჭირეთ ხელი დირექტორიას სასურველ ოპერაციაზე, გამოჩნდება ფაილების დირექტორიის პიქტოგრამა. დააჭირეთ ხელი პიქტოგრამას სასურველი ოპერაციის ასარჩევად და ის ოპერაცია გამოჩნდება ეკრანზე. სიის ოფციიდან ოპერაციაში რაიმე ცვლილებების შეტანა არ შეიძლება.

- გამავალი ოპერაციები (OUTGOING)

გამავალი ოპერაციების არჩევის უჯრა შეიცავს ჩამონაშალ სიას. ეს სია გვიჩვენებს გამავალი ოპერაციების დამუშავების ყველა შესაძლო სტატუსს. ჩამონაშალი სიიდან შეარჩიეთ სასურველი სტატუსი, ან აირჩიეთ ყველა (ALL), რათა ნახოთ სამუშაო ადგილის მიერ იმ დღეს დამუშავებული ყველა გამავალი ოპერაციის სია. თუ საძებნი ოპერაცია წინა დღეს დამუშავდა, შეიტანეთ ეს თარიღი YYYYMMDD ფორმატში, ან დატოვეთ ისე, როგორც იყო გაჩუმებით დღევანდელი ოპერაციებისათვის.




დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. ეკრანზე გამოჩნდება ყველა არჩეული ოპერაციის სია. თითოეული ოპერაციის მარჯვენა მხარეს ჩამონათვალში გამოჩნდება დირექტორიის პიქტოგრამა. დააჭირეთ ხელი ამ პიქტოგრამას და გამოჩნდება სასურველი ჩანაწერი. ჩამონათვლის ოფციიდან არ შეიძლება რაიმე ცვლილების შეტანა

- ყველა შეტყობინება (ALL MESSAGES)

ყველა ოპერაციის (The All Items) ოფციის საშუალებით შესაძლებელია ყველა იმ დღეს, ან შემდეგ დღეს დამუშავებული შეტყოიბინების საწყისი შეტყობინების მონაცემების წვდომა. ტექსტური უჯრა გაჩუმებით დაყენებული იქნება დღევანდელ თარიღზე. დატოვეთ ეს თარიღი, ან შეიტანეთ წინა დღის თარიღი YYYYMMDD ფორმატში. შემდეგ დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. ეკრანზე გამოჩნდება არჩეულ დღეს დამუშავებული S.W.I.F.T.-ის შეტყობინებების სრული მონაცემები. ეს შეიძლება იყოს ძალიან გრძელი გამომავალი ფორმა, რომელიც დამოკიდებულია ამ მონაცემების დამუშავების მოცულობაზე. შეგიძლიათ ჩამოშალოთ ეს გვერდი და ნახოთ მონაცემები, ანდა ამ ინფორმაციის ამობეჭდვით შეგიძლიათ გამომავალი ფორმის შექმნა.

- შემაჯამებელი ოფცია (SUMMARY)




შემაჯამებელი ოფცია გვიჩვენებს იმ დღეს დამუშავებული ყველა ოპერაციის შეჯამებას. აქ არ იქნება ნაჩვენები ოპერაციის ცალკეული დეტალები.


- დამტკიცება (Approve)

დამტკიცების ფუნქცია პირველად გვიჩვენებს იმ ოპერაციებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს. ამ ფუნქციას აქვს ორი ოფცია. ოპერატორს შეუძლია შეარჩიოს კონკრეტული ოპერაცია, რისთვისაც მან უნდა შეიყვანოს ამ ოპერაციის საიდენტიფიკაციო ნომერი, თუ არა და ეკრანზე იქნება ყველა ოპერაცია, რომლიც დამტკიცების რიგშია.

დასამტკიცებელ რიგში ოპერაციების დასათვალიერებლად დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს, რომელიც სია LIST მოწვევის (prompt) შემდეგაა. გამოჩნდება რიგში ჩამდგარი ყველა დასამტკიცებელი ოპერაციის სია.



დააჭირეთ ხელი დირექტორიას, რომელიც დასამტკიცებელი ოპერაციის მარჯვნივაა და ეს ოპერაცია ეკრანზე გამოჩნდება.



ოპერაციის დასამტკიცებლად დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. ამის ალტერნატიულად ოპერაცია შესაძლებელია გაიგზავნოს გასასწორებლად (Repair). თუ გააქტიურებთ ოპერაციის გაუქმების (Cancel Operation) ფუნქციას, ეს ოპერაცია დარჩება დასამტკიცებელ სტატუსში. დამტკიცების სია ეკრანზე გამოიტანს დადასტურების შეტყობინებას (confirmation message), რომელიც ეკრანის თავში იქნება.

ამის ალტერნატიულად რიგიდან ცალკეული ოპერაციის შესარჩევად მოათავსეთ კურსორი თარიღის (Date), სესიის (Session) და ნომრის (Number) ველში და შეიტანეთ დასამტკიცებელი ოპერაციის რვა ციფრიანი თარიღი, 4- ციფრიანი სესიის ნომერი და 6- ციფრიანი თანმიმდევრობითი ნომერი. დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს.

- **გასწორება Repair**

გასწორების რიგში მყოფი ოპერაციების წვდომა ისეთივეა, როგორიც დამტკიცების ფუნქციის წვდომა. დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს, რომელიც სიის (ჩამონათვალი) მარჯვნივაა და თქვენ ნახავთ ყველა ოპერაციას, რომელიც გასწორების რიგშია, ან საიდენტიფიკაციო ინფორმაციის შესატანად გამოიყენეთ თარიღის, სესიის და ოპერაციის ნომრის ველები.თუ იყენებთ ჩამონათვლის ოფციას, დააჭირეთ ხელი დირექტორიის პიქტოგრამას, რომელიც იმ ხაზის გასწვრივაა მარჯვენა ბოლოში, რომელზეც ოპერაციაა ჩამოთვლილი. ამით თქვენ შეძლებთ ოპერაციის წვდომას გასასწორებლად. გასწორების ფუნქცია შეტანის ფუნქციის მსგავსია. რედაქტირების გვერდზე გამოჩნდება სრული ინფორმაცია ეკრანზე ნაჩვენები ტრანზაქციის შესახებ. ამის შემდეგ ოპერატორს შეუძლია ნებისმიერი ველის რედაქტირება. როდესაც ოპერატორი დაკმაყოფილდება, რომ ყველა შეცდომა გასწორებულია, დააჭერს ხელს SUBMIT ღილაკს. ჩვენების გვერდზე გამოჩნდება ტრანზაქცია. კიდევ ერთხელ გადაამოწმეთ ყველა დეტალი და დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. თუ ავირჩევთ ოპერაციის გაუქმების ოფციას, ოპერაცია დარჩება გასწორების სტატუსში და გამოჩნდება ოპერაციის გასწორების ეკრანი. გასწორებული ტრანზაქცია გაიგზავნება დამტკიცების სტატუსში. შეტყობინება გამოჩნდება ეკრანის თავში და მიუთითებს გასწორებული ტრანზაქციის ახალ სტატუსს.

- გაუქმება (Cancel)

ოპერაციის გაუქმება შესაძლებელია გაუქმების ოფციის გამოყენებით. ეს ოფცია გამოიყენება იმ ოპერაციების გასაუქმებლად, რომლებიც სამუშაო ადგილშია შეტანილი, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაუგზავნიათ. არჩევის ეკრანი მსგავსი იქნება გასწორებისა და დამტკიცების ოფციისა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს ჩამონაშალი სია ჩამოსათვლელი ოპერაციის სტატუსის ასარჩევად. გასაუქმებელი ჩანაწერების სანახავად დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს, რომელიც ჩამონათვლის (List prompt) მოწვევის შემდეგაა, ან გამოიყენეთ თარიღი (Date), სესია (Session) და ნომერი (Number) ველები, რათა შეიტანოთ ინფორმაცია კონკრეტული ტრანზაქციის საიდენტიფიკაციოდ. თუ იყენებთ ჩამოთელის (List) ოფციას, დააჭირეთ ხელი დირექტორიის პიქტოგრამას, რომელიც იმ ხაზის მარჯვენა ბოლოშია, რომელზეც ეს ოპერაციაა ჩამოთვლილი. ეს მოგქცემთ ოპერაციასთან წვდომის საშუალებას.

დარწმუნდით, რომ ეს არის ის ოპერაცია, რომელიც უნდა გააუქმოთ და კვლავ დააჭირეთ ხელი OK-ს. ოპერაციას მიენიჭება გაუქმებულის სტატუსი და გამოჩნდება ჩამონათვალში ყოველთვის, როდესაც გამოყენებული იქნება ჩამოთვლის ოფცია სისტემაში იმ დღეს შემოსული ყველა ოპერაციის ეკრანზე გამოსატანად. ეს ოპერაციები არ წაიშლება, მაგრამ მისი შემდგომი დამუშავება აღარ მოხდება. თუ აირჩევთ ოპერაციის გაუქმების ოფციას, ოპერაცია დარჩება მიმდინარე სტატუსში (დამტკიცების ან გასწორების) და გამოჩნდება გაუქმების არჩევის ეკრანი (Cancel selection screen).

შენიშვნა: გამომდინარე ადგილობრივი ბანკის მოთხოვნებიდან, ოფცია არსებობს ბექ ოფისის სისტემებიდან იმპორტირებული S.W.I.F.T.-ის გადარიცხვების სხვაგან გაგზავნამდე მათ დასამტკიცებლად გასაგზავნად. თუ ეს ოფცია გამოიყენება ამ კონკრეტულ ბანკში, ეს შესაძლებელს ხდის საჭიროების შემთხვევაში იმპორტირებული (S.W.I.F.T.)-ის გადარიცხვების გაუქმებას სამუშაო ადგილში.

- გზავნილის სტატუსი

სტატუსი ფაილებსა და გზავნილებსაც ენიჭებათ. ფაილის შესაძლო სტატუსებია: იმპორტირებული (IMPORTED), ექსპორტირებული (EXPORTED), დამტკიცების (APPROVE) და გაუმქმებული. ეს

სტატუსები აღნიშნავს ბანკის სხვა სისტემებიდან (ბექ ოფისი) ფაილების იმპორტსა და ექსპორტს, იმპორტირებულ ფაილებს, რომლებიც ელოდებიან დამტკიცებას და იმპორტირებულ ფაილებს, რომლებიც გაუქმდა.

ოპერაციები (გადარიცხვები), რომლებიც სამუშაო ადგილსა და ეროვნულ ბანკს შორის იგზავნება, შეიძლება ერთ ჯერზე გაეგზავნოს იმ ბანკს, რომელსაც აქვს მუდმივი კავშირი რდას სისტემის შეტყობინების მარშრუტიზატორთან, ან შეიძლება გაიგზავნოს გზავნილებად. გზავნილი არის ოპერაციების ნაკრები, რომელიც ერთ ჯგუფად იგზავნება. რდას სისტემაში დასამუშავებლად გაგზავნამდე ამ გზავნილს "გახსნის" შეტყობინების მარშრუტიზატორი, ზუსტად ასევე გაიხსნება შემომავალი გზავნილები მომხმარებლის სამუშაო ადგილის მიერ, როდესაც ეს უკანასკნელი მიიღებს გზავნილს რდას სისტემიდან. გზავნილის სტატუსი შეიძლება იყოს გაგზავნილი (SENT) ან მიღებული (RECEIVED).

- შემომავალი ნაკადი **(INCOMING FLOW)**

რდას სისტემიდან ინდივიდუალურად მიღებულ ოპერაციებს მაშინვე ენიჭებათ მიღებულის (RECEIVED) სტატუსი. შემომავალი გზავნილები იყოფა S.W.I.F.T.-ის ინდივიდუალურ ოპერაციებად და შემდეგ ენიჭებათ მიღებულის სტატუსი. ამის შემდეგ უკვე შეიძლება მათი ექსპორტი ბანკის სხვა სისტემებში დასამუშავებლად. შემომავალი გზავნილების მიღება შეიძლება ორი გზით: ინტერნეტის საშუალებით და დისკეტით.

შეიძლება ბანკის სხვა სისტემებიდან მოსული გადარიცხვის ფაილების იმპორტი სისტემაში მათ ეროვნულ ბანკში გადასაცემად. სამუშაო ადგილი DBF ფორმატის გადარიცხვებს ავტომატურად გარდაქმნის S.W.I.F.T.-ის შეტყობინებად. ბანკებს აქვთ არჩევანი, რდას სისტემაში გადაცემამდე დაამტკიცონ ყველა იმპორტირებული ფაილი. თუ ასეთი ოფცია გამოიყენება, იმპორტირებულ ფაილებს მიენიჭებათ დასამკიცებლის (APPROVE) სტატუსი მანამ, ვიდრე მოხდება მათი დამტკიცება. თუ ამ ოფციას არ ვიყენებთ, მაშინ სამუშაო ადგილი იმპორტირებულ ფაილს დაშლის ცალკეულ S.W.I.F.T.-ის ოპერაციებად, რომლებსაც მიენიჭებათ გამზადებულის (READY) სტატუსი. შეიძლება დასამტკიცებლის სტატუსში მყოფი ფაილების (APPROVE)

გაუქმება სამუშაო ადგილზე. ასეთ ფაილებს მიენიჭებათ გაუქმებულის (CANCELLED) სტატუსი.


- გამავალი ნაკადი **OUTGOING FLOW**

სამუშაო ადგილში შესული ოპერაციები ისეთივე გზას გაივლის, როგორც მე-5 თავში აღწერილი შემავალი ნაკადები. ოპერაციების (დამუშავების) დასრულების შემდეგ მათ მიენიჭებათ გამზადებულის სტატუსი. ეს სტატუსი მათ ექნებათ რდას სისტემაში გაგზავნამდე. გამავალი ნაკადები შეიძლება გაიგზავნოს ინტერნეტით ან ჩაიწეროს დისკეტზე. შემომავალი გზავნილები მაშინვე "გაიხსნება" სამუშაო ადგილზე და მიენიჭებათ მიღებულის სტატუსი. შეიძლება ამ ოპერაციების ექსპორტი ბანკის სხვა სისტემებში დასამუშავებლად. ფაილების ექსპორტი შეიძლება S.W.I.F.T.-ის ან DBF ფორმატში. ფაილი/ექსპორტი (FILE/EXPORT) ოფცია გამოიყენება ფაილის ექსპორტის ინიციაციისათვის (წამოსაწყებად).

- ფაილების ჩამონათვალი **Listing Files**


ფაილი/ჩამოთვლა ოფცია გამოიყენება ინფორმაციის მოძიების მიზნით. ეს ოფცია გვიჩვენებს ინფორმაციას სამუშაო ადგილის მიერ იმ დღეს ან ბოლო დღეებში იმპორტირებული ან ექსპორტირებული ფაილების შესახებ, ან წინა თარიღებში გატარებულ ინფორმაციას, რომელსაც ბანკი სისტემაში ინახავს. ჩამონათვლის ოფცია LIST option გვიჩვენებს ინფორმაციას დამუშავების პროცესის და არჩეული ფაილის შინაარსის შესახებ.

პირველ ეკრანზე წარმოდგენილი ფაილი/სია (FILE/LIST) ოფციაში არის ველები, რომლებშიც უნდა შევიტანოთ ინფორმაცია სანახავი ფაილების ასარჩევად. ეს ფაილები შეიძლება იმ დღეს, ან წინა დღეს იყოს დამუშავებული. თითოეული ოფცია წარმოადგენს ჩამონაშალ სიას, რომელიც მიუთითებს, არის თუ არა ჩამოსათვლელი ფაილები ის ფაილები, რომლებიც იმპორტირებულია (მაგრამ ჯერ კიდევ არ მომხდარა მათი ექსპორტი), თუ ესენი უკვე ექსპორტირებული ფაილებია. ოფცია იმპორტირებულის (Imported) ფუნქციაა ნებისმიერი ფაილის ჩვენება, რომელიც ელოდება დამტკიცებას ან გაუქმებას.



დღევანდელ ფაილებში დააყენეთ მიმდინარე ჩამონაშალი სია (Current drop-down list) იმპორტირებულზე ან ექსპორტირებულზე და დააჭირეთ ხელი OK-ს.

წინა დღის ფაილებისათვის დააყენეთ კურსორი მოცემულ წინა დღის უჯრაში და შეიტანეთ თარიღი YYYYMMDD ფორმატში, შემდეგ დააყენეთ ჩამონაშალი სია იმპორტირებულზე (Imported), ან ექსპორტირებულზე (Exported) და დააჭირეთ ხელი OK-ს.




ფაილის სიის არჩევის შემდეგ მეორე ეკრანზე გამოჩნდება ყველა იმპორტირებული და ექსპორტირებული ფაილი და მათი სტატუსები. დირექტორიის პიქტოგრამაზე ხელის დაჭერით (ეს პიქტოგრამა თითოეული ფაილის მარჯვენა ბოლოშია), შეგვიძლია ვნახოთ უფრო დეტალური ინფორმაცია ეკრანზე ნაჩვენები ფაილის ტრანზაქციების შესახებ. დირექტორიის პიქტოგრამაზე ხელის ხელმეორედ დაჭერით ჩვენების ეკრანზე შეიძლება ცალკეული ტრანზაქციის ნახვა.


7. ფაილების იმპორტი შიდა სისტემებიდან

სამუშაო ადგილს შეუძლია ფაილების იმპორტი გარე საბანკო სისტემებიდან. ამ ფუნქციის შესასრულებლად გამოიყენება ფაილი/იმპორტი ფუნქცია (FILE/Import function). პირველად ფაილი ჩაიტვირთება ხისტ დისკზე. დირექტორიები განისაზღვრება დაყენებისას და ეცნობება ადმინისტრატორებს. ფაილების ჩატვირთვის შემდეგ შესაძლებელია მათი იმპორტი.

ფაილი/იმპორტი ფუნქციას ორი ოფცია აქვს: **S.W.I.F.T.** ან **DBF** ფორმატი. დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს, რომელიც იმ ფორმატის შემდეგაა და მიუთითებს იმპორტირებული ფაილის მიმდინარე ფორმატს. მეორე ეკრანი წარმოადგენს ტექსტურ უჯრას, რომელშიც შეაქვთ ფაილის სახელი და ჩამონაშალი სია წყაროს შესარჩევად, ან იმპორტის ინტერფეისი. ჩამონაშალ სიაში წარმოდგენილი ოფციები ინსტალაციისას არის დაყენებული და მიუთითებს იმ დირექტორიებს, საიდანაც შეიძლება ფაილების იმპორტი. თუ ცნობილია ფაილის ზუსტი სახელი, შეიძლება ინფორმაციის ტექსტურ უჯრაში შეტანა. ინსტრუქცია ეკრანზევეა წარმოდგენილი. წყაროს უჯრა (Source Box) დააყენეთ სწორ დირექტორიაზე და დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს.



თუ ცნობილია დირექტორია, მაგრამ არ არის ცნობილი ფაილი, დატოვეთ ფაილის უჯრა ცარიელი, აირჩიეთ სწორი წყარო (Source) და დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. ჩამონათვალში გამოჩნდება ყველა ფაილი, რომელიც იმპორტს ელოდება.




წაკითხვა (READ)-ზე ხელის დაჭერით აირჩიეთ გასაგზავნი ფაილი. ამის შედეგად თქვენ შეძლებთ ნახოთ დაწვრილებითი ინფორმაცია ფაილის შინაარსის შესახებ, მაგ: როგორიცაა ოპერაციის რაოდენობა, ვალუტა და ტრანზაქციების მთლიანი თანხა ფაილში. ამისათვის არის ორი ღილაკი: ნახვის (VIEW) და OK. პირველზე ხელის დაჭერით შეგიძლიათ ნახოთ საწყისი ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს ფაილი. თუ საწყისი მონაცემების დათვალიერება არ არის საჭირო, მაშინ OK-ს ღილაკზე ხელის დაჭერით შესაძლებელია ფაილის ტრანსფერი და იმპორტი სამუშაო ადგილში. თუ ოპერატორი აირჩევს ნახვის (VIEW) ოფციას, მაშინ ამავე გვერდზე თქვენ ნახავთ OK-ს ღილაკს, რისი საშუალებითაც თქვენ შეგიძლიათ ტრანსფერის ინიციაცია, თუ ამას საჭიროდ ჩათვლით. ოპერაციის გაუქმების CANCEL OPERATION ოფციაზე ხელის დაჭერით შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გააუქმოთ ოპერაცია, ანუ დატოვოთ ხისტ დისკზე.

იმპორტის ფუნქცია ასრულებს ვალიდაციას (validation) და/ან DBF ფაილის რეფორმატირებას (reformatting). თუ ტრანზაქციების იმპორტისათვის კონკრეტული ბანკი საჭიროდ ჩათვლის, რომ სურს ტრანზაქციის დამტკიცება, მაშინ S.W.I.F.T.-ის ოპერაციები ფაილის

სახით გაიგზავნება ოპერაცია/დამტკიცების ფუნქციაში. დამტკიცების შემდეგ ფაილს ექნება გამზადებულის სტატუსი და შეიძლება გაიგზავნოს საქართველოს ეროვნულ ბანკში ელექტრონულად ან დისკზე.

ფაილების ექსპორტი ადგილობრივად (შიდა სისტემებში)



საქართველოს ერვნული ბანკიდან მიღებული გზავნილები"გაიხსნება", როგორც ოპერაცია და მოთავსდება მიღებულის (RECEIVED) სტატუსში. ეს ოპერაციები უნდა შეგროვდეს ფაილად და მოხდეს მათი ექსპორტი, რათა დამუშავდეს ბანკის გარე სისტემების მიერ. ეს ხდება ფაილი/ექსპორტი (FILE/EXPORT) ფუნქციის გამოყენებით.

ფაილი/ექსპორტი (FILE/EXPORT) ფუნქციას აქვს ორი ოფცია: პირველი ოფცია გამოიყენება მიღებულის (RECEIVED) სტატუსიდან ფაილების ექსპორტისათვის. მეორე ოფცია გამოიყენება უკვე ექსპორტირებული ფაილის ხელმეორედ ექსპორტისათვის.

პირველ უჯრაში წარმოდგენილია მომხმარებლის ინსტრუქცია: "გთხოვთ აირჩიოთ ექსპორტის ფორმატი". ჩამონაშალ სიაში ორი ოფციაა: DBF და SWIFT. დააყენეთ ფორმატი ისე, რომ გამოიყენოთ ექსპორტ ფაილის შესაქმნელად. დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. გამოჩ-

ნდება იმ ოპერაციების სია, რომლებიც ამჟამად მიღებულის (Received) სტატუსში იმყოფებიან. ექსპორტის დაუყოვნებლად ინიციაციის მიზნით დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს, რომელიც ეკრანის ბოლოშია. თუ გვსურს ჯერ ოპერაციის ნახვა, დააჭირეთ ხელი დირექტორიის პიქტოგრამას, რომელიც იმ ხაზის ბოლოშია, რომელზეც ოპერაცია გამოჩნდება. შემდეგ, თუ არის საექსპორტო ოპერაცია, დააჭირეთ ხელი უკან დასაბრუნებელ ღილაკს, რათა დაბრუნდეთ სიის გვერდზე და დააჭირეთ ხელი OK -ს ღილაკს.


მეორე უჯრა მოითხოვს "ფაილს". უკვე ექსპორტირებული ამ დღის ან წინა დღის ფაილების დასათვალიერებლად გამოიყენეთ ფაილი/სია ფუნქცია. საჭიროა იმ ფაილის ზუსტი სახელის იდენტიფიკაცია, რომლის ექსპორტიც ხელმეორედ ხდება და ფაილი/ექსპორტი (FILE/EXPORT) ოფციაში დაბრუნება. შეიტანეთ ფაილის სახელი ტექსტურ უჯრაში, რომელიც ეკრანის ბოლოშია და დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. ამით მოხდება ხელმეორედ ექსპორტის ინიციაცია (წამოწყება).

ექსპორტის ფუნქცია შეასრულებს ნებისმიერ აუცილებელ ხელახალ დაფორმატებას და ფაილი გაიგზავნება დირექტორიაში, რომელიც ინსტალაციისას დააყენეს.

8. გზავნილების გაგზავნა

თუ ეს კონკრეტული ბანკი მუდმივად არის ჩართული რდას სისტემაში, მაშინ გამზადებულის (READY) სტატუსში მყოფი ოპერაციები მაშინვე გაიგზავნება რდას სისტემაში. თუ ბანკი არ არის მუდმივად ჩართული რდას სისტემაში, მაშინ აუცილებელია რიგში მყოფი ოპერაციების გზავნილში შეკრება და მათი სატელეკომუნიკაციო ხაზებით გაგზავნა. ამისათვის არსებობს გზავნილი/გაგზავნა (PARCEL/SEND) ფუნქცია.

პირველად აუცილებელია რდას სისტემასთან კავშირის დამყარება. რდას სისტემასთან დაკავშირების ინსტრუქციები შემდეგ თავშია მოცემული.



გზავნილი/გაგზავნა (PARCEL/SEND) ფუნქციას ორი ოფცია აქვს. პირველი ოფცია გამოიყენება გამზადებულის (Ready) სტატუსიდან ოპერაციების გასაგზავნად. მეორე ოფცია გამოიყენება უკვე გაგზავნილი გზავნილების ხელმეორედ გასაგზავნად

ახალი გზავნილის შესაქმნელად დააჭირეთ ხელი OK-ს, რომელიც Next (შემდეგი) მოწვევის შემდეგაა. გამოჩნდება ის ოპერაციები, რომლებიც ამჟამად გამზადებულის (READY) სტატუსშია. იმისათვის, რომ მაშინვე წამოიწყოთ გაგზავნა, დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს, რომელიც ეკრანის ბოლოშია. თუ გესურს, რომ ჯერ ოპერაციები დავათვალიეროთ, დააჭირეთ ხელი დირექტორიის პიქტოგრამას, რომელიც იმ ხაზის ბოლოშია, რომელზეც ოპერაცია ჩანს. თუ ეს გასაგზავნი ოპერაციებია, დააჭირეთ ხელი უკან დასაბრუნებელ ისარს, რათა დაბრუნდეთ ჩამონათვალი სიის გვერდზე და დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს.

ტექსტური უჯრის მეორე ხაზი გამოიყენება ისეთი ინფორმაციის შესატანად. რომლის საშუალებით შესაძლებელია ადრე გაგზავნილი გზავნილის იდენტიფიკაცია ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი ხელმეორედ გაგზავნა. ნებისმიერი იმ დღეს, ან წინა დღეებში გაგზავნილი


გზავნილის სანახავად გამოიყენეთ გზავნილი/სია (PARCEL/LIST) ფუნქცია. ამის შემდეგ საჭიროა ხელმეორედ გასაგზავნი გზავნილის სახელის ზუსტად იდენტიფიკაცია და გზავნილი/გაგზავნა (PARCEL/SEND) ოფციაში დაბრუნება. შეიტანეთ ოთხ-ციფრიანი სესიის ნომერი (რომელიც PS მახასიათებლების შემდეგ გამოჩნდება გზავნილის იდენტიფიკატორში) სესიის უჯრაში (Session box). წინა დღეების ოპერაციებისათვის შეიტანეთ თარიღი From (საიდან) უჯრაში, ან დატოვეთ TODAY (დღეს) პოზიციაში, რომელიც გაჩუმებით არის დაყენებული და დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. ამით წამოიწყებთ მითითებული გზავნილის ხელმეორედ გაგზავნის პროცესს.

9. გზავნილების მიღება

კონკრეტული ბანკისათვის გამიზნული რდას სისტემის შეტყობინების მარშრუტიზატორით მიღებული ოპერაციები გადაცემის მოლოდინში მოთავსდება რიგში. ეს ოპერაციები დარჩება რდას სისტემაში მანამ, სანამ ამ ბანკში მოთავსებული სამუშაო ადგილები წამოიწყებენ გადარიცხვას (ტრანსფერს). გადარიცხვა (ტრანსფერი) შეიძლება შესრულდეს ავტომატურად, ან ხელით. ამის წესები განსხვავებული იქნება სხვადასხვა ბანკისათვის.

თუ ბანკს მუდმივი კავშირი აქვს რდას სისტემასთან, მაშინ სისტემა პერიოდულად შეკრებს რიგში ჩამდგარ ოპერაციებს. თუ ბანკებს არა აქვთ მუდმივი კავშირი რდას სისტემასთან, მაშინ აუცილებელია გზავნილების შექმნისა და გადაცემის ხელით წამოწყება. ამისათვის არსებობს გზავნილი/მიღების (PARCEL/RECEIVE) ფუნქცია და ის პერიოდულად უნდა გამოვიყენოთ დღის განმავლობაში.


მიღების (Receive) წამოსაწყებად თავდაპირველად აუცილებელია რდას სისტემასთან კავშირის დამყარება



რდას შეტყობინების მარშრუტიზატორიდან სამუშაო ადგილში გზავნილების გაგზავნის წამოსაწყებად დააჭირეთ ხელი გზავნილი/მიღება (PARCEL/RECEIVE) ფუნქციას, შემდეგ დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს, რომელიც მიღების (Receive) მოწვევის (პრომპტის) შემდეგაა. ეკრანზე გამოჩნდება ყველა იმ გზავნილის სია, რომელიც შეტყობინების მარშრუტიზატორშია და ელოდება სამუშაო ადგილში გადაცემას. გადაცემის წამოსაწყებად დააჭირეთ ხელი OK ღილაკს, რომელიც სასურველი გზავნილის შემდეგაა. იმისათვის, რომ გადაცემის წამოწყებამდე ჯერ დაათვალიეროთ ოპერაციები, დააჭირეთ ხელი ნახვის (View) პიქტოგრამას, რომელიც სასურველი გზავნილის შემდეგაა. ამით ეკრანზე გამოჩნდება ამ გზავნილის ყველა ოპერაცია. შეამოწმეთ ინფორმაცია და შემდეგ, გადაცემის წამოსაწყებად დაბრუნდით წინა გვერდზე

10. ინფორმაცია მიმდინარე ანგარიშზე

შეტყობინების მარშრუტიზატორთან დაკავშირების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება მენიუს ახალი ოფციები. მომხმარებლის წვდომის შესაბამისად განსხვავებული იქნება ეს ოფციებიც.




შეტყობინების მარშრუტიზატორის მეშვეობით შესაძლებელია ანგარიშზე ინფორმაციის წვდომა რეალურ დროში, ეს არის ინფორმაცია შემავალი ნაშთების, დებეტების, კრედიტების, მიმდინარე ბალანსის და რდას სისტემაში ბანკის ანგარიშზე რიგში მდგომი დებეტებისა და კრედიტების შესახებ.

იმისათვის, რომ რეალურ დროში ნახოთ ბალანსები ბანკის იმ ანგარიშზე, რომელიც რდას სისტემაშია, დააჭირეთ ხელი ბანკი/ანგარიში (BANK/ACCOUNT) ფუნქციას. ოფცია **Show**-ს (ჩვენება) აქვს ჩამონაშალი სია ორი არჩევანით: ბრუნვები (Activity) და ამონაწერი (Statement). დააყენეთ ჩამონაშალი სია ბრუნვაზე (Activity) და დააჭირეთ ხელი OK-ს ღილაკს. ეკრანზე გამოჩნდება შემაჯამებელი ჩამონათვალი (summary listing), რომელშიც ჩამოთვლილი იქნება ანგარიშის მიმდინარე სტატუსი. გამოჩნდება შემავალი ნაშთი (Opening Balance), დებეტებისა და კრედიტების ჯამი რაოდენობისა და თანხის მიხედვით და მიმდინარე ნაშთი. ეკრანზე აგრეთვე ჩანს რიგში მყოფი ოპერაციების (ჩანაწერების) მთლიანი ჯამი.

რიგში მდგომი ცალკეული ოპერაციის(ჩანაწერის) შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის სანახავად დაუბრუნდით მენიუს და გამოიყენეთ კონტროლის (**Control**) ოფცია. ცალკეული დებეტებსა და

კრედიტებზე ამონაწერის სანახავად, რომელშიც ნაჩვენები იქნება დღის განმავლობაში ანგარიშზე გატარებული ყოველი დებეტი და კრედიტი, დაუბრუნდით მენიუს და დააყენეთ ჩვენება (**Show**) ჩამონაშალი სია ამონაწერზე (Statement).

ანგარიშზე დღის ბრუნვების დათვალიერება (Account Activity)



ამისათვის დააყენეთ ჩვენება (**Show**) ჩამონაშალი სია ანგარიშის ოფციაში ამონაწერზე (Statement). გამოჩნდება ანგარიშის ეკრანის მსგავსი ეკრანი. იმ განსხვავებით, რომ ჩამოთვლილი იქნება ყველა დამუშავებული და დასრულებული ცალკეული დებეტ და კრედიტ ჩანაწერები და ნაჩვენები იქნება დებეტ და კრედიტ თანხები და საცნობარო ინფორმაცია. პრინტერის პიქტოგრამაზე ხელის დაჭერით, რომელიც ბრაუზერზეა ეკრანის თავში, თქვენ პრინტერზე ამოიბეჭდება ამონაწერი


ავტომატიზებული საბანკო სისტემა B@ANK 2000" (მომხმარებლის ინსტრუქცია)

"B@ANK 2000" სისტემა და მომხმარებლის ინსტრუქცია შექმნილია კომპანია „ალტა სოფტის მიერ"

1. პროგრამაში შესვლა


პროგრამის 'ბანკი – 2000' ყოველ მომხმარებელს პროგრამაში შესასვლელად თავისი უნიკალური სახელი და პაროლი გააჩნია, რომელსაც აწვესებს სისტემის ადმინისტრატორი.

პროგრამაში შესვლისას გამოვა დიალოგური ფანჯარა:



ველში 'სახელი' შეიტანეთ თქვენი სახელი, რა სახელითაც ხართ დარეგისტრირებული, როგორც პროგრამის მომხმარებელი. ველში 'პაროლი' შეიყვანეთ პროგრამაში შესასვლელი პაროლი. ველში 'ფილიალი' ირჩევთ ფილიალს. პაროლი შეიძლება გადამოწმდეს (თუ


ამას ბანკი მოითხოვს) DigiPass-ით, ამ შემთხვევაში პაროლი შეყვანისას ჩანს



დააჭირეთ **Ctrl+Enter** კლავიშს ან **OK** ღილაკს.

2. პროგრამის მენიუ


პროგრამის 'ბანკი - 2000' ძირითადი ფანჯარა შემდეგნაირად გამოიყურება:



პროგრამის ძირითადი მენიუს ელემენტებია: ფაილი, მონაცემები, საბუთები, ცნობარები, ანგარიშგება, ფანჯარა, დახმარება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

2.1 ფაილი



ძირითადი მენიუს ფაილი ელემენტებია: *ბეჭდვა, ბეჭდვის წინასწარი ნახვა, დიზაინი, ბეჭდვის კონფიგურაცია..., კონფიგურაცია..., კლავიატურის კონფიგურაცია..., გამოსვლა*

2.1.1 ბეჭდვა

ამ მენიუს გამოყენებით ხდება ყველა გამომავალი ფორმის თუ საბუთის ბეჭდვა საჭირო რაოდენობითა და ფორმით. ბეჭდვის ქვემენიუ იცვლება იმისდამიხედვით თუ რომელი ფანჯარა გვაქვთ გამოძახებული. მაგ. თუ გახსნილია ფანჯარა *სალაროს გასავლის ორდერები*, ბეჭდვის ქვემენიუთ გამოდის სიის ბეჭდვა და სალაროს გასავლის ორდერი.


2.1.2 ბეჭდვის წინასწარ ნახვა

მენიუს ამ განყოფილებაში შესაძლებელია გამომავალი ფორმის ეკრანზე ნახვა წინასწარ, დაბეჭდვამდე.

ამ მენიუს ელემენტები ანალოგიურია მენიუს ბეჭდვა ელემენტებისა.


2.1.3. დიზაინი

მენიუს ამ განყოფილებაში შეგიძლიათ შექმნათ ახალი საბეჭდი ფორმა Wizard-ის დახმარებით, ან შეცვალოთ არსებული ფორმის დიზაინი.




2.1.4. ბეჭდის კონფიგურაცია

მენიუს ამ განყოფილებაში მიეთითება მოწყობილობა და პარამეტრები, სადაც ხდება ეკრანზე მიღებული დოკუმენტების ამობეჭდვა.




2.1.5 კონფიგურაცია



მენიუს განყოფილებაში *კონფიგურაცია* მიეთითება პროგრამაში გამოყენებული შრიფტები და ქსელური ვერსიის შემთხვევაში სერვერის მისამართი.

2.1.6 კლავიატურის კონფიგურაცია




ამ განყოფილებაში ხდება კლავიატურაზე მომხმარებლისათვის სასურველი ასოთა განლაგების დაყენება, მენიუს სხვადახვა განყოფილებებზე სწრაფი გადასვლის კლავიშების ("ცხელი კლავიში") მითითება.

2.1.7 გამოსვლა

პროგრამასთან მუშაობის დასრულება, პროგრამის დახურვა ხდება მენიუს განყოფილებიდან *გამოსვლა*. პროგრამიდან გამოსვლა შესაძლებელია, აგრეთვე, **'Alt+F4'** კლავიშთა კომბინაციის გამოყენებით.


2.2 მონაცემები



ძირითადი მენიუს განყოფილებში მონაცემები თავმოყრილია ყველა ის სერვისული შესაძლებლობები, რის საშუალებასაც გვაძლევს პროგრამა მასში მუშაობისას: ფილტრი სერვერზე, ძებნა, ფილტრის დაყენება, სორტირება, ნახვა, რედაქტირება, ახალი საბუთის დამატება, წაშლა, სტატისტიკა, ინფორმაცია ჩანაწერზე, ჩანაწერების მონიშვნა და შესრულებული საბუთების ავტორიზაცია, ეკრანზე არსებული ინფორმაციის ექსპორტი, გადატანა MS Excel ელექტრონულ ცხრილებ-


ში, მონაცემების განახლება. მენიუს განყოფილებები აქტიურდება იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებებით სარგებლობს პროგრამის მომხმარებელი და რომელი ფანჯარაა აქტიური.

2.3 მთავარი




ძირითადი მენიუს განყოფილებში მთავარი თავმოყრილია კლიენტების ცენტრი, ბანკის კლიენტები, პირადი ანგარიშები, ჩრდილები, ანაბრები, ბანკის არაკლიენტთა ცნობარი.

2.4 საბუთები




ძირითადი მენიუს ამ განყოფილებაში შეგიძლიათ როგორც ნახოთ, ასევე დაამატოთ ყველა ტიპის საბუთი.

2.5 ცნობარები




ამ განყოფილებაში თავმოყრილია ცნობარები საქართველოს და საერთაშორისო ბანკების, ასევე ვალუტების კურსების, საჩეკო წიგნაკების, პლასტიკური ბარათების.

2.6 ანგარიშგება




მენიუს ამ განყოფილებაში არის ბალანსები, ოპერაციონისტის ანგარიშგება, მოლარის ანგარიშგება, სალაროს ანგარიშგება.

2.7 ფანჯარა




ძირითადი მენიუს ამ განყოფილებაში ხდება ფანჯრების განლაგების მოწესრიგება.

2.7.1 კასკადი




ფანჯრები განლაგდება კასკადურად, ერთმანეთზე ზედდებით.

2.7.2 მოზაიკა (ჰორიზონტალური)




2.7.3 მოზაიკა (ვერტიკალური)




2.7.4 იკონების მოწესრიგება

თუ გახსნილი გაქვთ რამოდენიმე ფორმა და მათი მინიმიზაცია არის ეკრანზე არული




იკონების მოწესრიგებით ისინი განლაგდებიან ეკრანის მარცხენა ქვედა კიდეში



2.7.5 მინიმიზაცია

ამ დროს ყველა ფანჯარა მინიმიზირდება




2.7.6 დახურვა

იხურება გააქტიურებული ფანჯარა.

2.7.7 ყველას დახურვა

იხურება ყველა გახსნილი ფანჯარა.

2.8 დახმარება




2.8.1 დახმარება

2.8.2 ონლაინ დახმარება

2.8.3 პაროლის შეცვლა

პაროლის შეცვლის ფანჯარას აქვს სტანდარტული სახე




ჯერ შეგყავთ ძველი პაროლი და შემდეგ ახალი, რომელსაც იმეორებთ.

2.8.4 მონაცემების განახლება


მოაქვს ბანკის ოპერაციული დღე.

2.8.5 გასაკეთებელი საქმეები

თქვენს ან თქვენს თანამშრომელთა მიერ გასაკეთებელი საქმეები შეგიძლიათ შეიტანოთ ე.წ. „ბლოკნოტში", რომელიც წარმოადგენს ერთგვარ „მოკარნახეს" და შეგახსენებთ მათ შესახებ საჭირო დროისათვის.



დამატება ხდება პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით, ან F7 ღილაკზე თითის დაჭერით



შეიტანეთ ველში **'როდის?'** გასაკეთებელი საქმის სავარაუდო შესრულების თარიღი და დრო (გაჩუმებით წერია მიმდინარე თარიღი და დრო).


ველში **'ვინ?'** ამოარჩიეთ პროგრამის მოხმარებელი, ვისაც დაავალეთ აღნიშნული საქმის შესრულება.

ველი **'რა?'** შეავსეთ შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერით.

ველი **'დავალების მომცემი'** ავტომატურად შევსებულია შესასრულებელი სამუშაოს შემდგენელი პროგრამის მომხმარებლის სახელით.


გასაკეთებელი საქმის სიაში დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს **'OK'** ან ღილაკს **'Next'** მომდევნო დავალების შესადგენად.

შესასრულებელი სამუშაოს დროის მოსვლისთანავე პროგრამაში თქვენს *სამუშაო მაგიდაზე* გაიხსნება ფანჯარა, რომელიც შეგატყობინებთ არსებული დავალების შესახებ.




გასაკეთებელი საქმეების სიაში უკვე შესრულებული საქმეები ან რომელთა შესრულების ვადა ამოიწურა წითლადაა შეფერადებული, ხოლო იმ დღეს გასაკეთებელი საქმეები, რომელთა ვადა ამოწურული ჯერ არ არის შეფერადებულია ყვითლად.

2.8.6 კალკულატორი



Bank2000-ის კალკულატორი შედგება სტანდარტული, სადაც ტექსტურად ინახება ინფორმაცია კალკულატორზე შესრულებული ოპერაციების.

2.8.7 ევრო კალკულატორი



ეს კალკულატორი საშულებას გაძლევთ გაიგოთ ევროს კურსი სხვა ევროპის ვალუტასთან მიმართებაში.


2.8.8 ეკრანის შემნახველი

ეკრანი გადადის დასვენების რეჟიმში.


2.8.9 მუშა პანელი

ეკრანზე შესაძლებელია *სტანდარტულ პანელთან* ერთად (პროგრამის მენიუ) გამოიტანოთ *მუშა პანელი*, რომელსაც კონფი-


გურაციას თქვენი სურვილის მიხედვით გაუკეთებთ. მაგალითად, *მუშა პანელი* შეგიძლიათ გამოიტანოთ *ბანკის კლინტები, ანგარიშები* და ა.შ.




მუშა პანელის კონციგურაციის და მდებარეობის (ზემოთ (Top), მარცხნივ (Left), მარჯვნივ (Right) და ქვემოთ (Bottom)) განსაზღვრისთვის, იმოქმედეთ მასზე მაუსის მარჯვენა ღილაკით.



კონფიგურაციის აწყობა ხდება ფანჯრიდან




2.8.10 პროგრამის შესახებ



აქ აღწერილია ვერსია, პროგრამული ენა და Bank2000–ის ავტორი AltaSoftware-ის უფლებები და საკონტაქტო ინფორმაცია.


3. ბანკის კლინტები

განყოფილებაში *ბანკის კლიენტები* ხდება ბანკის - იურიდიული და კერძო პირების დამატება, შეცვალა, წაშლა და ა.შ. ყველა ის მოქმედება რაც შესაძლებელია კლიენტებზე.



ბანკის კლინეტის ფანჯრის გამოძახება ხდება როგორც მენიუდან ასევე "ცხელი" კლავიშის **'Shift+F11'** გამოყენებით.

თავდაპირველად იხსნება *კლინტების ფილტრის* ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ განსაზღვრული ნიშნით ამოარჩიოთ კლიენტები. პირველი ჩანართია 'ძირითადი'



ველში 'კლიენტის #' კლინტის ნომერის მითითების შემთხვევაში გამოჩნდება მხოლოდ ამ ნომრის მფლობელი კლიენტი, რომლებზეც გაქვთ უფლება.

ველის 'სრული მონაცემით' მოჩიტვის შემთხვევაში გამოჩნდება მხოლოდ ის კლიენტები, რომელთა აუცილებელი მონაცემებიც შეტანილია და რომლებზეც გაქვთ უფლება, მოჩიტვის მოხსნის შემთხვევაში კი გამოჩნდება კლიენტები რომლებსაც არ აქვთ დასრულებული მონაცემები და რომლებზეც გაქვთ უფლება. ყველა კლიენტის გამოსაჩენად, რომლებზეც გაქვთ უფლება, კი საჭიროა ველის 'სრული მონაცემით' განაცრისფერება.


ველში 'დასახელება' დასახელების მითითების შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ამ დასახელების მქონე კლიენტები, თუ გაქვთ უფლება.

ველში 'პირადი/პასპორტის ნომერი' კლიენტის პირადი ნომრის მითითებით გამოჩნდება კონკრეტული კლიენტი, თუ გაქვთ მასზე უფლება.

ველში 'საიდენტიფიკაციო ნომერი' კლიენტის საგადასახადო ინსპექციის კოდის მითითების შემთხვევაში გამოჩნდება ამ კოდის მფლობელი კლიენტი, თუ გაქვთ მასზე უფლება.


კლიენტების სიის გამოტანა შესაძლებელია მათი ტიპების მიხედვით. 'ნებისმიერი' მონიშვნის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება ყველა კლიენტი, რომლებზეც გაქვთ უფლება. 'ფიზიკური პირი' მონიშვნის შემთხვევაში ყველა ფიზიკური პირი, რომლებზეც გაქვთ უფლება, 'სახელმწიფო ინსტიტუტი' მონიშვნის შემთხვევაში ამ ბანკის კლიენტი ყველა სახელმწიფო დაწესებულება, რომლებზეც გაქვთ უფლება, 'იურიდიული პირი (სახელმწიფო კონტროს დაქვემდებარებული საწარმო)' მონიშვნის შემთხვევაში ამ ბანკის კლიენტი ყველა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო, რომლებზეც გაქვთ უფლება, 'იურიდიული პირი (დანარჩენი)' მონიშვნის შემთხვევაში ყველა დანარჩენი იურიდიული პირი, რომლებზეც გაქვთ უფლება, 'ბანკი' მონიშვნის შემთხვევაში ყველა სხვა ბანკი, რომლებიც არიან ამ ბანკის კლიენტები და რომლებზეც გაქვთ უფლება.

ველში 'ფილიალი/განყოფილება' კლიენტის ფილიალის მითითების შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ამ ფილიალის კლიენტები, რომლებზეც გაქვთ უფლება



ხოლო ამ განყოფილების კლიენტების გამოსატანად საჭიროა გვერდით მოვჩიტოთ. ნებისმიერი ფილიალის და განყოფილებების კლიენტების გამოსატანად, რომლებზეც გაქვთ უფლება საჭიროა დააჭიროთ C ! ღილაკს.


კლიენტების გამოტანა ასევე შესაძლებელია მათი სტატუსუს მიხედვით. 'ნებისმიერი' მონიშვნის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება ყველა კლიენტი, რომლებზეც გაქვთ უფლება, 'გახსნილი' მონიშვნის შემთხვევაში ყველა გახსნილი სტატუსის მქონე კლიენტი, რომლებზეც გაქვთ უფლება, 'დახურული' მონიშვნის შემთხვევაში ყველა დახურული სტატუსის მქონე კლიენტი, რომლებზეც გაქვთ უფლება, 'გაუქმებული' მონიშვნის შემთხვევაში ყველა გაუქნებული სტატუსის მქონე კლიენტი, რომლებზეც გაქვთ უფლება.



ველში 'მაქს. რაოდენობა' გაჩუმებით წერია 100 (ამ რიცხვს ბანკი აკონფიგურირებს თვითონ) (შეგიძლით თვითონ მიუთითოთ სასურველი რაოდენობა) და სიაშიც გამოჩნდება პირველი 100 ჩანაწერი, რომლებზეც გაქვთ უფლება. -1 ჩაწერის შემთხვევაში კი გამოჩნდება ყველა ჩანაწერი, რომლებზეც გაქვთ უფლება.

მეორე ჩანართია 'სხვა'

ბანკის კლიენტების მოძებნა შესაძლებელია 'რეზიდენტის', 'ინსაიდერის', 'თანამშრომელის' და სხვ. ველების მიხედვით.



ველის 'რეზიდენტი' (საქართველოს მოქალაქე) მოჩიტვის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ რეზიდენტი კლიენტები, რომლებზეც გაქვთ უფლება. არა რეზიდენტი (სხვა ქვეყნის მოქალაქე) კლიენტების გამოსატანად, საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'ინსაიდერი' (ორგანიზაციის დამფუძნებელი) მოჩიტვის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ინსაიდერი კლიენტები, რომლებზეც გაქვთ უფლება. არა ინსაიდერი კლიენტების გამოსატანად საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'თანამშრემელი' (ბანკის თანამშრომელი) მოჩიტვის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ თანამშრემლები, რომლებზეც გაქვთ უფლება. ბანკის არა თანამშრემლების გამოსატანად საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'კონტროლზეა' მოჩიტვის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ის კლიენტები, რომლებიც კონტროლზეა და რომლებზეც გაქვთ უფლება. იმ კლიენტების გამოსატანად, რომლებიც კონტროლზე არ არიან საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'შავ სიაშია' მოჩიტვის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ის კლიენტები, რომლებიც შავ სიაშია და რომლებზეც გაქვთ უფლება. იმ კლიენტების გამოსატანად, რომლებიც შავ სიაში არ არიან საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'ბანკის კლიენტი' მონიშვნის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება ბანკის კლიენტები, რომლებზეც გაქვთ უფლება. მსესხებელის, მეანაბრის, დამგირავებელის და სეიფის გამოსატანად საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'მსესხებელი' მონიშვნის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ის კლიენტები, რომლებსაც სესხი აქვთ აღებული და რომლებზეც გაქვთ უფლება. იმ კლიენტების გამოსატანად, რომლებსაც სესხი არა აქვთ აღებული საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'მეანაბრე' მონიშვნის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ის კლიენტები, რომლებსაც ანაბარი აქვთ შეტანილი და რომლებზეც გაქვთ უფლება. იმ კლიენტების გამოსატანად, რომლებსაც ანაბარი არა აქვთ შეტანილი ანაბარი, საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპს კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.


ველის 'დამგირავებელი' მონიშვნის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ის კლიენტები, რომლებსაც გირაო აქვთ ჩადებული და რომლებზეც გაქვთ უფლება. იმ კლიენტების გამოსატანად, რომლებსაც გირაო არა აქვთ ჩადებული საჭიროა განჩი-

ტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'სეიფი' მონიშვნის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ის კლიენტები, რომლებიც იყენებენ სეიფს და რომლებზეც გაქვთ უფლება. იმ კლიენტების გამოსატანად, რომლებიც არ იყენებენ სეიფს საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველის 'სატელეფ. მომსახურ.' მონიშვნის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ის კლიენტები, რომლებსაც აქვთ ტელეფონით ოპერაციების ჩატარების უფლება და რომლებზეც გაქვთ უფლება. იმ კლიენტების გამოსატანად, რომლებსაც არა აქვთ ტელეფონით ოპერაციების ჩატარების უფლება საჭიროა განჩიტოთ ამ ველის გასწვრივ არსებული უჯრა. ორივე ტიპის კლიენტების გამოსატანად საჭიროა მოჩიტვა იყოს ნაცრისფერი.

ველში 'კლასიფიკატორი', კლასიფიკატორის ამორჩევა ხდება პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით, გამოდის ფანჯარა *კლასიფიკატორი*




და ირჩევთ კლასიფიკატორს. კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ამ კლასიფიკატორის მქონე კლიენტები, რომლებზეც გაქვთ უფლება. ნებისმიერი კლასიფიკატორის მქონე კლიენტების გამოსატანად საჭიროა დააჭიროთ  ღილაკს.

ველში 'ატრიბუტი' კლიენტის ატრიბუტის არჩევის და ველში 'მნიშვნელობა' მისი მნიშვნელობის მითითების შემთხვევაში კლიენ-


ტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ არჩეული ატრიბუტისა და მისი შესაბამისი მნიშვნელობის მქონე კლიენტები, რომლებზეც გაქვთ უფლება. მნიშვნელობის არ მითითების შემთხვევაში, გამოვა ყველა კლიენტი რომელსაც აქვს ამორჩეული ატრიბუტი. ნებისმიერი ატრიბუტის მქონე კლიენტების გამოსატანად საჭიროა ველი იყოს ცარიელი.

ველში 'იურ. კლიენტის სეგმენტი' იურიდიული კლიენტის სეგმენტის არჩევის შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ ამ სეგმენტის მქონე იურიდიულ კლიენტები, რომლებზეც გაქვთ უფლება.

ველში 'რეგისტრაციის თარიღი' საწყისი და საბოლოო თარიღის მითითების შემთხვევაში კლიენტების სიაში გამოჩნდება მხოლოდ მითითებულ შუალედში დარეგისტრირებული კლიენტები. ნებისმიერ თარიღში დარეგისტრირებული კლიენტების გამოსატანად საჭიროა ველებში ეწეროს '//' ან დააჭიროთ C ღილაკს.




მესამე ჩანართია 'შენახული'




ამ განყოფილებაში ინახება წინასწარ განსაზღვრული ფილტრები, ან შეგვიძლია შევინახოთ. შენახული ფილტრის გამოყენება ხდება (მაგ.: 'ფილტრი1') მასზე 'თაგვის' მოქმედებით, თუ მონიშნულია 'საკუთარი' მხოლოდ საკუთარი შენახული ფილტრები გამოდის, ხოლო თუ მონიშნავთ ველს 'საერთო' გამოვა სხვა მომხმარებლების მიერ შენახული ფილტრები საერთო მოხმარებისთვის. შენახული ფილტრის გამოსაძახებლად უნდა გააქტიურდეს ფილტრის სახელი და დააჭიროთ 'OK', კლიენტები დაიფილტრება იმ მონაცემებით რა მონაცემებითაც იყო შენახული ფილტრი.

შენახვა (შეინახება მიმდინარე ფილტრის ყველა მონაცემები) ხდება



სახელის დარქმევით და  პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით. ასევე, თუ მონიშნავთ 'საკუთარი' შეინახება საკუთარად, ხოლო თუ მონიშნავთ ველს 'საერთო' მაშინ შენახულ ფილტრს სხვა მომხმარებელიც დაინახავს. ფილტრის წასაშლელად საჭიროა გააქტიურდეს ფილტრის სახელი და დააჭიროთ  ღილაკს 'OK' ღილაკზე 'თაგვის' მოქმედებით გამოვა ბანკის კლიენტების სია, რომლებზეც გაქვთ უფლება.



	1194	დავით ჯიჯოძე	DAVID JIJODZE
HEAD	1200	ასლა ღაძაძე	345345
	1221	გიგლა მაღრაძე	Gugula Maghradze
	1242	შპს "ჯორჯიან გლას ენდ მინერალ ვოთერს კომპანი	GEORGIAN GLASS AND MINERAL WATER Co. N.V. LTD
HEAD	1250	ბადრი ჯაფარიძე	Badri Japaridze Djaparidze
	1290	Tatiana Kostanets	Tatiana Kostanets
	1292	კახა ნაფიჩვილი	Kakha Napichvili
	1337	მარიამ მგელიშვილი-ხუციშვილი	MARIAM MEGVINETURKHUTSESI
	1379	ლევან ბაღდავაძე ვიპ კლიენტი	LEVAN BAGDAVADZE
	1406	bob meuer ვიპ კლიენტი	BOB MEUER
	1462	JACQUES MARIE FLEURY ვიპ კლიენტი	JACQUES MARIE FLEURY
	1474	"ადატერი"	
	1482	იბრაჰიმ თოფალი	Ibrahim Topal
	1492	დავით ლორდკიფანიძე	DAVID LORDKIPANIDZE
	1520	შპს "გეოპლანტი"	"GEOPLANT" LTD
	1543	"საქართველოს შოტოკან კარატე-დო ფედერაცია"	GEORGIAN SHOTOGUN KARATE-DO FEDERATION
	1615	მაინე ნებერიძე	Maine Neberidze
	1659	მანანა ყაზახიშვილი	Manana Kazakishvili
	1673	დავით ხუროძე ვიპ კლიენტი	David Khutodze
	1829	გრიგოლ კაკაძე	Grigol Kakhadze
	2676	ქორა ქუთელია	
	2711	[illegible]	
	2748	MICHAEL FRANK SCHMIDT	MICHAEL FRANK SCHMIDT
	2761	"სნს ქართული კომპანია"	GEORGIAN INTERNATIONAL OIL CORPORATION TRADING
	2773	ქეთევან გიგოშვილი	
	2850	დავით ჟვანია ჟვანია	DAVIT ZHVANIA ZHVANIA
	2938	"ამ ასამართლის ეროვნული კომიტეტი"	HELSINKI CITIZENS ASSEMBLY GEORGIAN NATIONAL COM

1/100 0

ეკრანზე წარმოდგენილია ფილიალები (სადაც დარეგისტრირებულია კლიენტი), კლიენტის #, დასახელება, დასახელება ლათინურად.

ფანჯრის ზედა პანელზე არსებული პიქტოგრამების ფუნქციების გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა ოპერაციების შესრულება.


 – პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება ძირითადი მენიუს მონაცემების ფანჯარა.

 – პიქტოგარმაზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება ძირითადი მენიუს ფაილი განყოფილების *ბეჭდვა* ფანჯარა. საბეჭდი ფორმის ამორჩევის შემდეგ დაიბეჭდება შესაბამისი ინფორმაცია.

 – პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება ძირითადი მენიუს ფაილი განყოფილების *ბეჭდვის წინასწარი ნახვა* ფანჯარა.

 – პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით ხდება მონაცემების განახლება ქსელში მუშაობისას მომხმარებლების მიერ შეტანილი ცვლილებების თქვენს ეკრანზე გამოსაჩენად.

 – პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება ძებნის ფანჯარა.




კლიენტების მოძებნა შესაძლებელია ფილიალის, კლინტის ნომრით, ფილიალის ნომრით, განყოფილების ნომრით და სხვ. ველების მიხედვით. მონიშნეთ ძებნის ველი,

რის მიხედვითაც ეძებთ კლიენტს, მიუთითეთ ძებნის სიზუსტე. ველში 'მნიშვნელობა' შეიტანეთ საძებნი მნიშვნელობა და დააჭირეთ ღილაკს 'OK'. ველი 'რეგისტრის იგნორირება' თუ მოჩიტულია,

დიდ და პატარა ასოებს მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო თუ მოჩიტული არ არის მაშინ დიდი და პატარა ასოები ერთმანეთისაგან განასხვავდება (ეს ეხება ლათინურ ასოებს). ღილაკზე 'გაფართოებული ძებნა' 'თაგვის' ზემოქმედებით იხსნება ფილტრის ფანჯარა.

 – პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება ფილტრის ფანჯარა, რისი მეშვეობითაც ასევე შესაძლებელია კლიენტების გაფილტრა სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით.




'თაგვის' საშუალებით ამოირჩიეთ ძებნის ველი (ფილიალის, კლინტის ნომრით, ფილიალის ნომრით, განყოფილების ნომრით და ა.შ.), შემდეგ მიუთითეთ შაბლონი (ტოლია, არ არის ტოლი, ნაკლებია, მეტია, შეიცავს და ა.შ.) და რედაქტირებად ველში შეიტანეთ საძებნი მნიშვნელობა და დააჭირეთ ღილაკს  'პირობის დამატება'.

შეგიძლიათ შეადგინოთ გამოსახულება ლოგიკური 'და' და 'ან' კავშირების, ასევე, '(', ')' ფრჩხილების ამოყენებით. ღილაკზე **'OK'** 'თაგვის' ზემოქმედებით ეკრანზე გამოჩნდება მხოლოდ მითითებული პირობის დამაკმაყოფილებელი ანგარიშები.

– პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით ან 'F3' "ცხელი" კლავიშით შეგიძლიათ მონიშნული ბანკის კლიენტის ნახვა.


– პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით ან 'F4' "ცხელი" კლავიშით შეგიძლიათ მონიშნული ბანკის კლიენტის რედაქტირება.

– პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით ან 'F7' "ცხელი" კლავიშით ხდება ბანკის ახალი კლიენტის დამატება.



ფანჯარა 'ბანკის კლიენტი (დამატება)' შედგება რამოდენიმე ჩანართისაგან. პირველი ჩანართი 'ძირითადი' იცვლება ველის 'ტიპი'–ს მიხედვით. ველში 'ტიპი' ირჩევთ ბანკის კლიენტის ტიპს (ფიზიკური პირი, სახელმწიფო ინსტიტუტი, იურიდიული პირი (სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო), იურიდიული პირი (დანარჩენი), ბანკი).

ველები 'ქვეტიპი' და 'ქვეტიპის ტიპი' შეიძლება შეივსოს ველის 'ტიპი'–ს სახელმწიფო ინსტიტუტი, იურიდიული პირი (სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო), იურიდიული პირი (დანარჩენი) ამორჩევის შემთხვევაში, ფიზიკური პირისა და ბანკის დროს ველები 'ქვეტიპი' და 'ქვეტიპის ტიპი' ივსება შესაბამისი ცნობარების შევსების მიხედვით.



ჯერ ავსებთ 'კომბინირებული სარკმელით' ქვეყანას, შემდეგ მის შესაბამის ქალაქს, ხოლო მესამე ველი თვითონ ივსება ქალაქის დასახელებით ლათინურად.

ველი 'რეგისტრაციის თარიღი' გაჩუმებით შევსებულია მიმდინარე დღით. მისი შეცვლაც შეგიძლიათ 'კომბინირებული სარკმლით'.

ველს 'იურიდიული მისამართი' ფიზიკური პირისთვის ავსებთ საპასპორტე მისამართს, ხოლო იურუდიული პირისთვის სადაც არის დარეგისტრირებული. ველი 'მისამართი ლათინურად' ივსება თავისით.


ველს 'ფაქტიური მისამართი' ფიზიკური პირისათვის ავსებთ საცხოვრებელ მისამართს, იურიდიული პირებისათვის ფაქტიურ მისამართს.

ველს 'ტელეფონი და საკონტაქტო პირი' ავსებთ კლინეტის ტელეფონს და საკონტაქტო პირს.

ველს 'მობილური' ავსებთ პირველი რიცხვის 8–ის გარეშე.


ველებში 'ფაქსი' და 'ელ. ფოსტა' ავსებთ კლიენტის ფაქს და ელექტრონულ ფოსტას.

თუ ველს 'დასრულებულია'




მოჩიტავთ, ყველა სავალდებულო ველების შევსება დაგჭირდებათ, დაუსრულებელს ირჩევთ იმ შემთხვევაში, როცა კლიენტს ეჩქარება დარეგისტრირება და თან არ აქვს ყველა საჭირო დოკუმენტაცია. საბოლოოდ კლიენტის ინფორმაციამ მაინც უნდა მიიღოს დასრულებული სახე.

ჩანართში 'ძირითადი' ველები 'სახელი,გვარი.მამის სახ.' იცვლება



ველებით 'დასახელება (ქართულად)', 'დასახელება (ლათინურად)'



ანუ ფიზიკური პირისთვის აესებთ პირველ სამ ტექსტურ ველს (სახელი, გავრი, მამის სახ.), ხოლო მეორე სამი ველი თავად იესება ლათინურად. იურიდიული პირებისათვის კი ველში 'დასახელება (ქართულად)' იწერება ორგანიზაციის სახელი, ხოლო მეორე ველი თავისით ივსება ლათინურად.


ფიზიკური პირისთვის ველების 'ინსაიდერი' (ორგანიზაციის დამფუძნებელი), 'რეზიდენტი' (საქართველოს მოქალაქე), 'თანამშრომელი' შესაძლებელია შევსება

ინსაიდერი ☐
რეზიდენტი ☑
თანამშრომელი ☐

იურიდიული პირებისათვის აკლდება ველი 'თანამშრომელი'


ინსაიდერი ☐
რეზიდენტი ☑

ფიზიკური პირისათვის ველი 'დაბადების თარიღი' იცვლება 'კომბინირებული სარკმლით', ასევე ხელითაც.



იურიდიული პირისათვის ველი 'დაბადების თარიღი' იცვლება ველით 'დაარსების თარიღი'.


ასევე ფიზიკური პირისათვის იცვლება ველი 'დაბადების ადგილი'.




მეორე ჩანართია 'დამ.1'

ამ ჩანართში შეგყავთ, კლიენტზე ზოგადი შენიშვა, კონტროლზე აყვანის და შავ სიაში შეყვანის მიზეზი, სტატუსი და სესხის შიდა ლიმიტის თანხა.


კონტროლზე აყვანისა და შავ სიაში შეყვანის მიზეზი ჩაიწერება  პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით, ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა



ველში 'შენიშვნის ტიპი' მონიშნავთ ტიპს (შენიშვნა, კონტროლზე აყვანა, შავ სიაში შეყვანა) და 'კომენტარში' ჩაწერთ მიზეზს (კომენტარს).



'დამ.1' ფანჯარაზე გამოჩნდება 'მართველი ბადე' რომლის ველებიც ('დამატების თარიღი', 'შეინიშვნის ტიპი', 'კომენტარი', 'დამატების ავტორი', 'დამატების ავტორის დასახელება') შევსებულია. ასევე მოინიშნება ველი 'კონტროლი' ან 'შავ სიაშია' (ან ორივე ერთად, თუ კლიენტი კონტროლზეა აყვანილი და ასევე შავ სიაშიც შეიყვანთ) და ტექსტურ ველში ჩაიწერება კომენტარი. სამუშაო პანელზე გააქტიურდება (F8) პიქტოგრამა, რომელიც საშუალებას მოგცემთ მოხსნათ შენიშვნა



მოხსნილი შენიშვნა აღარ გამოჩნდება მართველ ბადეზე, თუ გაინტერესებთ ამ კლიენზე ყველა შენიშვნის ნახვა პანელზე მოჩიტეთ ველი 'ყველა'.


ველი 'შენიშვნა' არის ზოგადი შენიშვნა კლინტზე.

ველში 'სტატუსი' ირჩევთ კლიენტის სტატუსს (გახსნილი, დახურული, გაუქმებული).


ველში 'სესხის შიდა ლიმიტის თანხა' უთითებთ თანხის რაოდენობას, რომელსაც არ უნდა გადააჭარბოს კლიენტმა სესხებს აღების შემთხვევაში.

მესამე ჩანართია 'დამ.2'. ჩანართი 'დამ.2' იცვლება იმისდა მიხედვით ფიზიკური პირისთვის იესება თუ იურიდიული პირისთვის.

ფიზიკური პირისთვის



იურიდიული პირისთვის



ველში 'კოდი' შეგყავთ საგადასახლდო ინსპექციის კოდი, ველში 'ქალაქი' – სადაც გაიარა რეგისტრაცია, ველში 'რეგ. #' – რეგისტრაციის ნომერი, 'თარიღი' – რეგისტრაციის თარიღი, ქვედა ტექსტურ ველში – რეგისტრაციის ორგანო.

ველში 'განყოფილება' შეგყავთ ბანკის ის განყოფილება (ფილიალი), სადაც ხდება კლიენტის დარეგისტრირება.

ველში 'პასუხისმგებელი' შეგყავთ ბანკის თანამშრომელი (კლიენტების მენეჯერი), რომელიც მომავალში იქნება ამ კლიენტზე პასუხისმგებელი. სიაში გამოდის მხოლოდ იმ ბანკის თანამშრომლების სია, რომელთაც აქვთ ჩართული უფლება 'არის კლიენტების მენეჯერი'.

ველი 'საკურსო პოლიტიკა' ივსება თუ კლიენტს ბანკი აძლევს ვალუტის ყიდვა–გაყიდვის განსხვავებულ კურს.

ველები 'ბანკის კლიენტი', 'მსესხებელი', 'დამგირავებელი', 'სეიფი', 'სატელეფ. მომსახურ.'

გაჩუმებით მოჩიტულია 'ბანკის კლიენტი', შესაძლებელია ყველა ველის ერთად მოჩიტვა. თუ კლინეტს დარეგისტრირებულია 'ქოლ. ცენტრზე' მოიჩიტება ველი 'სატელეფ. მომსახურ.', წინააღმდეგ შემთხვევაში ნაცრისფერია.

ველი 'საკურსო სხვაობის ტარიფად აღება' მოჩიტვთ საკურსო სხვაობა გადადის ტარიფში გატარდება როგორც ტარიფის ჩამოჭრა.


ველი 'ყოველთვის ლარში' გააქტიურდება, როცა მოჩიტულია ველი 'საკურსო სხვაობის ტარიფად აღება', მისი მოჩტვით საკურსო სხვაობა აიღება ყოველთვის ლარში.

ველში 'პინი' იწერება რეზერვირებული სიტყვა, რომელითაც კლინეტი ტელეფონზე დარეკვით, თავის ანგარიშის მდგომარეობაზე ინფორმაციას შეიტყობს.


ჩანართში 'დამ.2' შემდეგი ველები განსხვადება იმისდა მიხედვით ფიზიკური პირია თუ იურიდიული პირი.

ფიზიკური პირისთვის ივსება ველი 'ოჯახური მდგომარეობა' (დაუქორწინებელი, დაქორწინებული, გაშორებული, ქვრივი) და ველი 'სქესი' (მამრობითი, მდედრობითი).

ფიზიკური პირისთვის ავსებთ ასევე საპასპორტე მონაცემებს, ველში 'ტიპი' შეგყავთ




პასპორტის ტიპი, ეს პიტები ემატება A2000–ში. თუ კლიენტს არ აქვს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, ან პასპორტი, ველი 'ქვეყანა' გააქტიურდება და საშუალებას მოგცემთ შეიყვანოთ ქვეყნის დასახელება. ველებში 'რეგისტრაციის ორგანო', 'გაც. თარიღი', 'საბუთის ვადა' ჩაწერთ მოწმობის (პასპორტის) რეგისტრაციის ორგანოს, თარიღს და მოქმედების ვადას. ველები 'პასპორტის ნომერი', 'პირადი ნომერი' შესავსებად გამოვა ფანჯარა




რომელიც ივსება ნიღაბით (ანუ პასპორტის ნომერის შევსებისას, პირველი აუცილებლად ასოა და შემდეგ რიცხვები) შეავსებთ ველს 'შეიტანეთ' და შემდეგ ველი 'დაადასტურეთ!' ამ ველების დამთხვევის შემთხვევაში ჩანართში 'დამ.2' ველი 'პასპორტის ნომერი' შეივსება.


იურიდიული პირის შემთხვევაში შეგყავთ ორგანიზაციის ტიპი ველში 'ორგ. ტიპი'




სეგმენტი – ველში 'სეგმენტი'




ასევე აუცილებელია ორი თანამდებობიდ პირის (პასუხიმგებელი, ხშირად ერთი მეპატრონეა და მეორე მთავარი ბუღალტერი) ხელმოწერის შეყვანა.



მეოთხე ჩანართია 'ატრიბ.' ამ ჩანართში შეგყავთ კლიენტზე დამატებითი ინფორმაცია (მაგ. ანგარიშები სხვა ბანკში, სამსახური, თანამდებობა, პროფესია, ხელფასი, ბინა/სახლი და ა.შ.)




ატრიბუტის დამატება ხდება პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით, ან F7 ღილაკზე თითის დაჭერით. დამატების ფანჯარას აქვს სახე




იგი შედგება ორი ველისაგან 'ატრიბუტი', 'მნიშვნელობა'. ველი 'მნიშვნელობა' დამოკიდებულია ველზე 'ატრიბუტი' და მის შესაბამისად იცვლის სახეს. ატრიბუტებს ამატებს ბანკი, საკუთარი მოთხოვნისამებრ.


მეხუთე ჩანართია 'კავშირები'. აქ შეგყავთ ამ კლიენტის (ვისაც ამატებთ ბანკის კლიენტად) კავშირი, ბანკის სხვა კლიენტთან.




კავშირის დამატება ხდება  პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით, ან F7 ღილაკზე თითის დაჭერით. დამატების ფანჯარას აქვს სახე




ველში 'კლიენტი' შეგყავთ კლიენტის ნომერი, თუ კლიენტის ნომერი არ გახსოვთ ეძებთ პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით, გამოდის ძებნის ფანჯარა




ველებით 'ფილიალი', 'პირადი/პასპორტის ნომერი', 'დასახელება', 'ანგარიში'. ველი 'დასახელება' ეძებს ნაწილობრივ და შესაძლებელია გამოვიდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე კლიენტი



ამ შემთხვევაში კონკრეტული კლიენტის მოძებნა შეგიძლიათ პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით




ძებნა ხდება ზუსტი, ნაწილითი და შაბლონით. კლიენტის ნომრის პოვნის შემდეგ ველში 'კავშირის ტიპი' ირჩევთ




თუ რა ტიპის კავშირია (კომპანიის მესაკუთრე, კომპანიის ხელმძღვანელი, კოპანიის თანამშრომელი). კავშირის დამატების შემდეგ გააქტიურდება პიქტოგრამა , ამ პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით გაიხსნება ბანკის კლიენტის ნახვის ფანჯარა (იმ კლიენტის რომელიც წერია კავშირებში).


მეხუთე ჩანართია 'კომენტარი'. ამ ჩანართში კეთდება კლინტზე ზოგადი კომენტარი.



მეექვსე ჩანართია 'სურათი'.



კლიენტის სურათის ჩასმა ხდება პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით, სურათის ჩასმის შემდეგ




ეკრანის ზედა და ქვედა მხარეში შეგიძლიათ გააკეთოთ ტექსტური კომენტარი. პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით სურათი წაიშლება, პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით შეგიძლიათ ეს სურათი გადმოიწეროთ და შეინახოთ, პიქტოგრამა გააქტიურებულია თუ რამე გაქვთ ღილაკით Print Screen SysRq დამახსოვრებული და ხდება დამახსოვრებულის სურათად ჩასმა. პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით გამოდის სურათის ცალკე ფანჯარაში.




ეს პიქტოგრამა გააქტიურებულია, *.gif გაფართოების მქონე სურათებზე.


მერვე ჩანართია 'ფაქსიმილე'.




ამ ჩანართში ჩასვამთ ფაქსიმილეს, მინდობილობას და სურათს. დამატება ხდება პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით, ან F7 ღილაკზე თითის დაჭერით. დამატების ფანჯარას აქვს სახე



ირჩევთ რისი დამატებაც გინდათ, ასევე შესაძლებელია საწყისი და საბოლოო თარიღის შეყვანა ფაქსიმილესი და მინდობილობის. შეტანის შემდეგ საჭიროა თავად ფაქსიმილეს სურათის შეტანა




პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება ჩვეულებრივი სურათის დამატების ფანჯარა, ამატებთ სურათს როგორც ამას აკეთებთ ჩანართში 'სურათი'. ფაქსიმილეს (მინდობილობის, სურათის) ავტორიზირება ხდება პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება ფანჯარა



ველის 'აქტიური' მოჩიტვის შემთხვევაში ფაქსიმილეს (მინდობილობის) წაშლა შეუძლებელი ხდება, ხოლო სურათის წაშლა შესაძლებელია. ველის 'ავტორიზებული' მოჩიტვის შემთხვევაშიც ფაქსიმილეს (მინდობილობის) წაშლა შეუძლებელია და ასევე გა-


დის ავტორიზების პირველ დონეს, ხოლო თუ ორივე ველს მოვჩიტავთ ფაქსიმილე (მინდობილობა, სურათი) გაივლის ავტორიზაციის მეორე დონეს.

მეცხრე ჩანართია 'კლასიფ.'.




აქ ხდება კლიენტის კლასიფიკაცია, ველი 'დასაშვები' ივსება A2000–დან და ბანკი კლიენტს ანიჭებს თავის კლასიფიკატორს.

მეათე ჩანართია 'უფლებები'.




აქ ირჩევთ ბანკის იმ თანამშრომელს, რომელსაც განსაზღვრული (ბანკისგან მინიჭებული) უფლება ექნება ამ კლიენტზე. თანამშრომელი რადგან შეიძლება ბევრი იყოს არსებობს  ძებნის პიქტოგრამა, მასზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება ძებნის ფანჯარა




ძებნა ხდება სტანდარტულად.


მეთერთმეტე ჩანართია 'დანართები'.



'დანართში' დამატება ხდება ყველანაირი სახის ფაილის, ამ შემთხვევაში დამატებას აქვს განსხვავებული სახე:



შესაძლებელია დირექტორიის დამატება და ფაილების იქ ჩაყრა. ფაილის დამატების შემდეგ აქტიურდება პიქტოგრამა, იგი მონიშნულ ფაილს ხსნის შესაბამის პროგრამაში. პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით მონიშნული ფაილი ინახება.




პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით ხდება ფაილების დალაგება (დეტალურად, იკონკებით, სიით, პატარა იკონკებით). პიქტოგრამა გააქტიურებულია, თუ შექმნილი გაქვთ დირექტორია და შესული ხართ მასში, ამ პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით გამოხვალთ დირექტორიიდან.


ამით კლიენტის დამატება სრულდება, Next პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით ხდება ამ კლიენტის დამატება, და საშუალება გეძლევათ სხვა კლიენტი შეიყვანოთ. ყველა ველის და ჩანართის შევსება სავალდებულო არ არის, სავალდებულო ველები იცვლება იმის მიხედვით მოჩიტულია თუ არა ველი 'დასრულებული'. თუ სავალდებულო ველი არ არის შევსებული კლიენტის დამატება არ ხდება და გამოდის შეტყობინება თუ რა ველია შესავსები.

– პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით ან **'F8'** "ცხელი" კლავიშით შეგიძლიათ მონიშნული ბანკის კლიენტის წაშლა.

– პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით შეგიძლიათ რამოდენიმე მონიშნულ ველს ერთდროულად დაუმატოთ ან წაუშალოთ უფლებები და კლასიფიკატორი.




უფლებების დამატება/წაშლის ფანჯარას აქვს შემდეგი სახე



აქ ირჩევთ თანამშრომელს რომელსაც განსაზღვრული უფლებები ექნება ამ კლიენტებზე.

კლასიფიკატორის დამატება/წაშლის ფანჯარას აქვს სახე




აქ ხდება ერთდროულად რამოდენიმე კლიენტის კლასიფიკაცია.


– პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით ან 'Ctrl+N' "ცხელი" კლავიშით იხსნება *კლიენტების ფილტრის* ფანჯარა.

– პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით იხსნება *კლიენტების ცენტრის* ფანჯარა (იხ. კლიენტების ცენტრი)

– პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით ან **'Alt+F9'** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ინფორმაცია კლიენტის ცვლილებებზე* ფანჯარა. ამ ფანჯარაში აღწერილია თუ ვინ შეიტანა კორექტირება, როდის და რა სახის.



ღილაკზე *ნახვა* 'თაგვის' ზემოქმედებით იხსნება *ბანკის კლიენტი (ნახვა)* ფანჯარა




ოთხი ჩანართით, რომელსაც ქვემოთ უწერია ცვლილების დრო და ცვლილების ავტორი, ფანჯრის დაუხურავად შეგიძლიათ


ნახოთ წინა და შემდეგი ცვლილებები, ინფორმაცია იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა შეიცვალა და ვინ შეცვალა.

 – პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით იხსნება *ანგარიშების* ფანჯარა, სადაც ამ კლიენტის ყველა ანგარიში გამოდის, რომლებზეც გაქვთ უფლება. (იხ. ანგარიშები)

 – პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით ან 'F12' "ცხელი" კლავიშით იხსნება *დამატებითი ინფორმაცია (ნახვა)* ფანჯარა, იგი შედგება სამი ჩანართისაგან 'კომენტარი', 'სურათი', 'ფაქსიმილე', ნახვის რეჟიმში შეგიძლიათ ნახოთ კომენტარი, სურათი ან ფაქსიმილე



 – პიქტოგრამაზე 'თაგვის' ზემოქმედებით ან 'Ctrl+F9 "ცხელი" კლავიშით იხსნება ფანჯარა *ამონაწერის ფორმირება*




'საწყისი თარიღი', 'საბოლოო თარიღი' - ეთითება დროის ის პერიოდი, რა პერიოდშიც გაინტერესებთ მონიშნული (თუ ანგარიშები მონიშნული არ არის მაშინ ამონაწერი იმ ანგარიშისთვის გამოვა, რომელზედაც დგას კურსორი) კლიენტის ანგარიშებიდან ამონაწერის მიღება. ველში 'ავტ.დონე' ირჩევთ ავტორიზაციის დონეს. ველი 'ექვივალენტები' თუ მოჩიტულია ანგარიშიდან ამონაწერი გამოვა მიმდინარე კურსით გადაყვანილ ეროვნულ ვალუტაში.

პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით ხდება გააქტიურებული (რომელზედაც კურსორი დგას) ანგარიშის ჩრდილების გაშიფვრა ანუ ჯერ კიდევ დაუხურავი დღეების განმავლობაში ანგარიშზე თანხების მოძრაობის ნახვა.

- პიქტოგრამაზე 'თაგვის' მოქმედებით შეგიძლიათ დახუროთ პროგრამის ნებისმიერი აქტიური ფანჯარა.


4. კლინტების ცენტრი

განყოფილებაში *კლიენტების ცენტრი* ხდება ბანკის კლიენტის, მისი პირადი ანგარიშების, ბარათების, სესხების, დეპოზიტების, ოპერაციების ნახვა.



კლიენტების ცენტრის ფანჯრის გამოძახება ხდება როგორც მენიუდან ასევე "ცხელი" კლავიშის **'Shift-F12'** გამოყენებით.

იხსნება *კლიენტების ცენტრის* ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ განსაზღვრული ნიშნით ამოარჩიოთ კლიენტი.



ველში 'ფილილი' ირჩევთ ფილიალის კოდს.

ველში 'კლიენტის #' იწერება კლიენტის ნომერი.


ველში 'პირადი/პასპორტის ნომერი' წერთ კლიენტის პირად (პასპორტის) ნომერს.

ველში 'საიდენტიფიკაციო კოდი' წერთ კლიენტის საგადასახადო ინსპექციის კოდს.

ველებიდან 'ნებისმიერი', 'ფიზიკური', 'იურიდიული' ფიზიკურის ამორჩევის შემთხვევაში, სხვა ნებისმიერი ველის, ან ველების (გარდა ფილილისა და კლიენტის #–სა) შევსებისას ეძებს იმ ველის შესაბამის ფიზიკურ პირებს, იურიდიულის ამორჩევისას იურიდიულ პირებს, ნებისმიერის შემთხვევაში ორივეს. ფილიალი და კლიენტის ტიპი ვერ განსაზღვრავენ ცალსახად კლიენტს და ამიტომ ამ ველების შევსებასთან ერთად საჭიროა კიდევ სხვა ველიც შეივსოს, ხოლო ველი 'კლიენტის #' ცალსახად განსაზღვრავს კლიენტს და ძებნისას სხვა ველებს არ ექცევა ყურადღება.

ველი 'დასახელება' ძებნა ხდება როგორც მთლიანად ასევე ნაწილობრივ, ბანკის კლიენტებში. თუ მოჩიტავთ 'შაბლონით ძებნა' მაშინ დასახელება იწერება '%%'– ის ნიშნებში და ძებნა ხდება

ნაწილობრივ (0 ან მეტი სიმბოლო), ხოლო თუ რომელიმე სიმბოლო არ იცით, მაშინ გამოიყენება '_' ნიშანი. მაგ.:




თუ მოჩიტავთ 'ანგარიშის დასახელებით' ძებნა ხდება ანგარიშებში, ანგარიშის დასახელებით.


ველში 'ანგარიში' ძებნა ხდება ანგარიშის ნომრით.

ველში 'ბარათი' ძებნა ხდება ბარათის ნომრით.

ავსებთ ნებისმიერ ველს და გააქტიურდება ღილაკი *ძებნა* (არ გააქტიურდება თუ მხოლოდ კლიენტის ტიპს მიუთითებთ ან ფილიალს). თუ ძებნა ხდება დასახელებით, შეიძლება რამოდენიმე კლიენტი მოიძებნოს.



ირჩევთ კლიენტს და 'თაგვის' ორჯერ სწრაფად მოქმედებით, ან Enter "ცხელი" კლავიშით იცვლება ფანჯარა *კლიენტების ცენტრი.*




ჩანართში 'კლიენტი' გამოდის კლიენტის მონაცემები ნახვის რეჟიმში.

ღილაკზე *ნახვა* 'თაგვის' მოქმედებით ან **F3** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ბანკის კლიენტი (ნახვა)* ფანჯარა (იხ. ბანკის კლიენტი).

ღილაკზე *შეცვლა* 'თაგვი' მოქმედებით ან **F4** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ბანკის კლიენტი (შეცვლა)* ფანჯარა (იხ. ბანკის კლიენტი).


ღილაკზე *ინფო* 'თაგვის' მოქმედებით ან **'Alt+F9'** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ინფორმაცია კლიენტის ცვლილებებზე* ფანჯარა (იხ. ბანკის კლიენტი).

ღილაკზე *სურათი/ფაქს.* 'თაგვის' მოქმედებით ან **'F12'** "ცხელი" კლავიშით იხსნება *დამატებითი ინფორმაცია (ნახვა)* ფანჯარა (იხ. ბანკის კლიენტი).





ღილაკი *რეგისტრაცია* გააქტიურებულია, თუ თქვენ ხართ *Call Center-ის ოპერატორი. Call Center-ის ოპერატორის* უფლებების მინიჭება ხდება A2000-ში (სისტემური–>მომხმარებელი–>მომხმარებელი(შეცვლა) და შესაბამისი უფლებების დონეით).

მოჩიტავთ ველს 'არის Call Center-ის ოპერატორი'.





ამ ღილაკზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება *სატელეფონო კოდის რეგისტრაცია* ფანჯარა




ველში 'კონვერტის #' იწერება კოდი, თუ კლიენტს აქვს გააქტიურებული სატელეფონო მომსახურება, ეს კოდი მოწმდება და სწორედ შეყვანის შემთხვევაში კლიენტი რეგისტრირდება და გადაეცემა დალუქული კონვერტი, სადაც წერია პაროლი. დარეგისტრირებისას იცვლება *რეგისტრაცის* ღილაკიც 

. მასზე 'თაგვის' მოქმედებით იხსნება *სატელეფონო კოდის დეაქტივიზაცია* ფანჯარა



რეგისტრირებულ კლიენტს უკვე შეუძლია ისარგებლოს სატელეფონო მომსახურებით. დარეკვისას თქვენ მოქმედებთ 'თაგვით' ღილაკზე *კოდი* 


და გამოდის ფანჯარა



ციფრები 1, 2, 4 ნიშნავს რომ თქვენ უნდა გიკარნახოთ კლიენტმა პაროლის პირველი, მეორე და მეოთხე სიმბოლო და თქვენ შეიყვა-


ნოთ. ამის შემდეგ გამოგიჩნდებათ კლიენტის ანგარიშები და შეძლებთ კლიენტის კითხვებზე პასუხის გაცემას.

ღილაკზე *ოპერაციები* 'თაგვის' მოქმედებით ჩამოიშლება მენიუ



ამ მენიუდან შესაძლებელია დებეტური მემორიალური ორდერის, კრედიტული მემორიალური ორდერის, საგადასახადო დავალების, სავალუტო საგადასახადო დავალების, სალაროს შემოსავლის ორდერის, სალაროს გასავლის ორდერის, კონვერტაციის, კომ. გადასახადის, თანხის შეტანა–გადარიცხვის საბუთების გატარება (იხ. საბუთები).

ჩანართში 'ანგარიშები' გამოდის კლიენტის ანგარიშები ნახვის რეჟიმში.



ანგარიშების ფანჯარა ორგანყოფილებიანია. ეკრანის ზედა მხარეს წარმოდგენილია მართველ ბადეში ანგარიშების ჩამონათვა-

ლი ანგარიშის სტატუსის, ფილიალის ალიასის, ანგარიშის ნომრის, ვალუტების, საბალანსო ანგარიშის ნომრის და სხვ. მიხედვით. ხოლო ქვედა მხარეს ჩანს მონიშნული ანგარიშის შესახებ ინფორმაცია: ანგარიში კონტროლზეა აყვანილი თუ არა, ტარიფი, მიმდინარე თარიღისათვის ანგარიშზე ნაშთი(ნომ./ექვ.) (ნაშთი დღის დახურვისას), ჩრდილური ბრუნვა და ჩრდილური ნაშთი (ანგარიშზე მოძრაობა ჯერ კიდევ დაუხურავ დღეებში). თუ ანგარიში დებეტშია, მაშინ ავტორიზაციის დონით 0 (წითელი), ხოლო თუ კრედიტშია ავტორიზაციის დონით 1 (ყვითელი) - დან).

ღილაკზე *ნახვა* 'თაგვის' მოქმედებით ან **F3** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ანგარიში (ნახვა)* ფანჯარა (იხ. ანგარიშები).

ღილაკზე *შეცვლა* 'თაგვი' მოქმედებით ან **F4** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ანგარიში (შეცვლა)* ფანჯარა (იხ. ანგარიშები).


ღილაკზე *ინფო* 'თაგვის' მოქმედებით ან **'Alt+F9'** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ინფორმაცია ანგარიშის ცვლილებებზე* ფანჯარა (იხ. ანგარიშები).

ღილაკზე *სურათი/ფაქს.* 'თაგვის' მოქმედებით ან **'F12'** "ცხელი" კლავიშით იხსნება *დამატებითი ინფორმაცია (ნახვა)* ფანჯარა (იხ. ანგარიშები).

ღილაკზე *ამონაწერი* 'თაგვის' მოქმედებით ან **'Ctrl+F9'** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ამონაწერის ფორმირება* ფანჯარა (იხ. ანგარიშები).

ღილაკზე *ჩრდილები* 'თაგვის' მოქმედებით ან **'Ctrl+F10'** "ცხელი" კლავიშით იხსნება *ამონაწერი* ფანჯარა (იხ. ანგარიშები).

ღილაკზე *ოპერაციები* 'თაგვის' მოქმედებით ჩამოიშლება მენიუ კონკრეტული ანგარიშისთვის



ამ მენიუდან შესაძლებელია დებეტური მემორიალური ორდერის, კრედიტული მემორიალური ორდერის, საგადასახადო დავა-


ლების, სალაროს შემოსავლის ორდერის, სალაროს გასავლის ორდერის, კონვერტაციის, კომ. გადასახადის საბუთების გატარება (იხ. საბუთები).

ჩანართში 'ბარათები' იხსნება მოკლე ინფორმაცია კლიენტის ბარათებზე.

ჩანართში 'სესხები' იხსნება მოკლე ინფორმაცია კლიენტის სესხებზე.


ჩანართში 'დეპოზიტები' იხსნება მოკლე ინფორმაცია კლიენტის დეპოზიტებზე.

ჩანრთში 'ოპერაციები' იხსნება ამ კლიენტის ყველა ანგარიშზე ჩატარებული ოპერაცია (იხ. საბუთები).



ფულადი გზავნილების სისტემა (Anelik)
(მომხმარებლის ინსტრუქცია)

„Anelik"-ის პროგრამის გაშვების შემდეგ ეკრანზე გამოდის მენიუ, სადაც აუცილებელია მომხმარებლის სახელის და პაროლის სწორად დაფიქსირება.





„Anelik"-ის პროგრამის საშუალებით შესაძლებელია როგორც ფულის გაგზავნა, ასევე მიღება.

ფულის გაგზავნა


1. მარცხენა კუთხეში შეარჩიეთ პუნქტი „გადარიცხვები – ანელიკი – გაგზავნა" დააჭირეთ ღილაკს და გაიხსნება „განაცხადი თანხის გაგზავნაზე".

2. სუბაგენტის ოპერატორი პროგრამის საშუალებით ამოწმებს გზავნილის დანიშნულების ადგილზე (ქვეყანა და ქალაქი) „Anelik"-ის " პუნქტის არსებობას, გახსენით ქვეყნების ჩამონათვალი შერჩეულ ქვეყანას დააჭირეთ და დაელოდეთ ეკრანზე ქალაქების ჩამონათვალის გახსნას, აირჩიეთ შესაბამისი ქალაქი და პუნქტი (მიმღები ბანკი).





ბანკის შესახებ ინფორმაციის დათვალიერებისათვის დააჭირეთ ორჯერ მონიშნულ ბანკს.



3. შეავსეთ აუცილებელი ინფორმაცია განაცხადის ფორმაში.

- ✓ გამგზავნი – გამგზავნის სახელი და გვარი
- ✓ ტელეფონი – გამგზავნის ტელეფონის ნომერი (არ არის სავალდებულო)
- ✓ პირადობის დამადასტურებელი საბუთი (სერია, ნომერი, როდის და ვის მიერ არის გაცემული)
- ✓ დანიშნულების ადგილი – ქვეყანა, ქალაქი
- ✓ მიმღები – მიმღების სახელი და გვარი
- ✓ გასაგზავნი თანხა – გზავნილის თანხა (ძირითადი)

შენიშვნა: გზავნილის საკომისიოს პროცენტი და თანხა ფორმაში იწერება ავტომატურად.


„განაცხადი თანხის გაგზავნაზე" ფორმაში ღილაკების დანიშნულება:

- ✓ გასუფთავება – შევსებული ინფორმაციის წაშლა
- ✓ გაგზავნა – ინფორმაციის გაგზავნა ცენტრალურ ტერმინალში.
- ✓ ფორმის დაბეჭდვა - ფორმის ამობეჭდვა


„ფორმაში თანხის გასაგზავნად“ ცვლილებების შეტანა შეიძლება ინფორმაციის გაგზავნამდე.


4. ცენტრალურ ტერმინალში ინფორმაციის გაგზავნისათვის დააჭირეთ ღილაკს „გაგზავნა“.

შენიშვნა: გზავნილში რეკვიზიტები თუ შევსებულია პატარა სიმბოლოებით, ეკრანზე გამოვა
ფანჯარა.




დააჭირეთ “დიახ”






დააჭირეთ ღილაკს „დახურვა“


თანხის გაგზავნის შემთხვევაში, თუ თქვენ შეარჩიეთ ისეთი პუნქტი, რომელიც აღარ არსებობს ცნობართა სიაში, ეკრანზე გამოვა ფანჯარა შეტყობინებით.



პროგრამაში უნდა განაახლოთ პუქნტების სია მენიუდან „გადარიცხვები—ანელიკი—განახლება“ და შემდეგ გააკეთოდ ოპერაცია.




დააჭირეთ ღილაკს „განახლება“, თუ არა- „დახურვა“.




დააჭირეთ ღილაკს „დახურვა“.

5. ინფორმაციის გაგზავნის შემდეგ გადადით მენიუში „გადარიცხვები—ანელიკი—გადარიცხვების სია“, სადაც გზავნილს აქვს მინიჭებული სტატუსი “Not Served”, რაც ნიშნავს გადაცემულია სათავოში და ხერ არ არის მომსახურებული ცენტრალური ტერმინალის მიერ.




6. თუ ინფორმაცია არასწორად გაქვთ შეტანილი განაცხადის ფორმაში, თქვენ შეგიძლიად წაშალოთ მხოლოდ გადარიცხვების სიის განახლების შემდეგ, რადგან ცენტრალური ტერმინალის მიერ შეიძლება იყოს უკვე დადასტურებული.


დააჭირეთ ღილაკს „წაშლა“.



წაშლის შემდეგ თქვენ გზავნილს მიენიჭება სტატუსი „Deleted“.





7. გადარიცხვების სიაში გააქტიურედ ღილაკი „ავტომატური განახლება“ და დაელოდეთ დასტურს. ცენტრალური ტერმინალის დასტურის შემდეგ თქვენ გზავნილს მიენიჭება საკონტროლო ნომერი, სტატუსი შეიცვლება “Served”, რაც ნიშნავს მომსახურებულია ცენტრალური ტერმინალის მიერ.




8. ცენტრალური ტერმინალის დასტურის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს "ნახვა"-ს, გაიხსნება ფორმა „განაცხადი თანხის გაგზავნაზე". ოპერაციის ბოლომდე შესრულებისათვის აუცილებლად დააჭირეთ ღილაკს „გადახდის დასტურს", რაც ნიშნავს თანხის გაგზავნა "Anelik"-ის საერთო მონაცემთა ბაზაში.


9.









თქვენი დადასტურების შემდეგ მენიუ „გადარიცხვების სია“-ში გზავნილის სტატუსი იცვლება „Payed”.




10. გადახდის დასტურის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „ნახვა“-ს, „ფორმის დაბეჭდვა“-ს და „Print“-ს, რის შემდეგაც, ამოიბეჭდება ფულადი გზავნილის „განაცხადი თანხის გაგზავნაზე“ 2 ეგზემპლარად.




11. თუ ცენტრალური ტერმინალის მიერ უარყოფილია გზავნილი, გადარიცხვების სიაში გზავნილს მიენიჭება სტატუსი „Rejected“.







12. თუ შესასწორებელია რეკვიზიტები, გადარიცხვების სიაში დააჭირეთ ღილაკს „რედაქტირება“, გაიხსნება ფორმა „განაცხადი თანხის გაგზავნაზე“, შემდეგ შეიტანეთ შესაბამისი ცვლილება.



ცვლილების შეტანის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „გაგზავნა“.






ფულის მიღება

1. ფულის გაცემისათვის მარცხენა კუთხეში შეარჩიეთ „მიღება“, დააჭირეთ ღილაკს და გაიხსნება „ფორმა თანხის მისაღებად“.
2. „განაცხადი თანხის მიღებაზე“ შეავსეთ აუცილებელი ინფორმაცია.


- ✓ განაცხადის ნომერი ფულადი გზავნილის საკონტროლო ნომერი
- ✓ მიმღები – მიმღების სახელი და გვარი
- ✓ მისამართი – მიმღების მისამართი
- ✓ პირადობის დამადასტურებელი საბუთი (სერია, ნომერი, როდის და ვის მიერ არის გაცემული)
- ✓ გამომგზავნი – გამომგზავნის სახელი და გვარი
- ✓ თანხა – მოსალოდნელი თანხა




„განაცხადი თანხის მიღებაზე“ ღილაკების დანიშნულება:


- ✓ გასუფთავება – ინფორმაციის წაშლა
- ✓ მიღება – ინფორმაციის გაგზავნა ცენტრალურ ტერმინალში.
- ✓ ფორმის დაბეჭდვა - ფორმის ამობეჭდვა

3. ცენტრალურ ტერმინალში ინფორმაციის გაგზავნისათვის დააჭირეთ ღილაკს „მიღება“.







დააჭირეთ ღილაკს „დიახ“




4. ინფორმაციის გაგზავნის შემდეგ გადადით მენიუში „გადარიცხვების სია“, სადაც თქვენ გზავნილს აქვს მინიჭებული სტატუსი “Not Served”, რაც ნიშნავს გადაცემულია სათავოში და ჯერ არ არის მომსახურებული ცენტრალური ტერმინალის მიერ.




5. თუ ცენტრალური ტერმინალის მიერ ფულადი გზავნილი უარყოფილია, გადარიცხვების სიაში გზავნილს მიენიჭება სტატუსი „Rejected".






„Rejected"- გვერდზე დააჭირეთ ღილაკს და გამოვა ფანჯარა, სადაც მითითებულია უარყოფის მიზეზი.




6. „უარყოფილი" სტატუსით გზავნილში თუ შესასწორებელია რეკვიზიტები, გადარიცხვების სიაში დააჭირეთ ღილაკს „რედაქ-


ტირება“, გაიხსნება ფორმა „განაცხადი თანხის მიღებაზე“, შემდეგ შეიტანეთ შესაბამისი ცვლილება.




ცვლილების შეტანის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „მიღება“.





7. ცენტრალური ტერმინალის დასტურის შემდეგ გადარიცხვების სიაში თქვენ გზავნილის სტატუსი შეიცვლება “Served”, რაც ნიშნავს მომსახურებულია ცენტრალური ტერმინალის მიერ.






8. ცენტრალური ტერმინალის დასტურის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს "ნახვა"-ს, გაიხსნება ფორმა „განაცხადი თანხის მიღებაზე", დააჭირეთ ღილაკს „ფორმის დაბეჭდვა"-ს და „Print"-ს რის შემდეგაც, ამოიბეჭდება ფულადი გზავნილის „განაცხადი თანხის მიღებაზე" 2 ეგზემპლარად







9. ოპერაციის ბოლომდე შესრულებისათვის აუცილებლად დააჭირეთ ღილაკს „გადახდის დასტურს". თქვენი დადასტურების შემდეგ მენიუ „გადარიცხვების სია"-ში გზავნილის სტატუსი იცვლება „Payed"


10.








11. გადარიცხვების სიაში ღილაკი „ფილტრი"-ს საშუალებით შესაძლებელია გზავნილების სორტირება სტატუსის, გადარიცხვების ტიპის და თარიღის მიხედვით.



Transfers
GGIRB-1
NOZADZE TAMAR
MUMLADZE NATALI
5,000.00
2005-12-05 15:26:16
GTCPC-1
DANELIA NINO
MUMLADZE NATALI
2,000.00
2005-12-08 17:56:12
12/ 2/2005
12/15/2005

დეპოზიტების აღრიცხვისა და მომსახურების სისტემა – DpClient
(მომხმარებლის ინსტრუქცია)

პროგრამაში შესასვლელად ყოველ მომხმარებელს თავისი უნიკალური სახელი და პაროლი გააჩნია, რომელსაც აწვესებს სისტემის ადმინისტრატორი.



პროგრამის ძირითადი ფანჯარა შემდეგნაირად გამოიყურება:



პროგრამის ძირითადი მენიუს ელემენტებია: ცნობარები, კარტოთეკა, ოპერაციები, ანგარიშგება, სისტემა, ფანჯარა, მეგზური.


1. "ცნობარები"

პროგრამის ძირითადი მენიუს პირველი პუნქტის ("ცნობარები") ელემენტებია: 1.ზოგადი,
2.ანაბრები, 3.ანგარიშები.




1.1."ზოგადი":


მენიუს ამ პუნქტში მიეთითება: მონაცემთა ბაზის ვერსია, დარიცხვათა პერიოდულობა, დასაბეგრი პროცენტი და სხვ.



1.2. "ანაბრები" მოცემულია ანაბრის ტიპები და საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით.




1.3. "ანგარიშები": იძლევა ინფორმაციას ჯამურ საბალანსო ანგარიშებზე ფილიალის, განყოფილების, ანაბრის ტიპის, საპროცენტო განაკვეთისა და ვალუტის მიხედვით.




"კარტოთეკა"

პროგრამის ძირითადი მენიუს მეორე პუნქტის ("კარტოთეკა") ელემენტებია:


1.ანაბრები,2.ვადაგადასულები, 3.პირობადარღვეულები.




“ანაბრები“: გამოაქვს ანაბრების სია.



“ვადაგადასულები”: ვადაგადასული ანგარიშები




“პირობადარღვეულები”: პირობადარღვეული ანგარიშები




“ოპერაციები”

პროგრამის ძირითადი მენიუს მესამე პუნქტის (“ოპერაციები“) ელემენტებია:


1.ერთეული,2. დღიური.



“ერთეული“:




"დღიური":




"ანგარიშგება"

პროგრამის ძირითადი მენიუს მეოთხე პუნქტის ("ანგარიშგება") ელემენტებია:


1.ფორმა 68 (განყოფილებების მიხედვით), 2.საოპერაციო დღიური, 3.სალაროს რეესტრი, 4.დახურული ანგარიშები, 5.ბრუნვითი უწყისი (ქვედანაყოფების მიხედვით, საბალანსო ანგარიშების მიხედვით).



"სისტემური"



"ფანჯარა"



"მეგზური"



უნაღდო ანგარიშსწორების წესი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება N166
2007 წლის 26 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების თანდართული წესები დანართებითურთ.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რ. გოცირიძე

საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები

თავი I. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები და მათი გამოყენების წესები

მუხლი 1. ძირითადი განმარტებები

1. უნაღდო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებისას, ამ წესებში გამოყენებული სამოქალაქო სამართლის ან საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ტერმინები და ცნებები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ შესაბამის სფეროში, თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი განმარტებები და გამოიყენება მოცემული წესების გაგების მიზნით:

ა) ანგარიშსწორება – საბანკო დაწესებულებების ან სხვა საშუალებებით გადამხდელის სახსრების მიმღებისათვის გადაცემის მიმდევრობით შესრულების პროცესი;

ბ) აქცეპტი – თანხმობა გადახდაზე, საგადახდო საბუთის გაანაღდებაზე გარანტიის მიცემა;

გ) ბანკის აქცეპტი – ბანკის თანხმობა მიღებული საგადახდო საბუთების შესრულებაზე (მათი შესრულების გარანტიის ფორმა);

დ) ბანკთაშორისი ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებს შორის;

ე) გადახდა – ფულადი ვალდებულებების დაფარვა ანგარიშსწორებით ან ურთიერთჩათვლით;

ვ) გადამხდელი (გადამხდელი პირი) – საგადახდო სისტემის მონაწილე პირი, რომელიც აწარმოებს გადახდებს;

ვ[1]) გადასახადის გადამხდელი – საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე პირი; *(21.12.2007 N336)*

ზ) გადამხდელი ბანკი – ბანკი, რომელიც ასრულებს გადამხდელის საგადახდო ოპერაციებს; ახდენს გადარიცხვას;

თ) გადამხდელის ბანკი – ბანკი, რომელიც ემსახურება გადამხდელს;

ი) გადარიცხვა – უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც გადამხდელის საბანკო ანგარიშებიდან მიმღების საბანკო ანგარიშებზე თანხების გადატანა წარმოებს საბანკო ან სხვა საანგარიშსწორებო ტექნოლოგიების მეშვეობით;

კ) დროის რეალური რეჟიმი – საანგარიშსწორებო პერიოდში ელექტრონული საგადახდო საბუთების შესრულების და გადაცემის პროცესის უწყვეტად და დაუყოვნებლივ განხორციელება;

ლ) ელექტრონული არქივი – საგადახდო სისტემის ან ბანკის საოპერაციო დღის პროგრამის მონაცემთა ისტორიული თარიღის ელექტრონული ასლი;

მ) ელექტრონული საგადახდო საბუთი – კლიენტის ან ბანკის მიერ ფორმირებული ელექტრონული საბუთი, რომელიც წარმოადგენს ანგარიშსწორების მონაწილეთა შესაბამის ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების საფუძველს;

ნ) ელექტრონულციფრული ხელმოწერა – კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით დამუშავებული სპეციალური სისტემის (ორგანიზატორის მიერ ტირაჟირებული) კრიპტოგრაფიული ალგორითმით ელექტრონული საბუთის დამუშავების შედეგად მიღებული სიმბოლოების მიმდევრობა, რომელიც ადასტურებს ელექტრონული საბუთის ნამდვილობას, მთლიანობას, ხელმომწერი პირის ვინაობას და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული აქტითა და მხარეებს შორის ხელშეკრულებით;

ო) ელექტრონული შეტყობინება – ელექტრონული საბუთი, რომელიც საანგარიშსწორებო ოპერაციის შესრულებისას უზრუნველყოფს თავისუფალი ფორმატის ინფორმაციის გაცვლას (დასტური, ამონაწერი ანგარიშიდან, შეტყობინება დაწუნებული ელექტრონული საგადახდო საბუთის შესახებ და სხვ.);

პ) იურიდიული პირის რწმუნებული პირი – იურიდიული პირის ოპერაციების წარმოებისათვის უფლებამოსილი კანონიერი წარმომადგენელი;

ჟ) ვადაში გაუნაღდებელი საგადასახადო საბუთების კართოტეკა – სახსრების უკმარისობის გამო განსაკუთრებულ აღრიცხვაზე მყოფი გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების ერთობლიობა;

რ) ,,კლიენტბანკის'' სისტემა – პროგრამულტექნიკურ საშუალებებსა და ორგანიზაციულ ღონისძიებებზე დაფუძნებული ელექტრონულ-ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო არხებით ელექტრონული ინფორმაციის მიღება/გადაცემას, მომზადებას, შექმნას, შემოწმებას, დაცვას, დამუშავებას;

ს) მიმღები – საანგარიშსწორებო საბუთში ფულადი სახსრების მიმღებად მოხსენიებული პირი;

ტ) მიმღები ბანკი – ბანკი, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების მიღებას;

უ) მიმღების ბანკი – ბანკი, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების მიმღების მომსახურებას;

ფ) პაკეტური რეჟიმი – საანგარიშსწორებო პერიოდში ელექტრონული საგადახდო საბუთების (საბუთის) ეტაპობრივად გადაცემა და შესრულება;

ქ) რეესტრი – ობიექტების ჩამონათვალი, აღწერა, რეესტრული სია;

ღ) საანგარიშსწორებო პერიოდი – საოპერაციო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ხდება კლიენტურის საგადახდო საბუთების საფუძველზე ფულადი სახსრების გადარიცხვები მიმდინარე კალენდარული თარიღით;

ყ) საბანკო ანგარიში – ფულადი სახსრების აღრიცხვის უნიკალური სააღრიცხვო პოზიცია, რომელიც მოცემულ მომენტში პირის საკუთრებაა და გახსნილია საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე;

შ) საბანკო კანონმდებლობა – საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები;

ჩ) საბანკო წესები – საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წესები;

ც) საბუთის უნიკალური კოდი (რეფერენსი) – სპეციალური კოდი, რომელიც ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებებით ავტომატურად ენიჭება თითოეულ ელექტრონულ საგადახდო საბუთს ქაღალდის საგადახდო საბუთიდან ელექტრონულ ფორმატში გადაყვანისას;

ძ) საბანკო პლასტიკური ბარათი – საგადახდო ინსტრუმენტი, რომელიც არის საანგარიშსწორებო საშუალება საქონელზე ან მიღებულ მომსახურებაზე გადახდის განსახორციელებლად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების საწარმოებლად;

წ) საგადახდო დავალება – ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიმღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ;

ჭ) საგადახდო საბუთი – კლიენტის მიერ ინფორმაციის მატერიალურ მატარებელზე (ელექტრონული მატარებელი, ქაღალდის

ბლანკი ან სხვა) გაფორმებული საბუთი, რომელიც წარედგინება ბანკს ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

ხ) საგადახდო სისტემა – საგადახდო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ფულადი სახსრების მიმოქცევის ორგანიზაციულ–ტექნიკური ფორმების, ფულადი სახსრების ანგარიშსწორების, ინსტრუმენტებისა და პროცედურების ერთობლიობა;

ჯ) საგადახდო საბუთის შესრულება – ვალდებულებების შესაბამისად, ფულადი სახსრების გადახდის განხორციელების პროცესი; ბანკის მიერ გადამხდელის დავალების რეალური „შესრულება“;

ჰ) საგადახდო საბუთების შესრულების დაყოვნება (შეჩერება) – ბანკისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზების გამო ანგარიშსწორების პროცესის შეფერხება–დაყოვნება;

ჰ.ა) საინკასო დავალება – საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი მესამე მხარის (საქართველოს ეროვნული ბანკი, სააღსრულებო ორგანო, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სამსახური) მიერ ბანკისთვის დადგენილი ფორმით მიცემული დავალება, გადამხდელის ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე ფულადი სახსრების უპირობო ჩამოწერაზე; *(7.08.2008 N 210)*

ჰ.ბ) საკორესპონდენტო ურთიერთობა – სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის შესაბამისად ბანკს უფლება აქვს გაუხსნას ანგარიში მეორე ბანკს და აწარმოოს კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებილი ოპერაციები;

ჰ.გ) სანქცირებული გადახდა – გადახდა სანქცირებულია, თუ მას ახორციელებს სახსრების განმკარგველი პირი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების მიხედვით;

ჰ.დ) საოპერაციო დღე – სამუშაო დღის ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახდენს კლიენტურის, ან „კლიენტბანკის“ სისტემით ელექტრონული საგადახდო საბუთების მიღებას და ანგარიშსწორებას; საოპერაციო დღის ხანგრძლივობას განსაზღვრავს ბანკი და აისახება ბანკის შიდასაბანკო წესებში (ან ბანკსა და კლიენტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში);

ჰ.ე) საქართველოს საბანკო სისტემა – ეროვნული ბანკის, ეროვნული ბანკის ფილიალების, კომერციული ბანკების, მათი ფილიალების, საანგარიშსწორებო ოპერაციების განმახორციელებელი არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების (საანგარიშსწორებო–საპროცესინგო კომპანია, ცენტრი, პალატა და სხვა იურიდიული პირი) ერთობლიობა;

ჰ.ვ) უნაღდო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება საგადახდო საბუთებით ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე;

ჰ.ზ) „უქაღალდო" ანგარიშსწორება (უქაღალდო ტექნოლოგია) – უნაღდო ანგარიშსწორება ელექტრონული საბუთების საფუძველზე (ქაღალდის საგადახდო საბუთების გამოყენების გარეშე);

ჰ.თ) ფულადი გზავნილი (საბანკო გზავნილი) – ცალკეულ ფიზიკურ პირებს შორის ბანკების საშუალებით ფულადი სახსრების, მათ შორის უცხოური ვალუტის გადაგზავნის მეთოდი, რომელიც არ მოიცავს გარიგების (შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურების, მიწოდებული საქონლის საფასურის) თანხების ანაზღაურებას;

ჰ.ი) ჩარიცხვა – მიმღების საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების გადატანა;

ჰ.კ) ჩამოწერა – გადამხდელის საბანკო ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ამოღება, ჩამოწერა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. უნაღდო ანგარიშსწორების წესები შემუშავებულია საქართველოს საბანკო კანონმდებლობის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმებში, განსაზღვრავს ანგარიშსწორების ორგანიზებისადმი საერთო მიდგომას, აწესრიგებს უნაღდო ანგარიშსწორებას, ერთიან საბუთბრუნვას, საგადახდო საბუთების გამოყენებას, მათი შევსების, გაფორმების წესებს, ფორმატებს, არქივების წარმოებას, ადგენს საბანკო ანგარიშებით ოპერაციების წარმოების წესებს.

2. ეს წესები ვრცელდება სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ნებისმიერ ფიზიკურ (მათ შორის არასრულწლოვან ფიზიკურ პირებზე, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემ-

თხვევებში) ან იურიდიულ პირზე, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე იმ ორგანიზაციულ წარმონაქმნებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით აქვთ ანგარიშის გახსნის უფლება (შემდგომში – კლიენტი).

3. ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ფარგლებში სახსრების ჩამოწერა ხორციელდება უაქცეპტოდ ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი საგადახდო საბუთების საფუძველზე.

4. კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა ხორციელდება ანგარიშის მფლობელის მიერ განსაზღვრული რიგითობით, გარდა ბიუჯეტში და მასთან გათანაბრებული გადასახდელებისა (რიგითობის შესახებ იხილეთ მუხლი 5).

5. კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ან კლიენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, ბანკს უფლება აქვს ანგარიშსწორება აწარმოოს გეგმური გადახდებით.

6. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 59–ე მუხლის 4^1 ნაწილის შესაბამისად, ნებისმიერ სხვა პირს უფლება აქვს შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. *(21.12.2007 N336)*

მუხლი 3. საგადახდო საბუთების სახეები, მათი გაფორმება და გამოყენება

1. უნაღდო ანგარიშსწორებისას გამოიყენება:

ა) საგადახდო დავალება;

ბ) საინკასო დავალება;

გ) დოკუმენტალური აკრედიტივი;

დ) დოკუმენტალური ინკასო;

ე) საბანკო პლასტიკური ბარათი;

ვ) საანგარიშსწორებო ჩეკი.

2. საგადახდო საბუთები, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უნდა შეიცავდეს ისეთ რეკვიზიტებს, როგორიცაა:

ა) საგადახდო საბუთის დასახელება;

ბ) საგადახდო საბუთის ნომერი (N—) – საგადახდო საბუთის ნომერი მიეთითება ციფრებით;

გ) საგადახდო საბუთის შევსების (გამოწერის) თარიღი (20— წლის „—“ ————) – მიეთითება საგადახდო საბუთის შედგენის თარიღი. დღე – ციფრებით, თვე – სიტყვით, წელი – ციფრებით. ელექტრონული საბუთის შედგენისას თარიღის ჩაწერა შეიძლება შემდეგი სახითაც – (დდ.თთ.წწ);

დ) გადამხდელის დასახელება – ნებისმიერი გადარიცხვისას (ან გზავნილის შემთხვევაში) სავალდებულო წესით მიეთითება შემდეგი შემთხვევებიდან ერთ-ერთი: *(21.04.2008 N103)*

დ. ა) სახსრების გადამხდელი იურიდიული პირის სრული დასახელება (სასურველია ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის ჩათვლით) და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ.ბ) ფიზიკური პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი (მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით);

დ.გ) უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი და ქვეყნის დასახელება.

გადამხდელის (იურიდიული პირის) დასახელების შემოკლება დასაშვებია, თუ ეს არ გამოიწვევს დასახელების შინაარსობლივ ცვლილებას და არ გაართულებს ბანკისა და კლიენტის მუშაობას.

ე) საიდენტიფიკაციო ნომერი – გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი. მიეთითება საგადასახადო ორგანოების მიერ გადამხდელისათვის ან ფიზიკური პირისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, ან ფიზიკური პირის პირადი ნომერი (მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით);

ვ) ანგარიში (დებეტი) – გადამხდელის ანგარიში ბანკში. ფიზიკური პირის შემთხვევაში დასაშვებია სხვა ანგარიშის (მაგ., სატრანზიტო და სხვ.) მითითება;

ზ) გადამხდელის ბანკი – მიეთითება გადამხდელი ბანკის დასახელება;

თ) ბანკის კოდი – ბანკის ან ბანკის ფილიალის კოდი, სადაც გახნილი აქვს ანგარიში გადამხდელს;

თ[1]) გადასახადის გადამხდელის დასახელება – ამ ველში შესაძლებელია მიეთითოს შემდეგი შემთხვევებიდან ერთ–ერთი: *(21.12.2007 N336)*

თ.ა) სახსრების გადამხდელი იურიდიული პირის სრული დასახელება ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი, თუ გადამხდელი ახდენს თავის საბიუჯეტო ვალდებულების დაფარვას (მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული ველის „გადამხდელის დასახელების“ იდენტურად);

თ.ბ) იმ პირის სრული დასახელება ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი, ვის მაგივრადაც ბიუჯეტში ხდება გადახდა.

ი) მიმღების დასახელება – მიეთითება სახსრების მიმღები იურიდიული პირის სრული დასახელება (სასურველია ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის ჩათვლით) ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი. მიმღების (იურიდიული პირის) დასახელების შემოკლება დასაშვებია, თუ ეს არ გამოიწვევს დასახელების შინაარსობლივ ცვლილებას და არ გაართულებს ბანკისა და კლიენტის მუშაობას;

კ) ანგარიში (კრედიტი) – სახსრების მიმღების ანგარიში ბანკში;

ლ) მიმღების ბანკი – მიეთითება სახსრების მიმღების ბანკის დასახელება;

მ) ბანკის კოდი – ბანკის ან ბანკის ფილიალის კოდი, სადაც გახნილი აქვს ანგარიში თანხის მიმღებს;

ნ) ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი – ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ მინიჭებული ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი;

ო) გადახდის დანიშნულება (ტექსტობრივად) მიეთითება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ გადახდასთან (საქონლის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების დასახელება, სასაქონლო საბუთების, ხელშეკრულებების ნომრები, თარიღები, წინასწარი გადახდები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 59–ე მუხლის 4[1] ნაწილით გათვალისწინებული სხვის მაგივრად საბიუჯეტო გადახდების ფაქტი და სხვ.) *(21.12.2007 N336)*

პ) დამატებითი ინფორმაცია – სარეზერვო ველი დამატებითი ტექსტური ინფორმაციისათვის. *(21.04.2008 N103)*

ჟ) თანხა – მიეთითება გადასახდელი თანხა ციფრებით;

რ) თანხა სიტყვით – სიტყვიერად (ტექსტობრივად) მიეთითება გადასახდელი თანხა. ამასთან, სავალდებულოა მიეთითოს სიტყვა „ლარი“, ხოლო „თეთრების“ მნიშვნელობა მიეთითება ციფრებით. თუ თანხა გამოსახულია მხოლოდ ლარებით, მაშინ თეთრების მითითება სავალდებულო არ არის. თანხის სიტყვიერად შევსება ხდება სტრიქონის დასაწყისიდან;

ს) ხელმოწერები – ქაღალდის საგადახდო საბუთს ხელს უნდა აწერდეს პირი ან პირები, რომლებსაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით და საგადახდო საბუთებზე ხელმოწერის მათი უფლება დასტურდება მომსახურე ბანკში წარდგენილი ხელმოწერის ნიმუშის ბარათით; ელექტრონულ საგადახდო საბუთს ხელს აწერს პირი (ან პირები), რომელიც საგადახდო სისტემაში რეგისტრირებულია ელექტრონულ–ციფრული ხელმოწერის მფლობელად (სისტემის ორგანიზატორის მიერ დადგენილი წესით);

ტ) ბ.ა. – გადამხდელის ბეჭდის ადგილი. გადამხდელი ბანკში წარდგენილ საგადახდო საბუთს ბეჭედს იმ შემთხვევაში დაარტყამს, თუ მას მომსახურე ბანკისათვის ხელმოწერის ნიმუშის ბარათით წარდგენილი აქვს მისი ბეჭდის ტვიფრის ანაბეჭდი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ბანკები გადამხდელებისაგან ბეჭდით დამოწმებულ საგადახდო საბუთებს არ მიიღებენ;

უ) ბანკის აღნიშვნები – ავსებს ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი;

ფ) ბანკში შემოსვლის თარიღი – გადამხდელის მიერ საგადახდო საბუთის ბანკში წარდგენის თარიღი. ავსებს ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი შემდეგი ფორმატით (დდ.თთ.წწ);

ქ) ხელმოწერა – ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებლის ხელმოწერა;

ღ) შტამპის ადგილი – ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებლის მიერ საბუთის გაფორმების სისწორის შემოწმების და შესასრულებლად მიღების ან საბუთის გამოუთხოვადობის დამადასტურებე-

ლი შტამპი. ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი საბუთის გაფორმების სისწორის შემოწმების და შესასრულებლად მიღების ფაქტს ადასტურებს შტამპით „მიღებულია“, ხოლო თუ საბუთი გამოუთხოვადია – შტამპით „განაღდებულია“.

3. ბანკები ანგარიშებზე უნაღდო ოპერაციებს აწარმოებენ ელექტრონული ან ქაღალდის საგადახდო საბუთების საფუძველზე. კლიენტსა და მის მომსახურე ბანკს შორის შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია საგადახდო საბუთის ფაქსით მიღება. საგადახდო საბუთის ფაქსით მიღების შემთხვევაში არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებებს განსაზღვრავს ბანკი.

4. ქაღალდის საგადახდო საბუთებით ანგარიშსწორებისას ბანკი შესასრულებლად იღებს ხელმოწერის უფლების მქონე პირების (ან ერთი პირის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებულ საგადახდო საბუთებს. საბუთზე ხელმოწერები (ხელმოწერა) უნდა შეესაბამებოდეს ხელმოწერის ნიმუშის ბარათში მოცემულ ხელმოწერებს (ხელმოწერას).

5. საგადახდო საბუთს ავსებს კლიენტი (გადამხდელი) ან ბანკი. საგადახდო საბუთის შინაარსისა და რეკვიზიტების სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს. კლიენტის თხოვნით შევსებულ საგადახდო საბუთს კლიენტი ხელს მოაწერს შესაბამის ველში და ამით ადასტურებს, რომ საანგარიშსწორებო საბუთის ადეკვატურობისათვის კლიენტმა თვითონ აიღო პასუხისმგებლობა.

6. საოპერაციო დღეში საგადახდო საბუთები შესასრულებლად მიიღება დღის განმავლობაში, ბანკის მიერ კლიენტებთან მუშაობის დადგენილ საათებში.

7. საოპერაციო დღის განმავლობაში კლიენტებისგან მიღებული საგადახდო საბუთების გატარება ხდება იმავე სამუშაო დღეს. საოპერაციო დღის დამთავრების შემდეგ, სამუშაო დღის ბოლომდე შემოსული საბუთები გატარდება მომდევნო სამუშაო დღეს. *(21.04.2008 N103)*

8. ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში, საგადახდო საბუთები შესასრულებლად მიიღება მათში აღნიშნული თანხის ოდენობის მიუხედავად. საინკასო დავალების და ბიუჯეტში გადასახდელების შემთხვევაში საგადახდო საბუთები შესასრულებ-

ლად მიიღება ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის მიუხედავად.

9. უნაღდო ანგარიშსწორების ამ წესების მოთხოვნების დარღვევით გაფორმებულ საგადახდო დავალებებს ბანკი შესასრულებლად არ მიიღებს. ამასთან, არასწორედ გაფორმებული საგადახდო საბუთის არმიღება, ბანკის მხრიდან წერილობით მოტივირებას არ საჭიროებს.

10. ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი, შესასრულებლად მიღებულ საგადახდო საბუთების გაფორმების სისწორის შემოწმების შემდეგ, „ბანკის აღნიშვნების“ ველში მიუთითებს საგადახდო საბუთის ბანკში შემოსვლის თარიღს, დაუსვამს შტამპს, ხელმოწერას და საბუთის ასლს გადასცემს კლიენტს.

11. კლიენტს უფლება აქვს გააუქმოს ბანკისათვის მიცემული დავალება, სანამ რეალურად არ მომხდარა მისი საბანკო ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა. საგადახდო საბუთი ითვლება რეალურად გადარიცხულად (შესრულებულად) როდესაც:

ა) კლიენტის მომსახურე საბანკო დაწესებულება ამ საბუთის კლიენტისათვის დასაბრუნებელ ეგზემპლარზე ასვამს შტამპს – „განაღდებულია“ (თუ ანგარიშსწორება ქაღალდის საბუთით წარმოებს);

ბ) კლიენტის მიერ მის მომსახურე ბანკში ელექტრონულად წარდგენილი საბუთის საფუძველზე თანხა ჩამოწერილია კლიენტის ანგარიშიდან.

12. კლიენტის მიერ საგადახდო საბუთის გათხოვის წესი მოცემულია ამ წესების N1 დანართში.

13. ანგარიშსწორების დასრულების თვალსაზრისით, მიმღების წინაშე მიმღები ბანკის ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მის ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის დასრულების მომენტიდან. მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის წესი მოცემულია N2 დანართში.

14. იმ შემთხვევაში, როდესაც კლენტსა და ბანკს შორის უნაღდო ანგარიშსწორებისას ბანკს წარმოეშობა კლიენტის ანგარიშიდან მისი განკარგულების (საგადახდო საბუთის) გარეშე სახსრების ჩამოწერის ვალდებულება (მაგ., კლიენტის მიერ მისი ანგარიშიდან სახსრების უპირობოდ ჩამოწერის შესახებ უფლების

ხელშეკრულებით ან წინასწარი განაცხადის საფუძველზე დელეგირება, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სახსრების იძულებით ჩამოწერის ვალდებულება, ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკიდან საგადახდო საბუთების ნაწილობრივი განაღდება, თანხების უკან, მიზნობრივი დანიშნულებით დაბრუნება და სხვ.), ბანკი ასეთი სახის ოპერაციებს ახორციელებს მის (ბანკის) მიერ შედგენილი საგადახდო დავალების საშუალებით, შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით:

ა) „გადამხდელის" ველში მიეთითება სახსრების გადამხდელი პირის სრული რეკვიზიტები (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად); *(21.04.2008 N103)*

ბ) „საიდენტიფიკაციო ნომერი" – მიეთითება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

გ) „ანგარიშის ნომრის" ველში მიეთითება გადამხდელის საბანკო ანგარიში;

დ) „დანიშნულების" ველში მიეთითება კლიენტის ანგარიშიდან მისი განკარგულების გარეშე სახსრების უდავო წესით ჩამოწერის საფუძველი;

ე) საგადახდო დავალებას ხელს აწერს საბანკო დაწესებულების ის პასუხისმგებელი პირი (პირები), რომელსაც მინიჭებული აქვს საგადახდო საბუთების ხელმოწერის უფლება.

15. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ბანკს უფლება აქვს ამ მუხლის მე–14 პუნქტში მოცემული ოპერაციები შეასრულოს ელექტრონულად, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი უნდა იყოს შესრულებული ოპერაციის ელექტრონული არქივიდან აღდგენა და ბეჭდვა. *(21.12.2007 N336)*

მუხლი 4. ანგარიშსწორება საგადახდო დავალებებით

1. საგადახდო დავალების ელექტრონული წარდგენა:

ა) ბანკში საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინების სახით წარდგენა (ან მისი გამოსახულების გადაცემა) ხდება საგადახდო საბუთების ელექტრონულად გაცვლის შესახებ ელექტრონული სისტემების, პროგრამულ–კრიპტოგრაფიული დაცვების და ელექტრონულ–ციფრული ხელმოწერების გამოყენების თაობაზე ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების სა-

ფუძველზე. საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენისას, ბანკს ქაღალდის საგადახდო დავალება არ წარედგინება;

ბ) ელექტრონული საგადახდო საბუთი ელექტრონული შეტყობინებების სახით გასაცვლელად უნდა შეესაბამებოდეს:

ბ.ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს – ბანკთაშორისი ანგარიშსწორების შემთხვევაში;

ბ.ბ) კომერციული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს – სათავო ბანკსა და მის ფილიალებს შორის, აგრეთვე ბანკსა კლიენტებს შორის (კლიენტიბანკით, ინტერნეტით, მობილური ტელეფონებით ან სხვ.) ანგარიშსწორების შემთხვევაში;

გ) ბანკთაშორის ანგარიშსწორების სისტემაში წარსადგენი ელექტრონული საგადახდო საბუთი უნდა შეიცავდეს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ყველა რეკვიზიტს, გარდა იმ რეკვიზიტებისა, რომელთა გადატანაც ელექტრონულ ფორმატში შეუძლებელია (ბეჭედი, შტამპი, ხელმოწერები), ამასთან, იგი უნდა შეიცავდეს დამატებით რეკვიზიტებს – საბუთის უნიკალურ კოდს (რეფერენსს), ბანკში გატარების თარიღს, ელექტრონულ–ციფრულ ხელმოწერას. ბანკის საოპერაციო დღის სისტემაში ელექტრონულ საგადახდო საბუთს შესაძლოა ჰქონდეს სხვა დამატებითი რეკვიტებიც (მაგ., შიდა ოპერაციების განმკარგულებლების და შემსრულებლებლების კოდები, სპეციალური სისტემური ნიშნები, მიმდინარე სტატუსი და სხვ.). ინფორმაციის კომპიუტერულ ტექნიკაში შეტანის დროს ელექტრონულ საგადახდო დავალებაში ძირითადი ველების შეტანა ხდება უშუალოდ ქაღალდის საგადახდო დავალებიდან, ხოლო დამატებითი ველების წარმოშობა (ან გამოძახება) ხდება სისტემური საშუალებებით (პროგრამულ–ტექნიკური საშუალებები);

დ) საგადახდო დავალების ელექტრონული სახით წარდგენისას, სავალდებულოა დაცულ იქნეს მხარეთა შორის შეთანხმებული, არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები. არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები ითვლება შეთანხმებულად:

დ.ა) როდესაც კლიენტმა ხელშეკრულებით აღიარა ბანკის მიერ შეთავაზებული არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები;

დ.ბ) თუ კლიენტმა არ მიიღო ბანკის წინადადებები და ბანკს შესთავაზა დაცვის სხვა წინადადებები, რომლებიც ბანკისათვის აღმოჩნდა მისაღები. ასეთ შემთხვევაში არასანქცირებული გადახდების დაცვის მოქმედებებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს;

ე) კლიენტის მომსახურე ბანკის მიერ კორესპონდენტ ბანკში გადაცემული სანქცირებული ელექტრონული საგადახდო დავალება ჩაითვლება შეცდომით გადაცემულად:

ე.ა) როდესაც საგადახდო დავალების რეკვიზიტები არ შეესაბამება გადამხდელის საგადახდო დავალების რეკვიზიტებს;

ე.ბ) როდესაც საგადახდო დავალება გადაცემულია განმეორებით;

ვ) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მის მომსახურე ბანკში გადაცემული საგადახდო დავალება შეცდომითაა გადაცემული, კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შეატყობინოს ბანკს აღმოჩენილი შეცდომის შესახებ. კლიენტმა შეტყობინებაში უნდა ასახოს საგადახდო დავალების რეკვიზიტები და მის მიერ გამოვლენილი არასწორი რეკვიზიტები;

ზ) თუ ბანკს არ წარედგინა ასეთი შეტყობინება, არასწორი რეკვიზიტებით გადაცემული საგადახდო დავალება ჩაითვლება შესასრულებლად მიღებულად და ბანკი პასუხს არ აგებს მისი შესრულების შედეგად დამდგარ ფაქტზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ შეცდომით გადაცემული საგადახდო დავალების გამო მომსახურე ბანკმა განიცადა ზარალი, კლიენტი პასუხისმგებელია ბანკისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზარალისათვის.

2. საგადახდო დავალების ქაღალდით წარდგენა:

ა) საგადახდო დავალება (მათ შორის საინკასო დავალება) ბანკში წარსადგენად ძალაშია მათი გამოწერიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში (გამოწერის დღის ჩაუთვლელად);

ბ) საგადახდო დავალებები შესასრულებლად მიიღება კლიენტის ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში (გარდა ბიუჯეტის და მასთან გათანაბრებულ გადასახდელებზე წარდგენი-

ლი საგადახდო დავალებებისა, რომლებიც მიიღება კლიენტის ანგარიშზე თანხების არსებობის მიუხედავად და აღირიცხება ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკაში). საგადახდო დავალების კარტოთეკაში მოთავსების შემთხვევაში, საგადახდო დავალების ყველა ეგზემპლარის ზედა მარჯვენა კუთხეში კეთდება შენიშვნა კარტოთეკაში მოთავსების შესახებ, თარიღის ჩვენებით. ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკიდან საგადახდო დავალებების განაღდების წესები მოცემულია N3 დანართში;

გ) ქაღალდის საგადახდო დავალების გაფორმება (დოკუმენტალური ოპერაციების გარდა) ხდება ამ წესების 8 და 9 დანართებში მოცემული ფორმით, რომელთა შევსების წესებიც მოცემულია N4 დანართში. ველები, რომელთა რეკვიზიტებსაც მნიშვნელობები არ გააჩნია, რჩება შეუვსებელი (არასაბუღალტრო ანგარიშებზე გადარიცხვის ამსახველი საგადახდო დავალებების ველები);

დ) კლიენტის მიერ ამ წესების დაცვით შედგენილი ქაღალდის საგადახდო დავალება ბანკს წარედგინება ერთ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს დედანს. საგადახდო დავალების კლიენტისადმი დასაბრუნებელი მეორე ეგზემპლარი (ან ნებისმიერი სხვა რაოდენობა, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს დამოუკიდებლად და აისახება ოპერაციების წარმოების შესახებ ბანკის მიერ გაცხადებულ პირობებში – შიდასაბანკო წესებში) არის მისი ასლი (გადაღებული ასლგადამღები ტექნიკით, სკანერით და ა.შ – თუ ასლის გადაღება შესრულებულია ხარვეზების გარეშე). საგადახდო დავალების დედანი რჩება ბანკში და წარმოადგენს ოპერაციის შესრულების საფუძველს, ხოლო ბანკის პასუხისმგებელი მუშაკის ხელმოწერით და შტამპით დამოწმებული ასლი, სავალდებულო წესით, უბრუნდება კლიენტს;

ე) კლიენტის მიერ ბანკში წარდგენილ საგადახდო დავალების ნაწილობრივი შესრულების პირობის მითითება დაუშვებელია.

მუხლი 5. ანგარიშსწორება საინკასო დავალებებით

1. უდავო წესებით თანხების გადახდევინებას (ჩამოწერას) ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკი, სააღსრულებო ორგანოები, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, რომლებსაც საქარ-

თველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ პირებისათვის გადასახდელთა დაკისრების უფლებამოსილება. *(7.08.2008 N 210)*

2. სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლები (შემდგომში – აღმასრულებლები) გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების უდავო წესით ჩამოწერას ახდენს უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების პირველი პირების ან შესაბამისი წესით დამოწმებული დუბლიკატების და სახსრების ჩამოწერის შესახებ მათ მიერ შევსებული და სათანადო წესით დამოწმებული საინკასო დავალების (განკარგულების) საფუძველზე (N9 დანართი), ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სამსახური – მათ მიერ შევსებული და სათანადო წესით დამოწმებული საინკასო დავალების და საინკასო დავალების ბანკში წარდგენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების საფუძველზე. *(7.08.2008 N 210)*

3. ბანკში წარდგენილი სააღსრულებო ფურცელი გაფორმებული უნდა იყოს ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. უდავო წესით სახსრების ჩამოწერის შესახებ საინკასო დავალების შესაბამის ველში უნდა მიეთითოს იმ ნორმატიული აქტის სახელწოდება და მუხლი (პუნქტი), რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სახსრების უდავო წესით ჩამოწერა. ამ ველში შეტანილი ინფორმაციის ნამდვილობისათვის ბანკი პასუხს არ აგებს.

5. საინკასო დავალებაში დასაშვებია ერთსა და იმავე საბანკო დაწესებულებაში გახსნილი გადამხდელის რამდენიმე ანგარიშის ერთდროულად მითითება (მათ შორის უცხოური ვალუტით). საინკასო დავალებაში მითითებული თანხის ჩამოწერა წარმოებს გადამხდელის იმ ანგარიშებიდან, რომლებიც მითითებულია საინკასო დავალებაში. დაუშვებელია ბანკმა საინკასო დავალებაში მითითებული სახსრების ჩამოწერა განახორციელოს გადამხდელის (კლიენტის) სხვა ანგარიშიდან, რომელიც მითითებული არ ყოფილა საინკასო დავალებაში.

6. საინკასო დავალებაში გადამხდელის რამდენიმე ანგარიშის (მათ შორის უცხოური ვალუტით) მითითების მიუხედავად, საინკასო დავალებით წარდგენილი მთლიანი თანხა უდავო წესით ჩამოი-

წერება ერთხელ. თანხის ერთჯერადი ჩამოწერა შესაძლებელია როგორც ერთი რომელიმე ანგარიშიდან, ისე საინკასო დავალებაში მითითებული ანგარიშებიდან ჯამურად.

7. საინკასო დავალება, რომელშიც მოცემულია გადამხდელის რამდენიმე ანგარიში, პირველ რიგში, შესრულდება (განაღდდება) იმ ანგარიშიდან, რა ვალუტითაც არის წარდგენილი უდავო წესით გადასახდელი თანხა. თუ წარდგენილი ვალუტით არ არის საკმარისი თანხა შესაბამის ანგარიშზე, საინკასო დავალება შესრულდება ბანკის მიერ შერჩეული ანგარიშიდან (ანგარიშებიდან).

8. სხვა ვალუტით გახსნილი ანგარიშიდან თანხების ჩამოწერისას, კონვერტაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, ხოლო ბანკსა და კლიენტს შორის ანგარიშსწორების საკომისიო (გადარიცხვის საკომისიო, კონვერტაციის საკომისიო) განისაზღვრება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

9. უდავო წესით სახსრების ჩამოსაწერად აღმასრულებლების სააღსრულებო ფურცელი და საინკასო დავალება ან საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო სამსახურის საინკასო დავალება, შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ ან საფოსტო გზავნილით, წარედგინება უშუალოდ იმ საბანკო დაწესებულების ქვედანაყოფს, რომელშიც წარმოებს მოვალის ანგარიში. *(7.08.2008 N 210)*

10. საინკასო დავალების წარმდგენი პირის (პირების) სამსახურებრივი უფლებამოსილების დადგენას საბანკო დაწესებულება ახდენს პირადობის დამადასტურებელი საბუთების საფუძველზე. პირადობის დამადასტურებელი საბუთები გაცემული უნდა იყოს საინკასო დავალების წარმომდგენი ორგანოს მიერ. პირადობის დადგენა შეიძლება განახორციელონ საბანკო დაწესებულებების კანცელარიის, საოპერაციო ან იურიდიული დეპარტამენტის (განყოფილების) თანამშრომლებმა. წარმომდგენის ვინაობის დადგენის გარეშე საბანკო დაწესებულება არ მიიღებს შესასრულებლად სააღსრულებო საბუთებს.

11. საინკასო დავალებას ბანკი მიიღებს შესასრულებლად მოვალის საბანკო ანგარიშზე სახსრების არსებობის მიუხედავად. საბანკო ანგარიშზე სახსრების უკმარისობის შემთხვევაში დავალება

აღირიცხება ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკაში და განაღდება მოხდება სახსრების შემოსვლის კვალობაზე, მთლიანად ან ნაწილობრივ, მე15 პუნქტში მითითებული რიგითობით.

12. საინკასო დავალების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ბანკი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. უდავო წესით თანხების გადახდევინების საფუძვლიანობისა და სამართლიანობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახსრების ამომღებს და ამდენად ბანკი არ არის ვალდებული განიხილოს გადამხდელის პრეტენზიები სახსრების უდავო წესით ჩამოწერის თაობაზე.

14. ამ მუხლის მოთხოვნების არასრულყოფილად დაცვის შემთხვევაში საბანკო დაწესებულება უდავო წესით თანხის ჩამოსაწერად წარდგენილ საინკასო დავალებას დაუბრუნებს წარმომდგენს, ამ დავალების შესრულებაზე მოტივირებული უარის თქმის შესაბამისი თანმხლები წერილით.

15. უდავო წესით სახსრების ჩამოწერის უფლებამოსილების მქონე ორგანოების საინკასო დავალებებს ერთმანეთის მიმართ აქვს გარკვეული უპირატესობა, კერძოდ:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის, სააღსრულებო ბიუროს, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს, საგადასახადო და საბაჟო სამსახურის მიერ წარდგენილ საინკასო დავალებათა შორის უპირატესობით სარგებლობს საქართველოს ეროვნული ბანკის საინკასო დავალება და მისი შესრულება უნდა განხორციელდეს პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, სხვა საინკასო დავალებებთან შედარებით რა ვადაში იყო წარდგენილი იგი; *(7.08.2008 N 210)*

ბ) საგადასახადო და საბაჟო ორგანოს მიერ წარდგენილი საინკასო დავალებები თანაბარი დონის საანგარიშსწორებო დოკუმენტებია და მათი შესრულება უნდა განხორციელდეს ქრონოლოგიური რიგითობის მიხედვით;

გ) საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსა და სააღსრულებო ბიუროს მიერ წარდგენილი საინკასო დავალებების შესრულება უნდა განხორციელდეს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მოცემული ორგანოების მიერ წარდგენილი საინკასო

დავალებების შესრულების შემდეგ ქრონოლოგიური რიგითობით. *(7.08.2008 N 210)*

16. ბანკის კლიენტების საბანკო ანგარიშზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ კლიენტის მომსახურე ბანკში ყადაღის დადების დოკუმენტის წარდგენისას, ჩერდება ყველა საინკასო დავალების შესრულება საქართველოს ეროვნული ბანკის საინკასო დავალების ჩათვლით. კლიენტის საბანკო ანგარიშზე რამდენიმე ყადაღის აქტის ფარგლებში საინკასო დავალების წარდგენისას, საინკასო დავალებათა შორის უპირატესობის საკითხი არ დგება, რადგან ერთი ან მეტი ყადაღის აქტი ანგარიშზე გამორიცხავს ნებისმიერი აქტიური საბანკო ოპერაციის შესრულებას.

17. მრავალსტრიქონიან საინკასო დავალების წარდგენის შემთხვევაში საბანკო დაწესებულება თანხების ჩამოწერას უზრუნველყოფს დავალებაში სწორად მითითებული საბანკო ანგარიშებიდან, ხოლო საინკასო დავალებაში არასწორად მითითებული საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) შესახებ არა უგვიანეს მისი მიღების მეორე სამუშაო დღისა წერილობით აცნობებს მის წარმომდგენს.

18. იმ შემთხვევაში, თუ საბანკო დაწესებულებასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის საინკასო დავალების) ელექტრონულად გაცვლის შესახებ, დასაშვებია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები განხორციელდეს ელექტრონულ–ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. *(21.12.2007 N336)*

მუხლი 6. ანგარიშსწორება აკრედიტივებით

1. გადამხდელსა და მიმღებს შორის აკრედიტივით ანგარიშსწორება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დამკვიდრებული წესების შესაბამისად.

2. დოკუმენტალური ოპერაციებით სარგებლობის პირობები მოცემულია N5 დანართში.

3. ბანკს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტივის გახსნის თაობაზე, თუ კონკრეტული აკრედიტივის გახსნა ბანკისათვის დაკავშირებულია რამე რისკთან.

4. აკრედიტივით ანგარიშსწორებისას დაშვებული შეცდომებისათვის ბანკები პასუხს აგებენ კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოქმნილ პრეტენზიებს აკრედიტივის დავალების მიმცემი (გადამხდელი) და სახსრების მიმღები განიხილავენ ბანკის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 7. ანგარიშსწორება საბანკო პლასტიკური ბარათებით

საბანკო პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორება რეგულირდება საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ დებულებით, კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ბანკებისა და პლასტიკური ბარათების საერთაშორისო საგადახდო სისტემების მომწოდებელ კორპორაციათა მიერ შემუშავებული წესების შესაბამისად.

მუხლი 8. ანგარიშსწორება ჩეკებით

საანგარიშსწორებო ჩეკებით ანგარიშსწორება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, ბანკების მიერ შემუშავებული შიდასაბანკო წესებით და ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 9. უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური პირის მიერ

1. ამ წესებში გამოყენებული ტერმინი – „ფიზიკური პირი“ გულისხმობს პირს, რომლის მიერ წარმოებული უნაღდო ანგარიშსწორება არ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

2. ეს წესები აწესრიგებს ფიზიკური პირის მიერ როგორც ქვეყნის შიგნით (ეროვნული და უცხოური ვალუტით), ისე მის საზღვრებს გარეთ უნაღდო ანგარიშსწორებას ხელშეკრულების საფუძველზე, საბანკო დაწესებულებაში გახსნილი საბანკო ანგარიშების მეშვეობით (მიმდინარე, ანაბრის ან საბანკო პლასტიკური ბარათის ანგარიში) ან საბანკო ანგარიშის გახსნის გარეშე (ხელშეკრულების გარეშე).

3. საბანკო დაწესებულებაში გახსნილი ანგარიშით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ა) საბანკო ანგარიშით უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებისას ფიზიკურ პირს უფლება აქვს ისარგებლოს უნაღდო ანგარიშსწორების ნებისმიერი ფორმით, ამ წესების თავისებურებების გათვალისწინებით;

ბ) ბანკის მიერ ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშიდან სახსრების ჩამოწერა ანგარიშზე არსებული სახსრების ფარგლებში ხდება ანგარიშის მფლობელის განკარგულების (საგადახდო დავალების)

საფუძველზე ან, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მისი განკარგულების გარეშე;

გ) ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშზე სახსრების უკმარისობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს ოპერაცია აწარმოოს ფიზიკური პირისათვის გაცემული კრედიტის ხარჯზე;

დ) ფიზიკური პირი უფლებამოსილია თავისი საბანკო ანგარიშიდან გადარიცხვები აწარმოოს როგორც სხვა ფიზიკური პირის, ისე იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე ან განახორციელოს ბიუჯეტის, ან სხვა გადახდა, ფიზიკური პირი ასევე უფლებამოსილია თავისი საბანკო ანგარიშიდან გადარიცხვები აწარმოოს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მაგივრად. *(21.12.2007 N336)*

ე) ფიზიკური პირის საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის ნაწილობრივ ანაზღაურება დაუშვებელია;

ვ) ფიზიკურ პირს უფლება აქვს მის ანგარიშზე არსებული სახსრების განკარგვის უფლება მინდობილობის საფუძველზე მიანიჭოს სხვა ფიზიკურ პირს (ნდობით აღჭურვილ პირს). მინდობილობის გამცემ ფიზიკურ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მინდობილობის მოქმედება ვადა საბანკო დაწესებულებაში შესაბამისი განცხადების წარდგენით;

ზ) ერთჯერადი ან პერიოდული გადარიცხვების (მაგ., კომუნალური და სხვ.) საწარმოებლად, ფიზიკურ პირს უფლება აქვს საგადახდო საბუთების შევსების უფლება ხელშეკრულების ან განცხადების საფუძველზე მიანიჭოს საბანკო დაწესებულებას. განცხადებას ფიზიკური პირი ბანკში წარადგენს თავისუფალი ტექსტით შედგენილი და ხელმოწერილი სახით, რითაც ბანკს ავალებს გარკვეული დროის განმავლობაში განახორციელოს პერიოდული გადარიცხვები საბანკო ანგარიშებზე;

თ) ფიზიკური პირის განცხადებაში მოხსენიებული უნდა იყოს სახსრების გადასარიცხად საჭირო რეკვიზიტები;

ი) ფიზიკური პირისაგან მიღებული განცხადება ფორმდება საბანკო დაწესებულების პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და შტამპით, განცხადების მიღების თარიღის მითითებით. ასე გაფორმებული განცხადების პირველი პირი ინახება ბანკში, ხოლო ასლი უბრუნდება ფიზიკურ პირს;

კ) ფიზიკური პირის განცხადებაში საბანკო ანგარიშიდან გადახდებზე რეკომენდებულია აისახოს:

კ.ა) გადამხდელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი (მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი და ქვეყნის დასახელება; *(21.04.2008 N103)*

კ.ბ) გადამხდელის საბანკო ანგარიშის ნომერი;

კ.გ) გადამხდელის „საიდენტიფიკაციო ნომერი" – მიეთითება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

კ.დ) სახსრების მიმღების დასახელება და ანგარიშის ნომერი – თუ მიმღები პირი იურიდიული პირია, ან მიმღების სახელი და გვარი და მიმდინარე ანგარიშის (ანაბრის ან საბარათე ანგარიშის) ნომერი – თუ მიმღები პირი ფიზიკური პირია;

კ.ე) მიმღები ბანკის დასახელება და კოდი;

კ.ვ) გადასახდელი თანხა ან მისი მისი ოდენობის განსაზღვრის პირობები;

კ.ზ) გადახდის თარიღი და გადახდების პერიოდულობა;

კ.თ) გადახდის დანიშნულება;

კ.ი) განცხადების მოქმედების ვადა;

კ.კ) განცხადების შედგენის თარიღი;

კ.ლ) განცხადების შესრულებისათვის საჭირო დამატებითი რეკვიზიტები (მაგ., ტელეფონის ნომრები, კლიენტის სურვილის მიხედვით სხვა ისეთი პირობები, რომლითაც ბანკს უფლება ეძლევა მოახდინოს გადასარიცხი თანხის კორექტირება ან მიმღების მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი სხვა რეკვიზიტები);

ლ) ხელშეკრულების ან ფიზიკური პირის განცხადების საფუძველზე გადახდებს ბანკი ახოციელებს საგადახდო დავალების საშუალებით, შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით:

ლ.ა) „გადამხდელის" ველში მიეთითება ფიზიკური პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი (მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი და ქვეყნის დასახელება; *(21.04.2008 N103)*

ლ.ბ) „საიდენტიფიკაციო ნომერი" – მიეთითება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ლ.გ) „ანგარიშის ნომრის“ ველში მიეთითება ფიზიკური პირის საბანკო ანგარიში;

ლ.დ) „დანიშნულების“ ველში მიეთითება საგადახდო დავალების ფიზიკური პირის განაცხადის (ან ხელშეკრულების) საფუძველზე შედგენის ფაქტი, განცხადების თარიღისა და გადახდის დანიშნულების ჩვენებით;

ლ.ე) საგადახდო დავალებაზე ხელმოწერას ახდენს საბანკო დაწესებულების ის პასუხისმგებელი პირი (პირები), რომელსაც მინიჭებული აქვს საგადახდო საბუთებზე ხელმოწერის უფლება;

მ) იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვა ხდება სხვა ფიზიკური პირის სასარგებლოდ:

მ.ა) „მიმღების“ველში იწერება მიმღები ფიზიკური პირის სახელი და გვარი;

მ.ბ) მიმღების „ანგარიშის ნომრის“ ველში – მიმღები ფიზიკური პირის საბანკო ანგარიში;

ნ) ფიზიკურ პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მისი ანგარიშიდან გადახდებზე ბანკისათვის მინიჭებული უფლება საბანკო დაწესებულებაში შესაბამისი განცხადების წარდგენით;

ო) ფიზიკური პირის საგადახდო დავალების შევსება შეიძლება როგორც ქაღალდის სახით, ისე ელექტრონული სახით;

პ) იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი ახდენს სახსრების გადარიცხვას რამდენიმე ფიზიკური პირის სასარგებლოდ, რომლებიც ამავე ბანკის კლიენტები არიან, დასაშვებია ანგარიშსწორება რეესტრის გამოყენებით.

4. ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების გადარიცხვები ბანკში ანგარიშის გახსნის გარეშე

ა) საბანკო დაწესებულებაში ანგარიშის გახსნის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვები ხორციელდება ფიზიკური პირისგან მიღებული ფულადი სახსრების ხარჯზე, ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე ბიუჯეტის სასარგებლოდ. ფიზიკური პირი ასევე უფლებამოსილია ანგარიშის გახსნის გარეშე გადარიცხვები აწარმოოს სხვა პირის მაგივრად. *(21.12.2007 N336)*

ბ) ფიზიკური პირების მიერ ანგარიშის გახსნის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვების განხორციელების წესებს და პირო-

ბებს ბანკი ადგენს დამოუკიდებლად, ამ წესებში მოცემული პირობების გათვალისწინებით;

გ) ანგარიშის გახსნის გარეშე ოპერაციების შესასრულებლად ბანკი ვალდებულია მოახდინოს ფიზიკური პირის სრულყოფილი იდენტიფიცირება;

დ) ფიზიკური პირის მიერ ანგარიშის გახსნის გარეშე ფულადი სახსრების გადარიცხვების განსახორციელებლად საგადახდო დავალებას ავსებს ფიზიკური პირი ან ბანკი. ორივე შემთხვევაში საბუთზე ხელს აწერს ფიზიკური პირი;

ე) ამოღებულია *(21.12.2007 N336)*

ე.ა) ამოღებულია *(21.12.2007 N336)*

ე.ბ) ამოღებულია *(21.12.2007 N336)*

ვ) გადამხდელ და მიმღებ ბანკებში ანგარიშის გახსნის გარეშე გადარიცხვების აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიშები ბულალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისი კლასიდან (დებიტორ–კრედიტორები).

თავი II. შიდასაბანკო და ბანკთაშორისი ანგარიშსწორების წესები

მუხლი 10. ზოგადი ნაწილი

1. ბანკთაშორისი ანგარიშსწორების წესები განსაზღვრავს საქართველოს საბანკო სისტემაში საანგარიშსწორებო ოპერაციების ორგანიზაციის, საბანკო ანგარიშებით (საკორესპონდენტო და სხვ.) ანგარიშსწორების განხორციელების, საგადახდო სისტემების ფუნქციონირების, კონფიდენციალურობის და სხვა საკითხებისაში საერთო მიდგომებს.

2. ბანკთაშორისი ანგარიშსწორება, რომელიც საბანკო ანგარიშების მეშვეობით ფულადი სახსრების გადარიცხვის საშუალებაა, რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით, ამ წესებით, ეროვნული ბანკის ცალკეული ნორმატიული აქტებით, ბანკსა და კლიენტებს შორის, ასევე ბანკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით და საგადახდო სისტემებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებით.

3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკთაშორისი ანგარიშსწორების (და სხვა საგადახდო სისტემების) ორგანიზატორი და ზედამხედველია საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც

ახორციელებს მათ მართვას, აწესებს უნაღდო ანგარისწორების წესებს, ფორმებს, ვადებს, სტანდარტებს, უსაფრთხოების წესებს, უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების შემუშავებას, სისტემის ყველა მონაწილისათვის იძლევა ერთიანი პირობების და ინფორმაციის კონფიდენციალურობის გარანტიას, თავისი ფუნქციების შესრულებისათვის პასუხისმგებელია ბანკების წინაშე კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. უქაღალდო ტექნოლოგია

1. საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონულ–ტექნოლოგიური სისტემების და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დანერგვის შედეგად უზრუნველყოფილია საბანკო სფეროს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის წარმოება უქაღალდო ტექნოლოგიით.

2. ბანკის შიდასაფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პირველადი საანგარიშსწორებო–სააღრიცხვო საბუთები, რომელთა ბაზაზეც ხდება ელექტრონული საგადახდო საბუთების შედგენა, ბანკის საბუთბრუნვის (დავთარწარმოების) განსაკუთრებული სახეა, რომელთა ფორმა დადგენილია მკაცრად განსაზღვრული სახით. მათი რეკვიზიტები, დავთარწარმოების სხვა საბუთებისაგან განსხვავებით, არაერთგვაროვანია, შეიცავს როგორც ტექსტურ ინფორმაციას (დასახელებებს, დანიშნულებებს და სხვ.), ისე ციფრულ მონაცემებს (კოდებს, ანგარიშის ნომრებს, თანხას, თარიღს) და ამდენად არ შეიძლება წარდგენილ იქნეს სხვადასხვა რედაქციით.

3. ელექტრონული საგადახდო საბუთების შექმნა ეფუძნება საბუთის ერთჯერადი შეტანის პრინციპს. დადგენილი წესით ერთხელ შექმნილი ელექტრონული საგადახდო საბუთი, რომელიც მზად არის შესასრულებლად, სხვადასხვა ეტაპზე დასამუშავებლად არ შეიძლება განმეორებით იქნეს შედგენილი (ხელით შეტანა კომპიუტერულ ტექნიკაში).

4. მონაცემთა ერთიანი ბაზების და დაცვის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, რომელიმე სამუშაო ადგილზე (ადგილებზე) ერთჯერადი შეტანის პრინციპით შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთზე წვდომა, მისი შემდგომი დამუშავების (შესრულების) მიზნით, დასაშვებია სხვა სამუშაო ადგილებიდან, ამასთან სამუშაო ადგილებს შორის ელექტრონული საბუთის ქაღალდის ასლის შექმნა და მათი გადაადგილება არ არის საჭირო.

5. საბუთის ერთჯერადი შეტანის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც საჭირო აღარ არის მიღებული პირველადი ელექტრონული საბუთის მონაცემების განმეორებით შეტანა, უქაღალდო ტექნოლოგიით ურთიერთობები დასაშვებია როგორც ბანკის შიდა სტრუქტურებს შორის (ბანკის საოპერაციო დღის სისტემა და სხვ.), ისე ბანკის გარეთ საბუთბრუნვის შემთხვევებისათვის (ბანკთაშორისი ანგარიშსწორება, „კლიენტიბანკი", ანგარიშსწორება სახელმწიფო ბიუჯეტთან და სხვ.).

6. რადგან პირველადი ელექტრონული საბუთის დამუშავების ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს ერთი ელექტრონული საბუთის მიერ დამუშავების სხვადასხვა ეტაპის თანამიმდევრულ გავლას, ამდენად სხვადასხვა საბუთისა და უწყისის თანამიმდევრული მიღება ხდება მხოლოდ პირველადი ელექტრონული საბუთის საფუძველზე.

7. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, ბანკს უფლება აქვს მოახდინოს შესრულებული ელექტრონული საგადახდო საბუთების ფორმირება გარკვეული უწყისების ან ფორმების სახით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის შიდა წესებით განსაზღვრული მიზნებისათვის (მოახდინოს სააღრიცხვო ჩანაწერების შედარება, მემორიალური და სხვა შიდასაანგარიშსწორებო საბუთების ფორმირება, ბუღალტრული აღრიცხვის სხვა მიზნებისათვის გამოყენება).

8. უქაღალდო ტექნოლოგიის პირობებში სავალდებულოა ელექტრონული არქივების წარმოება.

9. ელექტრონულ არქივებში არსებული დღიური ელექტრონული საბუთების და სხვა უწყისების, ქაღალდის ასლების ამობეჭდვა ქაღალდის არქივების შექმნის (ბანკის დღიურ საბუთებში ჩასაკრავად) ან სხვა მიზნით სავალდებულო არ არის.

10. ელექტრონული საბუთების ქაღალდის ასლების დამზადების აუცილებლობის შემთხვევაში, ანგარიშსწორების მონაწილე მხარეები ხელმძღვანელობენ მათი გაფორმების არსებული წესების შესაბამისად (სტანდარტული სახით ბეჭდვა, ხელმოწერები, შტამპი და სხვ.).

მუხლი 12. საგადახდო სისტემები

1. საქართველოს საბანკო სფეროს საგადახდო სისტემების ინფრასტრუქტურა მოიცავს ორ დამოუკიდებელ სეგმენტს:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ საგადახდო სისტემებს;

ბ) კერძო საგადახდო სისტემებს.

2. ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული საგადახდო სისტემებია ბანკთაშორის და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს შორის (მათ შორის უცხოურ კომპანიებს) ორგანიზებული ანგარიშსწორების სისტემები.

3. კერძო (კომერციული) საგადახდო სისტემებია კომერციული ბანკების შიდასაბანკო საგადახდო სისტემები, საანგარიშსწორებო–საკლირინგო საქმიანობაზე სპეციალიზებული საბანკო და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის, პლასტიკური ბარათებით საცალო გადახდების და სხვა კომპანიების საგადახდო სისტემები.

მუხლი 13. ბანკთაშორისი ანგარიშსწორების მონაწილეები

1. ამ წესების პირველი თავის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირები ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემაში შესაძლოა წარმოდგენილ იქნენ როგორც ანგარიშსწორების უშუალო მონაწილეებად, ისე არაპირდაპირ მონაწილეებად.

2. ანგარიშსწორების უშუალო მონაწილეა ის, ვისაც მინიჭებული აქვს საბანკო კოდი (ან პირობითი საბანკო კოდი), ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს შესაბამისი ანგარიში, რეგისტრირებულია ანგარიშსწორების სისტემაში და სისტემისადმი პირდაპირი წვდომა აქვს.

3. ანგარიშსწორების არაპირდაპირი მონაწილეები არიან ისინი, რომელთა დავალებების შესრულებაც შეიძლება მათი სახელით, სისტემის სხვა უშუალო მონაწილეთა მეშვეობით (სათანადო უფლებების მინიჭების პირობებში).

4. ყოველ მონაწილეს სისტემაში შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ის ფუნქციები, რომლებიც განსაზღვრულია კონკრეტული საგადახდო სისტემის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით და შესაბამისი ხელშეკრულებებით.

მუხლი 14. ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ორგანიზაცია

1. საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებლად საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული ყველა კომერციული ბანკი სა-

ბანკო ლიცენზიის მიღების შემდეგ საჯალდებულო წესით ხსნის ერთ საკორესპონდენტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში (ან მის ფილიალში ადგილმდებარეობის შესაბამისად). მრავალფილიალიანი კომერციული ბანკი, მისი ფილიალის საკორესპონდენტო ანგარიშს ხსნის მხოლოდ სათავო ბანკში. ბანკის ფილიალის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნა ეროვნულ ბანკში (მის ფილიალში) დაუშვებელია. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნის ბანკის ფილიალი საკორესპონდენტო ანგარიშს ხსნის საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში.

2. საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მის მომსახურებაში მყოფ ბანკს შორის ფორმდება ხელშეკრულებები „საკორესპონდენტო ანგარიშის მომსახურების“ და „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების მომსახურების შესახებ“.

3. მხარეებს შორის შეთანხმებული ვადით იდება ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავს საანგარიშსწორებო მომსახურების, ოპერაციების განხორციელების, საბუთების გაცვლის, მომსახურების ანაზღაურების წესებს, უფლებებს და ვალდებულებებს, აგრეთვე კანონმდებლობით და ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ სხვა პირობებს.

4. ეროვნული ბანკის საანგარიშსწორებო სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტა შეიძლება როგორც მონაწილის, ისე ეროვნული ბანკის ინიციატივით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5. ეროვნულ ბანკს საანგარიშსწორებო საბუთები წარედგინება მხოლოდ ელექტრონული სახით, კავშირების არხების მეშვეობით (ტექნიკური ხარვეზების შემთხვევებში დასაშვებია მაგნიტური ან, გამონაკლის შემთხვევაში, ქაღალდის მატარებლებით).

6. ეროვნული ბანკი საანგარიშსწორებო საბუთების მიღებას ახორციელებს ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე საბუთების მიღების მომენტში არსებული სახსრების ოდენობის მიუხედავად, შემხვედრი ჩარიცხვების გათვალისწინებით.

7. ელექტრონულ საგადახდო საბუთს, რომელიც შედგენილია დამცავი საშუალებების გამოყენებით და რომელშიც ასახულია პირველადი საგადახდო საბუთის ყველა რეკვიზიტი, ქაღალდის სა-

გადახდო საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა აქვს და არ საჭიროებს ქაღალდის საბუთების დართვას. ელექტრონული საგადახდო საბუთები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს საგადახდო სისტემების მარეგლამენტირებელი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს, შესრულებას არ ექვემდებარება.

8. ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების (ჩამოწერა, ჩარიცხვა) დასაბუთება ხდება „ამონაწერით საკორესპონდენტო ანგარიშიდან“ და თანდართული საანგარიშსწორებო საბუთებით, რომლებიც ბანკს გადაეცემა ასევე ელექტრონული სახით, ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადებში, ინფორმაციის დაცვის საშუალებების გამოყენებით.

9. ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული ოპერაცია ითვლება:

ა) გამოუთხოვადად – ეროვნულ ბანკში გადამხდელი ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერის მომენტიდან;

ბ) დასრულებულად – ეროვნულ ბანკში მიმღების ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვის მომენტიდან.

10. ბანკებს უფლება აქვთ ბანკთაშორისი ანგარიშსწორება აწარმოონ ერთმანეთთან გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშებით.

11. ბანკებს შორის ანგარიშსწორება დასაშვებია იმ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების (საანგარიშსწორებო, საპროცესინგო, საკლირინგო დაწესებულება და სხვ.) მეშვეობით, რომლებსაც აქვთ მონაცემთა გაცვლის ქსელების საშუალებით წვდომა საბანკო სფეროს საგადახდო სისტემებთან და შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ მონაწილეთა შორის ინფორმაციულ–ტექნოლოგიური ურთიერთქმედება დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 15. ანგარიშსწორება კომერციული ბანკის სათავო ბანკსა და მის ფილიალებს შორის

1. სათავო ბანკები თავის ფილიალებთან ანგარიშსწორებას ახორციელებენ დამოუკიდებლად, სათავო ბანკის შიდასაბანკო წესების შესაბამისად ორგანიზებული საგადახდო სისტემების მეშვეობით.

2. ბანკში შიდასაბანკო წესები ფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით, რომელსაც ამტკიცებს ბანკის ხელმძღვანელი ორგანო.

მუხლი 16. საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება იმ ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე, რომელთაც გახსნილი აქვთ საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკში

1. კომერციულ ბანკებს, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უცხო ქვეყნის ბანკების ფილიალებს, უფლება აქვთ ანგარიშსწორება აწარმოონ ერთმანეთთან გახსნილი საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით (ანუ დაამყარონ საკორესპონდენტო ურთიერთობა).

2. საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა და მათი მეშვეობით საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება ხორციელდება მათ შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

3. სახსრების ჩამოწერის ან ჩარიცხვის დასრულების დასტურს წარმოადგენს ამონაწერი საკორესპონდენტო ანგარიშიდან, რომელსაც შემსრულებელი ბანკი გადასცემს ოპერაციის დამწყებ ბანკს.

4. მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოების წესი, უფლება–მოვალეობები, ოპერაციების ბალანსში ასახვის თარიღი, სადავო საკითხების რეგულირების და ანგარიშის დახურვის შემთხვევაში ნაშთების გადაცემის წესი და სხვა პირობები აისახება ხელშეკრულებაში.

5. საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვა ხდება ხელშეკრულების გაუქმებისას.

მუხლი 17. ანგარიშსწორება არასაბანკო დაწესებულებებით

1. საქართველოს ტერიტორიაზე საანგარიშსწორებო–საპროცესინგო ან საკლირინგო ოპერაციების განხორციელება დასაშვებია არასაბანკო დაწესებულებების (საანგარიშსწორებო–საპროცესინგო კომპანიები, ცენტრები, პალატები, ბირჟები, დეპოზიტარიები და სხვ.) მეშვეობით, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვთ აწარმოონ საანგარიშსწორებო ოპერაციები.

2. საანგარიშსწორებო–საპროცესინგო ან საკლირინგო დაწესებულებებს შორის, ან იმ ბანკებს შორის, რომლებიც არ გვევლინებიან ამ სისტემის მონაწილედ, ფულადი სახსრების გადარიცხვები

ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული საგადახდო (საანგარიშსწორებო) სისტემის მეშვეობით.

3. საანგარიშსწორებო–საპროცესინგო ან საკლირინგო დაწესებულებების მუშაობის პრინციპები უნდა ეთანადებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის საანგარიშსწორებო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

4. საანგარიშსწორებო–საპროცესინგო ან საკლირინგო დაწესებულების შესაძლო ოპერაციები მოიცავს:

ა) ანგარიშსწორების მონაწილე პირთა ანგარიშების გახსნას და გაძღოლას;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების ან კორესპონდენტი ბანკების დავალებებით ანგარიშსწორების განხორციელებას (მათ შორის ურთიერთვალდებულებათა ჩათვლის „ნეტ" კლირინგის პრინციპით);

გ) საანგარიშსწორებო–საგადახდო საბუთების მომსახურებას;

დ) სხვა ოპერაციებს, რომლებიც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით და არ შეიცავს კლიენტთა ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების საკრედიტო რისკებს.

მუხლი 18. ელექტრონული არქივების ორგანიზაცია

1. ელექტრონული ინფორმაციის შენახვა რეგულირდება ამ წესებით, სისტემის ორგანიზატორსა და მონაწილეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით.

2. უქაღალდო ტექნოლოგიის პირობებში როგორც კლიენტის, ისე ბანკის მიერ ელექტრონულ არქივებში სავალდებულო შენახვას ექვემდებარება სისტემის მიერ დასამუშავებლად მიღებული/გადაცემული ელექტრონული საგადახდო საბუთები საწყისი სახით (ხელმოწერილი, დაშიფრული), თვით ამ სისტემის პროგრამული საშუალებები და გამოყენებული ელექტრონული გასაღებები.

3. შენახვა სავალდებულოა სისტემის მონაწილე ორივე მხარისათვის.

4. პირველადი ელექტრონული საგადახდო საბუთების დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე წარმოშობილი შესანახი უწყისების ნუსხა კი განისაზღვრება კონკრეტული საგადახდო სისტემის ტექნოლოგიიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო სისტემას

აქვს განვლილი პერიოდის პირველადი საგადახდო საბუთების საფუძველზე სხვა, მომდევნო ეტაპების უწყისების ავტომატური მიღების საშუალება, ბანკს უფლება აქვს შეინახოს მხოლოდ იმ ეტაპის ინფორმაცია, საიდანაც შესაძლებელი ხდება მომდევნო ეტაპების უწყისების მიღება.

5. ელექტრონულ არქივებში ინფორმაციის შენახვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

ა) ელექტრონული არქივების და მონაცემების დაცვა არასანქცირებული წვდომისაგან;

ბ) ცვლილებების შეტანის შეუძლებლობა, დაცვა განზრახ ან დაუდევრობით გამოწვეული დამახინჯებისაგან, გაყალბებისა და არასანქცირებული განადგურებისაგან;

გ) შენახვის მთელი ვადის განმავლობაში მათი ნამდვილობის და უცვლელობის დადგენის შესაძლებლობა, მათი ხელმისაწვდომობა, გამოყენება, ან ასლების შექმნა;

დ) წინააღმდეგობის გარეშე წვდომის შესაძლებლობა;

ე) მისი არქივიდან ამოღების და სათანადო დონეზე წარდგენის შესაძლებლობა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტის სახით.

6. ელექტრონული ინფორმაციის შენახვა ხორციელდება ელექტრონულ ან ოპტიკურ მატარებლებზე.

7. ინფორმაცია უნდა ინახებოდეს 2 ეგზემპლარად, ერთმანეთისაგან დაშორებულ ფართობებში.

8. ელექტრონული ინფორმაციის შენახვის ვადები განისაზღვრება ქაღალდის საგადახდო საბუთების შენახვის, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების ანალოგიურად.

9. ელექტრონული არქივების განადგურება ხდება შესაბამისი ქაღალდის საბუთების განადგურებისას, მათი შენახვის ვადის გასვლის კვალობაზე და ფორმდება შესაბამისი ოქმებით, დადგენილი წესით.

ბანკში წარდგენილი საგადახდო საბუთების უკან გათხოვის წესი

1. გადამხდელს უფლება აქვს გაითხოვოს მის მიერ ბანკში წარდგენილი:

ა) არასაბიუჯეტო ანგარიშებზე გადარიცხვის ამსახველი საგადახდო დავალებები მათ შესრულებამდე;

ბ) ბიუჯეტის ან მასთან გათანაბრებულ გადასახდელებზე წარდგენილი საგადახდო დავალება, რომელიც გაუნაღდებელია ან ნაწილობრივ განაღდებულია (გადამხდელის ანგარიშზე სახსრების უკმარისობის, ან სხვა მიზეზების გამო) და აღრიცხულია „ვადაში გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების“ კარტოთეკაში.

2. სახსრების მიმღებს (სახსრების ამომღებს) უფლება აქვს გაითხოვოს ბანკის მიერ ინკასოზე მიღებული დავალება, რომელიც გაუნაღდებელია ან ნაწილობრივ განაღდებულია (გადამხდელის ანგარიშზე სახსრების უკმარისობის ან სხვა მიზეზის გამო) და აღრიცხულია „ვადაში გაუნაღდებელი საგადახდო საბუთების“ კარტოთეკაში.

3. შეუსრულებელი საგადახდო საბუთების კარტოთეკიდან გათხოვა შეიძლება მთლიანი თანხით (ნაწილობრივი გამოთხოვა დაუშვებელია), ხოლო ნაწილობრივ შესრულებულის – შეუსრულებელი ნაშთის ფარგლებში.

4. საგადახდო საბუთების გათხოვა ხდება თავისუფალი ფორმით შედგენილი განცხადების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს საგადახდო საბუთის წარმდგენი სათანადო კომპეტენციის მქონე პირი და წარედგინება გადამხდელის მომსახურე ბანკს. განცხადების დედანი მოთავსდება ბანკის დღიურ საბუთებში, ხოლო ბანკის კანცელარიის შტამპით დამოწმებული ასლი უბრუნდება კლიენტს, საბუთის გამოთხოვაზე მიმართვის მიღების დასტურად. *(21.04.2008 N103)*

5. გამოთხოვილ საგადახდო დავალებებს ბანკი უბრუნებს გადამხდელებს, ხოლო საინკასო საბუთებს – მის წარმომდგენებს.

6. საგადახდო საბუთების დაბრუნებისას ბანკი გადახაზავს აღნიშვნებს შესრულებაზე მათი მიღების შესახებ. საგადახდო საბუ-

თის დედნის მეორე მხარეზე კეთდება აღნიშვნა დაბრუნების შესახებ („დაბრუნებულია განაღდების გარეშე „—“ ———— თარიღის N — წერილის საფუძველზე“), დაისმევა დაბრუნების თარიღი, ბანკის შტამპი, პასუხისმგებელი შემსრულებლის და მაკონტროლებელი მუშაკის ხელმოწერები. ასე გაფორმებული საგადახდო დავალების ასლი უბრუნდება გადამხდელს, ხოლო დედანი რჩება ბანკში და საბუთის გათხოვაზე განცხადებასთან ერთად მოთავსდება დღიურ საბუთებში.

7. კლიენტის ანგარიშის დახურვის შემთხვევაში საგადახდო დავალებები უბრუნდება გადამხდელს, საინკასო დავალებები – სახსრების მიმღებებს (სახსრების ამომღებებს) ანგარიშის დახურვის თარიღის აღნიშვნით.

დანართი N2

მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვის წესი

1. მიმღები ბანკის მიერ მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა წარმოებს კორესპონდენტი ბანკისგან (ან „კლიენტი–ბანკი“ შემთხვევაში, როდესაც მიმღები ამავე ბანკის კლიენტია) მიღებულ ელექტრონულ (ან ქაღალდის) საგადახდო საბუთში მითითებული მიმღების ანგარიშის ნომრის და დასახელების მიხედვით. ამ რეკვიზიტებიდან მხოლოდ ერთერთის შესაბამისობის შემთხვევაში მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა დაუშვებელია და სახსრების მფლობელის დადგენამდე ბანკს უფლება აქვს შეაჩეროს მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა.

2. თუ საგადახდო საბუთში მითითებული ანგარიშის ნომერი და დასახელება არ შეესაბამება მიმღების ბანკში გახსნილ კლიენტის ანგარიშს და მის დასახელებას, ბანკის მიერ მიღებული სახსრები დროებით ჩაირიცხება “გაურკვეველი თანხების ანგარიშზე” მიმღები ბანკი არა უგვიანეს სახსრების მიღების მომდევნო სამუშაო დღისა ვალდებულია მიიღოს ზომები სახსრების მფლობელის დასადგენად. ბანკი ვალდებულია ფულადი სახსრები, რომელთა მფლობელის დადგენა აღმოჩნდება შეუძლებელი, 3 სამუშაო დღის განმავლობაში (გარდა საერთაშორისო ანგარიშსწორების შემთხვე-

ვისა) დაუბრუნოს გადამხდელ ბანკს (დაბრუნების მიზეზის ჩვენებით). *(21.04.2008 N103)*

3. რეალური მფლობელის დასადგენად, სახსრების მიმღების მომსახურე ბანკი ვალდებულია მიმღების მონაცემები (ანგარიშის ნომერი და დასახელება) დააზუსტოს გადამხდელის ბანკთან. *(21.04.2008 N103)*

4. გადამხდელის ბანკიდან დაზუსტებული მონაცემების მიღების შემთხვევაში, მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა წარმოებს მიღებული საგადახდო საბუთის და დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე, ამასთან, ამ ოპერაციის ელექტრონულად შესრულებისას, გადახდის დანიშნულებაში მიეთითება როგორც საგადახდო საბუთის ნომერი და თარიღი, ისე იმ დოკუმენტის ნომერი და თარიღი, რომლითაც მოხდა მონაცემების დაზუსტება.

5. ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმღების მომსახურე ბანკს.

6. უქაღალდო ტექნოლოგიის შემთხვევაში, როდესაც დაცულია ამ წესების მე-18 მუხლით განსაზღვრული „ელექტრონული არქივების ორგანიზაციის“ პირობები, მიმღების ანგარიშზე სახსრების ჩარიცხვა ხდება ბანკის მიერ მიღებული ელექტრონული საგადახდო დავალებების მეშვეობით, კომპიუტერული გატარებებით (ქაღალდის საბუთების გამოყენების გარეშე). ამ შემთხვევაში ელექტრონული საგადახდო საბუთის ბეჭდვა ქაღალდზე, დღიურ საბუთებში განთავსების მიზნით, სავალდებულო არ არის.

7. თუ ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობა ასევე რეგულირდება უქაღალდო ტექნოლოგიით, ასეთ შემთხვევაში დღიური ელექტრონული საგადახდო საბუთები და ანგარიშიდან ამონაწერი მიმღებს (კლიენტს) გადაეცემა ელექტრონულად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და ვადებში.

8. თუ მიმღების მომსახურებას ახდენს ბანკის ფილიალი, მიმღებისათვის სახსრების ჩარიცხვა ხდება არა უგვიანეს სათავო ბანკში სახსრების ასახვის მომდევნო საბანკო დღისა.

N3

ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკიდან საგადახდო საბუთების განაღდების წესი

1. ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკიდან საგადახდო დავალებების (საინკასო დავალებების) განაღდება წარმოებს სახსრების ჩარიცხვის კვალობაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობით.

2. საგადახდო დავალების (საინკასო დავალების) სრული განაღდებისას, საგადახდო დავალების (საინკასო დავალების) გრაფაში „ბანკის აღნიშვნები“ დაისმევა გადამხდელის ბანკის შტამპი, ანგარიშიდან ჩამოწერის თარიღი და პასუხისმგებელი შემსრულებლის ხელმოწერა. საგადახდო დავალებების (საინკასო დავალებების) სრული განაღდებისას, ნაწილობრივი განაღდებისგან განსხვავებით, გამოიყენება კარტოთეკაში არსებული საგადახდო დავალება (საინკასო დავალება).

3. დასაშვებია ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკიდან საგადახდო დავალებების (საინკასო დავალებების) ნაწილობრივ განაღდება.

4. კარტოთეკიდან საგადახდო დავალების (საინკასო დავალების) ნაწილობრივი განაღდებისას ბანკის პასუხისმგებელი შემსრულებელი, კარტოთეკაში არსებული საგადახდო დავალების (საინკასო დავალების) ყველა ეგზემპლარზე გრაფაში „დამატებითი ინფორმაცია“ აღნიშნავს ნაწილობრივი განაღდების რიგით ნომერს, მის მიერ შედგენილი იმ საგადახდო დავალების ნომერს და თარიღს [ან ელექტრონული საგადახდო დავალების ნომერს (რეფერენსს) და თარიღს], რომლითაც მოხდა განაღდება, ნაწილობრივ განაღდებული თანხის სიდიდეს, დარჩენილ ნაშთს და დაამოწმებს ხელმოწერით.

5. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ბანკს უფლება აქვს კარტოთეკაში არსებული საინკასო დავალების ნაწილობრივი განაღდება მოახდინოს ელექტრონულად. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერ მომენტში შესაძლებელი უნდა იყოს კარტოთეკაში არსებულ თითოეულ საინკასო დავალებაზე ელექტრონული სახით ნაწილობ-

რივი განაღდების შესახებ ინფორმაციის [ნაწილობრივი განაღდების რიგითი ნომერი, ელექტრონული საგადახდო დავალების ნომერი (რეფერენსი) და თარიღი, ნაწილობრივ განაღდებული თანხის სიდიდე, დარჩენილი ნაშთი] ფორმირება და ბეჭდვა. ელექტრონული საგადახდო დავალების (რომლითაც მოხდა ნაწილობრივი განაღდება) ქაღალდის ასლი არის გადამხდელის ანგარიშიდან ამონაწერის დანართი.

დანართი N4

საგადახდო საბუთების შევსების წესი

1. საგადახდო საბუთების ბლანკების დამზადება ხდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. დასაშვებია შევსებული საგადახდო საბუთების დედნის გამრავლება ბანკისათვის ან ანგარიშსწორებაში მონაწილე მხარეებისათვის საჭირო რაოდენობით, იმ პირობით, თუ ასლის გადაღება წარიმართება ხარვეზების გარეშე.

2. საგადახდო საბუთების ბლანკის ფორმები მოცემულია N8 და N9 დანართებში.

3. საგადახდო საბუთების ბლანკების ზომებიდან გადახვევები დასაშვებია ველების შენარჩუნების პირობით.

4. საგადახდო საბუთების შევსება ხდება ქართულ ენაზე (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია უცხოენოვანი ტექსტის შევსება ქართული შრიფტით).

5. საგადახდო საბუთების ბლანკების მეორე მხარე არ გამოიყენება.

6. ქაღალდის საგადახდო საბუთებში შეუსაბამობა თანხის ციფრობრივ და სიტყვიერ მაჩვენებლებს შორის, აგრეთვე შეცდომები, შესწორებები, ჩამატებები, ამოშლები, მაკორექტირებელი სითხეების გამოყენება და სხვა დაუშვებელია.

7. დაუშვებელია საგადახდო საბუთების შევსებისას რეკვიზიტების ტექსტური და ციფრული მნიშვნელობების გატანა მათთვის განკუთვნილი ველების საზღვრებს გარეთ. რეკვიზიტების მნიშვნელობები უნდა იკითხებოდეს თავისუფლად. ხელმოწერა (ხელმოწე-

რები) და შტამპი (ან ბეჭედი) საანგარიშსწორებო საბუთებში უნდა განთავსდეს მათთვის განკუთვნილ ველებში. საგადახდო საბუთებზე შტამპის (ან ბეჭდის) დასმის შემთხვევაში ტვიფრი უნდა იყოს მკაფიო.

8. საგადასახადო დავალების შევსებისას გასათვალისწინებელი თავისებურებები: *(21.12.2007 N336)*

ა) იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი ახდენს თავის საბიუჯეტო ვალდებულების დაფარვას, საგადასახადო დავალების რეკვიზიტი – „გადამხდელის დასახელება“ შეივსება არსებული წესით, ამასთან იგივე დასახელება, საკალდებულო წესით, იდენტურად გამეორდება საგადასახადო დავალების ველში „გადასახადის გადამხდელის დასახელება.“.

ამ შემთხვევაში (როდესაც გადამხდელი ახდენს თავის საბიუჯეტო ვალდებულების დაფარვას) გრაფაში „საიდენტიფიკაციო ნომერი“ მიეთითება საგადასახადო ორგანოების მიერ ამ გადამხდელისათვის ან ფიზიკური პირისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, ან ფიზიკური პირის პირადი ნომერი (მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით);

ბ) თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 59–ე მუხლის 4^1 ნაწილის შესაბამისად, გადამხდელი ახდენს სხვისი საგადასახადო ვალდებულების დაფარვას, ასეთ შემთხვევაში „*გადამხდელის დასახელებაში*“ მიეთითება იმ პირის დასახელება, რომელიც ახდენს სახსრების გადახდას, ხოლო „*გადასახადის გადამხდელის დასახელებაში*“ მიეთითება იმ პირის სრული დასახელება (ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი), ვის მაგივრადაც ხდება გადახდა.

ასეთ შემთხვევაში (როდესაც გადამხდელი ახდენს სხვისი საბიუჯეტო ვალდებულების დაფარვას) გრაფაში „*საიდენტიფიკაციო ნომერი*“ მიეთითება იმ პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, ვის მაგივრადაც. ხდება გადახდა.

დოკუმენტალური ოპერაციებით სარგებლობის პირობები და პუბლიკაციები

1. გადამხდელსა და მიმღებს შორის საერთაშორისო დოკუმენტალური ოპერაციების უნიფიცირებული წესების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტალური აკრედიტივის და დოკუმენტალური ინკასოს ტექსტში მითითებულია, რომ ისინი ექვემდებარება დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების უნიფიცირებულ წესებს.

2. დოკუმენტალური ოპერაციები ხორციელდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მიღებული დოკუმენტალური აკრედიტივის უნიფიცირებული წესებისა და ჩვეულებების და დოკუმენტალური ინკასოს უნიფიცირებული წესების თანახმად.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტალური ოპერაციები ექვემდებარება საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს, ბანკს უფლება აქვს ისარგებლოს დოკუმენტალური ოპერაციების შემოწმების, საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული დებულებებით.

4. დოკუმენტალური ოპერაციებით ანგარიშსწორებისას გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული შემდეგი პუბლიკაციები:

ა) აკრედიტივის უნიფიცირებული წესები და ჩვეულებები – პუბლიკაცია UCP № 600; *(21.04.2008 N103)*

ბ) დოკუმენტალური ინკასოს უნიფიცირებული წესები – პუბლიკაცია URC N522;

გ) დოკუმენტალური ოპერაციების შემოწმების წესები – პუბლიკაცია N645;

დ) დოკუმენტალური ოპერაციებში გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტული ფორმები – პუბლიკაცია N516;

ე) რამბურსის წესით დოკუმენტალური აკრედიტივით ოპერაციების წარმოება – პუბლიკაცია URR N 525.

„კლიენტი–ბანკი“ სისტემით ანგარიშსწორების წესი

1. „კლიენტი–ბანკის“ სისტემის ორგანიზატორი და მფლობელია ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და უფლება აქვს კლიენტთან შეთანხმებით მოახდინოს სისტემის შეცვლა ან მისი განახლება.

2. „კლიენტი–ბანკის“ სისტემას ბანკი და კლიენტი იყენებენ საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებლად და კლიენტის მიერ უშუალოდ მისი ოფისიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან ბანკში არსებული ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

3. „კლიენტი–ბანკის“ სისტემის მეშვეობით ბანკსა და კლიენტს შორის ელექტრონული ანგარიშსწორება რეგულირდება ამ წესებით, დებულებით „საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ“, დებულებით „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების შესახებ“, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით.

4. „კლიენტი–ბანკი“ სისტემის მეშვეობით ანგარიშსწორების შესახებ ხელშეკრულებაში უნდა აისახოს ელექტრონული მომსახურების სახეები და მომსახურების დრო, ოპერაციათა წარმოების წესი, სახსრების გადარიცხვის დასრულების საკითხი, საკომუნიკაციო საშუალებებით ელექტრონული ინფორმაციის მიღება/გადაცემის, ინფორმაციის მომზადების, შექმნის, შემოწმების, დამუშავების, არქივირების, უსაფრთხოების (ელექტრონულ–ციფრული ხელმოწერები, მონაცემთა მთლიანობის კონტროლი, შიფრირება/დეშიფრირება, არასანქცირებული წვდომისაგან დაცვა და სხვ.) საკითხები, მხარეთა ვალდებულებები, დავის გადაწყვეტის, ტექნიკური და სხვა საკითხები.

5. „კლიენტი–ბანკის“ სისტემით ოპერაციების წარმოება დასაშვებია დროის რეალურ, პაკეტურ ან ისეთ რეჟიმში, რომელიც მისაღებია ორივე მხარისათვის.

6. ბანკი კლიენტისგან მიღებულ ელექტრონულ საგადახდო დავალებების შესრულებას ახდენს სისტემაში მათი შემოსვლის რიგი-

თობით. ბანკის მიერ კლიენტისაგან ელექტრონული საგადახდო დავალებების მიღების და შესრულების ფაქტები დასტურდება „კლიენ–ტბანკის“ სისტემის მიერ ფორმირებული შესაბამისი ელექტრონული დასტურებით ან ელექტრონულ საგადახდო დავალებისადმი შესაბამისი სტატუსების მინიჭებით.

7. „კლიენტი–ბანკის” სისტემის მეშვეობით კლიენტს უფლება აქვს ელექტრონული სახით ფორმირებული განაცხადის საფუძველზე გააუქმოს (გაითხოვოს) მის მიერ ბანკში გადაცემული ელექტრონული საბუთი, თუ ეს საბუთი ჯერ არ შეუსრულებია ბანკს.

8. ბანკი ვალდებულია „კლიენტი–ბანკი“ სისტემით მიღებული და სათანადო წესით (ხელშეკრულების შესაბამისად) გაფორმებული ელექტრონული საბუთების საფუძველზე აწარმოოს კლიენტის ანგარიშზე შესაბამისი საანგარიშსწორებო ოპერაციები.

9. ბანკს უფლება არა აქვს „კლიენტი–ბანკი“ სისტემით მიღებულ ელექტრონულ საბუთებში შეიტანოს რამე შესწორება (გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

10. ხელშეკრულების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კლიენტი და ბანკი ვალდებული არიან დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

11. ბანკს უფლება აქვს კლიენტის ანგარიშიდან ჩამოწეროს მომსახურების ხარჯები ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

12. „კლიენტი–ბანკი“ სისტემით მუშაობისას კლიენტი ვალდებულია:

ა) შეიტანოს ბანკში გადასაცემი საბუთები კომპიუტერში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმატებით;

ბ) შეამოწმოს საბუთების შეტანის სისწორე;

გ) მოახდინოს ელექტრონულციფრული ხელმოწერის საშუალებით ელექტრონული საბუთების ხელმოწერა და შიფრირება;

დ) დაუკავშირდეს ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით ბანკს და გადასცეს მომზადებული ელექტრონული საბუთები;

ე) მიიღოს ბანკიდან ელექტრონული დასტური (ან შესაბამისი სტატუსი) ბანკის მიერ ელექტრონული საბუთების შესასრულებლად მიღების თაობაზე;

ვ) დაუკავშირდეს ბანკს გადაცემული ელექტრონული საბუთების დამუშავების (შესრულების) შესახებ ელექტრონული დასტურის (ან შესაბამისი სტატუსის) მისაღებად;

ზ) მოათავსოს სათანადო წესით გაფორმებული ქაღალდის საბუთები საბუთების არქივში.

13. ,,კლიენტი–ბანკი'' სისტემით მუშაობისას ბანკი ვალებულია:

ა) მიიღოს დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფილი ელექტრონული საგადახდო საბუთებისა და საანგარიშსწორებო საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ტექსტური ინფორმაცია;

ბ) შეამოწმოს მიღებული ელექტრონული საბუთების (ინფორმაციის დაცვის დადგენილი წესების დარღვევით შედგენილი ელექტრონული საბუთების შესასრულებლად მიღება დაუშვებელია);

გ) გააუქმოს არასწორად შედგენილი საბუთები და ამის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს კლიენტს მიზეზის ჩვენებით;

დ) მოახდინოს ელექტრონული საბუთების მიღების დასტურად შესაბამისი შეტყობინების (ან სტატუსის) ფორმირება;

ე) დაამუშაოს (შეასრულოს) მიღებული ელექტრონული საბუთები;

ვ) მოახდინოს ელექტრონული საბუთების დამუშავების დასტურად შესაბამისი შეტყობინების (ან სტატუსის) ფორმირება;

ზ) გადასცეს დამუშავებული ელექტრონული საგადახდო საბუთები კლიენტს;

თ) ანგარიშზე (ანგარიშებზე) ბრუნვების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს კლიენტის ანგარიშიდან (ანგარიშებიდან) ამონაწერის (ამონაწერებს) გადაცემა;

ი) სისტემაში გამოყენებული ცნობარების განახლების შემთხვევაში გადასცეს კლიენტს ახალი ვერსიები;

კ) გადასცეს საანგარიშსწორებო საქმიანობასთან დაკავშირებული ტექსტური ინფორმაცია, მათ შორის, მომსახურების პირობების შეცვლის შესახებ (რომელიც მხარეთა შეთანხმებით შემდეგში აისახება ხელშეკრულებაში);

ლ) მიაწოდოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრული არ არის ამ წესებით.

ანგარიშსწორება რეესტრის გამოყენებით

1. ორგანიზაციადაწესებულებები მთელი რიგი ოპერაციების საწარმოებლად (მუშაკთა ხელფასები, პენსიები, კომუნალური გადახდები და სხვ.) უფლებამოსილი არიან ბანკთან ხელშეკრულების საფუძველზე ანგარიშსწორება აწარმოონ რეესტრების გამოყენებით.

2. ორგანიზაცია–დაწესებულება ბანკს წარუდგენს საგადახდო დავალებას, რომელსაც უნდა დაერთოს დეტალური სტრიქონების რეესტრი (ანგარიშების ჩამონათვალი, თანხების სიდიდე, სახელი, გვარი და სხვ.), რომელიც დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საგადახდო დავალებაში დაფიქსირებული უნდა იყოს რეესტრის მთლიანი თანხა, გადარიცხვის შინაარსი და ის პერიოდი, რომელსაც ეხება აღნიშნული გადარიცხვა. საგადახდო დავალების მიმღების ველი უნდა იყოს ცარიელი, მიმღები პირები განისაზღვრება წარმოდგენილი რეესტრის მიხედვით.

3. ბანკის პასუხისმგებელი პირი ამოწმებს საგადახდო დავალების შევსების სისწორეს, ადგენს შეესაბამება თუ არა რეესტრში დაფიქსირებულ პირთა რეკვიზიტები ბანკში არსებულ მონაცემებს, შეესაბამება თუ არა რეესტრის მთლიანი თანხა, რეესტრის დეტალური სტრიქონებით წარმოდგენილი თანხების ჯამს.

4. თუ ორგანიზაციის ან წარმოება–დაწესებულების თანამშრომლის შესახებ ბანკში არსებული მონაცემები არ ემთხვევა რეესტრის მონაცემებს, მაშინ ჩარიცხვა ამ რეესტრის მიხედვით არ განხორციელდება.


დანართი N 8 *(21.12.2007 N336)*

საგადახდო დავალება N _____
20—— წლის „___ „ _____

გადამხდელის დასახელება _____ ანგარიში _____ (დებეტი) _____ გადამხდელის ბანკი_____ ბანკის კოდი _____ _____	თანხა _____
იცვლება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს გადასახადის გადამხდელის დასახელება _____ გადასახადის გადამხდელის _____ ბიუჯეტის შემოსულობების_____ საიდენტიფიკაციო ნომერი _____ სახაზინო კოდი _____ _____	თანხა სიტყვებით _____ _____ _____ _____
მიმღების დასახელება _____ ანგარიში _____ (კრედიტი) _____	_____
მიმღების ბანკი _____ ბანკის კოდი _____ _____	ბანკის აღნიშვნები:
გადახდის დანიშნულება _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ დამატებითი ინფორმაცია _____ _____	ბანკში შემოსვლის თარიღი _____ ხელმოწერა: შტამპის ადგილი

ხელმოწერები: ბ.ა.

დანართი N9


საბანკო დავალება (განკარგულება) №_____
20___ წლის "___" _____
გადამხდელის დასახელება
ანგარიშის ნომერი
გადამხდელის ბანკი
ბანკის კოდი
(ლეპტი)
თანხა
ანგარიში
ანგარიში
ანგარიში
ანგარიში
ანგარიში
ანგარიში
ანგარიში
ანგარიში
ანგარიში
ანგარიში
თანხა სიტყვებით
მიმღების დასახელება
ანგარიში (კრედიტი)
ბანკის ანგარიშები
მიმღების ბანკი
ბანკის კოდი
ანგარიშ შემსრულებლის ხელმოწერის ნიმუში
თარიღი
ხელმოწერა
დამატებითი ინფორმაცია
ხელმოწერები:
ბ.ა.
შტამპის ადგილი

დებულება
საბანკო პლასტიკური ბარათების შესახებ

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2007 წლის "15" მარტის
N 70 ბრძანებით

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს საბანკო სისტემაში პლასტიკური ბარათებით ოპერაციების წარმოებისა და მომსახურების წესს, არეგულირებს ყველა ტიპის საბანკო ბარათის (საკრედიტო, სადებეტო, კორპორატიული და სხვ.) ემისიასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრავს ოპერაციების სახეებს, მასში მონაწილე მხარეებს და მათ უფლება-მოვალეობებს, ემიტენტსა და კლიენტს შორის ხელშეკრულების გაფორმების წესს და გასათვალისწინებელ არსებით საკითხთა ნუსხას, რის საფუძველზეც მოხდება მხარეების ინტერესების დაცვა და გაამარტივებს დავათა გადაწყვეტის გზებს მათი წარმოშობის შემთხვევაში.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

ა) საბანკო პლასტიკური ბარათი – საგადამხდელო ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს საანგარიშსწორებო საშუალებას საქონლის ან მიღებული მომსახურების საფასურის გადასახდელად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების განსახორციელებლად (ტექსტში მოხსენიებულია როგორც "საბანკო პლასტიკური ბარათი", "საბანკო ბარათი", "პლასტიკური ბარათი" ან "ბარათი");

ბ) ბარათის პერსონიფიცირება – ემიტენტი ბანკის მიერ საბანკო პლასტიკური ბარათის მაგნიტურ ზოლზე ან მიკროჩიპში, განსაზღვრული პარამეტრების და მფლობელის შესახებ პერსონალური მონაცემების ჩაწერა;

გ) საბანკო ბარათების ემისია – საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საბანკო ბარათების გამოშვებასთან, ანგარიშების გახსნასთან, გაცემული ბარათებით ოპერაციების წარმოებასა და კლიენტების საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებასთან;

დ) ემიტენტი – სათანადო ლიცენზიის მქონე მონაწილე ბანკი (ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებლივი წარმონაქმნი), რომელიც ახდენს საბანკო პლასტიკური ბარათების ემისიას, წარმართავს ბარათით მოსარგებლე პირების ანგარიშებს, უფლებამოსილია აწარმოოს საანგარიშსწორებო ოპერაციები;
ე) ავტორიზაცია – ემიტენტი ბანკის მიერ ბარათით ოპერაციის შესრულების შესახებ თანხმობის ან უარის მიღების პროცედურა. ავტორიზაციის პროცესში სრულდება ბარათის მფლობელის ელექტრონული იდენტიფიკაცია, მოწმდება
ბარათის ნამდვილობა, პინ-კოდის სისწორე (ონლაინ/ოფლაინ) ან ბარათის მფლობელის ხელმოწერა. პოს-ტერმინალის ან ბანკომატის მეშვეობით ოპერაციის საწარმოებლად მოწმდება საბარათე ანგარიშზე (ანგარიშებზე) შესაბამისი სახსრების არსებობა და ბარათის მფლობელს ენიჭება უფლება სათანადო ოპერაციის შესასრულებლად. ოპერაციის პროცესში (ონლაინ რეჟიმში) ბარათის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა ემიტენტი ბანკის საპროცესინგო ცენტრს, სადაც გენერირდება ავტორიზაციის კოდი და უბრუნდება უკან, მომსახურების ობიექტს;
ვ) პინ კოდი - სპეციალური უნიკალური კოდი, რომელიც არის პერსონიფიცირებული საიდენტიფიკაციო ნომერი. იგი გამოიყენება ბანკომატებსა და პოს-ტერმინალებში ტრანზაქციების შესასრულებლად. პინ კოდი (4-12 - ნიშნა ციფრული კოდი) ბარათთან ერთად წარმოადგენს ბარათის მფლობელის საკმარის ელექტრონულ იდენტიფიკატორს. პინ-კოდის შემოწმება ხორციელდება საპროცესინგო ცენტრის (ონლაინ პინი) ან თვით ბარათის (ოფლაინ პინი) მეშვეობით მასზე აუცილებელი ელექტრონული და პროგრამული უზრუნველყოფის არსებობის შემთხვევაში (მიკროჩიპიანი ბარათებისათვის);
ზ) ბანკომატი – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც პლასტიკური ბარათის მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორიცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, უნაღდო გადახდების განხორციელება და სხვ.;

თ) პოს-ტერმინალი – პლასტიკური ბარათის მაგნიტური ზოლის და/ან მიკროჩიპის წამკითხავი მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება საბანკო განყოფილებებში ან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ავტორიზაციის მისაღებად და შენაძენის საფასურის ბარათით გადახდის გასაფორმებლად, ან თანხის გასატანად.

ი) საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელი (კლიენტი) – საბანკო პლასტიკური ბარათით მოსარგებლე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელზეც გაცემულია ბარათი და გახსნილია საბარათე ანგარიში ემიტენტ ბანკთან ხელშეკრულების საფუძველზე;

კ) ანგარიშ-ქვითარი – ქვითარი, რომელიც ადასტურებს შენაძენის (მომსახურების) საფასურის გადახდას ან ბარათის საშუალებით ნაღდი ფულის მიღებას;

ლ) იმპრინტერი – საბანკო პლასტიკური ბარათიდან სპეციალურ სავაჭრო ქვითარზე რელიეფური რეკვიზიტების გადამტანი მექანიკური მოწყობილობა;

მ) ემბოსირება – ბეჭდვის პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება საბანკო ბარათზე საიდენტიფიკაციო მონაცემების რელიეფური ფორმით გადატანა;

ნ) კორპორატიული ბარათი – საბანკო ბარათი, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს განკარგოს იურიდიული პირის ანგარიში და შეასრულოს ოპერაციები. ბარათზე ამოტვიფრული უნდა იყოს ბარათით მოსარგებლე პირის სახელი და გვარი, იურიდიული პირის დასახელების მითითება კი განისაზღვრება ბანკსა და კლიენტს შორის შეთანხმებით;

ო) პროცესინგი – საპროცესინგო დაწესებულების საქმიანობა, რომელიც მოიცავს საბანკო ბარათებით წარმოებულ ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას (შეგროვებას), დამუშავებას და ანგარიშსწორების ყველა მონაწილისათვის შესაბამისი მონაცემების გადაცემას;

პ) განაღდების ლიმიტი (ხარჯვის ლიმიტი) – ემიტენტის მიერ ბარათის მფლობელისადმი დადგენილი, განსაზღვრულ ვადაში ბარათის მეშვეობით ფულადი სახსრების განკარგვის უფლების ზღვრული სიდიდე;

ჟ) ეკვაირინგი – ბანკის ან სხვა ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც მოიცავს სავაჭრო (მომსახურების) ორგანიზაციებთან გაფორ-

მებული ხელშეკრულების საფუძველზე ბარათებით წარმოებულ ოპერაციებზე ანგარიშსწორების განხორციელებას და/ან ბარათებიდან ნაღდი თანხების გაცემას (სხვა ბანკების მიერ ემიტირებული ბარათის მფლობელებზე);
რ) ეკვაირერი – ეკვაირინგის განმახორციელებელი ბანკი (ან სხვა ორგანიზაცია), რომელსაც აქვს სათანადო ლიცენზია (ან ლიცენზირებულ ბანკთან ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებული აქვს ეკვაირინგის უფლება);
ს) საბარათე ანგარიში – ემიტენტ ბანკში გახსნილი კლიენტის საბანკო ანგარიში, რომელშიც აისახება პლასტიკური ბარათით შესრულებული ოპერაციები;
ტ) საბარათე ტრანზაქცია – ბარათის გამოყენების დროს ავტორიზაციისა და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა;
უ) სტოპ სია – იმ პლასტიკური ბარათების სია, რომლებზედაც ტრანზაქციები დაუშვებელია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი.

მუხლი **2.** ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს საბანკო სისტემაში პლასტიკურ ბარათებზე ოპერაციებისა და მომსახურების წარმოების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბარათებით განხორციელებული ოპერაციების წესს.

2. კლიენტებისათვის საბარათე ანგარიშების გახსნა, საბანკო პლასტიკური ბარათების გამოშვება და გაცემა, მათი პერსონიფიცირება, ბარათებით წარმოებული ოპერაციების ბუღალტრული ასახვა, ანგარიშგება, ეკვაირინგი, მიმოქცევიდან ამოღებული ბარათების აღრიცხვა, მათი გაუქმება, საბარათე ანგარიშის დახურვა და სხვა ოპერაციები სრულდება ემიტენტის ან საერთაშორისო საბარათე საგადამხდელო სისტემის მიერ შემუშავებული ტექნიკური პროცედურების შესაბამისად და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესებით, ამ დებულებით და კლიენტსა და ემიტენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

3. საბარათე ანგარიშების არასანქცირებული წვდომისაგან დასაცავად გამოყენებული უნდა იყოს მოცემული მექანიზმებიდან ერთ-ერთი მაინც, კერძოდ:
ა) საბარათე ქვითარზე ხელმოწერის შედარება ბარათზე დატანილ ხელმოწერასთან. თუ ბარათზე არ არის ხელმოწერა ან ვერ ხერხდება ხელმოწერის
შედარება, მაშინ უნდა მოხდეს პიროვნების იდენტიფიკაცია (პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიხედვით). წარმატებული იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ბარათის მფლობელს უნდა მოეთხოვოს ბარათზე ხელმოწერა. თუ წარმატებული იდენტიფიკაცია ვერ მოხდა, ოპერაცია არ უნდა გახორციელდეს;
ბ) პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდი (პინ-კოდი);
გ) ელექტრონული (ინტერნეტ) გადახდის დროს პლასტიკური ბარათის უკანა მხარეს არსებული "ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი" (CVC ან CVV2) ან იდენტიფიკაციის შედეგად მინიჭებული პაროლი. დამატებითი იდენტიფიცირების მიზნით დასაშვებია მფლობელის სურათის პლასტიკურ ბარათზე დატანა.

4. სტოპ-სიაში მოხვედრილი ბარათის გამოყენების ცდის შემთხვევაში, ბარათის მოსარგებლე პირს, ბარათი უნდა ჩამოართვას მომსახურე ობიექტმა ან უნდა ჩაუყლაპოს ბანკომატმა. ბარათის ამოღების შემთხვევაში, მომსახურე ობიექტის მოქმედებები განისაზღვრება ბანკსა და ობიექტს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.

5. კლიენტსა და ემიტენტს შორის საბანკო პლასტიკური ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელი არსებითი პირობებია:
ა) ბარათის ტიპი;
ბ) ბარათის გამოყენების წესი, შეზღუდვები, საკომისიოები და

საპროცენტო განაკვეთები;
გ) ბარათის სტოპ სიაში შეყვანის, გაუქმების და ამოღების წესები;
დ) მხარეთა უფლება-მოვალეობები;

ე) ბარათის დაკარგვის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები;
ვ) საბარათე ანგარიშებზე წარმოებული ოპერაციების და სხვა უზუსტობების გასაჩივრების ვადები (არანაკლებ 45 კალენდარული დღე);
ზ) დავის გადაწყვეტის და საჯარიმო სანქციების ამოქმედების წესი და ვადები;
თ) შესრულებულ ოპერაციებზე მიმდინარე და პერიოდული ინფორმირება; კლიენტის მოთხოვნით ამონაწერის ოპერატიული გაცემა;
ი) სხვა პირობები.

6. ფიზიკური და ურიდიული პირებისათვის გახსნილ საბარათე ანგარიშებზე ფულადი სახსრები შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო სახით.

7. სახსრების განკარგვა ერთსა და იმავე ანგარიშიდან შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ბარათით (დამატებითი ბარათით).

8. საბანკო პლასტიკური ბარათის ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიცირების მიზნით, ბარათს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ელექტრონული ავტორიზაციისათვის საჭირო ერთ-ერთი მექანიზმი: მაგნიტური ზოლი, ჩიპი, მაგნიტური ზოლი და ჩიპი ერთად და სხვ., სადაც დაშიფრული სახით ჩაწერილი იქნება ბარათის მფლობელის მონაცემები. ამასთან ბარათზე მითითებული უნდა იყოს: ბარათის წინა მხარეს - კლიენტის სახელი და გვარი (შესაძლებელია სახელის შემოკლება ან ტიტულის დამატება), ბარათის მოქმედების ვადა, საბარათე საგადამხდელო სისტემის და ემიტენტის დასახელება, მათი ლოგოტიპები, ბარათის ნომერი (საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების ასოციაციებთან შეთანხმებით, გამონაკლისი დაიშვება "ბარათის ნომრის" მითითებასთან დაკავშირებით); ბარათის უკანა მხარეს "ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი" (CVC ან CVV2 -ასეთის არსებობისას) და კლიენტის ხელმოწერის ადგილი. საბანკო პლასტიკურ ბარათზე ასევე მითითებულია მისი მოქმედების ვადა

(თთ/წწ), რომელიც განისაზღვრება ბარათზე აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

9. კლიენტს საბანკო პლასტიკურ ბარათს, პინ კოდს და მოხმარების წესს გადასცემს ემიტენტი ბანკი. გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკს უფლება ეძლევა ბარათი გადასცეს კლიენტის უფლებამოსილ პირს მინდობილობის საფუძველზე.

10. საბარათე ანგარიშების გახსნის და კლიენტისათვის ბარათის გადაცემის შემდეგ, ბანკს უფლება აქვს აწარმოოს შემდეგი ოპერაციები:
ა) ბარათების გამოყენებით ნაღდი ფულადი სახსრების გაცემა ბანკომატიდან / სალაროდან);
ბ) გადარიცხოს საბარათე ანგარიშიდან სავაჭრო/მომსახურების ობიექტების ანგარიშებზე ფულადი სახსრები, ბარათებით შეძენილი საქონლის/მომსახურების საფასურის ასანაზღაურებლად;
გ) ანგარიშის მფლობელის სახელზე ჩარიცხოს შემოსული ფულადი სახსრები;
დ) კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს წარმოებული ოპერაციების და ბალანსის შესახებ ამონაწერების ამობეჭდვა და კლიენტისათვის დროულად გადაცემა;
ე) სხვა ოპერაციები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;
ვ) ამ პუნქტის „გ)“ და „დ)“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ოპერაციების წარმოება შეიძლება კლიენტისათვის ბარათის გადაცემამდეც.

11. ბანკი ვალდებულია დაიცვას ბარათის მფლობელის პერსონალური და საბარათე ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა (ჩატარებული ოპერაციები, ნაშთები და სხვა). გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად, რომლითაც არ ილახება ბარათის მფლობელის ინტერესები.

12. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ბარათის გაცემაზე ან განახლებაზე, მიზეზის მითითების გარეშე.

13. ბანკის მიერ საბარათე ანგარიშების დახურვა ხდება კლიენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე (დადგენილი ფორმით) ან ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. ამასთან კლიენტი ვალდებულია ბანკს დაუბრუნოს ბარათი ხელშეკრულებით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 3. საბანკო პლასტიკური ბარათების ემისია

1. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის პლასტიკური ბარათების

ემისიას ახორციელებენ ემიტენტი ბანკები.

2. ბარათების ემისია მოიცავს შემდეგ პროცედურებს:
ა) ბარათით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას;
ბ) საბარათე ანგარიშების გახსნას;
გ) ბარათის პერსონიფიცირებას;
დ) ბარათის და პინ-კოდის გაცემას;
ე) ბარათების საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებას.

3. ემიტენტმა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეიძლება მისცეს შემდეგი სახის საბანკო პლასტიკური ბარათები:
ა) სადებეტო ბარათი, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს ემიტენტსა

და ბარათის მფლობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განკარგოს მის ანგარიშებზე არსებული თანხები;
ბ) საკრედიტო ბარათი, რომელიც ემიტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს ოპერაციები მოახდინოს ემიტენტის მიერ მინიჭებუ-

ლი საკრედიტო ხაზის ოდენობით (ხარჯვის ლიმიტის ფარგლებში).

მუხლი 4. ოპერაციები საბანკო პლასტიკური ბარათების გამოყენებით

1. ემიტენტს უფლება აქვს ბარათებით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა და ანგარიშსწორება აწარმოოს საბალანსო ანგარიშების შესაბამისი კლასებიდან (ჯგუფებიდან) კლიენტებისათვის გახსნილი საბარათე ანგარიშების მეშვეობით.

2. ემიტენტის მიერ გამოშვებული კორპორაციული საბანკო პლასტიკური ბარათების მფლობელები უფლებამოსილი არიან აწარმოონ როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

3. კორპორაციული საბანკო პლასტიკური ბარათით წარმოებული ოპერაციებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ბარათის მფლობელ იურიდიულ პირს.

4. ბარათით ჩატარებული ფაქტობრივი ოპერაციის თარიღი შეიძლება განსხვავდებოდეს საბარათე ანგარიშებზე მისი ასახვის თარიღისაგან. ეს განსხვავება რეგულირდება საბარათე სისტემების მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

5. ხელშეკრულების მიხედვით, ბანკის მიერ კლიენტის საბარათე ანგარიშებიდან მომსახურების საკომისიოების ჩამოწერა ხორციელდება უაქცეპტოდ.

6. საბარათე ანგარიშზე არსებულ ნაშთს შეიძლება დაერიცხოს პროცენტი (ბარათის მოქმედების პერიოდში) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი ოპერაციებს ახორციელებს ბანკომატით ან ნაღდი ფულის გამცემი პუნქტით,

რომელიც არ ეკუთვნის ემიტენტ ბანკს, დასაშვებია მფლობელის საბარათე ანგარიშებიდან დამატებითი საკომისიოების ჩამოწერა.

8. საბარათე ანგარიშებზე განსხვავებული ვალუტით წარმოებული ოპერაციების შემთხვევაში, ბარათის მფლობელთან ხელშეკრულების საფუძველზე,

ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს ფულადი სახსრების კონვერტაცია და ჩამოაწეროს შესაბამისი საკომისიო.

9. ბარათით ოპერაციების განხორციელებისას ან ეროვნული ვალუტით ნაღდი ფულის მიღებისას, დასაშვებია კლიენტისათვის ფულადი სახსრების ჩამოწერა უცხოური ვალუტით გახსნილი ანგარიშებიდან ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ზოგადი წესი საბანკო პლასტიკური ბარათებით წარმოებული ოპერაციებისათვის

1. საბანკო პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორებაში მონაწილეობენ შემდეგი მხარეები:

ა) კლიენტი (ბარათის მფლობელი) - ბარათის მომხმარებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ბ) ემიტენტი ბანკი - ახდენს ბარათების ემისიას, გავრცელებას და მომსახურებას;

გ) სისტემის მონაწილე ბანკი - ხელშეკრულების საფუძველზე დანარჩენ მონაწილე ბანკებთან ერთად ახორციელებს პლასტიკური ბარათებით წარმოებულ საანგარიშსწორებო ოპერაციებს;

დ) ეკვაირერი – ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს ბარათებით შესრულებულ გარიგებათა თანხების ანაზღაურებას;

ე) საპროცესინგო დაწესებულება - ანგარიშსწორების მონაწილეთა შორის ახორციელებს საანგარიშსწორებო ინფორმაციის დამუშავებას;

ვ) სავაჭრო/მომსახურების ობიექტი - იურიდიული პირი, რომელიც საბანკო ბარათებს იღებს გადახდის საშუალებად ეკვაირერ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

ზ) საბარათე საგადამხდელო სისტემები.

2. ბარათით შეძენილი საქონლის (მომსახურების) საფასურის ანაზღაურების მიზნით სავაჭრო/მომსახურების ობიექტი ეკვაირერ ბანკს, ხელშეკრულების შესაბამისად, გადასცემს ბარათებით წარმოებული ოპერაციების ამსახველ სათანადო საბუთებს წერილობით ან ელექტრონულად.

3. ბარათების მეშვეობით ოპერაციების წარმოებისას ნაღდი ფულის გამცემ პუნქტში და იმ სავაჭრო/მომსახურების ობიექტში, რომელიც აღჭურვილია იმპრინტერული მოწყობილობით, საბარათე ქვითრების შედგენა ხდება ქაღალდზე. ეკვაირერი ბანკის მიერ საბარათე ქვითრების დამუშავების შედეგები დავალების სახით ეგზავნება სისტემის მიერ განსაზღვრულ საანგარიშსწორებო აგენტს. ანგარიშ-ქვითრების გაფორმება დასაშვებია ქაღალდზე. შექმნილი ანგარიშ-ქვითრები გამოიწერება იმ რაოდენობის ეგზემპლარად, რამდენიც საჭიროა ანგარიშსწორების მონაწილე ყველა მხარისათვის.

4. ნაღდი ფულის გამცემი პუნქტების და სავაჭრო/მომსახურების ობიექტების მიერ შექმნილი საბარათე ქვითარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
ა) ნაღდი ფულის გამცემი პუნქტის, სავაჭრო/მომსახურების ობიექტის ან/და ტერმინალის იდენტიფიკატორს;
ბ) ოპერაციის შესრულების თარიღს, დროსა და მისამართს (სასურველია მიეთითოს ობიექტის ტელეფონის ნომერი);
გ) შესრულებული ოპერაციის თანხას და ვალუტას;
დ) ავტორიზაციის კოდს;
ე) ბარათის რეკვიზიტებს (წესების შესაბამისად);
ვ) მოლარისა და ბარათის მფლობელის ხელმოწერებს.

5. ბანკომატის მიერ გაცემული საბარათე ქვითარი უნდა შეიცავდეს ისეთ რეკვიზიტებს, როგორიცაა:
ა) ბანკომატის მფლობელი ბანკის დასახელება;
ბ) ოპერაციის შესრულების თარიღი და დრო;
გ) ბანკომატის საიდენტიფიკაციო ნომერი;
დ) შესრულებული ოპერაციის თანხა და ვალუტა;

ე) ავტორიზაციის კოდი;
ვ) ბარათის რეკვიზიტები (საერთაშორისო საბარათე საგადამხდელო სისტემის ან ბანკის წესების შესაბამისად).

6. კლიენტის მიერ საბარათე ანგარიშებზე შეტანილი ფულადი სახსრების ჩარიცხვა ხდება ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. საბარათე ანგარიშებიდან სახსრების უნაღდო გადარიცხვები (საბანკო გადარიცხვები), კლიენტის განცხადების საფუძველზე, შეიძლება განხორციელდეს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშებზე.

8. ბანკი ახორციელებს საბარათე ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ბუღალტრულ აღრიცხვას, ახდენს ბარათით წარმოებული ოპერაციების (გადახდების, განაღდებების და სხვ.) და საბარათე ანგარიშებიდან ჩამოწერა/ჩარიცხვების ამსახველ ამონაწერების ფორმირებას. შესრულებული ოპერაციების შესახებ (რიგითობის მიხედვით) საბარათე ანგარიშებიდან ამონაწერი უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:
ა) ბარათის მფლობელის ანგარიშის ნომერს;
ბ) ვალუტას;
გ) შემავალ ნაშთს;
დ) ოპერაციის დანიშნულებას;
ე) შესრულებული ოპერაციის თანხას (სადებეტო/საკრედიტო);
ვ) ოპერაციის შესრულების თარიღს, დროს, ადგილს (სავაჭრო/ მომსახურების ობიექტის ან ბანკომატის მისამართის და სასურველია ტელეფონის ნომრის მითითებით);
ზ) გამომავალ ნაშთს;
თ) შესრულებული ოპერაციების მონაწილეთა რეკვიზიტებს;
ი) სხვა დამატებით ინფორმაციას.

9. ბანკის მიერ საბარათე ანგარიშების დახურვა ხდება კლიენტის წერილობითი განაცხადის საფუძველზე (დადგენილი ფორმით) ან ბარათის

მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. ამასთან კლიენტი ვალდებულია ბანკს დაუბრუნოს ბარათი ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

მუხლი 6. მოქმედებები ბარათის დაკარგვის შემთხვევაში

1. საბარათე საგადამხდელო სისტემის უფრო დაცული მუშაობის, კლიენტების საბარათე ანგარიშების მეტი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ყოველ ემიტენტ ბანკს უნდა ჰქონდეს 24 საათიანი ცხელი ხაზი. რის შესახებაც კლიენტი ინფორმირებულ უნდა იქნეს მომსახურე ბანკთან ხელშეკრულების გაფორმებისას. ამავე ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს ბანკის ცხელი ხაზის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს ბანკომატების ადგილმდებარეობის მიხედვით. ცხელ ხაზთან დაკავშირება შესაძლებელი უნდა იყოს როგორც არსებული სატელეფონო კავშირებით, ისე სხვადასხვა მობილური ოპერატორის მეშვეობით.

2. ბარათის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცხელი ხაზის საშუალებით ემიტენტ ბანკს აღნიშნულის თაობაზე ბარათის ბლოკირების უზრუნველსაყოფად. დაკარგული ბარათის ბლოკირება შეიძლება მოხდეს მისი საგადამხდელო სისტემის ე.წ. სტოპ სიაში შეტანით.

3. იმისათვის, რომ დაიბლოკოს ბარათი, საჭიროა ეცნობოს ემიტენტი ბანკის შესაბამის სამსახურს, რომელმაც ბარათის მფლობელის მონაცემების და საიდუმლო სიტყვის (პაროლის) საფუძველზე უნდა მოახდინოს ბარათის მფლობელის იდენტიფიცირება და არსებული გარემოებებიდან გამომდინარე დაბლოკოს ბარათი.

4. ბანკი უფლებამოსილია დროებით დაბლოკოს (შეაჩეროს) კლიენტის ბარათი იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს აქვს იმის დასაბუთებული ეჭვი, რომ კლიენტის ბარათზე ხორციელდება არასანქცირებული ოპერაციები.

5. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის დაკარგვის თაობაზე მფლობელმა განაცხადა ემიტენტ ბანკში (დადგენილი წესების შესაბამისად) და ამის შემდეგ მოხდა საბარათე ანგარიშზე არასანქცირებული წვდომა, ბარათის მფლობელისათვის მიყენებული მთლიანი ზარალის ანაზღაურება ეკისრება ემიტენტ ბანკს.

6. ემიტენტი პასუხს არ აგებს არასანქცირებულ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია მესამე პირის მიერ ბარათის დაკარგვის გაცხადებამდე (ემიტენტი და ეკვაირერი ბანკები მოქმედებენ საბარათე სისტემების მიერ დადგენილი წესის მიხედვით).

დანართი 7

ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) სტრატეგია

შესავალი

ინფორმაციული პროცესების, ტელეკომუნიკაციებისა და დაკავშირებული ტექნოლოგიების სისტემა, რომელსაც სხვაგვარად ინფორმაციულ ტექონლოგიებს უწოდებენ, ანუ "იტ", არის საბანკო სიტემის განვითარების უალტერნატივო საშუალება. ბანკი, როგორც ფინანსური ტექნოლოგიების მომხმარებელი, თავის საქმიანობაში იყენებს ეკონომიკურ და სტატისტიკურ მოდელებს, რათა შეძლოს ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული და პორტფელური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება მის ხელთ არსებული ფინანსური მონაცემების დამუშავების საფუძველზე. ამასთან ერთად, ტექნოლოგიური წინსვლა აუცილებელია ეკონომიკის დაფინანსების, კლიენტების სადეპოზიტო და საგადამხდელო მომსახურების მაღალ დონეზე უზრუნველყოფის მისაღწევად. ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემა, პირობითად შეიძლება დაიყოს "ფრონტ ოფისისა" და "ბექ-ოფისის" სისტემებად, რომლიც მთლიანობაში განაპირობებს ბანკის გამართულ და ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფას.

მიზნები

ბანკის სტრატეგიული ამოცანა ინფორმატული ტექნოლოგიების დანარგვისა და განვითარების საქმეში მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილი იქნას ახალი პროდუქტებისა და ბიზნეს-ოპერაციების მაქიმალურად სრული და თავისდროული ინფორმაციული მხარდაჭერა, საბანკო საქმიანობის ავტომატიზაციის მაღალი დონის სტანდარტების მიღწევა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამედობა და უსაფრთხოება. იტ სტრატეგიის საფუძველზე მიიღწევა ინვესტიციების ეფექტიანობის ზრდა ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ამ პროცესების მართვის საქმეში.

ინფორმატიზაციის სფეროში ბანკი ისახავს შემდეგ მიზნებს:

ბანკისა და მისი კლიენტების ინფორმაციული მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება, ბანკის მუშაობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და თვისობრივად მაღალ დონეზე აყვანა, ბანკის კლიენტებისათვის ახალი ტიპის მომსახურეობის შეთავაზება და შესრულება, მომსახურეობის სფეროს გაფართოება საშტატო პერსონალის ოდენობის შენარჩუნებით;

საბანკო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საბანკო ოპერაციების ჩატარების სიზუსტის გაზრდა და ვადების შემცირება, ბანკის კლიენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ვადების შემცირება;

აგრეგირებული ინფორმაციის სწორი აღქმისა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უზრუნველვეყოფა, ინფორმაციის როლის და გამოყენების ეფექტურობის ამაღლება საბანკო სისტემის მართვაში;

სს "ვითიბი ბანკი (ჯორჯია)"-სერთიანი კომპიუტიზებული საინფორმაციო სივრცის შექმნა და მისი ინტეგრაცია მსოფლიოს საბანკო კომპიუტერიზებულ საინფორაციო სივრცეში, შიდა და საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე შექმნილ სიტუაციაზე ოპერატიული ადექვატური რეაგირების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, შიდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო საბანკო საქმიანობაში მონაწილეობის თანამედროვე საშუალებების გამოყენების უზრუნველყოფა.

ბანკის პოლიტიკა ინფორმატიზაციის სფეროში

1. ბანკის ინფორმატიზაციის მიზანმიმართული პოლიტიკა მდგომარეობს იდეოლოგიური, იურიდიული, ეკონომიკური, ტექნიკური, ორგანიზაციული და სხვა, ინფორმატიზაციისთვის აუცილებელი, პირობების შექმნაში.

2. ინფორმატიზაციის სფეროში ძირითადი მიზნების მისაღწევად ბანკის პოლიტიკა უნდა ხასიათდებოდეს მიზანმიმართულებით, მემკვიდრეობითობით, ევოლუციურობით, მოწინავე გამოცდილების გამოყენებით, საბანკო საინფორმაციო ტექნოლოგიების დაცულობითა და უსაფრთხოებით, საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის და

სხვა გარე პირობების ცვლილებისას ბანკის მუშაობის ოპერატიული და უმტკივნეულო გარდაქმნის შესაძლებლობით.

3. ინფორმატიზაციის პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს მსოფლიოში აღიარებულ და ეროვნულ სტანდარტებს და ითვალისწინებდეს კომპიუტერული ქსელების, საინფორმაციო რესურსებისა და მონაცემთა ბანკების შემუშავებას მსოფლიოს საბანკო კომპიუტერიზებულ სისტემებში შემდგომი ინტეგრეციის შესაძლებლობით.

4. ფართომაშტაბიანი ინფორმატიზაციის ჩასატარებლად, ბანკის ინფორმატიზაციის პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს საფინანსო ბაზის ფორმირებას:

ბანკის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით;

უცხოური ტექნიკური დახმარებით, ინვესტიციებით, კრედიტებით, გრანტებით.

ბანკის ამოცანები ინფორმატიზაციის სფეროში

1. დასახული მიზნების განსახორციელებლად ბანკი იღწვის შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად:

- ლოკალური და გლობალური კომპიუტერული ქსელების შექმნა-დანერგვა; იგულისხმება ბანკის ერთიანი კომპიუტერული ქსელის ეტაპობრივი შექმნა-დანერგვა და მომხმარებლებისათვის მასში ჩართვისა და მუშაობის ეფექტური პირობების შექმნა.

  საბანკო ინფორმაციის კომპიუტერული თავმოყრა, სისტემატიზაცია და დამუშავება; იგულისხმება საბანკო სისტემაში ურთიერთთავსებადი კომპიუტერული და საინფორმაციო-საკომუნიკაციო გარემოს ფორმირება.

  საბანკო ინფორმაციის დამუშავების სპეციალიზებული კომპიუტერული სისტემების შექმნა-დანერგვა; იგულისხმება ექსპერტული, მოდელირების, სიტუაციის პროგნოზირების სისტემების, სხვადასხვა ფუნქციონალური სტრატის შესაბამისი მართვის ავტომატიზებული ქვესისტემების დანერგვა და ექსპლოატაცია, მათ შორის:

- დაკრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის, ანალიზის და მართვის ქვესისტემა;

ფულის მიმოქცევის აღრიცხვის, ანალიზის და მართვის ქვესისტემა;

საბანკო ოპერაციების ანალიტიკური და სინთეზური აღრიცხვის ერთიანი ქვესისტემა;

აქტივ-პასივების და ლიკვიდურობის მართვის, ანალიზის და პროგნოზირების ქვესისტემა;

დეპოზიტური ოპერაციების აღრიცხვის, ანალიზის და მართვის ქვესისტემა;

რესურსების მართვის, ანგარიშსწორებისა და კლირინგის ერთიანი ქვესისტემა.

1.1. აუცილებელი პირობების შექმნა კომპიუტერული და საკომუნიკაციო საშუალებების ფართომასშტაბიანი დანერგვისა და შეკეთება-მოდერნიზაციისათვის;

1.2. აუცილებელი პირობების შექმნა ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის ფორმირებისათვის, მათ შორის:

კომპიუტერიზებული საინფორმაციო სივრცის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის წარმოდგენის, ფიქსაციისა და შენახვის ფორმებს, აგრეთვე უზრუნველყოფს ინფორმაციის ფიქსაციისა და მოძრაობის რაციონალურობას;

კომპიუტერიზებული საინფორმაციო სივრცის მართვის ტქნოლოგიის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო რესურსებისა და მონაცემთა ბანკების ინფორმაციული სიზუსტე, გარკვეულობა, სისრულე, არაწინააღმდეგობრიობა და აქტუალურობა;

კომპიუტერიზებული საინფორმაციო სივრცის პროგრამულ-ტექნიკური პარამეტრების შემუშავება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტრუქტურულად დანაწილებული საინფორმაციო რესურსების და ბანკების ფუნქციონირება და ინფორმაციის რაციონალური დუბლირების სისტემის შექმნა;

კომპიუტერიზებული საინფორმაციო სივრცის დაცვის ტექნოლოგიის შემუშავება, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს საინფორმაციო რესურსებისა და ბანკების დაცვას მიზანმიმართული ან შემთხვევითი განადგურებისაგან, დამახინჯებისაგან ან სხვა სახის არასასურველი ზემოქმედებისაგან.

13. ახალ საინფორმაციო ტქნოლოგიებში მომხმარებელთა მუშაობის ცოდნის ამაღლება და სათანადო უნარჩვევების გამომუშავება.

საინფორმაციო ტექნოლოგიები

საინფორმაციო ტექნოლოგიაში იგულისხმება:

- ინფორმაციის მოპოვება-მიღების, ნებისმიერი სახით დამუშავება-გადამუშავების, შენახვა-აკუმულირების, წარმოდგენა-ასახვისა და გაცემა-მიწოდების ყველანაირი საშუალებები, მათ შორის ტექნიკური, პროგრამული, მათემატიკური, ლინგვისტური, ფუნქციონალური, იურიდიული, მეთოდური, ორგანიზაციული, ექსპლუატაციის და სხვა;

საინფორმაციო რესურსი

1. საინფორმაციო რესურსში იგულისხმება აზრობრივი დატვირთვის მქონე ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია წერილობითი, ბეჭდვითი, გრაფიკული ან ნებისმიერი სხვა სახით, აგრეთვე ქაღალდზე, მაგნიტურ, ოპტიკურ ან ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაციის მატარებელზე.
2. საინფორმაციო რესურსი ხასიათდება:

სემანტიკური დატვირთვით, რომელიც ასახავს ინფორმაციის აზრიანობას, შინაარსსა და მნიშვნელობას;

სემიოტიკური დატვირთვით, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის ჩაწერისა და წარმოდგენის ხერხებსა და წესებს;

კომუნიკაციური დატვირთვით, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის შეცნობისა და და აღქმის ხერხებსა და წესებს;

აქსიოლოგიური დატვირთვით, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის ფასეულობას;

კაზუალური დატვირთვით, რომელიც ასახავს ინფორმაციის როლს გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესში.

საინფორმაციო ბანკი

1. საინფორმაციო ბანკში იგულისხმება პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსი შესაძლოა დანაწევრებულიც, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) საინფორმაციო რესურსების მიღებას, კალსიფიცირებას, დახარისხებასა და შენახვას მათ შორის კავშირების ადექვატური ასახვის ფორმით;

ბ) მონაცემთა ბანკში შენახული ინფორმაციის მრავალასპექტიან მოძებნას, შესაძლოა ინტელექტუალურსაც და მოძებნილი ინფორმაციის გადამუშავებასა და მომხმარებლისთვის საჭირო სახით გაცემას;

გ) ბანკში შენახული ინფორმაციის ურღვევობა-მთლიანობას და დაცვას დაკარგვისაგან და დამახინჯებისაგან, აგრეთვე დაცვას არასანქციონირებული შეღწევისგან, მოდიფიკაციისგან და გათქმისგან.

საბანკო საინფორმაციო სისტემა

1. საბანკო საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება მთელი საბანკო სისტემის მომცველი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ქსელის, ინფორმაციის მიმოცვლის გარემოსა და საინფორმაციო, მათემატიკური, პროგრამული, ლინგვისტური, ფუნქციონალური, იურიდიული, ტექნიკური, მეთოდური, ორგანიზაციული და სხვა უზრუნველყოფის კომპლექსი.

2. საბანკო საიფორმაციო სისტემის დაპროექტება, რეალიზაცია და განვითარება უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი პრინციპების მიხედვით:

ა) მოწინავეობის, რომელიც გულისხმობს უახლეს სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე და მოწინავე გამოცდილებაზე დაყრდნობას და მათ გამოყენებას;

ბ) მაქსიმალურობის, რომელიც გულისხმობს მაქსიმალური რაოდენობისა და მნიშვნელობის პარამეტრების გათვალისწინებას;

გ) პრიორიტეტულობის, რომელიც გულისხმობს სისტემის კომპონენტების რეალიზაციის თანმიმდევრობის შესაბამოსობას, პრიორიტეტების მიხედვით კლასიფიცირებულ ბანკის რეალურ მოთხოვნილებებთან;

დ) ოპტიმალურობის, რომელიც გულისხმობს რეალიზაციისა და განვითარების შესაძლო ვარიანტების ოპტიმალურ შესაბამისობას ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და სხვა რესურსებთან.

კომპიუტერიზებული საინფორმაციო სივრცე

1. კომპიუტერიზებული საინფორმაციო სივრცეში იგულისხმება საინფორმაციო რესურსების ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობენ ან გამოიყენებიან კონკრეტული საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებისას, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ამ საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.
2. კომპიუტერიზებულ საინფორმაციო სივრცეს ქმნიან საინფორმაციო რესურსები, საინფორმაციო ბანკებში და საინფორმაციო სისტემების განკარგულებაში მყოფი ინფორმაცია, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია საბანკო სისტემაში დანერგილი საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.

ინფორმატიზაციის კონცეპტუალური საფუძვლები

1. ბანკის ინფორმატიზაციისთვის აუცილებელია ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, დამუშავების, ასახვისა და მიწოდების ურთიერთდაკავშირებული სისტემის შექმნა.
2. ინფორმატიზაციის პროცესი ეხება საბანკო საქმიანობის ყველა სფეროს.
3. ბანკის ინფორმატიზაცია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) **ერთიანობის**, რომელიც განაპირობებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის კომპონენტების ერთიანობას, არაწინააღმდეგობრიობას და შეთანხმებულობას და მიიღწევა:

ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებისა და მრავალჯერადი გამოყენების ტექნოლოგიებით;

კონტროლის შესაძლებლობით, რომელიც უზრუნველყოფს მოწოდებული ინფორმაციის არაწინააღმდეგობრიობას;

სარგებლობის ეფლების რეგულირებით, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიუწვდომლობას გარეშე პირებისათვის;

კლასიფიკაციით, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო სისტემის კლასიფიკატორთა სისტემის ფორმირებას;

საინფორმაციო ქსელებისა და სისტემების. აგრეთვე მათი კავშირების უნიფიკაციით;

პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსების იერარქიულობით, მოდულურობითა და კომპონენტურობით;

ბ) **რაციონალურობის**, რომელიც განაპირობებს საინფორმაციო სისტემების შექმნა დანერგვის, ფუნქციონირებისა და განვითარების საერთო ეფექტიანობას და მიიღწევა:

მოწინავეობით, ანუ უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებით;

მიზანშეწონილობით, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემების ოპტიმალურობას ტქნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით;

ეტაპობრიობით, რომელიც უზრუნველყოფს დასახული მიზნისაკენ თანმიმდევრულ სვლას;

ევოლუციურობით, რომელიც ურუნველყოფს არსებული რესურსების გამოყენებისა დამოდერნიზაციის საშუალებას, აგრეთვე დასანერგი ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივებს.

ბანკის ინფორმატიზაცია საბანკო სისტემაში მიმდინარე გარდაქმნების შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს ბანკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას.

ბანკის იტ სტრატეგია გაანგარიშებულია სამ-ხუთ წლიან პერიოდზე და მისი გადასინჯვა ხდება ყოველწლიურად.

იტ განვითარების ძირითადი ეტაპები

იტ განვითარება დაკავშირებულია ბანკის ბიზნეს-პროდუქტებისა და ოპერაციების ხასიათზე, მოცულობასა და განვითვარების მიმართულებებზე. იტ განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა მიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ბანკის სტრატეგიისა და ბიზნეს-მიმართულებების ანალიზს. ბანკის საქმიანობის ძირითადი და დამატებითი პროცესების ანალიზსა და შესწავლას ძირითად პროდუქტებთან და მომსახურებასთან დასაკავშირებლად;
- ბანკში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ანალიზს, მათი ბანკის ბიზნეს-სტრატეგიისადმი და საბანკო სექტორში ფუნქციონირებადი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართ შესაბამისობის განსაზღვრას;
- იტ მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას, რომელიც პასუხობს ბანკის ბიზნეს-სტრატეგიას და ამოცანებს;
- იტ სისტემისა და მისი კომპონენტების პროექტირებას;
- იტ სტრატეგიის რეალიზაციას.

ბანკის სტრატეგიული მიზნებისა და იტ მიზნების შესაბამისობა

საბანკო პროდუქტებისა და კლინტების მომსახურების ნაწილში ბანკის სტრატეგიული მიზნად გაცხადებულია საცალო ბიზნესისა და სამომხმარებლო სფეროს უპირატესი ზრდა კორპორატიული ბიზნესის მიმართულების შემდგომი სრულყოფისა და განვითარებასთან ერთად.

ბანკი თავის საქმიანობას განაგრძნობს კლიენტთა მომსახურების ისეთ ტრადიციულ სფეროებში, როგორიცაა ფულადი გზავნილების საერთაშორისო და ლოკალური სისტემები, გადარიცხვები უცხოეთის ბანკებში S.W.I.F.T. –ის მეშვეობით, ბანკთაშორისი ოპერაციები საქართველოში სებ-ის საკლირინგო სისტემის მეშვეობით, ინტერნეტ-ბენკინგი, "ბანკი-კლიენტი".

საბანკო სისტემის განვითარება სულ უფრო რთული ხასიათს იძენს, რთულდება ანგარიშგებათა მოცულობა, სტრუქტურა (ბაზელი 2, ფასს 7 მოთხოვნების ფონზე), ამასთან ბიზნესისა და ფიზიკურ პირთა მომსახურების ზრდა იწვევს მობილური სისტემების ფუნქციონირების აუცილებლობას, რაც საშუალებას აძლევს ბან-

კის კლიენტებს გაზარდონ შემოსავლიანობა და დაზოგონ დრო ბანკის მაღალხარისხიანი მომსახურების გამოყენებით, განახორციელონ ოპერაციები დისტანციურად, იქონიონ მრავალმხრივი ინფორმაცია ბანკის მომსახურებისა და ფინანსურ ბაზარზე საჭირო სხვა ინფორმაციებთან ერთად.

საკანონმდებლო შესაბამისობა

ინფორმაციული საშუალებებისა და მომსახურების სფეროში ბანკი ეყრდნობა საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს.

ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების ელემენტები

ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების ადაკვატურობის შესაფასებლად, გამოყოფენ ინფორმაციული ტექნოლოგიების ხუთ ძირითად ელემენტს, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სტრუქტურაში და რომელიც შეიძლება იყოს ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და აუტსორსინგული.

მართალია ინფორმაციული ტექნოლოგიები უშუალოდ დაკავშირებულია ოპერაციულ რისკებთან, მაგრამ მას გავლენა აქვს სხვა სახის რისკებზე, როგორიცაა საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საკანონმდებლო (იურიდიული) და რეპუტაციული რისკები. იგი მეტნაკლებად გამოიხატულია გარკვეული გარემოებების კვალობაზე. ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიები მოიცავს შემდეგ ხუთ ელემენტს:

1. მენეჯმენტის (მართვის) პროცესი (*Management processes*). მენეჯმენტის პროცესი მოიცავს დაგეგმვას, ინვესტირებას, განვითარებას, შესრულებას და ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურული ერთეულის დაკომპლექტების პროცესს. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის პროცესი ეფექტურია, როდესაც ის შეესაბამება ბანკის მისიას და საქმიანობის მიზნებს. მენეჯმენტის

პროცესი მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვას, თავად მართვას, იერარქიულ ანგარიშგებას და ფუნქციონალურ დამოუკიდებელ მიმოხილვას. ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრატეგია ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ბანკის საქმიანობის მიზნებსა და სტრატეგიას და გააჩნდეს მართვის ეფექტური სისტემა ამ სტრატეგიის განსახორციელებლად.

2. არქიტექტურა[2] (*Architecture*). არქიტექტურა წარმოადგენს ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემისა და მისი ინდივიდუალური კომპონენტების ძირითადი დიზაინს. იგი მოიცავს ფიზიკურ და ლოგიკურ არქიტექტურას ოპერაციული გარემოს ჩათვლით, ისევე როგორც მონაცემთა ორგანიზაციას. ინდივიდუალური კომპონენტები მიმართავენ ქელის კომუნიკაციებს, კომპიუტერულ საშუალებებსა და პროგრამულ უზრუნველყოფებს, რომელიც მოიცავს ოპერაციულ სისტემებს, კომუნიკაციების პროგრამულ უზრუნველყოფებსა და მონაცემთა ბაზის მენეჯმენტს, პროგრამირების ენას და ერთიან პროგრამული საშუალებებს. ეფექტური არქიტექტურას გააჩნია მიმდინარე და გრძელვადიანი ორგანიზაციული მიზნები, საშუალებას იძლევა მომხმარებლმა ადვილად მოიპოვოს მონაცემები მისი დამუშავების ჩვეულებრივ და პიკურ პერიოდებში და უზრუნველყოს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც წარმოიქმნება, როდესაც ინფორმაცია შენახულია ან დამუშავებულია ორ ან მეტ სისტემაში, რომელთა დაკავშირება ელექტრონულად შესაძლებელი არ არის. ინფორმაციული ტექნოლოგიების არქიტექტურის ადეკვატურობის შეფასება ხდება იმის განსაზღვრით, თუ რამდენად გააჩნია აპარატულ საშუალებებს იმის უნარი მართონ პროგრამული საშუალებები, სხვა სისტემებთან და მონაცემთა წყაროებთან შესაბამისობა და ინტეგრირება, უფრო მაღალი დონის სამუშაოების შესრულების უნარი და კონტროლის ადეკვატურობა.

3. მთლიანობა (*Integrity*). სისტემის მთლიანობა გულისხმობს ინფორმაციის საიმედობას, სიზუსტესა და სისრულეს. ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემა ეფექტურია, როდესაც საბოლოო

[2] სხვაგვარად, "ინფრასტრუქტურა"

ინფორმაციული ნაკადი ზუსტი და სრულია. სისუსტეები სისტემის მთლიანობაში არასასურველ გავლენას ახდენს ბანკის ყოველდღიურ მუშაობაზე და ინფორმაციის გამოყენების ხარისხზე. მნიშვნელოვანია იმის შეფასება თუ რამდენად უზრუნველყოფილია სისტემის მთლიანობა, რომელიც შეფასებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი სამსახურების მხრიდან.

4. უსაფრთხოება (*Security.*). მიწოდებული ინფორმაციისა და მონაცემთა ბაზის უსაფრთხოება მიმართულია იმისაკენ, რომ ფიზიკური და ლოგიკური კონტროლის გამოყენებით მიღწეული იქნეს აქტივების ღირებულების შესაფერისი დაცვის დონე. ინფორმაციულ ტექნოლოგიებს გააჩნიათ ეფექტური უსაფრთხოება, როდესაც პრევენციულია სისტემაში შეღწევადობა, მოდიფიცირება, მწყობრიდან გამოყვანა, ან ინფორმაციული აქტივების გახსნა მათი შექმნის, გადაცემის, დამუშავების, მომსახურების ან შენახვის პროცესში. ბანკში გარანტირებული უნდა იყოს ის, რომ ოპერაციული პროცედურები და კონტროლი შეესაბამებოდეს უსაფრთხოებისა და რისკების იმ პოტენციალს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით, პერსონალის უღუარადღებობით ან შეგნებული ქმედებებით, გარე ან შიდა ფაქტორების შედეგად.

5. გამოყენებითობა (*Availability*). გამოყენებითობა გულისხმობს საბოლოო მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებას. ინფორმაციულ ტექნოლოგიებს აქვთ გამოყენების ეფექტურობა მაშინ, როდესაც ის ახდენს ბიზნესისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების თავისდროულ მხარდაჭერას. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას უნდა აძლევდეს მის საბოლოო მომხმარებლებს მიიღოს ინფორმაცია პირველადი ან მეორადი წყაროდან, ასევე შესაძლებელი იყოს სისტემების დუბლირება, რომელიც გათვალისწინებულია გაუთვალისწინებელ ვითარებაში მოქმედების გეგმით, რათა შემცირებული იქნეს ბანკის საქმიანობისადმი მიყენებული ზიანის ეფექტი.

ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მომსახურების განვითარების მიმართულებები

ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, ბანკის სტრატეგიულ ამოცანას მაგალითად შეიძლება წარმოადგენდეს:

- იტ ინფრასტუქტურის ჩამოყალიბება ITIL კონცეფციებზე დაყრდნობით;
- კონტაქტ-ცენტრის შექმნა;
- მონაცემთა დამუშავების ძირითადი და სარეზერვო ცენტრის შექმნა;
- მონაცემთა არქივირების ერთიანი ცენტრის შექმნა;
- გაყიდვის წერტილების სამუშაო ადგილების მოწყობა ტერმინალის რეჟიმში.
-

ლიტერატურა:

1. *ინგოროყვა ა.* საბანკო მენეჯმენტის ზოგადი საფუძვლები. თბ. "ლამპარი". 1997 წ.
2. *ინგოროყვა ა. წიკლაური ს.* ფულის მიმოქცევა და კრედიტის საფუძვლები. თბ. 2000 წ.
3. *მაჭარაძე თ. წვერაიძე ზ.* ინფორმატიკის საფუძვლები. ინფორმაცია და კომპიუტერები. ალგორითმიზაცია. თბ. სტუ, 2003 წ.
4. *სურგულაძე გ. თურქია ე.* ბიზნეს-პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების ტექნოლოგია. თბ. სტუ. 2003 წ.
5. *მაღლაკელიძე ნ. ნონიკაშვილი.* აუტომატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემები. თბ. სტუ. 2006 წ.
6. *სურგულაძე გ. პეტრიაშვილი.* მონაცემთა საცავის აგების ტექნოლოგია ინტერნეტ ბიზნესის სისტებებისათვის. თბ. სტუ. 2005 წ.
7. *ფრანგიშვილი ა. სამხარაძე რ. და სხვ.* ინტერნეტი. ინტერნეტში ჩართვა. თბ. სტუ. 2002 წ.
8. *ჩხაიძე ზ. ქუთათელაძე ა.* ინფო-ტელეკომუნიკაციური სისტემების კატასტროფამედეგობა. სტუ შრომების კრებული N 4 (466), თბილისი, 2007 წ.
9. *ცაავა გ.* საბანკო და ფინანსური მენეჯმენტი. ტ II ფინანსური საქმიანობის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკუმი. თბ. 2002 წ.
10. *ცაავა გ.* საბანკო საქმე. თბ. 2005 წ.
11. ბანკის საოპერაციო დღის სისტემა. B2003 "Alta software" პროგრამული სისტემა, მომხმარებლის ისტრუქცია;
12. ეროვნული ანგარიშსწორების სისტემა RTGS "Montran" პროგრამული სისტემა, მომხმარებლის ისტრუქცია;
13. დებულება საქართველოში უნაღდო ანგარიშწორების შესახებ *(http://www.nbg.gov.ge/nbg_new_geo/Regulations/payment_system.htm).*
14. დებულება დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშწორების(RTGS) შესახებ

(http://www.nbg.gov.ge/nbg_new_geo/Regulations/payment_system.htm).

15. Автоматизированные информационные технологии в экономике/ *Под общей ред. И.Т. Трубилина – М.: Финансы и статистика, 2000. – 416 с.*
16. *Герасименко В. А., Малюк А.А.* Основы защиты информации. – М.: Инкомбук, 1997. – 537 с.
17. *Екушов А.И.* Модели учёта и анализа в коммерческом банке. – М.: Бизнес и компьютер, 1997. – 208 с.
18. *Кутателадзе а. Чхаидзе з.* Определение экономической эффективности математической модели добычи нефти"Экономика" N 11, Тбилиси,2005 г.
19. *Королев Д. М.* ИНФОРМАЦИОННЫЕ СИСТЕМЫ В БАНКОВСКОМ ДЕЛЕ, г. Белгород, 2002г.
20. *Титоренко Г.А.* Компьютеризация банковской деятельности. – М.: Финстатинформ, 1997. – 304 с.
21. *Тютюнник А.В., Шевелев А.С.* Информационные технологии в банке. М.2003.
22. *Кульба В.В., Ковалевский С.С., Косяченко С.А., Сиротюк В.О.* Теоретические основы проектирования оптимальных структур распределённых баз данных. М.: Синтег, 1999. – 660 с.
23. *Романов М.Ю.* Безопасность информации в автоматизированных системах банковских расчетов. – М.: 1998. – 153 с.
24. *Королев Д.М.* Моделирование автоматизированных банковских систем с трехзвенной архитектурой. Диссертация на соискание ученой степени кандидата технических наук. – М.: 2000. – 143 с.
25. *Королев Д.М.* Жизненный цикл тиражируемого программного обеспечения Экономических Информационных Систем// Сборник докладов российской научной конференции «Экономические Информационные

Системы на пороге XXI века. – М.: МГУЭСИИ, 1999. – 306–309 с.
26. *Чхаидзе З.* Формализация представления обучающего процесса-агрегированные модели Тезисы международной научно-практической конференции. Часть 6, Белгород 2007г
27. *Чхидзе З.* Модели и методы упавления обучением. Монография, «Универсал», Тбилиси, 2007г.

ინტერნეტ ბმულები:
http://www.citforum.ru
http://www.dator.ru
http://www.splan.ru
http://www.sbrf.ru
http://www.bis.ru
http://www.b*MS*.sgg.ru
http://www.diasoft.ru
http://www.ftc.ru
http://www.ibs.ru
http://www.inve*RS*ion.ru
http://www.mimtech.com
http://www.quorum.ru
http://www.r–style.ru
http://www.scil.ru
http://www.temenos.ch
http://www.absl.com
http://www.actisfrankfurt.com
http://www.citibank.com/citil/html/mbanker.htm
http://www.demica.com
http://www.midas–kapiti.com
http://www.om*RS*yste*MS*.com

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ 11.12.2008. ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ
02.2 009. ᲥᲐᲦ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ 60X84 1/16. ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ ᲗᲐᲑᲐᲮᲘ 25.
ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 300 ეც

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77

ᲨᲞᲡ „ფორმა“, თბილისი, ხახანაშვილის 37